

თეიმურაზ დარსანია

სისხლისსამართლებრივი
პასუხისმგებლობა დანაშაულის
მცდელობისათვის


გამომცემლობა „**ჯინჯალისი**“
თბილისი 2017

UDC (უაკ) 343.23;

დ-235

წინამდებარე წიგნში მოცემულია იმ ძირითადი და სადავო საკითხების კვლევა, რომლებიც დანაშაულის მცდელობის დასჯადობასთანაა დაკავშირებული. განხილულია დანაშაულის მცდელობის სამსაფეხურიანი სისტემა, როგორცაა ქმედების შემადგენლობა, მართლწინააღმდეგობა და ბრალი.

წიგნი განკუთვნილია როგორც უმაღლესი სკოლის სისხლის სამართლის სპეციალობის სტუდენტებისა და პრაქტიკოსი იურისტებისათვის, ისე სამართლის პრობლემატიკით დაინტერესებული სპეციალისტებისა და ფართო საზოგადოებისათვის.

რედაქტორები : სამართლის დოქტორი, პროფესორი
ირაკლი გაბისონია
სამართლის დოქტორი, პროფესორი
ჯემალ გაბელია

კორექტორი: ისტორიის დოქტორი
დავით სოლომნიშვილი

© თ დარსანია, 2017

ISBN 978-9941-09360-9

შინაარსი

რედაქტორისაგან	5
შესავალი	8

თავი I. დანაშაულის მცდელობის დასჯადობის ისტორია

1. დანაშაულის მცდელობის დასჯადობის ისტორია საზღვარგარეთ	15
2. დანაშაულის მცდელობის დასჯადობის ისტორია საქართველოში	21

თავი II. დანაშაულის მცდელობა საზღვარგარეთის ქვეყნების მოქმედ კანონმდებლობაში

1. ინგლისი	34
2. ამერიკა	40
3. საფრანგეთი	48
4. გერმანია	54
5. იაპონია	58
6. იტალია	59

თავი III. დანაშაულის მცდელობის შემადგენლობის თავისებურებანი

1. თეორიები დანაშაულის მცდელობის ობიექტური შემადგენლობის შესახებ	64
2. ევენტუალური განზრახვით დანაშაულის მცდელობის კონცეფცია	82

3. დანაშაულის მცდელობის შემადგენლობის ბუნება	128
4. დანაშაულის მცდელობის სუბიექტური შემადგენლობა	145
5. დანაშაულის მცდელობის სუბიექტურ და ობიექტურ მხარეთა თანაფარდობის საკითხი	149
6. დანაშაულის მცდელობის შემადგენლობის სუბსუმციის სპეციალური საკითხები	157

**თავი IV. მართლწინააღმდეგობა და ბრალი
დანაშაულის მცდელობის დროს**

1. მართლწინააღმდეგობა დანაშაულის მცდელობის დროს	186
2. ბრალი დანაშაულის მცდელობის დროს	200
დასკვნა	216
ლიტერატურა	223
რეზიუმე	231

რედაქტორისაბან

წინამდებარე ნაშრომში საქართველოს ახალი სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძველზე თანამედროვე სისხლის სამართლის მეცნიერების მდგომარეობის გათვალისწინებით განხილულია არაპირდაპირი განზრახვით ჩადენილ დანაშაულში მცდელობის პრობლემატური საკითხები.

ნაშრომი განკუთვნილია იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისა და სამართალდამცავი ორგანოების მუშაკთათვის. აღნიშნულ ნაშრომს, მართალია, სასწავლო დანიშნულება აქვს, თუმცა მიგვაჩნია, რომ იგი დიდ სამსახურს გაუწევს სასამართლო პრაქტიკას და სისხლის სამართლის პრობლემით დაინტერესებულ პირებს. ტრადიციულად, ქართველ მეცნიერ მუშაკთა ყურადღება მიმართული იყო დამთავრებული დანაშაულის ფუნდამენტური პრობლემების დამუშავებისაკენ. დანაშაულის მცდელობის, მით უფრო, არაპირდაპირი განზრახვით ჩადენილ დანაშაულში მცდელობის ინსტიტუტის შესწავლას არ ექცეოდა ჯეროვანი ყურადღება, ამიტომ თეიმურაზ დარსანიას ნაშრომი ჩვენი სასწავლო იურიდიული ლიტერატურის მნიშვნელოვანი შენაძენია.

სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმის შედეგად, რაც ძირითადად 1999 წლის კოდექსის მიღებით დაიწყო და დღემდე გრძელდება, მნიშვნელოვნად შეიცვალა სისხლის სამართლის ძირითადი ცნებებისა და კატეგორიების შინაარსი, ეს კი, თავის მხრივ, განაპირობებს ცალკეულ დანაშაულთა ნიშნების ახლებურ გაგებას. ზემოთქმული, ცხადია, ეხება დანაშაულის მცდელობის ინსტიტუტსაც, რომელთა სამართლებრივი შინაარსის დადგენა მნიშვნელოვ-

ნად განპირობებულია იმით, თუ როგორი დამოკიდებულება აქვს დანაშაულის მცდელობის შემფასებელს დანაშაულის სისტემასა და მის ცალკეულ ნიშნებზე.

მისასაღმებელია ის ფაქტიც, რომ თეიმურაზ დარსანიას ნაშრომში არაპირდაპირი განზრახვით ჩადენილ დანაშაულში მცდელობის საკითხი განხილულია დანაშაულის სამსაფეხურიან სისტემაზე დაყრდნობით (ქმედების შემადგენლობა, მართლწინააღმდეგობა, ბრალი). ქართულ სისხლის სამართალში ეს სისტემა გერმანული სისხლის სამართლის ზეგავლენით პროფესორმა თინათინ წერეთელმა შემოიტანა. ცალკეული საკითხების ავტორისეული შეფასება, რიგ შემთხვევაში, შეიძლება საკამათოც იყოს, რადგანაც იგი ადრე სხვაგვარად განიმარტებოდა, მაგრამ თუ პრობლემატიკას სიღრმისეულად განვიხილავთ და გავანალიზებთ, დავრწმუნდებით, რომ ავტორის პოზიცია ძირითადად დასაბუთებულ და სამართლებრივ არგუმენტებს ეფუძნება.

ჩატარებული კვლევის შედეგად ავტორის მიერ შემუშავებულია რეკომენდაციები დანაშაულის მცდელობის დასჯადობასთან დაკავშირებული პრობლემატიკის ერთიანი მოდელის შექმნისათვის. საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკის განზოგადების შედეგად გაზიარებულია სისხლის სამართლის კოდექსის მე-19 მუხლის ახალი რედაქცია, რომელმაც უარყო დანაშაულის მცდელობის 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსის მე-17 მუხლის განმარტება, რომლის მიხედვითაც ძნელი იყო ისეთი ქმედებების გამიჯვნა, როდესაც დამნაშავე შეიპყრეს ან, როდესაც მან თავისი ნებით აიღო ხელი დანაშაულის ჩადენაზე. ნაშრომში ასევე განხილულია დანაშაულის მცდელობის ინსტიტუტი საზრვარგარეთის ქვეყნების სისხლის სამართლის კანონმდებლობასა და თეო-

რიაში. გაანალიზებულია ევენტუალური განზრახვით დანაშაულის მცდელობის კონცეფცია.

სისხლის სამართალში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს თანმიმდევრულ მსჯელობას. სწორია პასუხი, რომელიც დასაბუთებული და არგუმენტირებულია. თეიმურაზ დარსანიას ნაშრომი სწორედ ამ მიზანს ემსახურება. უფრო კონკრეტულად, ეს არის პირველი ცდა ქართულ რეალობაში, რომელიც იძლევა მცდელობის საკითხის განმარტებას. ვფიქრობთ, აღნიშნული ნაშრომი ღირსეულ ადგილს დაიკავებს ქართულ სასწავლო იურიდიულ ლიტერატურაში.

შესავალი

საქართველოს სისხლის სამართლის ახალი კოდექსის მიღებით დანაშაულის მოძღვრება აიგო დანაშაულის ცნების სამსაფეხურიან სისტემაზე. შესაბამისად, სისხლისსამართლებრივ მეცნიერებაში დამკვიდრდა ნორმატიული თეორია, რომელმაც აიძულა კანონმდებელი განზრახვის თეორიიდან გასულიყო ბრალის თეორიაზე.

ნორმატიული თეორიის დამკვიდრების შედეგად დანაშაულის მცდელობის საკითხისადმი დამოკიდებულება შეიცვალა იმ თვალსაზრისით, რომ ყურადღება გამახვილდა ბრალის ცალკეულ ნიშნებზე, რამაც, შესაბამისად, სამოსამართლეო სამართლისადმი დანაშაულის მცდელობის კრიტერიუმების გამოყენებისა და შეფასებითი ხასიათის ცვლილება გამოიწვია.

მრავალი კრიტერიუმი, რომელიც დადგინდა ქართულ იურიდიულ მეცნიერებაში და, შესაბამისად, იყო აღიარებული, კვლავ გახდა მსჯელობის საგანი, როდესაც თავი იჩინა ევენტუალური განზრახვით დანაშაულის მცდელობის კონცეფციამ. ამ შემთხვევაში განსჯის საგანი გახდა დებულებები, რომელიც უნდა იყოს განხილული ქმედების შემადგენლობის, მართლწინააღმდეგობისა და ბრალის ეტაპზე. წამოიჭრა მთელი რიგი საკითხები.

დანაშაულის მცდელობის განსაზღვრის პრობლემატიკამ მიიღო სულ სხვა ხასიათი მას შემდეგ, რაც ევენტუალური განზრახვით დანაშაულის მცდელობის კონცეფციამ ახალი მნიშვნელობა შეიძინა. უპირველეს ყოვლისა, წარმოიშვა მეთოდოლოგიური ხასიათის პრობლემა ბრალის თეორიაზე გადასვლასთან დაკავშირებით. მეცნიერებას უნდა

გაეცა პასუხი კითხვაზე, დანაშაულის მცდელობის რომელი საკითხის არგუმენტაცია დარჩეს და რომელი გადაისინჯოს. ამის გარდა, საკმარისი არ იყო ფორმალურ-ობიექტური კონცეფციის კრიტიკა ობიექტური შესაძლებლობის კონცეფციის ფარგლებში. საჭირო იყო ამ თეორიისა და ევენტუალური განზრახვით დანაშაულის მცდელობის კონცეფციის კავშირის გამოვლენა.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, დანაშაულის მცდელობის თეორიულ კვლევას გააჩნია არა მარტო დოგმატური ხასიათი, არამედ პრაქტიკული მნიშვნელობაც, რადგან შემუშავებული რეკომენდაციების შედეგად სასამართლო პრაქტიკისათვის იქმნება ამ ინსტიტუტის შეფასების ერთიანი მოდელი.

ნაშრომის მიზანია იმ ძირითადი და სადავო საკითხების განხილვა, რომლებიც დანაშაულის მცდელობის დასჯადობასთანაა დაკავშირებული, სსკ-ს მე-19 მუხლის ზუსტი შეფასებისათვის რეკომენდაციების შემუშავება ქმედების ობიექტური და სუბიექტური მხარეების, მართლწინააღმდეგობისა და ბრალის დადგენის საფუძველზე.

ნაშრომის ამოცანაა ისეთი საკითხის ანალიზი როგორცაა:

- დანაშაულის მცდელობის შემადგენლობის თავისებურებანი, კერძოდ: თეორიები დანაშაულის მცდელობის ობიექტური შემადგენლობის შესახებ; ევენტუალური განზრახვით დანაშაულის მცდელობის კონცეფცია; დანაშაულის მცდელობის შემადგენლობის ბუნება; დანაშაულის მცდელობის სუბიექტური შემადგენლობა; დანაშაულის მცდელობის სუბიექტურ და ობიექტურ მხარეთა თანაფარდობის საკითხი; დანაშაულის მცდელო-

ბის შემადგენლობის სუბსუმციის სპეციალური საკითხები.

- დანაშაულის მცდელობის დროს მართლწინააღმდეგობა და ბრალი.

ნაშრომის კვლევის საგანს წარმოადგენს დანაშაულის მცდელობის შემადგენლობა, მართლწინააღმდეგობა და ბრალი.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე და პრაქტიკული მნიშვნელობა შეიძლება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს:

1. დანაშაულის მცდელობის განსაზღვრას საფუძვლად დაედო დანაშაულის ცნების სამსაფეხურიანი სისტემა: ქმედების შემადგენლობა, მართლწინააღმდეგობა და ბრალი. შესაბამისად, კვლევა ჩატარებულია და ამ მიმართულებით შემუშავებულია შესაბამისი რეკომენდაციები.
2. დანაშაულის მცდელობისადმი ნორმატიული თეორიის გამოყენების შედეგად დასახულია კვლევის მეთოდოლოგია. ქმედების შემადგენლობის თემატიკიდან ამოღებულია შეზღუდული შერაცხადობის თემატიკა. ამის გარდა დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის ადება, როგორც სასჯელისაგან პერსონალური გათავისუფლების საფუძველი და ორივე განხილულია ბრალის ეტაპზე.
3. განხილულია დანაშაულის მცდელობის ფორმალურობიექტური, სუბიექტური და შერეული კონცეფციები. ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში მათი კრიტიკა ძირითადად დაკავშირებული იყო იმ დებულების დამტკიცებასთან, რომლის თანახმად, საფრთხის არსის ნამდვილ გაგებას განაპირობებს მხოლოდ შესაძ-

ლებლობა, რომელიც სინამდვილის განვითარების პროცესს წარმოადგენს. ამ მიმართულებით თ. წერეთლის, ო. გამყრელიძის და სხვა მეცნიერთა მიერ წამოყენებული არგუმენტაცია ძირითადად ეხება ქმედების შემადგენლობის პრობლემატიკის კორექტირებას. მაგრამ დეტალურად არაა განხილული გაკიცხვის მოძღვრებასთან დაკავშირებული საკითხები, რომლებიც თანამედროვე ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში წამოიჭრა ევენტუალური განზრახვით მცდელობის ინსტიტუტთან დაკავშირებით. ამ მიმართულებით კვლევაში დადგენილია, რომ საშიში მდგომარეობის ფორმალურ-ობიექტური გაგების შედეგად ქართულ მეცნიერებასა და პრაქტიკაში ფეხს იკიდებს ევენტუალური განზრახვით მცდელობის კონცეფცია, რომელიც უბიძგებს სასამართლოებს რეპრესიული პოლიტიკისაკენ. ამ კონცეფციის ფარგლებში სასამართლო გამოდის არა რეალური შესაძლებლობის, არამედ აბსტრაქტული, ტიპური შესაძლებლობიდან, რაც მეტად სახიფათოა კანონიერების პრინციპის დამკვიდრებისათვის.

4. ნაშრომში ნაჩვენებია, რომ დანაშაულის მცდელობა შესაძლებელია ჩადენილი იყოს მხოლოდ პირდაპირი განზრახვით, როდესაც პირი უშუალოდ შეუდგა თავისი განზრახვის განხორციელებას, თუმცა მოქმედება ვერ დაამთავრა. ამ მხრივ გაზიარებულია სსკ-ს მე-19 მუხლის ახალი რედაქცია, რომელმაც უარყო დანაშაულის მცდელობის 1960 წ. კოდექსის მე-17 მუხლის დებულებები. წინააღმდეგ შემთხვევაში ძნელდებოდა ისეთი შემთხვევების გამიჯვნა, როდესაც დამნაშავე

შეიპყრეს ან, როდესაც მან თავისი ნებით ხელი აიღო დანაშაულის ჩადენაზე.

5. ნაშრომში ნაჩვენებია დანაშაულის შემადგენლობისადმი სუბიექტურ-ობიექტური მიდგომის მართებულობა. ამ კონცეპტუალური მიდგომის შედეგია დაუმთავრებელი დანაშაულისთვის სასჯელის დანიშნისას ისეთი საკვანძო საკითხების გათვალისწინება, როგორიცაა: 1) დამნაშავის მიერ ჩადენილ მოქმედებათა ხასიათი და საშიშროება, 2) დანაშაულებრივი განზრახვის განხორციელების ხარისხი, რომელიც მოქმედების ობიექტური სოციალური საშიშროების ხარისხს განსაზღვრავს, 3) მიზეზები, რის გამოც დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი.
6. ნაჩვენებია, რომ დანაშაულის მცდელობის სუბსუმციის სპეციალურ საკითხებს მიეკუთვნება დანაშაულის მომზადებისა და მცდელობის გამიჯვნის პრობლემატიკა. აღნიშნული პრობლემატიკის გადაწყვეტა უშუალოდ არის დაკავშირებული ქმედების შემადგენლობასთან და მოწმდება ბრალის ეტაპზე.
7. ნაშრომში ასევე განხილულია დანაშაულის მცდელობის მართლწინააღმდეგობის საკითხი. უპირველეს ყოვლისა, გამოკვლევა მართლწინააღმდეგობის პრობლემატიკას მიაკუთვნებს „უვარგის მცდელობას“.
8. „უვარგისი მცდელობის“ ინსტიტუტი უშუალოდ არის დაკავშირებული მცდელობის მართლწინააღმდეგობის შემონმების პრობლემებთან. ამიტომ ჩვენ მიგვაჩინია, რომ „უვარგისი მცდელობის“ საკითხი განხილულ

უნდა იქნეს დანაშაულის მცდელობის მართლწინააღმდეგობის თემატიკის ანალიზის დროს.

10. აღნიშნული მეთოდოლოგიური მიდგომა მდგომარეობს იმაში, რომ „უვარგისი მცდელობა“ თავისი ბუნებით უკავშირდება ფაქტობრივ შეცდომას, რამდენადაც სამყაროში არსებულ რეალობაზე ადამიანის მცდარი წარმოდგენის შედეგად დანაშაული განუხორციელებელი რჩება. ფაქტობრივი შეცდომა, რომელიც მართლწინააღმდეგობას გამორიცხავს, ამავე დროს გამორიცხავს განზრახვას. გამოკვლევაში „უვარგისი მცდელობა“ დაყოფილია მცდელობად უვარგისი ობიექტზე და მცდელობად უვარგისი საშუალებით, როგორც ეს მიღებულია ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში.
11. სამართლებრივ პრაქტიკაში დანაშაულის მცდელობასთანაა დაკავშირებული მთელი რიგი პრობლემები, რომელიც შესწავლილი უნდა იყოს ბრალის ეტაპზე. თემის კვლევისას ვსვამთ ისეთ საკითხებს როგორცაა: შეზღუდული შერაცხადობის დროს ჩადენილი დანაშაულის მცდელობა და დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება. ამ მიმართულებით განიხილება შეზღუდული შერაცხადობის სხვადასხვა ფორმები (ალკოჰოლური, ნარკოტიკული და აფექტური მდგომარეობა), რომლებიც არ გამორიცხავენ დანაშაულის მცდელობას. შემდეგ ფორმას წარმოადგენს გაუფრთხილებლობითი დანაშაული, როდესაც გამოირიცხება დანაშაულის მცდელობა.
12. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება წარმოადგენს მხოლოდ სასჯელისაგან პერსონალური გა-

თავისუფლების საფუძველს. ამიტომ ეს საკითხი კვლევაში განხილულია ბრალის ეტაპზე. კვლევაში ნაჩვენებია, რომ გაკიცხვის დასაბუთების დროს სასამართლომ უნდა გაითვალსწინოს: ნებაყოფლობით ხელის აღებისას პირმა შეიძლება პასუხი აგოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მის მიერ ჩადენილ ქმედებაში უკვე არის რაიმე სხვა დამოუკიდებელი დანაშაულის შემადგენლობა, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დგება, თუ პირმა, მაგალითად, მკვლელობისათვის შეიძინა იარაღი, მაგრამ ნებაყოფლობით ხელი აიღო მკვლელობის ჩადენაზე; დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების შემთხვევაში დანაშაულის ჩადენის განზრახვა და, შესაბამისად, დაწყებული დანაშაულებრივი საქმიანობის გაგრძელების საშიშროება, ფაქტობრივად არ არსებობს, რაც აგვაცილებს დაცული სამართლებრივი სიკეთის დაზიანების საფრთხეს. არა მარტო თვითონ პირი ხდება სოციალურად უსაფრთხო, არამედ მის მიერ განხორციელებული ქმედებაც კარგავს დაცული ობიექტისათვის ზიანის მიყენების საფრთხეს.

თავი I დანაშაულის მცდელობის დასჯადობის ისტორია

1. დანაშაულის მცდელობის დასჯადობის ისტორია საზღვარგარეთ

დანაშაულის მცდელობის დასჯადობა ისტორიულად დაკავშირებულია ბრალის პრინციპის განვითარებასთან. ადრეული სამართალი, რომელიც დანაშაულს უკავშირებდა, მავნე შედეგის დადგომას და დანაშაულის მცდელობის ცნებას არ ცნობს. ხელყოფა მხოლოდ მაშინ იწვევს საზოგადოებაში რეაქციას, როდესაც მას რაიმე მატერიალური სიკეთის მიმართ ზიანი მოჰყვება. მხოლოდ მას შემდეგ, რაც სამართალში ყურადღება მიექცა დანაშაულის და დამნაშავის შინაგან მხარეს, მნიშვნელოვანი გახდა არა მარტო ქმედების საზიანო შედეგი, არამედ პირის დამოკიდებულება ამ შედეგისადმი. ამან გამოიწვია ის, რომ პასუხისმგებლობა მხოლოდ მავნე შედეგისათვის უკვე უსამართლოდ მიიჩნეეს. თანდათან იკვეთება აზრი, რომ პირი შეიძლება დაისაჯოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დანაშაულებრივ ქმედებას თან სდევდა ბრალი, მოქმედებისა და შედეგისადმი გასაკიცხი ფსიქიკური დამოკიდებულებით, ანუ ნელ-ნელა იწყებს განვითარებას ბრალის ცნება. ეს თავისთავად ბადებს შეგნებას, რომ უსამართლო იქნებოდა დაუსჯელად დატოვება ისეთი მოქმედებისა, რომელიც მიმართული იყო რაიმე დანაშაულის ჩასადენად, მაგრამ სრულიად შემთხვევითი გარემოების გამო, რომელიც არ იყო დამოკიდებული მოქმედის ნებაზე, ვერ იქნა ბოლომდე მიყვანილი, ამიტომ დამნაშავისათვის სასურველი მავნე შედეგი ვერ დადგა. ასე წარმოიშვა დაუმთავრებელი დანაშაულის ცნება, რომელიც სამართლის ხანგძლივი ისტორიული განვითარების პროდუქტს წარმოადგენს.¹

¹ ნერეთელი თ. დანაშაულის მომზადება დამცდელობა. თბ., 1961წ. გვ. 7

ადრეული სამართალი არ იცნობს დაუმთავრებელ დანაშაულს ანუ დანაშაულის მომზადებას და მცდელობას, როგორც დანაშაულის განვითარების სტადიებს. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ასეთი ქმედება, რომელიც დღევანდელი თვალსაზრისით დაუმთავრებელ დანაშაულს წარმოადგენს, საერთოდ არ ისჯებოდა, რადგან შედეგი არ იყო მიღწეული. პირიქით, თვით ეს მოქმედება გამოცხადებული იყო, როგორც დამთავრებული დანაშაული და ისჯებოდა შესაბამისად. მაგალითად, ჩვენს წელთაღრიცხვამდე მე-20 საუკუნის ემუნის მეფის ბილალანის კანონებში გვხვდება ასეთი ნორმები:

„12. კაცმა, რომელსაც მუშქენუმის ყანაში დაიჭერენ ... დღისით შესვენებისას, უნდა მიუნონოს 10 სიკლი ვერცხლი; ის, ვისაც დაიჭერენ ღამით... უნდა მოკვდეს; ის არ უნდა დარჩეს ცოცხალი.

13. კაცმა, რომელსაც მუშქენუმის სახლში, თვით სახლში, დაიჭერენ დღისით შესვენებისას, უნდა მიუნონოს 10 სიკლი ვერცხლი; ის, ვისაც ღამით დაიჭერენ სახლში, უნდა მოკვდეს; ის არ უნდა დარჩეს ცოცხალი“.²

მსგავსი შინაარსის ნორმები გვხვდება ისინის მეფის ლიფიტი-იშთარის კანონებში (ჩ.წ-მდე მე-20 საუკუნე):

„9. უკეთუ კაცი კაცის ბაღში შევა და შეპყრობილი იქნება ქურდობისათვის, მან უნდა მიუნონოს 10 სიკლი ვერცხლი“.

ის ქმედება, რაც ამ კანონებშია აღწერილი ანუ ბაღში, სახლში, ყანაში შესვლა ქურდობის მიზნით, დღეს დაისჯებოდა როგორც მცდელობა. მაშინ, როგორც ვხედავთ, ამ კანონებით ისჯებოდნენ, როგორც დამოუკიდებელი დამთავრებული ქმედებებისათვის.

დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობასთან დაკავშირებით საინტერესოა ხეთების კანონთა პირველი ტაბულის

² დოლიძე ი. ძველი აღმოსავლეთის სამართალი. თბ., 1960 წ. გვ. 12

93-ე მუხლი:

„93. უკეთუ ეზოში შეიპყრობენ თავისუფალ კაცს მანამდე, სანამ ის სახლში შევა, მან უნდა მისცეს 12 ნახევარ-სიკლი ვერცხლი“.³

ამ მუხლშიც, როგორც ვხედავთ, სახეზეა ქურდობის მცდელობა. მაგრამ ის არ ითვლება ასეთად, რადგან ისჯება როგორც დამოუკიდებელი დამთავრებული დანაშაული.

მიუხედავად იმისა, რომ რომის სამართალი საკმაოდ განვითარებული იყო, ის არ იცნობდა დანაშაულის მცდელობის ინსტიტუტს. რომის სამართალში, მისი განვითარების მეორე პერიოდიდან, სხვა მსგავს ნორმებთან ერთად, რომლებიც ზიანის მიყენების დასჯადობას ითვალისწინებენ, ვხვდებით ისეთებსაც, რომლებიც სჯიან დანაშაულის ჩასადენად მიმართულ ქმედებას. რომის სამართალში დამთავრებულ დანაშაულად ითვლებოდა ვინმეს მოკვლის მიზნით იარაღით ხელში სიარული, სანამლავის შეძენა ან დამზადება და ა. შ.

იმის გამო, რომ შუა საუკუნეებში ბევრი სახელმწიფო დაფუძნებული იყო რომის სამართალზე, მათთანაც პრაქტიკულად იგივე სურათს ვხვდებით. შუა საუკუნეების სხვადასხვა ქვეყნის ადრინდელ სამართალში მოცემული იყო უამრავი ნორმა, რომელიც შედეგს არ მოითხოვდა და ასეთი მოქმედებები ისჯებოდა, როგორც დამთავრებული დანაშაული. მაგალითად, ადამიანის ორმოში ჩაგდება, კიბიდან ან ცხენიდან ჩამოგდება, თვითნებური შელწევა სხვის სახლში ან შემოღობილ ადგილას და სხვა. ეს საკმაოდ დამახასიათებელი იყო შუა საუკუნეების ფეოდალური სამართლისათვის; მაგალითად, სალიკურ სამართალში გვხვდება ისეთი ნორმა, როგორცაა: „უკეთუ ვინმე ჭაში ჩააგდებს თავისუფალ ადამიანს და ეს უკანასკნელი იქიდან ცოცხალი ამოვა, დამნაშავეს გადახდება 4000 დინარი...“ (ტიტ. XLI, & 9). როგორც ვხე-

³ დოლიძე ი. ძველი აღმოსავლეთის სამართალი. თბ., 1960 წ. გვ. 13

დავთ, აქ თანამედროვე სამართლის თვალსაზრისით გვექნება შეკვეცილი შემადგენლობა (საფრთხის შემქმნელი დელიქტი).⁴

ევროპაში, დაუმთავრებელი დანაშაულის ანუ დანაშაულის მომზადებისა და მცდელობის დასჯადობის შესახებ, პირველი ზოგადი დებულებები შემუშავებულ იქნა შუა საუკუნეებში იტალიელი იურისტების (გლოსატორების) მიერ (მე-12 საუკუნის ბოლოსა და მე-13 საუკუნის განმავლობაში). გლოსატორები იყენებდნენ ტერმინს „მცდელობა“ და მოგვცეს მისი განმარტებაც, რომელიც მათ საკმაოდ ფართოდ ესმოდათ. მცდელობად მათ მიაჩნდაათ არა მარტო თვითონ მოქმედება, რომლითაც სრულდებოდა დანაშაულის შემადგენლობა, არამედ ყველა ის საქმიანობა, რომელიც მანამდე ხორციელდებოდა და უადვილებდა დამნაშავეს მიზნის მიღწევას (მოსამზადებელი საქმიანობა). თავიდან მცდელობა, მხოლოდ მძიმე დანაშაულისთვის ისჯებოდა, მოგვიანებით კი მცდელობა დასჯადად გამოცხადდა ყოველგვარი დანაშაულისთვის (XVI საუკუნე). გლოსატორების დებულებანი დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობის შესახებ შუა საუკუნეების იტალიური სამართლის მოქმედ ნორმებად იქცა. მათი იდეები დაუმთავრებელი დანაშაულის შესახებ გაიზიარა შუა საუკუნეების გერმანულმა სამართალმა. ეს ზეგავლენა ეტყობა როგორც 1507 წ. ბამბერგის სისხლის სამართლის დებულებას, ისე კარლოს V - ის 1532 წლის სისხლის სამართლის დებულებას (კაროლინას), რომელიც უკვე იძლევა მცდელობის ზოგად განმარტებას (მუხლი 178-ე). თუმცა ამ მუხლმაც ვერ აუარა გვერდი იმ პერიოდში გავრცელებულ საერთო მოსაზრებას. დანაშაულის მცდელობად ითვლებოდა არა მარტო დანაშაუ-

⁴ დოლიძე ი. ადრინდელი ფეოდალური სამართლის ძეგლები. თბ., 1950 წ. გვ.32

ლის უშუალო განხორციელების სანყისი, არამედ მოსამზადებელი საქმიანობაც. კაროლინა მცდელობას შესაძლებლად მიიჩნევდა ყველა იმ დანაშაულზე, რომელსაც სასჯელი მოჰყვებოდა. სასჯელი მცდელობისთვის ისეთივე იყო, როგორც დამთავრებული დანაშაულისთვის. კაროლინაში მოცემული დებულებები დაუმთავრებელი დანაშაულის შესახებ საფუძვლად დაედო გერმანიის სისხლის სამართლის განვითარებას აღნიშნულ საკითხში.⁵

ადრეულ ინგლისურ სამართალში, დანაშაულის მცდელობა პრაქტიკულად არ იწვევდა სისხლისსამართლებრივ დევნას. სამართლის ისტორიის ინგლისურ წყაროებში მოხსენიებულია მხოლოდ რამდენიმე სასამართლო გადაწყვეტილება ქმედებისათვის, რომელიც თავისი შინაარსით, დანაშაულის ჩადენის მცდელობად შეიძლება მივიჩნიოთ. დაახლოებით მე-14 საუკუნის შუა ხანებიდან სასამართლო პრაქტიკამ გეზი აიღო იმ პირების დასჯაზე, რომელთაც ჩაიდინეს მძიმე დანაშაულების მცდელობა, მაგალითად, როგორცაა, მკვლელობა და ქურდობა. ძალიან ხშირად სასამართლოები ამ მიზნისათვის იყენებდნენ მანანალობასთან ბრძოლის კანონს, რომელმაც განსაკუთრებული განვითარება პოვა ტიუდორების დროს. აღსანიშნავია ისიც, რომ დიდი ზეგავლენა, დანაშაულის მცდელობისათვის პასუხისმგებლობის დადგენაზე, იქონიეს კანონებმა ლალატის შესახებ. ჯერ კიდევ ედუარდ მე-3-ის სტატუტებში დანაშაულის მცდელობა დასჯად ქმედებადაა გამოცხადებული.

ინგლისურ სამართალში დანაშაულის მცდელობის დასჯადობის შესახებ ნორმებმა შემდგომი განვითარება პოვა ვარსკვლავური პალატის სასამართლო გადაწყვეტილებებში, რომელმაც სისხლის სამართალსა და სისხლისსამართლებრივი საქმეების განხილვის პროცედურაში უამრავი დამატე-

⁵ ნერეთელი თ. დანაშაულის მომზადება დამცდელობა. თბ., 1961წ. გვ. 11

ბები შეიტანა. ჯერ კიდევ იმ დროის სასამართლო დადგენილებებში გვხვდება ტერმინი „მცდელობა“, ისეთ შემთხვევებში, როდესაც საუბარია მკვლელობასა, თუ ყალბი ფულის მოჭრის მცდელობაზე.

კონკრეტულად, დოქტრინა მცდელობის დასჯადობის შესახებ ფორმულირებულ იქნა 1615 წელს, ვარსკვლავური პალატის მიერ დუელების საქმის განხილვისას. პროცესზე გენერალურ ატორნად გამოდიოდა ფრენსის ბეკონი. დუელების სახიფათო ხასიათის შესწავლის შედეგად, ბეკონმა, მათი აღკვეთის მიზნით, წამოაყენა წინადადება არა მარტო დუელებში მონაწილეთა დასჯის შესახებ, არამედ დასჯადი უნდა ყოფილიყო დუელის მომზადება და დუელის მცდელობაც. მან მიუთითა, რომ „... იმ შემთხვევებში, როდესაც დანაშაული ინვესს სიკვდილით დასჯას ან არის ფელონია, თუ ის არ იქნა ბოლომდე მიყვანილი, პრაქტიკიდან გამომდინარე, ასეთი ქმედება ისჯება, როგორც მისდამინორი. ისე როგორც მონამვლის მცდელობა, რომელსაც არ მოჰყვა შედეგი, ჩასაფრება მოკვლის მიზნით, რომელიც ასევე არ აღსრულდა, მაგრამ ისჯება სასამართლოების მიერ, როგორც მძიმე მისდამინორი. ასევე უნდა მოიქცეს სასამართლო ისეთი ნაკლებად მძიმე დანაშაულისკენ მიმართული ქმედებების გამო სასჯელის დანიშვნისას, რომლის ჩადენისთვისაც არ არის გათვალისწინებული სიკვდილით დასჯა ...“. თავის ანალიზში ბეკონმა ორი საუკუნით გაუსწრო საერთო სამართლის სასამართლოებს და სისხლის სამართლის თეორიას, დანაშაულის მცდელობისათვის პასუხისმგებლობის დადგენის დასაბუთებაში”.⁶

დანაშაულის მომზადების და მცდელობის ერთმანეთისაგან გამიჯვნა მოხერხდა ბურჟუაზიული სამართლის ფორმირებისას. საფრანგეთის რევოლუციის დროს სისხლის სამართალში გამოცხადებულ იქნა მოსამზადებელი საქმიანო-

⁶ Козочкин И. Д. Уголовное право зарубежных государств, М. 2001г. с. 68

ბის დაუსჯელობა. საფრანგეთის 1791 წლის სისხლის სამართლის დებულებამ გააუქმა არა მარტო მოსამზადებელი ქმედების, არამედ მცდელობის დასჯადობაც. მცდელობა დასჯადი ხდებოდა მხოლოდ წინასწარ განზრახვით მკვლელობის ან მონამვლის დროს, თუმცა ეს დადგენილება მალევე გაუქმდა. მცდელობა, დამთავრებული დანაშაულის თანაბრად დასჯადად გამოცხადდა. ეს დებულებები გათვალისწინებულ იქნა საფრანგეთის 1810 წლის სისხლის სამართლის კოდექსში. ამ კოდექსმა დანაშაულის მომზადება არადასჯადად აღიარა გამონაკლისი შემთხვევების გარდა - სახელმწიფო დანაშაულის ჩადენისას, ხოლო მცდელობა ყოველი დანაშაულის დროს. საფრანგეთის 1810 წლის კოდექსმა დანაშაულის მცდელობა შემდეგნაირად განმარტა: მცდელობად ითვლება ისეთი დანაშაულებრივი საქმიანობა, რომელიც გამოხატულია გარეგან მოქმედებაში და რომელსაც თან ახლავს აღსრულების დასაწყისი, მაგრამ ის ბოლომდე ვერ იქნა მიყვანილი დამნაშავის ნებაზე დამოუკიდებელი გარემოების გამო.

საფრანგეთის 1810 წლის კოდექსის დადგენილებანი დაუმთავრებელი დანაშაულის შესახებ გაიზიარეს და საფუძვლად დაედო მრავალი ქვეყნის კანონმდებლობას. აღსანიშნავია ის, რომ ევროპული ქვეყნების უმრავლესობა მე-19 საუკუნის სისხლის სამართლის კოდექსებში, საფრანგეთის კოდექსის საწინააღმდეგოდ, უკვე უფრო მსუბუქად სჯის მცდელობას ვიდრე დამთავრებულ დანაშაულს.

2. დანაშაულის მცდელობის დასჯადობის ისტორია საქართველოში

ორიოდე სიტყვით აუცილებელია შევხებით ქართულ სამართალში დაუმთავრებელი დანაშაულის ინსტიტუტის განვითარების ისტორიას.

ქართული ფეოდალური სამართალი ისევე, როგორც რომისა და დასავლეთ ევროპის ფეოდალური სამართალი, არ იცნობს ნორმებს მცდელობის შესახებ. თუმცა გვხვდება ქმედების დასჯა, როგორც დამთავრებული დამოუკიდებელი დანაშაულისა. ამას ადასტურებს, მაგალითად, მახვილის ამოღება (ამ დანაშაულის არსებობაზე ქართულ ფეოდალურ სამართალში მიუთითებს ვახუშტი ბატონიშვილი თავის საქართველოს გეოგრაფიაში: „უკეთუ ვინ იხადის მახვილი ბჭესა მეფისასა ანუ ერისთავსა ზედა და წარჩინებულთა, მოჰკუეთიან ხელნი“.⁷

ძველ ქართულ სამართალში გვხვდება ისეთი ნორმები, რომლებიც უცილობრივ ადასტურებს, რომ მისთვის ცნობილი იყო დანაშაულის მცდელობის ცნება. სამართლის განვითარების იმდროინდელი საფეხური მცდელობის ზოგად განმარტებას ჯერ კიდევ არ შეიცავდა და, საერთოდ, არც შეიძლებოდა შემუშავებულიყო, მიუხედავად იმისა, რომ მკველეობის მიმართ ქართული ფეოდალური სამართლის ნორმები ითვალისწინებდა მცდელობის დასჯადობას. ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნის ფრაგმენტში, რომელიც თან ერთვის ბექა-აღბუღას სამართალს, მოცემულია შემდეგი შინაარსის ნორმა: „134. თუ გამართოს და იგი კაცი ღმერთმან მოარჩინოს, ექუსი ათასი თეთრი დაუურვის სიკუდილისა ცდისათვის, სამი ათასი შეერყების ცოდვისათვის“.⁸

⁷ ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია). ლომოური თ. და ბერძენიშვილი ნ. რედ. თბ., 1941წ. გვ. 11

⁸ დოლიძე ი. ადრინდელი ფეოდალური სამართლის ძეგლები. თბ., 1950 წ. გვ. 339

როგორც ტექსტიდან ნათლად ჩანს, ამ მუხლში საუბარია მკვლელობის მცდელობაზე და მეტიც, მის აღსანიშნავად სპეციალურად გამოყენებულია ტერმინი „სიკუდილისა ცდისათვის“. აღსანიშნავია ისიც, რომ სიკუდილის ცდისათვის სასჯელი გაცილებით უფრო მსუბუქია, ვიდრე დამთავრებული მკვლელობისათვის. დანაშაულის მცდელობასთან ერთად ბექა-აღბუღას სამართალი დაუმთავრებელ მცდელობის ცნებასაც იცნობს, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ნებაყოფლობით მიტოვებულ მცდელობას: „133. თუ კაცი კაცსა ზედა საღალატოდ წავიდეს, თუ მანვე დაშალოს, ან სხუათა დააშლევინონ, - არა ზედა-აც“.⁹ ანუ, როგორც ვხედავთ, ნებაყოფლობით მიტოვებული მცდელობა არ ისჯება.

იმის გათვალისწინებით, რომ ბექა-აღბუღას სამართლის ეს მუხლები ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნის ფრაგმენტებია, ანუ XI საუკუნეს ეკუთვნის, შეიძლება ვთქვათ, რომ იმდროინდელი ქართული სამართალი განვითარების საკმაოდ მაღალ საფეხურზე იდგა. მცდელობის ცნების წარმოშობა მჭიდროდაა დაკავშირებული ბრალის ცნების განვითარებასთან. მხოლოდ სამართალს, რომელსაც შესწევს უნარი ყურადღება მიაქციოს ქმედების სუბიექტურ მხარეს შეუძლია მივიდეს დანაშაულის მცდელობის საშიშროების შეგნებამდე და ამ ცნებას ხორცი შეასხას. ბაგრატ კურაპალატის სამართლის ზემოთ მოყვანილი ნორმები, როგორც ჩანს, მოქმედებდნენ საუკუნეების განმავლობაში და მარტო მე-11 საუკუნის სამართლის ნორმებს არ უნდა მივაკუთვნოთ. ამაზე მიუთითებს ის, რომ ეს ნორმები შეტანილია

⁹ დოლიძე ი. ადრინდელი ფეოდალური სამართლის ძეგლები. თბ., 1950 წ. გვ. 339

ბექა-აღბუღას სამართალში და მას უფრო გვიანდელ სამართლის ძეგლებშიც ვხვდებით.

დანაშაულის მცდელობის დასჯადობას ვხვდებით აგრეთვე ქართული ფეოდალური სამართლის უფრო გვიანდელი პერიოდის ძეგლებში. ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნში გვხვდება მცდელობის დასჯადობის ინსტიტუტი, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ის ისე მკაფიოდ არ არის გამოხატული, როგორც ეს ბაგრატ კურაპალატთან არის წარმოჩენილი. ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის 59-ე მუხლის ტექსტი ასეთია: „59. თუ კაცი არას ემართლებოდეს, მოღალატედ ან გზაზე სადმე, ან სოფლად ღამით გამოსასვლელს ადგილს თუ სადაც იარაღით სასიკვდილოდ გამომეტებით დაუდგეს და ის საქმე გამოჩნდეს, რომე სდგომოდეს, და მერმე იმ ხანად იმ კაცს აღარ გამოეველოს და წამოსულიყოს, თავის გუნებით სიკვდილი სდომებია, მაგრამ ღმერთსა და ბედს მოურჩენია, რომე იმ გზაზე აღარ გამოუვლია, ამისათვის მთელი სისხლი მოღალატემ იმ კაცს მისცეს; და თუ გაიაროს, და ან მოკლას ან დაჭრას, ორკეცი სისხლი მისცეს: ერთი ღალატად დადგომისათვის და ერთი სიკვდილისა. და თუ უბრალო კაცმან ის მოღალატე მოკლას, მისი სისხლი არ არის“.¹⁰

მნიშვნელოვნად მიგვაჩნია იმის გარკვევა, რა შემადგენლობასთან გვაქვს საქმე ვახტანგის სამართლის წიგნის ამ მუხლში: დამთავრებულ დანაშაულსა (საფრთხის შემქმნელ შემადგენლობასთან) თუ მკვლელობის მცდელობასთან. დამთავრებული დანაშაულის სასარგებლოდ უნდა ითქვას ის, რომ ამ მუხლში არსადაა ნახსენები ტერმინი „ცდა“, ასევე კაცის ნამდვილად მოკვლის შემთხვევაში კანონი ით-

¹⁰ ვახტანგ VI, სამართლის წიგნი, თ. ენუქიძის გამოცემა, თბ., 1955წ. გვ.67

ვალისწინებს ორმაგ სასჯელს - ღალატისა და სიკვდილის-თვის.

დანაშაულის მცდელობის სასარგებლოდ კი უნდა ითქვას, რომ მუხლში პირდაპირაა მითითებული ბოროტმოქმედის განზრახვა - ჩაუსაფრდეს და სიკვდილი მიაყენოს. კანონში მოცემულია მცდელობის სუბიექტური მხარე, რომელიც მკვლელობის პირდაპირ განზრახვაშია გამოხატული და აქვე მითითებულია, რომ ეს განზრახვა ბოლომდე არ იქნა მიყვანილი, რადგანაც „ღმერთსა და ბედს მოურჩენია, რომე იმ გზაზე აღარ გამოუვლია...“ ანუ მოცემულია მცდელობისათვის დამახასიათებელი ობიექტური მხარეც: მოქმედება მიმართული მავნე შედეგის მისაღწევად, რომელიც არ დადგა დანაშაულისაგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ეს ნორმა ვახტანგისაგან უსესხებია და თავის „სამართალში“ შეუტანია დავით ბატონიშვილს, რომელიც მე-18 - მე-19 საუკუნეების მიჯნაზე მოღვაწეობდა. მცდელობაზე დავით ბატონიშვილი ორ ადგილას მიუთითებს: 233-ე მუხლი „ნადილისთვის სიკუდილისა სხუათა“ შეიცავს შემდეგ ტექსტს :

„რომელიცა მნადნელი იყოს სიკუდილად სხვისა და ვერ მოკლას და შეუკრას გზა და ვერარა ავნოს, მაშინ მისცეს სისხლის მესამედი.

და თუ დააკრევინოს თოფსა და არ გაუვარდეს, იგი იხილე ჭრილობასა შინა - თავსა ოცდამერვესა, კანონისა მეორესა...“.¹¹

კანონი ანუ მუხლი 238-ე, რომელსაც დავითი მიუთი-

¹¹ ნერეთელი თ. დანაშაულის მომზადება და მცდელობა. თბ., 1961წ. გვ. 27

თებს, დასაწყისში იმეორებს ვახტანგის სამართლის წიგნის ზემოხსენებულ მუხლს. თუმცა მეორე ნაწილში სასჯელის საკითხში მკვეთრად განსხვავდება მისგან. მუხლში ნათქვამია: „თუ კაცი კაცს მოლაღატედ, ან გზაზედ, ან სოფლად, ღამე თუ დღე, გამოსავლელს ადგილს თუ სადაც, იარაღით სასიკუდილოდ დაუდგეს და მართლად გამოსჩნდეს, რომ სდგომოდეს, და აღარ გამოევილოს, მაშინ ამისი სამართალი იხილე თავსა კც, სამართალსა ვ.“

ხოლო უკეთეს კაცმან დააცემინოს თოფი და არ გაუარდეს ანუ გაუარდეს და გასცდეს და მით ვნება ვერარა მე შეამთხვიოს, ამისათვის ვსჯი მე ესრეთ, რომელ მოეკვეთოს მას მარჯუენა და ანუ მარჯუენისა მისისა ღირებული სისხლი მიეხადოს, მდგომობისამებრ გუმისა და პირისა, ამაღ რომელ იკადრა და განიზრახა სატყვიერისა არსისა მხეცებრითა მრისხანებითა მოკდომი. და არა მსახურა ორღანობითმან საჭურველმან. ამისთვის, რაითაცა იმოქმედა, მათვე ჯერ-არს დასჯაო მისი. თუმცაღა ვიხილე მე სამართალსა შინა სანატრელისა მეფისა ვახტანგისა, რომელ შეხდომისათვის ზემოსახსენებულისა შემთხვევისა განეჩინა სრული სისხლი და კვალადცა ნახევარი, მაგრა შევრაცხე მე ესე მძიმედ და გარეგან ბუნებისა და ჰსჯულისა, ამაღ რომელ საქმე შესაძლო აწმყოსა ჟამოსად ნამდვილად არა მიიწერების და მსგავსითავე სახისა მახვილისა დამკვრელნი და ვერა დამაწყლულებელნიცა დაისჯებინ“.

ეს მუხლი საკმაოდ საინტერესოდ მიგვაჩნია. პირველი, რაც ყურადღებას იქცევს ისაა, რომ ნორმა განასხვავებს მცდელობის სახეებს იმის მიხედვით, რამდენად ახლოსაა ის დამთავრებულ დანაშაულთან და, რაც მთავარია, ამ კრიტი-

რიუმის მიხედვითაა დადგენილი მისთვის სასჯელიც. ფეოდალური სამართლის ძეგლებისათვის ეს საკმაოდ დამახასიათებელია. მაგრამ აქ აღსანიშნავია ის, რომ დავით ბატონიშვილს „სამართალში“ ასეთ დაყოფას, გარდა დამთავრებული დანაშაულისგან მცდელობის დაშორების პრინციპისა, საფუძვლად უდევს, დამთავრებულია მცდელობა თუ არა (როგორც ეს აღწერილია მუხლის მეორე ნაწილში - თოფს დააცემინა, მაგრამ არ გავარდა ან გავარდა, მაგრამ ააცდინა და კაცისთვის არავითარი ვნება არ მიუყენებია). ასეთი ტიპის მცდელობა უპირისპირდება დაუმთავრებელ მცდელობას - მოქმედს არ გაუკეთებია ყველაფერი, რაც, მისი აზრით, საკმარისი იქნებოდა შედეგის მისაღწევად (ჩაუსაფრდა, გზა შეუკრა, იარაღით ხელში დაუდგა, მაგრამ კაცმა არ გამოიარა და ა.შ.). ასეთი სახით მცდელობის დაყოფა დამახასიათებელია გვიანდელი ფეოდალური პერიოდის სამართლისთვის, ეს გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ, რომ დავით ბატონიშვილი კარგად იცნობდა მე-18 საუკუნის ევროპულ სამართალს.

მეორე მომენტი, რაც უნდა ითქვას ამ მუხლის სასიკეთოდ, ის არის, რომ მასში დავით ბატონიშვილმა მნიშვნელოვნად შეამცირა სასჯელი მცდელობისათვის დამთავრებულ დანაშაულთან შედარებით. განსხვავებით ვახტანგის სამართლის წიგნისაგან, სადაც მცდელობა და დასრულებული დანაშაული ერთნაირად ისჯება (დაუმთავრებელი მცდელობისას სისხლის მესამედია დაწესებული, ხოლო დამთავრებული მცდელობისას მარჯვენა ხელის მიკვეთა ან მისი ტოლფასი სისხლი). დამთავრებული მცდელობისთვის ხელის მოჭრის დადგენით დავით ბატონიშვილი, როგორც ჩანს, ალექსი მიხეილისძის სჯულებების ზეგავლენის ქვეშ იმყოფე-

ბა, რომელიც მკვლევლობის მცდელობისათვის სასჯელად ხელის მოკვეთას ითვალისწინებდა.

უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ვახტანგ მეფის სამართლის წიგნი და დავით ბატონიშვილის სჯულდება არ ათავისუფლებს პასუხისმგებლობისაგან პირს, ვინც ნებაყოფლობით ხელი აიღო დანაშაულის ბოლომდე მიყვანაზე, მიუხედავად იმისა, რომ ის XI-XVI საუკუნეების ქართულ სამართალში საკმაოდ მტკიცედ იყო დამკვიდრებული.

ბოლოს, ორიოდ სიტყვით, ზოგადად, განვიხილავთ საბჭოთა პერიოდის სისხლის სამართლის კანონმდებლობასა და მეცნიერებაში გაბატონებულ შეხედულებებს დანაშაულის სტადიების, დანაშაულის მომზადების და დანაშაულის მცდელობის შესახებ.

რუსეთის ოქტომბრის რევოლუციის შემდგომი პერიოდის სისხლის სამართლის კანონმდებლობამ (1919 წლის სისხლის სამართლის სახელმძღვანელო დებულებები. რსფსრ 1924, 1926 წლის სისხლის სამართლის კოდექსი), დოქტრინისაგან განსხვავებით, რომელიც გამოყოფდა დანაშაულის სტადიებს, დაადგინა პასუხისმგებლობა დანაშაულის მომზადებასა და მცდელობისათვის, რომლებიც არ განიხილებოდა, როგორც დანაშაულის სტადიები.

განსხვავებით ამ პერიოდისაგან, მე-20 საუკუნის 50-80-იან წლებში დანაშაულის ჩადენის სტადიების კონცეფცია განვითარდა. დანაშაულის სტადიებს მიეკუთვნა არა მარტო დანაშაულის მომზადება და მცდელობა, არამედ დამთავრებული დანაშაულიც. ასეთი მიდგომა საკითხისადმი იყო ძირითადი, მაგრამ არა ერთადერთი, იყო მცდელობა დანაშაუ-

ლის ჩადენის სტადიებისათვის მიენერათ განზრახვის გამოყენებაც.

კანონმდებელი არ იძლეოდა დანაშაულის ჩადენის სტადიების განმარტებას და არც იყენებდა ამ ტერმინს. სსრკ და მოკავშირე რესპუბლიკების 1958 წლის სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების თანახმად, დადგენილი იყო პასუხისმგებლობა დაუმთავრებელი დანაშაულებისათვის: დანაშაულის მომზადებისა და მცდელობისათვის.

სისხლის სამართლის თეორიაში დანაშაულის მომზადება განიხილებოდა, როგორც ქმედება, რომელიც წინ უსწრებდა დანაშაულის ძირითადი შემადგენლობის შესრულებას, რომელიც გადაიზრდებოდა შემდგომში დანაშაულის მცდელობაში.

დანაშაულის სტადიების კონცეფციის ფარგლებში მოხდა დანაშაულის დამთავრებული და დანაშაულის დაუმთავრებელი მცდელობების გამიჯვნა. ასევე ცალკე გამოიყო უვარგისი მცდელობის სახეები. მათ შორის მცდელობა უვარგისი საშუალებით და მცდელობა უვარგისი ობიექტზე.

სისხლის სამართლის კანონმდებლობაში არ არსებობდა დამთავრებული დანაშაულის დეფინიცია, ხოლო დოქტრინა, დამთავრებული დანაშაულის ცნებით ოპერირებით, აიგივებდა მას ერთ შემთხვევაში, დასრულებულ ქმედებასთან, მეორე შემთხვევაში - დანაშაულის მესამე სტადიასთან, რომელიც მოსდევდა დანაშაულის მცდელობას. საბჭოთა კანონმდებლობა არ გვაძლევდა დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების განმარტებას და არ იძლეოდა მისი ნიშნების დახასიათებას. საკანონმდებლო ხარვეზი შევსებულ იქნა საკითხის თეორიული დამუშავებით, რომლებიც ეხებოდა და-

ნაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების მოტივებს, ცნებას და ნიშნებს.

2000 წლის 1 ივნისიდან ამოქმედდა საქართველოს სისხლის სამართლის ახალი კოდექსი, რომელმაც ახლებურად შეხედა სისხლის სამართლის წინაშე მდგარ ამოცანებს. პრაქტიკულად რეფორმირებულ იქნა სისხლის სამართლის ყველა ინსტიტუტი. ჯერ კიდევ 1960 წელს მიღებული კოდექსი დამოუკიდებელი საქართველოს რეალობაში რვა წელზე მეტ ხანს მოქმედებდა ამ ხნის განმავლობაში მასში ბევრი ცვლილება შევიდა, დაემატა ახალი მუხლებიც, მაგრამ ის უკვე ვერ აკმაყოფილებდა ცხოვრების შეცვლილ პირობებს. განსაკუთრებით ეს აშკარა გახდა 1995 წელს მიღებული კონსტიტუციის და საკონსტიტუციო სასამართლოს ჩამოყალიბების შემდეგ (საკონსტიტუციო სასამართლომ, მაგალითად, გააუქმა 1960 წლის კოდექსის 23-ე და 96-ე მუხლების ის ნაწილი, სადაც ქონების კონფისკაცია იყო გათვალისწინებული, რადგან ის ეწინააღმდეგებოდა კონსტიტუციის 21-ე მუხლს). ამ კოდექსში მნიშვნელოვან ცვლილებას წარმოადგენდა კოდექსის 24-ე მუხლის ჯერ მოქმედების შევიწროება, შემდეგ კი სრულიად გაუქმება და სიკვდილით დასჯის ნაცვლად 1996 წლიდან უვადო თავისუფლების აღკვეთის შემოღება. მიუხედავად იმისა, რომ 1960 წლის კოდექსში ბევრი რამ შეიცვალა, მაგრამ ეს ცვლილებები მაინც კოსმეტიკური ხასიათის იყო. მაგალითად, არანაირი ცვლილება არ განუცდია მუხლს დანაშაულის მცდელობის შესახებ.

2000 წელს ამოქმედებული კოდექსის პროექტზე მუშაობდნენ ქართული სისხლის სამართლის მეცნიერების საუკეთესო წარმომადგენლები. ამ კოდექსს საფუძვლად დაედო

ქართველ იურისტთა უკანასკნელი ოთხი ათეული წლის სამეცნიერო და პრაქტიკული მუშაობის გამოცდილება. აქედან გამომდინარე, მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობა არაფრით არ ჩამოუფარდება დასავლეთ ევროპის განვითარებული ქვეყნების კოდექსებს. სისტემური თვალსაზრისით, ეს კოდექსი გერმანულ-რომაულ სამართლის სისტემის ქვეყნების კოდექსებს უნდა მივაკუთვნოთ, უფრო ზუსტად გერმანულ სისტემას.

ახალმა კოდექსმა ძირეული ცვლილებები შემოიტანა, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ზოგიერთ მათგანზე გავამახვილოთ ყურადღება, მათ შორის დანაშაულის ცნების სამსაფეხურიანი სტრუქტურის გამოკვეთაზე (სსკ მე-7 მუხლი), აშკარა სიახლით გამოირჩევა კოდექსის 25-ე მუხლი, სადაც პირველ ნაწილში ნათქვამია: „ამსრულებელსა და თანამონაწილეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრებათ მხოლოდ საკუთარი ბრალისათვის ერთიანი მართლსაწინააღმდეგო ქმედების საფუძველზე“. აქ ზუსტად არის გამოხატული თანამონაწილეობისათვის დამახასიათებელი საერთო და განმასხვავებელი ნიშანი. ახალი კოდექსი ახლებურად აგებს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამომრიცხველ გარემოებათა სისტემას. ის ორკვალიანია, აგებულია დანაშაულის ცნების სამსაფეხურიანი სტრუქტურაზე. კოდექსის მე-8 თავში მოცემულია მართლწინააღმდეგობის გამომრიცხავი გარემოებები, ხოლო მე-9 თავში ბრალის გამომრიცხავი და შემამსუბუქებელი გარემოებები. ახალ კოდექსზე მუშაობისას გამოითქვა მოსაზრება განზრახ მკვლელობის დამამძიმებელ გარემოებათა ზუსტი ჩამონათვალის გაუქმების შესახებ, როგორც ეს დასავლეთის ქვეყნების ზოგიერთ კოდექსშია და საკითხის გადაწყვეტა სასამართლოს

უნდა მინდობოდა. მაგრამ ასეთი ცვლილება ჯერ ნაადრევად იქნა მიჩნეული, აქედან გამომდინარე, შენარჩუნდა ტრადიციული სისტემა. და ბოლოს, ახალმა კოდექსმა დააწესა უვადო თავისუფლების აღკვეთა მისი შემდგომი გადასინჯვის უფლებით (სხვადასხვა ქვეყნებში უვადო თავისუფლების აღკვეთის ორი სისტემა არსებობს - შემდგომი გადასინჯვის უფლებით და გადაუსინჯავი).¹² ზემოთ მოყვანილის გარდა გატარებულ იქნა სისხლის სამართლის ინსტიტუტების ბევრი მნიშვნელოვანი რეფორმა, რომელზეც ახლა არ შევჩერდებით.

უფრო საფუძვლიანად განვიხილოთ დაუმთავრებელი დანაშაულის ინსტიტუტის რეფორმირება, რომელიც აქტუალური იყო და დროულად ჩატარდა. უპირველესად, მნიშვნელოვანი გახლავთ დანაშაულის მცდელობის ცნების ახლებურად განსაზღვრა. 1960 წლის კოდექსის მე-17 მუხლის მიხედვით, „დანაშაულის მცდელობად ჩაითვლება განზრახ ქმედება, რომელიც უშუალოდ მიმართულია დანაშაულის ჩასადენად, თუ ამასთან დანაშაული ბლომდე არ იქნა მიყვანილი დამნაშავის ნებისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო“. ახალმა კოდექსმა ეს ცნება შემდეგნაირად განსაზღვრა: „დანაშაულის მცდელობად ითვლება განზრახი ქმედება, რომელიც თუმცა უშუალოდ მიმართული იყო დანაშაულის ჩასადენად, მაგრამ დანაშაული ბლომდე არ იქნა მიყვანილი“ (სსკ მე-19 მუხლი). როგორც ვხედავთ, ახალმა კოდექსმა პრინციპული ცვლილება განახორციელა. მცდელობის ცნების ძველი კონსტრუქციის მიხედვით, ისე გამოდიოდა, თით-

¹² გამყრელიძე ო. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება. ზოგადი ნაწილი. პირველი ნიგნი. თბ., 2008 წ. გვ. 15-20

ქოს დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების დროს დანაშაული არ ყოფილა ჩადენილი, რაც ამ ლოგიკით ზედმეტს ხდიდა დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების მუხლის საერთოდ არსებობას. ახალი ტექსტი ადგენს დანაშაულის მცდელობისათვის პასუხისმგებლობას ყველა შემთხვევაში, როცა დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი, მიუხედავად იმისა, რა იყო ამის მიზეზი, თვითონ დამნაშავე თუ სხვა რაიმე გარემოება. ასეთ შემთხვევაში უკვე აზრს იძენს დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების შესახებ მუხლი, რომელიც იძლევა შესაძლებლობას პირი განთავისუფლდეს პასუხისმგებლობისაგან თუ აკმაყოფილებს სსკ 21-ე მუხლის (დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება) მოთხოვნებს.¹³

¹³ გამყრელიძე ო. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება. ზოგადი ნაწილი. პირველი წიგნი. თბ., 2008 წ. გვ. 20-21

თავი II დანაშაულის მცდელობა საზღვარგარეთის ქვეყნების მოქმედ კანონმდებლობაში

საკითხის წარმოსახვისათვის აუცილებლად მიგვაჩნია დანაშაულის მცდელობის ინსტიტუტის განხილვა საზღვარგარეთის ქვეყნების სისხლის სამართლის კანონმდებლობასა და თეორიაში. ეს ინსტიტუტი სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობაში სხვადასხვანაირად არის წარმოდგენილი. თუმცა, მიუხედავად სხვაობისა, არის ბევრი მსგავსებაც. ძირითადი განსხვავება შეიმჩნევა ანგლოსაქსურ და კონტინენტურ სამართლის სისტემებს მიკუთვნებულ ქვეყნებს შორის. აღსანიშნავია, რომ განსხვავება თვითონ ამ სისტემაში შემავალი ქვეყნების კანონმდებლობაშიც გვხვდება.

1. **ინგლისში** სისხლისსამართლებრივად დასჯადი მცდელობის თანამედროვე დოქტრინის ერთ-ერთ წყაროდ მიჩნეულია მოსაზრება, რომელიც გამოთქვა ლორდმა მენსფილდმა სკოფილდის საქმეზე (1774წ.).¹⁴ სკოფილდი ბრალდებული იყო იმაში, რომ ფელონიის ჩადენის განზრახვით, მან ანთებული სანთელი კიბის ქვეშ მოათავსა და ირგვლივ შემა შემოუნყო. ხანძარი შემთხვევით თავიდან იქნა აცილებული, ხოლო სკოფილდი ბრალდებული იქნა ფელონიის, სახლში ხანძრის გაჩენის, მცდელობისათვის. სასამართლოს გადაწყვეტილებაში, რომელმაც უარი უთხრა მსჯავრდებულის აპელაციას, აღნიშნული იყო, რომ „ქმედება არ არის დასჯადი ინგლისის კანონებით, თუ ის შემოიფარგლა განზრახვის გამომჟღავნებით. მაგრამ, როგორც კი იწყება ქმედება, ის უნდა დაისაჯოს არა მარ-

¹⁴ Elliott D.W., Wood J.C. Op. cit. P. 207

ტო როგორც ქმედება, არამედ, როგორც განზრახვა, რომლის-თვისაც ის იყო ჩადენილი. ხოლო თუ ქმედება ჩადენილია დანაშაულებრივი და ბოროტი ზრახვით, თუმცა ასეთი ქმედება სხვა ვითარებაში არ წარმოადგენს დანაშაულს, განზრახვა, რომელიც დანაშაულებრივია, ქმედებასაც აქცევს დანაშაულებრივად და დასჯადად“. უნდა აღინიშნოს, რომ ამ პოზიციამ უცებ ვერ პოვა საერთო აღიარება სასამართლო პრაქტიკაში. თუმცა მოგვიანებით, უმეტეს შემთხვევაში, სასამართლოები ბრალდებისას აქცენტს აკეთებდნენ და მიუთითებდნენ მენსფილდის მოსაზრებაზე, როდესაც საქმე ეხებოდა დანაშაულის მცდელობას.

საბოლოო სახით, მცდელობისთვის პასუხისმგებლობა ზოგად სამართალში ფორმულირებულ იქნა შემდეგნაირად: მცდელობა ეს არის წინასწარ განზრახული ამკარა ქმედება, უშუალოდ დაკავშირებული დანაშაულის ჩადენასთან, რომელიც წარმოადგენს ქმედებათა სერიის შემადგენელ ნაწილს. თუ ის არ იქნა აღკვეთილი ან მის განხორციელებაზე დამნაშავემ თვითონ არ აიღო ხელი, მიგვიყვანს დამთავრებულ დანაშაულამდე. ანუ პიროვნება დანაშაულის მცდელობაში ბრალდებული შეიძლება გახდეს: პირველი - თუ მას აქვს დანაშაულის ჩადენის განზრახვა, და მეორე - მან განახორციელა რაიმე ისეთი ქმედება, რომელიც მიმართული იქნება ამ განზრახვის შესასრულებლად.

1981 წლის კანონით, დანაშაულის მცდელობის დასჯადობა, ზოგადი სამართლის მისდომინორი, გაუქმებულ იქნა, ხოლო დანაშაულის მცდელობა სტატუტურ დანაშაულად იქცა. ამ კანონის პირველი მუხლის მიხედვით, დანაშაულის მცდელობა ბრალად ედება პირს, რომელიც დანაშაულის ჩადენის გან-

ზრახვით ჩადის ქმედებას, რომელიც უფრო მეტია, ვიდრე დანაშაულის მომზადება. დანაშაულის ჩადენის შეუძლებლობა პირს არ ათავისუფლებს პასუხისმგებლობისაგან. ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ მცდელობის საკანონმდებლო ფორმულირება პრაქტიკულად იმეორებს საერთო სამართლის ნორმას და ამ შემთხვევაშიც არ გვაძლევს გამიჯვნას უბრალო მომზადებასა და მცდელობას შორის. ამ საკითხის გადაწყვეტა სრულად მინდობილია სასამართლოსათვის.¹⁵

მცდელობის აუცილებელ ელემენტს ინგლისურ სამართალში, ისევე, როგორც დამთავრებული დანაშაულისა, წარმოადგენს Actus reus. ინგლისელი იურისტების აზრით, Actus reus-ის მთავარ პრობლემას წარმოადგენს ქმედებათა გამიჯვნა. პირველი - წარმოადგენს დანაშაულს და მეორე - ქმედებები, რომლებიც განიხილებიან, როგორც დასჯად მომზადებას. მნიშვნელოვანია აგრეთვე იმ მომენტის განსაზღვრა, რომლიდანაც ბრალდებულის ქმედება მიმართულია დანაშაულებრივი მიზნის მისაღწევად და იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.

ყველა ნაშრომში, რომელიც ეხება სისხლისსამართლებრივად დასჯადი მცდელობის პრობლემას, ხაზგასმითაა აღნიშნული, დანაშაულის მომზადების დაუსჯელობა, რომელიც შეიძლება შეფასებულ იქნას მხოლოდ ეთიკური თვალსაზრისით. ამ შემთხვევაში მაგალითის სახით მოჰყავთ იგლტონის საქმე (1855წ.),¹⁶ სადაც პირველად იქნა გამიჯნული მცდელობა და მომზადება. იგლტონი ბრალდებული იყო ყალბი დოკუმენტებით უმწეოთა დახმარების მიღების მცდელობაში. ფულის მი-

¹⁵ Уголовное право зарубежных государств, Ред. И. Д. Козочкина, М. 2001г. с. 70;

¹⁶ Slater J.C.N. Cases and Statutes on Criminal Law. – L.: Sweet and Maxwell, 1973. P.51

ლება მან ვერ შეძლო, რადგან გაყალბების ფაქტი გამოაშკარავდა მანამდე. ის ბრალდებულად მიჩნეული იქნა მცდელობისთვის, რადგან შეასრულა მასზე დამოკიდებული ბოლო მოქმედება ჩაფიქრებული მიზნის მისაღწევად.

მოცემულ საქმეზე სასამართლო გადაწყვეტილებაში აღნიშნული იყო, რომ უბრალო განზრახვა ჩაიდინო მისდინონორი არ წარმოადგენს დანაშაულს - ამისათვის საჭიროა გარკვეული ქმედება. ქმედება მიმართული მისდინონორის ჩასადენად უნდა დაისაჯოს სისხლისსამართლებრივი წესით. დანაშაულის მცდელობად უნდა განიხილებოდეს ისეთი ქმედება, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული დანაშაულის ჩადენასთან.

ინგლისელი იურისტების აზრით, დანაშაულის მცდელობის კლასიკურ მაგალითად უნდა მივიჩნიოთ სასამართლოს გადაწყვეტილება იუველიერ რობინსის საქმეზე (1915წ.). რომელმაც დაზღვევის მიღების მიზნით, პოლიციაში განაცხადა ძვირფასეულობის ქურდობის შესახებ, ხოლო სამკაულები თვითონ გადამალა. პოლიციამ განცხადების საფუძველზე წარმოებული გამოძიებისას აღმოაჩინა გადამაღული ძვირფასეულობა და რობინსს წარუდგინა ბრალი თაღლითობის მცდელობისთვის. თუმცა სასამართლომ რობინსი აღიარა უდანაშაულოდ. მის ქმედებაში მხოლოდ დანაშაულის მომზადება დაინახა, რადგან სასამართლოს აზრით, რობინსს არ გადაუდგამს „ბოლო ნაბიჯი“ დანაშაულის ჩასადენად. ასეთ ბოლო ნაბიჯად უნდა ჩათვლილიყო მიმართვა სადაზღვევო კომპანიაში ზარალის ანაზღაურებაზე და არა პოლიციაში განცხადება. იმის განსაზღვრა, თუ რა წარმოადგენს ასეთ „ბოლო ნაბიჯს“ მთლიანად მინდობილია სასამარ-

თლოზე.¹⁷

Actus reus-ის მეორე მნიშვნელოვანი პრობლემა მცდელობის ჩადენისას არის ქმედებაში აშკარა შესაძლებლობის არსებობა დანაშაულებრივი მიზნის მისაღწევად. თავიდან, ინგლისურ სისხლის სამართალში, მცდელობა უვარგის ობიექტზე ან უვარგისი საშუალებით, არ ისჯებოდა. მაგალითად, 1865 წელს, კოლინსის საქმე- ცარიელი ჯიბიდან ქურდობის მცდელობა- დანაშაულად არ იქნა მიჩნეული, თუმცა მოგვიანებით, 1892 წელს სასამართლომ რინგის საქმეზე იგივე ქმედებისათვის, ანუ ქურდობის მცდელობა ცარიელი ჯიბიდან, მიიჩნია სისხლისსამართლებრივად დასჯად ქმედებად.¹⁸

ინგლისურ სამართალში უვარგისი საშუალებით დანაშაულის მცდელობის მაგალითად მიჩნეულია უაიტის საქმე (1910წ.).¹⁹ უაიტს ბრალად ედებოდა დედის მკვლელობა. მან ავადმყოფ დედას სასმელში მცირე დოზით ციანიდი ჩაუყარა. დედა გარდაიცვალა, მაგრამ არა სანამლავით, არამედ გულის შეტევით. ამის გარდა დადგენილ იქნა, რომ ამ რაოდენობის ციანიდით საერთოდ შეუძლებელია ვინმეს მოკვლა. მიუხედავად ამისა, უაიტი საბოლოოდ მიჩნეულ იქნა დამნაშავედ დედის მკვლელობის მცდელობაში.

სხვადასხვა დროს, სასამართლოების მიერ, საკითხი, უვარგის ობიექტზე და უვარგისი საშუალებით, დანაშაულის ჩადენაზე, წყდებოდა სხვადასხვანაირად. ინგლისელი იურისტების აზრით, ასეთი ქმედებები ისეთივე სოციალური სამიშროების შემცველია, როგორც დანაშაულის ბოლომდე

¹⁷ Уголовное право зарубежных государств, Ред. И. Д. Козочкина, М. 2001г. с. 71;

¹⁸ Уголовное право зарубежных государств, Ред. И. Д. Козочкина, М. 2001г. с. 71

¹⁹ R v White (1908-10) All ER 340, CCA

მიმყვანი პირების ქმედება. ამ შემთხვევებში დანაშაულის ბოლომდე არ მიყვანა შემთხვევითობის წყალობით ვერ მოხერხდა, ხოლო სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა არ უნდა იყოს დამოკიდებული შემთხვევითობაზე. ამ მოსაზრებამ გამოხატულება პოვა 1981 წლის კანონში, რომლის მიხედვითაც, დანაშაულის ბოლომდე ვერ მიყვანა არ არის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თავიდან აცილების შესაძლებლობა.

დანაშაულის მცდელობის, ისევე როგორც დამთავრებული დანაშაულის, მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს *means rea*. მცდელობაზე პასუხისმგებლობის დადგომისათვის აუცილებელია სპეციალური განზრახვის არსებობა კონკრეტული დანაშაულის ჩასადენად. მიჩნეულია, რომ იმ შემთხვევებში, როდესაც კონკრეტული დანაშაული მოითხოვს კონკრეტული შედეგის დადგომას, ბრალდებაში აღნიშნული უნდა იყოს, რომ დამნაშავეს უნდოდა ამ კონკრეტული შედეგის დადგომა, თუმცა სასამართლო პრაქტიკა ყოველთვის არ ითვალისწინებს მოცემულ პრინციპს. რადგან ბრალის აუცილებელ ელემენტად, როგორც ის გაგებულია ზოგადი სამართლის მიერ, გვევლინება პირის მიერ წარმოდგენა იმ შედეგისა, რომელიც მოჰყვება მის ქმედებას. იგივე პირობები ვრცელდება დანაშაულის მცდელობისას.

წარმოდგენა შედეგზე, ინგლისურ სამართალში, განიხილება „ჩვეულებრივი გონიერი ადამიანის“ პოზიციიდან. პრეზიუმირებულია, რომ შედეგი, რომელსაც უნდა მოელოდეს ნებისმიერი ნორმალური ადამიანი, შედის ყოველი კონკრეტული შემთხვევის განჭვრეტაში. იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე გვაქვს გაუფრთხილებლობასთან, როგორც ბრალის

ფორმასთან და ის საკმარის means rea- ს წარმოადგენდა დამთავრებული დანაშაულისთვის, საკმარისად უნდა მივიჩნიოთ დანაშაულის მცდელობისასაც. ამის გარდა, თუ კანონის მიერ დადგენილი არის „მკაცრი პასუხისმგებლობა“, როგორც ვითარება საკმარისი დამთავრებული დანაშაულისთვის ბრალდებაში, იგივე უნდა გავრცელდეს დანაშაულის მცდელობისასაც means rea- ს არარსებობის შემთხვევაში.

ზოგადი სამართლის მიხედვით, მცდელობა ჩვეულებრივ ისჯებოდა ციხეში მოთავსებით სასამართლოს შეხედულებისამებრ. მაგრამ 1967 წლის კანონით, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ, პასუხისმგებლობა დანაშაულის მცდელობისათვის არ უნდა აღემატებოდეს იმ დამთავრებული დანაშაულისთვის პასუხისმგებლობის მაქსიმუმს, რისკენაც მიმართული იყო პიროვნების ქმედება. იგივე პრინციპი გაზიარებულ იქნა სტატუტური დანაშაულების მცდელობაზე პასუხისმგებლობის დადგენისას 1981 წლის კანონით.²⁰

2. ინგლისური ზოგადი სამართლის დებულებები **ამერიკულმა** სისხლის სამართლმაც მოირგო. means rea-ს თვალსაზრისით, მცდელობა ხასიათდება სპეციალური განზრახვით, ანუ განზრახვით მიმართული კონკრეტული დანაშაულის ჩადენისაკენ. ამასთან ხშირად ამერიკულ სასამართლო პრაქტიკაში და კანონმდებლობაში დანაშაულის მცდელობის სუბიექტურ მხარეს უფრო მეტი მოთხოვნა წაეყენება, ვიდრე დამთავრებული დანაშაულისას. მაგალითად, ილინოისის შტატის სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, პირის მკვლელობაში დამნაშავედ ცნობისათვის საკმარისია დამტკიცება იმისა, რომ მას შეგნებული ჰქონდა სიკვდილის

²⁰ Уголовное право зарубежных государств, Ред. И. Д. Козочкина, М. 2001г. с. 72;

ან მძიმე დაზიანების მიყენების მაღალი ალბათობა, რასაც შეეძლო გამოეწვია სიკვდილი (§ 9-1ა). ან დამტკიცება იმისა, რომ მკვლელობას ჰქონდა ადგილი ძალადობრივი ფელონიის ჩადენისას, ხოლო მკვლელობის მცდელობისას, გარდა ზემოთ მოყვანილისა, ასეთი დანაშაულის ჩადენის განზრახვა უნდა დამტკიცდეს (§ 8-4ა).²¹

ამერიკის შეერთებული შტატების სისხლის სამართლის სამაგალითო კოდექსში (პ.1 მ. 5. 01) მოცემულმა დანაშაულის მცდელობის ვრცელმა არასაკმარისად კონკრეტიზირებულმა თეორიულმა განმარტებამ დიდი ზეგავლენა ვერ მოახდინა ამ ინსტიტუტის რეგულირებაზე შტატების კანონმდებლობაში.

ბევრად უფრო კომპაქტური, მაგრამ არანაკლებ ბუნდოვანია დანაშაულის მცდელობის განმარტება ოჰაიოს შტატის სისხლის სამართლის კოდექსში: „პირისთვის, ნებსით თუ შეგნებულად, ასევე იმ შემთხვევაში, თუ განზრახვა ან შეცნობა საკმარისია ბრალეულად ხელყოფისათვის, დაუშვებელია ქცევა, რომელიც თუ ის წარმატებული იქნებოდა (მიყვანილი იქნებოდა ბოლომდე), შეადგენდა დანაშაულებრივ ხელყოფას“. მოცემული დეფინიცია ყურადღებას იქცევს ორი მიზნით: პირველი იმით, რომ განზრახვა არ წარმოადგენს ბრალის ერთადერთ ფორმას დანაშაულის მცდელობისას, მეორე იმით, რომ მასში არ არის მოცემული არანაირი კრიტერიუმი ისეთი პრაქტიკული თვალსაზრისით მნიშვნელოვანი პრობლემის გადაწყვეტისა, როგორცაა: გამიჯვნა მომზადებასა და დანაშაულის მცდელობას შორის. ეს მაშინ,

²¹ Уголовное право зарубежных государств, Ред. И. Д. Козочкина, М. 2001г. с. 187;

როცა ამერიკული კანონებით მომზადება, არ წარმოადგენს დანაშაულებრივ ქმედებას. ეს ბოლო შენიშვნა შეიძლება გავრცელდეს სხვა შტატების კოდექსებზეც.

სამაგალითო სისხლის სამართლის კოდექსის ზეგავლენის ქვეშ ზოგიერთი შტატის კანონმდებლობაში შემოღებულ იქნა „მნიშვნელოვანი ნაბიჯის“ მოთხოვნა. მაგალითად, დანაშაულის მცდელობის მსგავსი განმარტებებია მოცემული ილინოისის, პენსილვანიის და ჯორჯიის შტატების სისხლის სამართლის კოდექსებში: პირი ბრალეულია მცდელობაში, თუ „დანაშაულებრივი ხელყოფის განზრახვით ასრულებს რაიმე მოქმედებას, რომელიც წარმოადგენს მნიშვნელოვან ნაბიჯს მიმართულს ამ ხელყოფის ჩასადენად“.

რა თქმა უნდა, გამიჯვნა მოქმედებებისა, რომლებიც წარმოადგენენ “მნიშვნელოვან ნაბიჯს”, ისეთებისაგან, რომელნიც არ არიან ამგვარი, საკმაოდ რთულია. ამ საკითხის გადანყვეტის გასაადვილებლად სამაგალითო კოდექსში მოყვანილია შემთხვევები, როდესაც, შემდგენლების აზრით, ქმედება ქმნის „მნიშვნელოვან ნაბიჯს“: ჩასაფრება, შესაძლო მსხვერპლის ძებნა ან გამოდევნება, უკანონო შეღწევა შენობაში ან შემოსაზღვრულ ტერიტორიაზე, მსხვერპლის შემოტყუება ან ცდა შემოტყუებისა დანაშაულისთვის წინანარ განსაზღვრულ ადგილზე, ისეთი ნივთის ფლობა, რომელიც გამიზნულია დანაშაულის ჩასადენად და სხვა. ზემოთ თქმულიდან აშკარად ჩანს, რომ მოსამზადებელი ქმედებების ხარჯზე ხდება მცდელობის ცნების გაფართოება. უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ შტატში მაგალითად კალიფორნიაში სასამართლოები იყენებენ „აშკარა ქმედების“ კრიტერიუმს, რომელიც არ უნდა იყოს უახლოეს ან ბოლო ნაბიჯად ძირითადი დანაშა-

ულის ჩადენისას. ასეთი მიდგომა გვაძლევს სისხლისსამართლებრივი რეპრესიის გამოყენების შესაძლებლობას ნებისმიერი ნაბიჯისთვის, რომელშიც ასე თუ ისე ჩანს დანაშაულის ჩადენის ნება.²²

ამ პრობლემის გადასაწყვეტად ამერიკულ სისხლის სამართალში გამოიყენება სხვადასხვა თეორიები.

თეორია - „უკანასკნელი უახლოესი ნაბიჯი“: თუ პირმა გააკეთა ყველაფერი, რაც მას ჩაფიქრებული ჰქონდა დანაშაულებრივი შედეგის მისაღწევად და იმ შემთხვევაში, თუ მას ბოლომდე მიიყვანდა, შექმნიდა დამთავრებულ დანაშაულს. მაშინ ეს, გავრცელებული მოსაზრებით, არის მცდელობა.

თეორია - „ფიზიკური სიახლოვე“- გამომდინარეობს იქიდან, რამდენად ახლოა ქმედება, რომელიც შეადგენს მცდელობას, დამთავრებულ დანაშაულთან. დამნაშავის ქმედება ამ შემთხვევაში განიხილება დროის, მანძილის, ქმედების თვალსაზრისით, რომელიც კიდევე საჭიროა დანაშაულის ბოლომდე მისაყვანად და მოქმედის შესაძლებლობა დამოუკიდებლად ჩაიდინოს დანაშაული.²³

თეორია - „სახიფათო სიახლოვე“ მოიცავს წინა თეორიას და მატებს მას ხელყოფის საფრთხეს. ასევე ყურადღება ექცევა ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა: საფრთხის სიახლოვე, მისი გააზრების ხარისხი და შესაძლო ზიანის ზომა. თუ ქცევა საკმარისად საშიშია, ის აღკვეთილი უნდა იქნეს.

თეორია - „აუცილებელი ელემენტი“. თუ მოქმედმა არ დაამყარა კონტროლი დანაშაულებრივი ქცევის მნიშვნელო-

²² Уголовное право зарубежных государств, Ред. И. Д. Козочкина, М. 2001г. с. 188;

²³ Commonwealth V. Kelley, 162, 526, 58a, 2d 375 (1948)

ვან ელემენტზე, ის არ მიეცემა მცდელობისთვის პასუხისგებაში. ასევე, თუ მოქმედ პირს დანაშაულებრივი მიზნის მისაღწევად სჭირდება სხვა პირის ან რაიმე დამატებითი საშუალების მოძიება, მცდელობა ჯერ კიდევ არ ჩაითვლება დაწყებულად.

თეორია - „შესაძლო უარი“. თუ მოვლენათა ჩვეულებრივი განვითარების დროს, გარე ჩარევისაგან დამოუკიდებლად, არის შესაძლებლობა დანაშაულის ბოლომდე მიყვანისა იმის გათვალისწინებით, რამდენად შორს წავიდა დამნაშავის ქმედება, გვექნება დანაშაულის მცდელობა. მოცემულ შემთხვევაში შეხება გვაქვს ნებაყოფლობით ხელის აღების პრობლემასთან.

თეორია - „ანორმალური ნაბიჯის“ მიხედვით, მცდელობა ეს არის ზღვარს გადაცდენილი ისეთი ქმედება, რომელსაც ჩვეულებრივი ნორმალური ადამიანი არ ჩაიდენდა. ამ თეორიით შეუძლებელია განსაზღვრა, სად გაჩერდებოდა ჩვეულებრივი ნორმალური ადამიანი წინასწარი საქმიანობის განვითარების ეტაპზე.

თეორია - *res ipsa loquitur* გამომდინარეობს იქიდან, რომ პიროვნების ქმედება არაორაზროვნად უნდა მიუთითებდეს მის ჩამოყალიბებულ განზრახვაზე და ჩანდეს, რომ არა სხვა გარე ფაქტორები, ის ბოლომდე მიყვანდა დანაშაულებრივ ქმედებას. ამ თეორიის თანახმად, უნდა დადასტურდეს, რომ არ არსებობს რაიმე სხვა ლოგიკური ახსნა პიროვნების ქმედებისა, თუ არა განზრახვა, ჩაიდინოს კონკრეტული დანაშაული.²⁴

²⁴ Уголовное право зарубежных государств, Ред. И. Д. Козочкина, М. 2001г. с. 190;

ვფიქრობთ, არ არის აუცილებლობა გავაკეთოთ კომენტარი ზემომოყვანილ თეორიებზე, რადგან აშკარაა, რომ ამ თეორიებით წამოყენებული მრავალი კრიტიკიუმი იძლევა შესაძლებლობას პირი პასუხისგებაში მიეცეს დანაშაულის მომზადების სტადიაზე, ზოგიერთ შემთხვევაში კი, განზრახვის გამომჟღავნების დროსაც.

კონკრეტიზირებული მკაცრად განსაზღვრული კრიტიკიუმების არარსებობას მივყავართ იქამდე, რომ ერთი და იგივე ქმედება სხვადასხვა სასამართლოს მიერ შეფასებულია არაერთგვაროვნად. ამერიკულ იურიდიულ ლიტერატურაში მოყვანილია შემთხვევა, როდესაც ერთი და იგივე პიროვნება, რომელიც მსხვერპლს ჩაუსაფრდა, ერთ შემთხვევაში მიჩნეულ იქნა დამნაშავედ ძარცვის მცდელობისათვის, ხოლო მეორე შემთხვევაში გამართლებულ იქნა.²⁵

ამერიკის სისხლის სამართალი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას მცდელობისათვის ნებისმიერ დანაშაულზე, მიუხედავად მისი კატეგორიისა. ფედერალური კანონმდებლობის თანახმად, ის ისევე შეიძლება დაისაჯოს, როგორც დამთავრებული დანაშაული. თუმცა ზოგიერთი შტატის კანონმდებლობით, სასჯელი დანაშაულის მცდელობისათვის აუცილებლად უფრო ნაკლები უნდა იყოს, ვიდრე დამთავრებული დანაშაულის შემთხვევაში. მაგალითად, ნიუ-იორკის შტატის კანონმდებლობით, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, მცდელობა ითვლება უფრო დაბალი კლასის ხელყოფად, ვიდრე დამთავრებული დანაშაული (მესამე ხარისხის ცეცხლის წაკიდება არის C კლასის ფელონია და ისჯება 15 წლით თავისუფლების აღკვეთით, ხოლო მასზე მცდელობა 7 წლით

²⁵ Clark W. and Marshal W. Op. Cit. P. 248

თავისუფლების აღკვეთით, რადგან წარმოადგენს D კლასის ფელონიას).

რაც შეეხება ეგრეთწოდებულ „შეკვეცილი შემადგენლობების“ დანაშაულებს, რომლის დროსაც მომზადება და უბრალოდ განზრახვის გამომჟღავნებაც კი კანონმდებლის მიერ გამოცხადებულია დამთავრებულ დანაშაულად, ამერიკულ სისხლისსამართლებრივ კანონმდებლობაში საკმაოდ ბევრია. ეს ისეთი დანაშაულებია, როგორცაა: დამნაშავეთა გაერთიანებაში ანუ ბანდაში მონაწილეობა, დანაშაულის იარაღის ფლობა და სხვა.

სხვა პრობლემა დაკავშირებული მცდელობის actus reus - თან ეხება ეგრეთ წოდებულ დანაშაულის ჩადენის შეუძლებლობას.

სამაგალითო სისხლის სამართლის კოდექსი თვლის, რომ „შეუძლებლობა“ არ უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული (პ. 1 მ. 5. 01). ასეთივე, ოღონდ უფრო მკაფიო, პოზიციასა და ფიქსირებული ზოგიერთი შტატის კანონმდებლობაშიც. მაგალითად, ოჰაიოს შტატის სისხლის სამართლის კოდექსში აღნიშნულია, რომ „ბრალდების წაყენებისაგან არ შეიძლება იყოს დაცვა ის, რომ ხელყოფის ჩადენა, რაზეც მიმართულია მცდელობა, შეუძლებელია მოცემულ ვითარებაში“. ნიუ-იორკის შტატის სისხლის სამართლის კოდექსში კი სისხლის-სამართლებრივი დოქტრინიდან გამომდებელია ორმაგი „შეუძლებლობა“ - ფაქტიური და იურიდიული.

ფაქტიური შეუძლებლობა არის შედეგი გარკვეული ფიზიკური ან ფაქტიური პირობებისა, რომელიც უცნობია მოქმედი პირისთვის. ის შეიძლება გამოიხატოს, როგორც მცდელობა უვარგის ობიექტზე, ან როგორც მცდელობა უვარგისი

იარლით. ამერიკელი ავტორები აღნიშნავენ, რომ მხოლოდ „ლეგალურმა შეუძლებლობამ შეიძლება გაანეიტრალოს მცდელობა და შექმნას დაცვის შესაძლებლობა“. ასე მაგალითად, ცდა ნაფიცი მსაჯულის მოსყიდვისა, თუ ეს უკანასკნელი არ არის ასეთი, არ წარმოადგენს მცდელობას.²⁶

ზოგიერთ შტატში იურიდიული შეუძლებლობა არ გამორიცხავს დანაშაულის არსებობას, თუმცა ამ საკითხის გადაწყვეტა მთლიანად მინდობილია სასამართლოზე. მაგალითად, როგორც აღნიშნულია ტეხასის შტატის სასამართლოს გადაწყვეტილებაში, რომელიც მიუთითებს საერთო სამართლის შესაბამის ნორმაზე, მოზარდი, რომელსაც არ მიუღწევია 14 წლამდე, პრეზიუმირებული შეუძლებლობის ძალით, არ შეიძლება იქნეს მიჩნეული დამნაშავედ გაუპატიურების მცდელობაში.²⁷

და ბოლოს, აუცილებლად უნდა შევეხოთ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების შესაძლებლობას. ზოგადი სამართლისათვის ეს ინსტიტუტი უცნობია. ითვლება, რომ ქმედება, რომელიც შეადგენს მცდელობას, უკვე შესრულებულია, პირის შემდგომ მოქმედებას მნიშვნელობა არა აქვს. თუმცა ზოგიერთი შტატის კანონმდებლობა, რომლებზეც სამაგალითო სისხლის სამართლის კოდექსმა იქონია ზეგავლენა (პ.4 მ.5. 01), გარკვეული პირობების არსებობისას, ითვალისწინებს პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლებას დანაშაულის ბოლომდე მიყვანისაგან ხელის აღების შემთხვევაში.²⁸

²⁶ Bassionni M. Cherif. Op. cit. P. 212

²⁷ Duchett V. State, 191 S.W. 2d 879 (Texas, 1946)

²⁸ Mc Kinneys Consolidated Laws Of New York: Annotated. Op. cit. P. 85-87

3. **ფრანგულ** სამართალში გამოიყოფა დაუმთავრებელი დანაშაულის რამდენიმე სახე, ესენია: დანაშაულებრივი ქმედების მცდელობა, შეუძღვარი დანაშაულებრივი ქმედება და შეუძლებელი დანაშაულებრივი ქმედება.

უბრალოდ განზრახვა დანაშაულის ჩადენისა ან მისი მომზადება, პრინციპში, ფრანგული სამართლით არ ისჯება. ფრანგი იურისტების აზრით, კანონმდებელი ითვალისწინებს, რომ მომზადების სტადიაზე ქმედების საშიშროება საზოგადოებისათვის უმნიშვნელოა და ჭკვიანი „პოლიტიკოსი“ არ უნდა ჩაერიოს. საზოგადოებრივი წესრიგი ჯერ დარღვეული არ არის, როგორც ეს დამთავრებული დანაშაულებრივი ქმედებისას, და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამსრულებელი უარს იტყვის თავის დანაშაულებრივ საქმიანობაზე. თუმცა ამ წესში არსებობს რამდენიმე გამონაკლისი.

ფრანგულ სისხლის სამართალში არსებობს, ანგლოამერიკულ სამართალში მოცემული „შეთქმულების“ ინსტიტუტის მსგავსი ინსტიტუტი, რომელსაც ფრანგული სამართლის მიხედვით ეწოდა „ბოროტმოქმედთა ორგანიზაცია“. როგორც თვითონ ტერმინოლოგიიდან ჩანს, კანონმდებელი ადგენს სისხლისსამართლებრივ პასუხსმგებლობას „ბოროტი განზრახვისათვის“, რა თქმა უნდა, გარკვეული პირობების არსებობისას.

რაც შეეხება უშუალოდ დანაშაულის მცდელობას, ფრანგული სისხლის სამართლის თეორიაში ის განსაზღვრულია, როგორც დანაშაულებრივი ქმედების განხორციელების დასაწყისი ნებაყოფლობით დანაშაულზე ხლის აღების არარსებობისას. აქედან გამომდინარე, ნებისმიერი მცდელობა ხასიათდება ორი აუცილებელი ელემენტით: დანაშაულებრივი

ქმედების შესრულების დანყებით (მატერიალური ელემენტი) და დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების არარსებობით (მორალური ელემენტი).²⁹

დანაშაულის მომზადებიდან მცდელობაზე გადასვლის მომენტი ფრანგულ სამართალშიც ძნელად განისაზღვრება. ფრანგული სისხლის სამართლის თეორიაში ამ საკითხან დაკავშირებით ორი ურთიერთსანინააღმდეგო მოსაზრება არსებობს. ეგრეთ წოდებული ობიექტური თეორიის მიხედვით, მხედველობაში მიიღება, მხოლოდ ობიექტურად შესრულებული მოქმედებები. შესრულების დასაწყისად მიიჩნევა ისეთი ქმედებები, რომლებიც წარმოადგენენ დანაშაულის მთავარ ელემენტებს იმ განმარტებით, რომელიც მოცემულია სისხლის სამართლის ნორმის დისპოზიციაში და იმ შემთხვევაში, როდესაც ის შეიძლება იყოს სისხლისსამართლებრივი დევნის საფუძველი. სხვა ყველა ქმედება განიხილულ უნდა იქნას, როგორც მომზადება.

სუბიექტური თეორიის მიხედვით, მხედველობაში მიიღება შემსრულებლის განზრახვა. დანაშაულის შესრულების დასაწყისი გამოიკვეთება გარე გამოხატული ობიექტური ქმედებებთ. მაშინ დანაშაულებრივი ქმედების მატერიალური ნიშნების დადგენა ჯერ კიდევ შესაძლებელი არ არის. მაგრამ ეს ქმედება ფსიქიკური ნიშნების მიხედვით, ჩანს, საკმაოდ ახლოსაა დანაშაულებრივთან და პირს სურდა მიეღწია დასახული მიზნისათვის.

ობიექტური თეორიის პრაქტიკულ რეალიზაციას გააჩნია გარკვეული ხარვეზები. მაგალითად, ქურდობისას, რომელიც მდგომარეობს სხვისი ნივთის უკანონო დაუფლებაში,

²⁹ Уголовное право зарубежных государств, Ред. И. Д. Козочкина, М. 2001г. с. 325;

მოცემული თეორიის მიხედვით, პირი შეიძლება პასუხისგებაში მიეცეს მხოლოდ მაშინ, თუ ის „მიეკარა“ ქურდობის საგანს, ანუ ჩაიდინა ქმედება, რომელიც უშუალოდ შეადგენს ქურდობას და პასუხისგებაში არ მიეცემა, თუ პირმა გააკეთა ნახვრეტი კედელში, იმ ოთახში შესასვლელად, სადაც სეიფი დგას. სასამართლო პრაქტიკა, რეალობის გათვალისწინებით, ძალიან ვრცლად იყენებს სუბიექტურ თეორიას. შესრულების დასაწყისად ის მიიჩნევს ისეთ ქმედებას, რომელიც აშკარად და განუყრელად დაკავშირებულია დანაშაულებრივ ქმედებასთან და პირდაპირ მივყავართ დელიკტთან, როდესაც შემსრულებელი უკვე იმყოფება დანაშაულის ჩასადენად უშუალოდ მიმავალი ქმედების სტადიაზე, მაშინ ჩადენილ ქმედებასა და დანაშაულებრივ ქმედებას შორის არ არსებობს დიდი ფსიქოლოგიური განსხვავება და ჩადენილი ქმედებები გვაძლევს ყოველგვარ საფუძველს ვივარაუდოთ, რომ პირი მიისწრაფის დასახული მიზნისაკენ.³⁰

თუმცა სასამართლო პრაქტიკა საკმაოდ არაერთგვაროვანია. ასე, მაგალითად: სასამართლომ ქურდობის ჩადენის მცდელობად ჩათვალა კიბეზე ინკასატორის გამოჩენის ლოდინი, ღამით სხვის სახლში შესვლა ფეხსაცმლის გარეშე, სახლში შესვლა არაჩვეულებრივი საშუალებით და პირის მიერ იმის ახსნის შეუძლებლობა, თუ როგორ მოხვდა ის სხვის სახლში. ავტომანქანის ქურდობის მცდელობად შეფასდა კარლია დატოვებულ ავტომანქანაში საჭესთან ჯდომა. ნარკოტიკის მოხმარების მცდელობად შეფასდა ქუჩაში მათი შესაძლო გასაღების ადგილის კითხვა. და პირიქით, სასამარ-

³⁰ Уголовное право зарубежных государств, Ред. И. Д. Козочкина, М. 2001г. с. 326;

თლო პრაქტიკამ უარი თქვა თაღლითობის მცდელობად ეცნო საკუთარი მანქანის დაწვა დაზღვევის მიღების მიზნით ან განზრახ მკვლელობის მიზნით მკვლელის დაქირავება.

გარდა დანაშაულებრივი ქმედების დაწყებისა, დანაშაულის დასჯადი მცდელობა მოითხოვს დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების არარსებობას. ეს ნიშანი ფრანგული სისხლის სამართლის მიხედვით, ახასიათებს მცდელობის სუბიექტურ მხარეს.

ფრანგული სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით, დასჯადია ნებისმიერი დანაშაულის მცდელობა, თუმცა გადაცდომის მცდელობა დასჯადია მხოლოდ იმ შემთხვევებში, რომელიც პირდაპირაა მითითებული კანონში (მ. 121-4). დასჯადად მიიჩნევა ისეთი გადაცდომის მცდელობა, როგორცაა: სექსუალური აგრესია, რომელიც არ შეადგენს გაუპატიურებას (მ. 222-27), შანტაჟი (მ. 312-10), გამოძალვა (მ. 312-1) და სხვა.³¹

მცდელობა, რომელიც პასუხობს ზემოთხსენებულ ყველა პირობას, ფრანგული სამართლის მიერ განიხილება, როგორც დანაშაული. აქედან გამომდინარე, მცდელობის შემსრულებლის მიმართ გამოიყენება ისეთივე სასჯელი, როგორც დამთავრებული დანაშაულის ჩამდენის მიმართ.

რაც შეეხება შეუძღვარ დანაშაულს, გვაქვს მაშინ, როდესაც შემსრულებელმა გააკეთა ყველაფერი, რაც მასზე იყო დამოკიდებული დანაშაულის ჩასადენად, მაგრამ ვერ მიაღწია თავის მიზანს მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო. ფრანგმა იურისტებმა ცალკე გამოყვეს დაუმთავრებე-

³¹ Уголовное право зарубежных государств, Ред. И. Д. Козочкина, М. 2001г. с. 326;

ლი დანაშაულის ეს სახე, რადგან თვლიან, რომ ასეთი შემთხვევა უფრო მეტია, ვიდრე უბრალოდ დანაშაულის მცდელობა. რადგან შემსრულებელმა ყველაფერი გააკეთა თავისი მიზნის მისაღწევად და თანაც ნებაყოფლობით ხელი არ აიღო ჩანაფიქრის ბოლომდე მიყვანაზე. რაც მთავარია, ეს ქმედება არ იყო შეჩერებული გარეშე ძალით (პოლიცია, თვითმხილველი და სხვა), მაგრამ ეს ნაკლებია, ვიდრე დამთავრებული დანაშაული, რადგან მანვე შედეგი არ დადგა და უკვე ვერც დადგება.³²

შეუძლებელი დანაშაულებრივი ქმედება ეს არის დელიქტი, რომელიც თავიდანვე იყო შეუძლებელი ხელყოფის საგნის, საშუალების და გამოყენებული მეთოდის უვარგისობის გამო, რომელიც, რა თქმა უნდა, დამნაშავისთვის უცნობი იყო. მაგალითად, მკვდარი ადამიანის მკვლელობა, აბორტის გაკეთება ქალისთვის, რომელიც ფეხმძიმედ არ არის, გასროლა დაუტენავი იარაღიდან. აქ მთავარია ის, რომ მისაღწევი მიზანი თავიდანვე შეუძლებელია.

დიდი ხნის მანძილზე თეორიას და სასამართლო პრაქტიკას არ ჰქონდა პასუხი იმაზე, საჭიროა თუ არა ასეთი ქმედებების დასჯა და როგორი უნდა იყოს სასჯელი. თეორია აბსოლუტური შეუძლებლობის გამოყოფას სთავაზობდა, რომელიც არ ინვწვდა პასუხისმგებლობას შედარებითი შეუძლებლობისაგან. მისთვის პასუხისმგებლობა დადგენილი იქნებოდა და უბრალო მცდელობას გაუთანაბრდებოდა. მაგრამ ეს პოზიცია უარყოფილი იქნა საფრანგეთის საკასაციო სასამართლოს მიერ 1928 წლის გადაწყვეტილებით. ამის შემ-

³² Уголовное право зарубежных государств, Ред. И. Д. Козочкина, М. 2001г. с. 326;

დეგ თეორიამ შესთავაზა იურიდიული შეუძლებლობის შემოტანა, მაშინ როცა არ არსებობს რაიმე ელემენტი შემავალი დანაშაულებრივი ქმედების სტრუქტურაში (მკვდარი ადამიანის მკვლელობა), და ფაქტიური შეუძლებლობა იკვეთება (დაუტენავი იარაღიდან გასროლა). სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დადგებოდა მხოლოდ ფაქტიური შეუძლებლობის შემთხვევაში.

ამჟამად სასამართლო პრაქტიკა აიგივებს შეუძლებელ დანაშაულებრივ ქმედებას დანაშაულის მცდელობასთან შეუძლებლობის ყოველგვარი გამიჯვნის გარეშე. საფრანგეთის საკასაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ 1986 წლის 16 იანვრის დადგენილებაში მიუთითა, რომ განზრახ მკვლელობის მცდელობის დახასიათებისათვის მნიშვნელობა არა აქვს გარდაცვლილია თუ არა დაზარალებული. ეს გარემოება დამოუკიდებელია შემსრულებლის ნებისაგან და დასახელებული ძალადობრივი ქმედება ახასიათებს შესრულების დაწყებას. თუმცა ასეთმა პოზიციამ ვერ მოიპოვა სრული მხარდაჭერა. არსებობს მრავალი სასამართლო გადაწყვეტილება, რომელიც ათავისუფლებს პირებს პასუხისმგებლობისაგან გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობისთვის ან გასაჭირში მყოფი პირის დაუხმარებლობისთვის, თუ დაზარალებული უკვე გარდაცვლილი იყო.³³

ფრანგულ კანონმდებლობაში არ არსებობს სპეციალური ნორმა დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების ან ქმედითი მონაწილების შესახებ. მუხლი 121-4 მიხედვით პირი, რომელიც ცდილობს ჩაიდინოს დანაშაული ან გადაცდომა (ანუ ვინც დაიწყოს დანაშაულის ან გადაცდომის ჩადენა), ით-

³³ Уголовное право зарубежных государств, Ред. И. Д. Козочкина, М. 2001г. с. 328;

ვლება დანაშაულებრივი ქმედების შემსრულებლად. სისხლის სამართლის თეორიაში დანაშაულის ჩადენისაგან ნებაყოფლობით ხელის აღების არარსებობა წარმოადგენს დასჯადი მცდელობის სუბიექტურ მხარეს. მცდელობის შესახებ ნორმა იცნობს მხოლოდ დანაშაულებრივი ქმედების წყვეტას მოქმედი პირისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო. აქედან გამომდინარე, დანაშაულის მცდელობა არ გვექნება იმ შემთხვევაში, როდესაც პირი ცდილობდა დანაშაულებრივი ქმედების ჩადენას, მაგრამ შემდგომ ნებაყოფლობით ხელი აიღო მისი ბოლომდე მიყვანისაგან. ამასთან ფრანგი კანონმდებელი კერძო ნაწილის ზოგიერთ ნორმაში სპეციალურად მიუთითებს სასჯელისაგან განთავისუფლებაზე დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებისას. ასე, მაგალითად, 422-1 მუხლის თანახმად, ნებისმიერი პირი, რომელიც ცდილობდა ტერორისტული აქტის ჩადენას, თავისუფლდება სასჯელისაგან. თუ მან გააფრთხილა ხელისუფლების ადმინისტრაციული და სასამართლო ორგანოები ამის შესახებ და შესაძლებელი გახადა ამ აქტის თავიდან აცილება. ხოლო თუ ქმედება ბოლომდე მიყვანილი, მაგრამ დამნაშავე ხელისუფლებას შეატყობინებს ამის შესახებ, რითაც შესაძლებელს გახდის მოსახლეობის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის შენარჩუნებას, პირს შეიძლება გაუნახვერდეს სასჯელი. როგორც ვხედავთ, ეს უკანასკნელი უფრო ქმედით მონაწილეს ჰგავს, ვიდრე ნებაყოფლობით ხელის აღებას.³⁴

4. **გერმანიის** სისხლის სამართლის დოქტრინიდან და სასამართლო პრაქტიკიდან გამომდინარე შეიძლება ვთქვათ,

³⁴ Уголовное право зарубежных государств, Ред. И. Д. Козочкина, М. 2001г. с. 329;

რომ მცდელობა გვაქვს მაშინ, როდესაც პირმა საკუთარი წარმოდგენით ქმედებაზე, უშუალოდ დაიწყო განზრახი დანაშაულის შემადგენლობის შესრულება, მაგრამ ვერ დაასრულა ის.

დანაშაულის მცდელობის ინსტიტუტი დეტალურად არის რეგულირებული გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილის მეორე განყოფილებაში. 22-ე პარაგრაფი გვაძლევს დანაშაულის მცდელობის ცნების განსაზღვრას: „დანაშაულებრივ ქმედებას ხელყოფს ის, ვინც ქმედებაზე საკუთარი წარმოდგენით, უშუალოდ იწყებს კანონის შემადგენლობის შესრულებას“. როგორც ვხედავთ, მოცემული ნორმა ძირითადად ეფუძნება პირის დანაშაულებრივი ქმედების შესრულებაზე სუბიექტურ წარმოდგენას. ამასთან დიდი მნიშვნელობა არა აქვს, შეიძლება თუ არა მოცემული ქმედებით დასახული მიზნის მიღწევა.

23-ე პარაგრაფი ადგენს დანაშაულის მცდელობისათვის პასუხისმგებლობის ფარგლებს: დანაშაულის მცდელობა ისჯება ყოველთვის, ხოლო გადაცდომის მცდელობა მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც ეს კანონში პირდაპირაა მითითებული.

დანაშაულის მცდელობის ინსტიტუტის ასეთი საკანონმდებლო კონსტრუქციის გამო, პრაქტიკაში ზოგჯერ წარმოიშობა სირთულე დანაშაულის მცდელობისა და მოსამზადებელი საქმიანობის გამიჯვნის კუთხით. წარმოდგენილია, რომ სუბიექტის დანაშაულებრივი ქმედების მცდელობის სტადიაზე გადასვლაზე შეიძლება ვილაპარაკოთ მხოლოდ მაშინ, როდესაც ხორციელდება უშუალო ზემოქმედება დაცულ სამართლებრივ სიკეთეზე - დანაშაულის ობიექტზე -

ან არსებობს მისთვის ზიანის მიყენების რეალური საფრთხე. მაგალითად, თუ პირი შეიძენს იარაღს ვინმეს მოკვლის მიზნით, ის მკვლევლობის მომზადებით ჩადის მოქმედებას. გერმანული სისხლის სამართლის დოქტრინის მიხედვით, ეს ქმედება ადამიანის სიცოცხლეს არანაირ ზიანს არ აყენებს, ამიტომაც მომზადებითი მოქმედებები, უმეტეს შემთხვევაში, არ არის სისხლის სამართლებრივად დასჯადი.³⁵

საერთო წესით დანაშაულის მომზადება ისჯება უფრო მსუბუქად, ვიდრე დამთავრებული დანაშაული.

გერმანული სისხლის სამართლის დოქტრინისთვის არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, თუ რატომ ვერ იქნა მიყვანილი დანაშაული ბოლომდე და ვერ იქნა მიღწეული მიზანი, რომლისკენაც მიისწრაფოდა დამნაშავე. საერთო წესით დასჯადია მცდელობა უვარგისი საშუალებით და უვარგის ობიექტზე, რადგან გადამწყვეტია ის, რომ პირს შეგნებული ჰქონდა კანონის შემადგენლობის შესრულების შესაძლებლობა და მოქმედებდა შესაბამისად. თუმცა პირი, როგორც წესი, არ ისჯება მცდელობისთვის ან ისჯება უფრო მსუბუქად, თუ ის ამკარა გაუგებრობის გამო ვერ აცნობიერებდა, რომ მცდელობას საერთოდ არ შეეძლო მიეყვანა დამთავრებულ დანაშაულამდე.

გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 24-ე პარაგრაფში მოცემულია დანაშაულის მცდელობაზე ნებაყოფლობით ხელის აღების შესაძლებლობა. ამ შემთხვევაში ამსრულებელი არ ისჯება. კანონმდებელი განასხვავებს მცდელობაზე ნებაყოფლობით ხელის აღების რამდენიმე სახეს. მათი

³⁵ Уголовное право зарубежных государств, Ред. И. Д. Козочкина, М. 2001г. с. 394;

კლასიფიკაციისთვის ძირითადი კრიტერიუმი არის თვითონ მცდელობის სპეციფიკა.

უპირველეს შემთხვევაში, ამსრულებელი არ ისჯება, როდესაც ის ნებაყოფლობით წყვეტს ჯერ კიდევ დაუმთავრებელ მცდელობას ანუ უარს ამბობს ქმედების შემდგომ შესრულებაზე. ასეთი სიტუაცია დგება, როდესაც პირმა არ შეასრულა ყველა ის მოქმედება, რომელიც მისი აზრით საჭიროა დანაშაულის ბოლომდე მისაყვანად. ხოლო მცდელობა დამთავრებულად ითვლება, თუ პირმა შეასრულა ყველა მოქმედება, რომელიც მისი აზრით, საკმარისია მისთვის სასურველი მიზნის მისაღწევად. ნებაყოფლობით ხელის აღება გულისხმობს, რომ ამსრულებელს არ სურს ქმედების შემადგენლობის ბოლომდე შესრულება, თუმცა მისი წარმოდგენით მას ეს შეეძლო.

მეორე - ამსრულებელი არ დაისჯება, თუ ის დამთავრებული მცდელობისას ყოველნაირად ცდილობს თავიდან აიცილოს დანაშაულებრივი შედეგი. ამასთან ეს ქმედებები უნდა შესრულდეს დანაშაულებრივი ქმედების აღმოჩენამდე. ასეთი სიტუაცია იქმნება, როდესაც პირმა შეასრულა ყველა მოქმედება, რომელიც, მისი აზრით, საკმარისია დანაშაულებრივი შედეგის მისაღწევად, მაგრამ ის ნებაყოფლობით აქტიური მოქმედებით ყოველნაირად ცდილობს ამ შედეგის თავიდან აცილებას.³⁶ ამჟამად გერმანიის კანონმდებლობის მოკლე განხილვით შემოვიფარგლებით, რადგან მომდევნო თავებში ჩვენ სპეციალურად განვიხილავთ ნორმატიული თეორიის დოგმატიკას.

³⁶ Stratenwerth G. Strafrecht. Allgemeiner Teil I. Die Straftat. Köln, Berlin, Bonn, München: C. Heymanns Verlag. (2000);

5. **იაპონიის** სისხლის სამართლის კანონმდებლობა და სისხლისსამართლებრივი დოქტრინა არ ცნობს „ნინასნარ დანაშაულებრივ საქმიანობას“, როგორც ეს ევროპულ ქვეყნების სისხლის სამართლის კანონმდებლობაშია. თუმცა, რა თქმა უნდა, იაპონელ იურისტებს შეუძლიათ, საჭიროების შემთხვევაში განსაზღვრონ დანაშაულის პირველი ორი სტადია საერთო კლასიკური შესაძლებლობის გამოყენებით. ამასთან სამუშაო გეგმაში გამოიყენება, როგორც ეს იაპონელმა მეცნიერმა იტომ გააკეთა, ტერმინი „დროში კორექტირებული დანაშაულის შემადგენლობა“. ამასთან ყურადღება მისაქცევია, რომ იაპონური ტერმინი „მცდელობა“ – „მისუი“ სიტყვასიტყვით ნიშნავს „დაუმთავრებელს“.³⁷

როგორც იაპონელი მეცნიერები სუგიამა და ვატი წერენ: შემთხვევები, როდესაც დანაშაულის შემადგენლობის პირობები სრულიად დაკმაყოფილებულია, დანაშაული დამთავრებულია. ამის საპირისპიროდ: „იმ შემთხვევაში, როდესაც დანაშაულის შემადგენლობით გათვალისწინებული ქმედება, აგრძელებს განხორციელებას ან მისი რეალიზაცია დაწყებულ იქნა, მაგრამ განსაზღვრული შედეგი არ დადგა, საუბარია მცდელობაზე (მ.43). სასჯელი დანაშაულის მცდელობისთვის შეიძლება შემსუბუქდეს მოსამართლის შეხედულებისამებრ. ამასთან მცდელობის დასჯადობა შეზღუდულია შედარებით მძიმე დანაშაულებით, რომელიც განსაზღვრულია კანონში.

იაპონიის სისხლის სამართლის კოდექსის 44-ე მუხლის თანახმად, მცდელობა დასჯადია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს პირდაპირ მითითებულია კანონში. გათვალისწინ-

³⁷ Уголовное право зарубежных государств, Ред. И. Д. Козочкина, М. 2001г. с. 477;

ნებულია აგრეთვე მცდელობისათვის სასჯელის შემსუბუქება დამთავრებულ დანაშაულთან შედარებით. ასევე დანაშაულებრივი ქმედების ნებაყოფლობით შეწყვეტისას სასჯელი აუცილებლად მსუბუქდება და მიდის საერთოდ განთავისუფლებამდეც კი. ამასთან უნდა გავითვალისწინოთ ის, რომ იაპონიის სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილის მე-19 მუხლში დაუმთავრებელი ქმედება ფიგურირებს, როგორც დამოუკიდებელი შემადგენლობა.

იაპონურ სამართალში გამოყოფენ დანაშაულის მცდელობის სამ სახეს: „ხელშეშლილი“, როდესაც შედეგი არ დადგა სუბიექტისაგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო; „შეწყვეტილი“, როდესაც დანაშაულებრივი შედეგი არ დადგა სუბიექტის ნების გამო; „განუხორციელებელი“ ანუ მცდელობა უვარგისი საშუალებით ან უვარგისი ობიექტზე.³⁸

6. იტალიის 1930 წელს მიღებული სისხლის სამართლის კოდექსის მოქმედი რედაქცია დასჯადად აცხადებს დანაშაულებრივი საქმიანობის მხოლოდ ერთ სტადიას - მცდელობას. მცდელობა იტალიის სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისად იწვევს პასუხისმგებლობას, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის წარმოადგენს დანაშაულის მცდელობას. სისხლისსამართლებრივი გადაცდომის მცდელობა არ იწვევს პასუხისმგებლობას.

მცდელობის საკანონმდებლო განმარტება მოცემულია იტალიის სისხლის სამართლის კოდექსის 56-ე მუხლში: „ის ვინც ჩადის ქმედებას, რომელსაც შეუძლია ზიანის მიყენება ან უშუალოდ მიმართულია დანაშაულის ჩადენაზე, პასუხს

³⁸ [Johnson](#) D. The Japanese Way of Justice: Prosecuting Crime in Japan (Studies on Law and Social Control). Publisher: Oxford University Press, USA (2001);

აგებს მცდელობისათვის, თუ ქმედება ბოლომდე არაა მიყვანილი ან შედეგი არ დადგა“.

იტალიის სისხლის სამართლის კოდექსი შეიცავს ბევრ ეგრეთ წოდებულ „შეკვეცილი შემადგენლობების“ დანაშაულებს, რომლებსთვისაც პასუხისმგებლობა დგება, როგორც მომზადებითი საქმიანობისათვის, ასევე განზრახვის აღმოჩენისას. განსაკუთრებით ბევრია ასეთი შემადგენლობა სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებში.

იტალიის სისხლის სამართლის თეორიის მიხედვით, მცდელობას ადგილი აქვს: პირველი - მაშინ, როდესაც სუბიექტის საბოლოო მიზანი ემთხვევა ზიანს, რომელსაც კანონი ითვალისწინებს, როგორც დანაშაულს. მეორე- ქმედების შედეგი წარმოადგენს არა ზიანს, რომელსაც კანონი თვლის დანაშაულად, არამედ ასეთი ზიანის მიყენების საშიშროებას. მესამე, როდესაც სხვაობა შედეგსა და სუბიექტის მიზანს შორის არ შეიძლება განისაზღვროს პირის განზრახვის ცვლილებით, რომლის დროსაც მცდელობის მაგივრად ადგილი ექნებოდა დანაშაულზე ხელის აღებას.³⁹

იტალიის სისხლის სამართლის კოდექსისათვის დამახასიათებელია მცდელობისათვის პასუხისმგებლობის განსაზღვრა ზოგადი ნაწილის ნორმაში. ამასთან კანონით გათვალისწინებულია მცდელობისთვის სასჯელის შემსუბუქება დამთავრებული დანაშაულისთვის სასჯელთან შედარებით. სასჯელი მცდელობისთვის უნდა შეადგენდეს დამთავრებული დანაშაულისთვის სასჯელის 1/3 დან 2/3-მდე, ხოლო დანაშაულის, რომლისათვისაც სასჯელი ითვალისწინებს უვა-

³⁹ Уголовное право зарубежных государств, Ред. И. Д. Козочкина, М. 2001г. с. 539;

დო პატიმრობას, მცდელობისას სასჯელი არ უნდა იყოს 12 ნელზე ნაკლები.

სუბიექტური მხრიდან დანაშაულის მცდელობა შესაძლებელია მხოლოდ განზრახ დანაშაულებზე. რაც შეეხება მცდელობის საკითხს არაპირდაპირი განზრახვისას, ეს იტალიის სამართლის თეორიაში დისკუსიის საგანია. მცდელობა არ შეიძლება იყოს გაუფრთხილებელი დანაშაულისას, ასევე პრეტერინციონალური ბრალის ფორმისას.⁴⁰

იტალიის სისხლის სამართლის კანონმდებლობა ცნობს დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების შესაძლებლობას, რომელიც გამორიცხავს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. ჩადენილი ქმედება მხოლოდ მაშინ ინვევს პასუხისმგებლობას, თუ თვითონ წარმოადგენს დანაშაულს. ნებაყოფლობით ხელის აღებას ადგილი აქვს, მხოლოდ მაშინ, როდესაც დანაშაულებრივი ქმედება წყდება სუბიექტის ნებით. ბევრი იტალიელი ავტორის აზრით, ნებაყოფლობით ხელის აღება შესაძლებელია მხოლოდ დანაშაულის დაუმთავრებელი მცდელობისას. უმოქმედობით ჩადენილი მცდელობისას ნებაყოფლობით ხელის აღებად უნდა ჩაითვალოს იმ მოქმედების შესრულება, რომელიც ევალებოდა სუბიექტს. რა თქმა უნდა, შესაძლებელია თანამონაწილის მიერ ნებაყოფლობით ხელის აღება, მაგრამ ეს ჩაითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც თანამონაწილე სრულად გამორიცხავს საკუთარ წვლილს საერთო დანაშაულებრივი მიზნის მიღწევაში, ან იმოქმედებს ასეთი მიზნისთვის ხელის შესაშლელად.

იტალიის სისხლის სამართლის კანონმდებლობა იცნობს ქმედითი მონაწილების ინსტიტუტსაც. ის მდგომარეობს

⁴⁰ Ramacci G. Istituzioni di diritto penale. – Torino, 1988, P. 224-225

ნებაყოფლობით ისეთი მოქმედებების შესრულებაში, რომელიც მიზნად ისახავს დანაშაულებრივი შედეგის თავიდან აცილებას, ქმედების ბოლომდე მიყვანის შემდგომ. ქმედითი მონანიება ითვლება პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებად და მისთვის პასუხისმგებლობა განისაზღვრება დამთავრებული დანაშაულისთვის დადგენილი სანქციის 1/3 - დან ნახევრამდე. იტალიის სისხლის სამართლებრივი დოქტრინა შეიცავს უვარგისი მცდელობის ანუ „შეუძლებელი დანაშაულის“ ცნებას. დანაშაული შეუძლებლად მიიჩნევა ორ შემთხვევაში:

პირველი - ისეთი ქმედების ჩადენა, რომელსაც არ შეუძლია დანაშაულებრივი შედეგის მიღწევა.

მეორე - სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტის არარსებობა.⁴¹

კანონით „შეუძლებელი დანაშაული“ არ ითვლება დანაშაულად, მაგრამ პირის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნას, ეგრეთ წოდებული, უსაფრთხოების ზომები.

უნდა აღინიშნოს, რომ იტალიის კანონმდებლობა იცნობს აბსოლუტურად შეუძლებელ და შედარებით შეუძლებელ დანაშაულის. აბსოლუტურად შეუძლებელია დანაშაული მაშინ, როდესაც ქმედებას თავიდანვე არანაირად არ შეეძლო გამოენჯია დანაშაულებრივი შედეგი. შედარებით შეუძლებელი დანაშაულისას კი ქმედება უფრო ზუსტად და მოფიქრებულად რომ შესრულებულიყო, შეიძლებოდა გამოენჯია დანაშაულებრივი შედეგი. იტალიელი იურუსტების აზრით, აბსოლუტურად შეუძლებელი დანაშაულისას პირი უნდა განთავისუფლდეს სისხლისსამართლებრივი პასუხის-

⁴¹ Ramacci G. Istituzioni di diritto penale. – Torino, 1988, P. 232-233

მგებლობისაგან, ხოლო შედარებით შეუძლებელი დანაშაულისას, რომელიც თავისი ბუნებით ძალიან ახლოს დგას ნარუმატებელ დანაშაულთან, რომლის ქვეშაც იგულისხმება დამთავრებული მცდელობა, უნდა დაისაჯოს ისევე, როგორც ეს უკანასკნელი.⁴²

⁴² Amato A. Criminal Law in Italy . Publisher: Kluwer Law International (2011); Pellegrino F. Il dolo del tentativo (2001); Pertucci R. Diritto penale, parte generale, (Edizioni Giuridich Simone) (2007)

თავი III
დანაშაულის მცდელობის შემაღგენლობის
თავისებურებანი

**1. თეორიები დანაშაულის მცდელობის ობიექტური
შემაღგენლობის შესახებ**

დანაშაულის ობიექტური შემაღგენლობის განსაზღვრისას მნიშვნელოვანია მისი ძირითადი ნიშნის დადგენის საკითხი. ამ მიმართულებით, უპირველეს ყოვლისა, გასარკვევია დანაშაულის ჩასადენად უშუალოდ მიმართული ქმედების თავისებურება. აღნიშნული საკითხისადმი არსებობს არაერთგვაროვანი მიდგომები, კერძოდ: ფორმალურ-ობიექტური, სუბიექტური და შერეული სუბიექტურ-ობიექტური კონცეფციები.

1.1. დანაშაულის მცდელობის საკითხი ფორმალურ-ობიექტურ კონცეფციაში. აღნიშნული კონცეფცია ცნობილია ობიექტური საშიშროების თეორიის სახელწოდებით. ამ თეორიას საფუძვლად უდევს უდავო დებულება, რომ მცდელობა არ არის შემაღგენლობით აღწერილი შედეგის მიზეზი, არამედ არის საშიში მდგომარეობის მიზეზი. მაგრამ საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობაში და სასამართლო პრაქტიკაში დავას ინვევს საშიში მდგომარეობის ცნების ინტერპრეტაცია.

ადეკვატურობის თეორიაზე აგებული საშიში მდგომარეობის ცნება გულისხმობს მხოლოდ ტიპური თავისებურებების მხედველობაში მიღებას. ანუ ობიექტური შესაძლებლობა იმას კი არ ნიშნავს, რომ კონკრეტულ შემთხვევაში არსებობდა რეალური შესაძლებლობა შედეგის განხორციელებისა, არამედ ასეთი ხასიათის მოვლენებს, ტიპობრივად, მოსდევს შესაბამისი ხასიათის შედეგი. ამ თეორიის საფუძ-

ველზე ბევრი კრიმინალისტი განმარტავს მცდელობას, როგორც ქმედებას, რომელსაც ზოგადად შეუძლია გამოიწვიოს დანაშაულის შემადგენლობით გათვალისწინებული შედეგი. და საპირისპიროდ, თუ ქმედებას არა აქვს დანაშაულის შემადგენლობით გათვალისწინებული შედეგის გამოწვევის აბსტრაქტული უნარი, უნდა გამოირიცხოს მისთვის პასუხისმგებლობა. მაგალითად, მსუბუქი დარტყმის შემდეგ გარდაიცვალა პირი, რომელმაც ადრე გადაიტანა თავის ტვინის ოპერაცია. აღნიშნული თეორიის თანახმად, ამ შემთხვევაში ადგილი აქვს ატიპიურ სიტუაციას და ამიტომ გამოირიცხება ქმედება, როგორც შედეგის დადგომის მიზეზი და შესაბამისად მსჯელობა მცდელობის შესახებ. მოვიყვანოთ სხვა მაგალითი: ა-სა და ბ-ს შორის მწვავე დისკუსიის შემდეგ, ა. გადის ოთახიდან ხელის ქნევით, რომელიც მოხვდება ბ-ს, ეს უკანასკნელი ნაბოროძიკდება, უგონო მდგომარეობაში ეცემა და კვდება. სასწრაფო დახმარება აფიქსირებს გარდაცვალებას. შემდგომი სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა, გვამის გაკვეთის შედეგად ადგენს, რომ ა-ს ბ-ზე ზემოქმედების (კამათისას) დროს ტვინში არსებული სისხლძარღვები გასკდა, რამაც გამოიწვია ბ-ს სიკვდილი.⁴³

იმისათვის, რომ უფრო სისტემურად განვიხილოთ ეს პრობლემა საჭიროა გავითავალისწინოთ რიგი საკითხი, რომელიც ეხება: 1) ქმედების შემადგენლობის პრობლემატიკას და 2) გაკიცხვის პრობლემატიკას.

ქმედების შემადგენლობის პრობლემატიკას მიუკუთვნება ინდივიდუალური პირობების გათვალისწინების აუცი-

⁴³ Wessels J. Beulke W. Strafrecht Allgemeiner Teil: die Straftat und ihr Aufbau. Heidelberg: C.F.Muller Verlag, 1998. Rn 171.

ლებლობა. როგორც აღნიშნავდა თ.წერეთელი, „ობიექტური შესაძლებლობის“ თეორია ამ საკითხზე პასუხს არ იძლევა.⁴⁴ არ შეიძლება არ დავეთანხმოთ ამ მოსაზრებას, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში არ იქნება გათვალისწინებული კონკრეტული განუმეორებელი სიტუაცია, რაც მეტად მნიშვნელოვანია ბრალის დადგენის დროს.

ამავე საკითხთა წრეს მიეკუთვნება გერმანელი მეცნიერის მ.რიუმელინის ცნობილი კითხვა: მცდელობის ინსტიტუტი ეხება შემადგენლობით გათვალისწინებულ შედეგს, თუ მან უნდა გაითვალისწინოს შემადგენლობის გარეთ დამდგარი შედეგი? როგორც ცნობილია, მის მოსაზრებას თ.წერეთელი შეეხო აბსტრაქტული შესაძლებლობის კრიტიკის კუთხით.⁴⁵ ჩვენ ამ საკითხს დავუბრუნდებით სუბიექტური კონცეფციის განხილვისას. ამჟამად მხოლოდ გვინტერესებს საკითხი: დანაშაულის მცდელობის კვალიფიკაციის დროს შეგვიძლია თუ არა გავითვალისწინოთ შემადგენლობის გარეთ დამდგარი შედეგი? „ობიექტური შესაძლებლობის“ თეორია ამ კითხვაზე არ გვაძლევს პასუხს. თუ დავეყრდნობით ე.წ. ტიპურ ან აბსტრაქტულ საფრთხეს, მაშინ შესაძლოა, რომ კონკრეტულ შემთხვევაში იძულებული ვიყოთ გავითვალისწინოთ ასევე შემადგენლობის გარეთ არსებული შედეგი. ეს კი მიგვიყვანს მცდელობის ინსტიტუტის უაზრო გაფართოებისაკენ.

ქართული იურიდიული მეცნიერება და კანონმდებლობა მცდელობის საკითხს უკავშირებს დამთავრებული დანაშაულის ცნებას. როგორც აღნიშნავს ო.გამყრელიძე, მცდელობის საკითხის გადაწყვეტისას მთავარია ვიცოდეთ დამთავრებული დანაშაულის ცნება. „ეს დამოკიდებულია იმაზე,

⁴⁴ წერეთელი თ. დანაშაულის მომზადება და მცდელობა, თბ., 1961წ. გვ. 109

⁴⁵ Церетели Т.В. Причинная связь в уголовном праве. М. 1963, с.97

როგორ აღწერს კანონმდებელი ამა თუ იმ დანაშაულის შე-
მადგენლობას კერძო ნაწილის მუხლში.“⁴⁶

ამრიგად, როგორც ვხედავთ, „ობიექტური შესაძლებ-
ლობის“ თეორიის კრიტიკულმა განხილვამ პრაქტიკის წინა-
შე დასვა მეტად მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც ეხება
ქმედების შემადგენლობას, როგორც მცდელობის დადგენის
ერთ-ერთ კრიტერიუმს. ეს დებულება უდავოა გერმანულ
დოქტრინაშიც.⁴⁷

„ობიექტური შესაძლებლობის“ თეორიის დასკვნების
კრიტიკით სრულებით არაა უარყოფილი საკითხის დასმა
საფრთხის არსის შესახებ. მას კვლავ უბრუნდება თ.წერეთე-
ლი ობიექტური შესაძლებლობის კონცეფციის განვითარების
სახით.

თ. წერეთლის აზრით, საფრთხის არსის ნამდვილ გაგე-
ბას განაპირობებს მხოლოდ შესაძლებლობა, რომელიც სი-
ნამდვილის განვითარების პროცესს წარმოადგენს. ამ მო-
საზრებაზე ავტორი აფუძნებს შემდეგ დებულებებს:

- შესაძლებლობა ჯერ კიდევ არ განხორციელებულა,
არ გადაქცეულა სინამდვილედ, მაგრამ მას გააჩნია
უნარი და ტენდენცია იქცეს სინამდვილედ. შესაძ-
ლებლობა არის სინამდვილის მხარე, რამდენადაც არ-
სებულ სინამდვილეში მოიპოვება პირობები, რომელ-
თაც აქვთ უნარი წარმოშვან გარკვეული შედეგი;
- რეალურად შესაძლებელია ის, რაც ობიექტური პი-
რობებით არის განსაზღვრული. შესაძლებლობის რე-

⁴⁶ გამყრელიძე ო. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის
განმარტება. თბ., 2005 წ. გვ.162

⁴⁷ Wessels J. Beulke W. Strafrecht. Allgemeiner Teil: Die Straftat und ihr Aufbau.
33, neu bearb. Auflage. Heidelberg: C.F. Müller, 2003.

ალობად ქცევა გარკვეულწილად პრობლემატურია, რადგან შესაძლებლობას საფუძველი სინამდვილეში უდევს და ყოველი საფუძველი წინააღმდეგობრივია ანუ ყოველი მოვლენა შეიძლება განვითარდეს სანინაალმდეგოდ.

- შესაძლებლობით შეიძლება დავადასტუროთ, რომ რეალობაში არის გარკვეული პირობები, რომელთაც კანონზომიერად შეიძლება მოჰყვეს ამ მოვლენის განხორციელება, რეალობად ქცევა (აქვე უნდა ითქვას, რომ შეიძლება არსებობდნენ ისეთი ქმედითი პირობებიც, რომელთაც შეუძლიათ მოვლენათა განვითარების პროცესი და შედეგი სხვა მიმართულებით წაიყვანონ). შესაძლებლობის განვითარებას, რეალობად ქცევას ახასიათებს ის, რომ იზღუდება თვითონ შესაძლებლობათა წრე, თანდათან ქრება სანინაალმდეგო შესაძლებლობები, რასაც მივყავართ ლოგიკურ შედეგამდე;
- უნდა გავითვალისწინოთ შესაძლებლობათა ხარისხი, რაც უფრო დიდია წინაპირობათა ძალა, მით მეტია მოვლენის განვითარების შესაძლებლობის ხარისხი. როგორც ვხედავთ, შესაძლებლობის ამგვარ გაგებას საუძველად უდევს დიალექტიკურ-მატერიალისტური ხედვა, რომელიც განსაზღვრავს: „ახალი იბადება ძველის ნიაღში; ძველის განვითარების პროცესში: უკვე ძველშია ახლის წარმოშობის შესაძლებლობა ... მაგრამ ეს ახალი არსებობს არა როგორც წამდვილი, არამედ როგორც შესაძლებლობა“.⁴⁸

⁴⁸ დიალექტიკური მატერიალიზმის საკითხები, (პ. გუჯაბიძის რედ.) თბ., 19556. გვ. 292.

როგორც ვხედავთ, თ.წერეთელმა „ობიექტური შესაძლებლობის“ აბსტრაქტული ინტერპრეტაცია შეცვალა მავნე შედეგის განხორციელების ობიექტური შესაძლებლობით. ეს იმას ნიშნავს, რომ კონკრეტულ სინამდვილეში უნდა იყოს მოცემული მისი განვითარების ქმედითი პირობები, საიდანაც კანონზომიერად მოსალოდნელია მავნე შედეგის ნამდვილად განხორციელება. მცდელობა თავისთავად გულისხმობს, რომ შედეგი არ დადგა ანუ მოვლენათა განვითარების ჯაჭვში იყო რაღაც ჩართვა, რამაც ხელი შეუშალა შედეგის განხორციელებას; მცდელობა ასევე გულისხმობს, რომ არა ეს ჩართვა ლოგიკურ მოვლენათა განვითარებაში, შედეგი დადგებოდა, ანუ ამ ჩართვამდე არსებობდა რეალური და გარდუვალი საფრთხე (შესაძლებლობა) დანაშაულებრივი შედეგის დადგომისა. ზუსტად საფრთხის (შესაძლებლობის) ხარისხი, მისი მიახლოება შედეგის დადგომასთან, იძლევა იმის საფუძველს, რომ ქმედება დასჯადად გამოვაცხადოთ.⁴⁹

შესაძლებლობის განუხორციელებლობა, თავის მხრივ, აყენებს საკითხს: რომელი ფაქტორი აბრკოლებს შესაძლებლობის განხორციელებას - ობიექტური თუ სუბიექტური, ან ორივე ერთად?

როგორც ცნობილია, თ.წერეთელი ემხრობოდა საბჭოთა კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების 1958 წლის სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძველების მე-17 მუხლს, სადაც ეწერა: „დანაშაულის მცდელობად ითვლება განზრახი ქმედება, უშუალოდ მიმართული დანაშაულის ჩადენაზე, უკეთეს ამასთანავე დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი დანაშაულის ნებაზე დამოუკიდებელი მიზეზის გამო.“ ამიტომ მის

⁴⁹ წერეთელი თ. დანაშაულის მომზადება და მცდელობა. თბ., 1961წ. გვ. 113

კონცეფციაში დამაბრკოლებელ ფაქტორად აღიარებული იყო სუბიექტური ფაქტორი. ამის შემდეგ დაახლოებით 50 წელი გავიდა. მსოფლიოს ქვეყნებმა დააგროვეს დიდძალი ემპირიული მასალა, რომელიც მოითხოვდა დამაბრკოლებელი ფაქტორებისადმი ახლებურ მიდგომას. მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსი აღარაფერს ამბობს, თუ ვინ, ან რამ განაპირობა შედეგის არდადგომა, მცდელობა გვექნება ნებისმიერ შემთხვევაში. სსკ მე-19 მუხლის თანახმად, „დანაშაულის მცდელობად ითვლება განზრახი ქმედება, რომელიც თუმცა უშუალოდ მიმართული იყო დანაშაულის ჩასადენად, მაგრამ დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი“.

აღნიშნული თემატიკის პრობლემების განხილვისას ყურადსაღებია კვლავ შემდეგი კითხვა: შესაძლებელია თუ არა მცდელობა აბსტრაქტული დელიქტების დროს? გერმანულ მეცნიერებაში ზოგიერთი მეცნიერი ამ კითხვაზე გვაძლევს დადებით პასუხს.⁵⁰ საინტერესოა, რომ ეს პოზიცია განხორციელებულია აგრეთვე ფერ-ს სისხლის სამართლის კოდექსში. მაგალითად, §283–ში, რომლის სახელწოდებაცაა „გაკოტრება“ გათვალისწინებულია: საკუთარი ქონების დამალვა, ზიანის მიყენება ან გაფუჭება; წამგებიანი, სპეკულაციური და ღირებულების შეცვლაზე დამყარებული გარიგებები ფასიანი ქაღალდებით (მაგალითად, ფასიანი ქაღალდების კურსზე თამაში) ან საქონლით, განსაკუთრებით დიდი ოდენობის თანხების გახარჯვა აზარტულ თამაშებში (მათ შორის ვალად გაცემა), სანაძლეოზე ან არამიზნობრივად; წამგებიან საკრედიტო ურთიერთობებში შესვლა; ფალსიფიკაცია ან გეგმის ქონებაზე პირის არარსებული უფლების აღიარება;

⁵⁰ Arntz T. Delikte bei insolvenzen in den jahren 1977 - 1980. Mainz, 1986. S. 38

სავაჭრო წიგნების არწარმოება ან ისეთი წარმოება, რომელიც ართულებს ქონებრივი მდგომარეობის დადგენას; სავაჭრო წიგნების შენახვის წესის დარღვევა; წლიური ბალანსის შედგენის წესის დარღვევა; სხვაგვარი ქმედება, რაც იწვევს საკუთარი ქონების ღირებულების შემცირებას, მის დამალვას, ქონებრივი მდგომარეობის დაფარვას და ა.შ.⁵¹ აღნიშნულ პარაგრაფში გათვალისწინებულია აბსტრაქტული საფრთხის დელიქტი, რადგან კანონი სამართლებრივი სიკეთისთვის კონკრეტული საფრთხის არსებობის დადგენას არ მოითხოვს. მიუხედავად ამისა გფრ-ს 283-ე პარაგრაფის მეორე ნაწილი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას მცდელობისათვის.

აბსტრაქტული დელიქტის მცდელობისათვის პასუხისმგებლობის დაწესება მეტად სახიფათოა, რადგან შემადგენლობის „გარეთ“ არის გატანილი მართლწინააღმდეგობა და მისი დადგენა უკვე ეფუძნება არა ობიექტურ კრიტერიუმს, არამედ - სუბიექტურს. ამასთან დაკავშირებით თ.წერეთელი გამოთქვამს შემდეგ მოსაზრებას: „აბსტრაქტული საფრთხის დელიქტის მართლწინააღმდეგობა სახელდობრ მითითებული ნორმების დარღვევას ეფუძნება. თუ ადამიანმა დაარღვია საფრთხის ნორმა, რომელიც დადგენილი იყო იმ სახის საფრთხის აღსაკვეთად, სისხლის სამართლის კანონს რომ ჰქონდა მხედველობაში, მაშინ ამით უკვე დადგენილია მოქმედების მართლწინააღმდეგობა და საფრთხის ხარისხს შემდგომი დაზუსტება აღარ სჭირდება“.⁵² აქედან გამომდინარე

⁵¹ Уголовное уложение (уголовный кодекс) ФРГ. Текст и научно-практический комментарий. М. 2010, с.203-204

⁵² წერეთელი თ. საზოგადოებრივი საშიშროება და მართლწინააღმდეგობა სისხლის სამართალში. თბ., 2006 წ. გვ.198

ავტორი ასკვნის, რომ „საფრთხის შექმნის მომზადების დასჯადობისათვის პასუხისმგებლობის დაწესება არასასურველია. მაგრამ კიდევ უფრო შორს მივდივართ და ვამტკიცებთ, რომ საფრთხის შექმნის მცდელობაც საზოგადოებრივი საშიშროების ისეთი მცირე ხარისხის შემცველი მოქმედებაა, რომლისთვისაც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესებას აზრი არა აქვს. ამას ერთ მოსაზრებასაც დავუმატებთ. როგორც ცნობილია, მცდელობის ან მომზადების დროს ადამიანი თავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან, თუ მან დანაშაულის ბოლომდე მიყვანაზე ნებაყოფლობით აიღო ხელი. საფრთხის დელიქტის დროს დამნაშავეს ეს შესაძლებლობა წაერთმეოდა, განსაკუთრებით, თუ ამ დანაშაულის შემადგენლობა კანონში ძლიერ ფართოდ არის აღწერილი. მითითებული გარემოებების გამო, საფრთხის შემქმნელი დანაშაულის მომზადებისა და მცდელობის დასჯადობა მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია“.⁵³

როგორც ვხედავთ „ობიექტური შესაძლებლობის“ თეორია აიგივებს შესაძლებლობას და აუცილებლობას. ასეთი მიდგომის შედეგად ეს თეორია ვერ ხსნის აბსტრაქტული დელიქტის დროს მცდელობის საკითხს.

იმისათვის, რომ მკითხველისთვის გასაგები იყოს აღნიშნული საკითხი კვლავ დავუბრუნდებით შესაძლებლობისა და აუცილებლობის გამიჯვნის პრობლემას. როგორც აღნიშნავს თ.წერეთელი, არსებობს შესაძლებლობის ორი სახე: ფორმალური და რეალური. სისხლის სამართლის ინტერესს წარმოადგენს რეალური შესაძლებლობის კატეგორია, რომელსაც სინამდვილედ გადაქცევის რეალური კანონზომიე-

⁵³ წერეთელი თ. საზოგადოებრივი საშიშროება და მართლწინააღმდეგობა სისხლის სამართალში. თბ., 2006წ. გვ. 220

რებანი უდევს საფუძვლად. „რეალური შესაძლებლობა თავის მხრივ ორი სახისაა: აბსტრაქტული და კონკრეტული. აბსტრაქტული რეალური შესაძლებლობისას ჯერ კიდევ არ არის საკმარისი პირობები, რომელიც მას სინამდვილედ გადააქცევს, ხოლო კონკრეტული რეალური შესაძლებლობისას არსებობს ქმედითი, კონკრეტული პირობების ერთობლიობა, რომელმაც შესაძლებლობა ალბათობის მაღალი ხარისხით სინამდვილედ უნდა აქციოს.“⁵⁴ აქედან დასკვნა, რომ საფრთხე მით უფრო ქმედითია, თუ იგი სინამდვილედ გადაქცევის რეალური კონკრეტული შესაძლებლობის პირობებს შეიცავს.

დანაშაულის მცდელობისას სამართლით დაცულ ობიექტს ექმნება რეალური საფრთხე, რამდენადაც ადამიანი უკვე ახორციელებს მის მიერ ჩაფიქრებული დანაშაულის შემადგენლობის ობიექტურ მხარეს. ამ მიმართულებით თ.წერეთელი არ იზიარებს მოსაზრებას, რომ მცდელობა მავნე შედეგის განხორციელების არა მხოლოდ რეალურ შესაძლებლობას ქმნის, არამედ მის აუცილებლობასაც, რომ შედეგის განხორციელების რეალური შესაძლებლობა უკვე დანაშაულის მოსამზადებელ მოქმედებაშია მოცემული.

თინათინ წერეთელი თვლის, რომ მოსამზადებელი მოქმედება ჯერ კიდევ არ ქმნის დანაშაულებრივი შედეგის განხორციელების რეალურ და უშუალო საშიშროებას, თუმცა, რა თქმა უნდა, გარკვეული საშიშროება აქაც ექმნება სამართლით დაცულ სიკეთეს. შესაძლებლობა შეიცავს სინამდვილედ გადაქცევის მხოლოდ ტენდენციას, რაც დამახასიათებელია მცდელობისთვის. ხოლო თუ მცდელობის დროს ვალი-

⁵⁴ ნაჭყებია გ. სისხლის სამართალი. ზოგადი ნაწილი. თბ., 2006 წ. გვ. 161

არებთ შედეგის განხორციელების აუცილებლობას, ეს უკვე იქნება დამთავრებული დანაშაული.

შევხვით მოკლედ გაკიცხვის პრობლემატიკას. „ობიექტური შესაძლებლობის“ თეორია ერთ სიბრტყეზე განიხილავს ფაქტობრივ შეცდომას, დაუძლეველ ძალას და ა.შ. ამიტომ ბრალის გამომრიცხველი გარემოებებისა და მცდელობის რთული კავშირის ანალიზის საკითხი გამოირიცხება.

1.2. დანაშაულის მცდელობის საკითხი სუბიექტურ კონცეფციაში. განსხვავებით ობიექტური თეორიისაგან მცდელობის სუბიექტურ თეორიას საფუძვლად უდევს არა ქმედების ობიექტური ნიშნები, არამედ ბრალეული პირის სუბიექტური წარმოდგენები. ქმედება რომელშიც გამოიხატა მცდელობა მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც მათში გამოიხატება ბოროტმოქმედის დანაშაულებრივი განზრახვა. ასეთი თეორიების მიხედვით მცდელობას წარმოადგენს ქმედება, რომელიც არ ქმნის დასრულებულ დანაშაულს, მაგრამ ნათელყოფს დამნაშავის ბოროტ განზრახვას ჩაიდინოს დასჯადი ქმედება. ამ თეორიის მომხრეებია: ჩებიშევ-დმიტრიევი, კოლოკოლოვი (რუსეთი), კესტლინი, ბარი (გერმანია) და სხვები. სუბიექტური თეორია კარს უხსნის სასამართლო განუკითხაობას, დასჯად ქმედებათა წრის გაფართოებას დანაშაულის მცდელობისთვის არა მარტო დანაშაულის მომზადების მიკუთვნების ხარჯზე, არამედ განზრახვის გამომჟღავნების ხარჯზეც, რადგან ეს ქმედებები მოწმობენ პირის დანაშაულებრივ განზრახვაზე. დანაშაულის მცდელობის ცნებასთან მიმართებაში ეს კონცეფცია ნიშნავს მცდელობასა და მომზადებას შორის ზღვარის გაქრობას, დასჯადი მცდელობის ცნების გაფართოებას მისთვის (მცდელობისთვის) ისეთი ქცევის

ფორმათა მიერთებით, რომელშიც ვლინდება პირის საზოგადოებისათვის საშიში მდგომარეობა.⁵⁵

დანაშაულის მცდელობის სუბიექტური კონცეფცია დამაგრებელია ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობაში. მათში ყველაზე დამახასიათებელია იტალიის 1930 წლის სისხლის სამართლის კოდექსის 56-ე მუხლი: „ის ვინც ჩადის ქმედებას, რომელსაც შეუძლია ზიანის მიყენება ან უშუალოდ მიმართულია დანაშაულის ჩადენაზე, პასუხს აგებს მცდელობისათვის, თუ ქმედება ბოლომდე არაა მიყვანილი ან შედეგი არ დადგა.“⁵⁶

დანის 1930 წლის სისხლის სამართლის კოდექსი (1939 წლის რედაქციით) ასევე გვაძლევს დანაშაულის მცდელობის ძალიან განვრცობილ განმარტებას. ამ კოდექსის პირველი ნაწილის 21-ე პარაგრაფი ადგენს, რომ, როგორც მცდელობა ისჯება ნებისმიერი მოქმედება, მიმართული იმაზე, რაც ხელს უწყობს შესრულებას ან იწვევს დანაშაულებრივი ქმედების განხორციელებას, თუ ეს ქმედება არ იყო დასრულებული. დანაშაულისთვის დადგენილი სასჯელი შეიძლება იქნეს შემცირებული მცდელობისას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მცდელობა ცხადყოფს დანაშაულებრივი განზრახვის მცირე ძალას და სიმყარეს (ნაწილი მე-2).⁵⁷

დანაშაულის მცდელობის ასეთი განსაზღვრისას, მხოლოდ სუბიექტურ მომენტებს გააჩნია მნიშვნელობა წინასწარი დანაშაულებრივი საქმიანობის ამ სტადიის არსებობის აღიარებისათვის. ამ ქმედებებისათვის პასუხისმგებლობი-

⁵⁵ Круглевский А. Н. Покушение на преступление, т. II., 1918, стр. 6—64.

⁵⁶ The Penal Code of Italy- <http://www.altalex.com/index.php?idnot=36653>

⁵⁷ Уголовный кодекс Дании –(1930) <http://law.edu.ru/norm/norm.asp?normID=12-41524&subID=100096345,100096365,100096415,100096559#text>

სათვის არაა საჭირო, რომ ისინი იყოს მოცემული დანაშაულის შემადგენლობის შესრულების საწყისად. ასეთ შემთხვევაში მცდელობა მოიცავს მოსამზადებელ მოქმედებებსაც, როგორც დაშორებულიც არ უნდა იყვნენ ისინი.

ნიუ-იორკის შტატის სისხლის სამართლის კოდექსი (მე-2 პარაგრაფი) მცდელობას მიაკუთვნებს ქმედებებს, ჩადენილს დანაშაულის განხორციელების მიზნით და მიმართულს მის ჩასადენად, რასაც შედეგი არ მოყვა.⁵⁸ მცდელობის გაფართოებული გაგება, რომელიც მოიცავს დანაშაულის მომზადებასაც მიღებულია ინგლისურ სისხლის სამართალშიც.

როგორც ვხედავთ, სუბიექტური კონცეფცია დაფუძნებულია დებულებაზე, რომლის მიხედვით არ არის საჭირო ველოდოთ, თუ როდის დაიწყებს ბოროტმოქმედი დანაშაულის უშუალო განხორციელებას. ამას მივყავართ ორ ნეგატიურ შედეგამდე: პირველი - ძნელია ზღვარის გავლება დანაშაულის მცდელობასა და მომზადებას შორის, და მეორე - ფართოვდება სასამართლო შეხედულების საზღვრები.⁵⁹

როგორც აღნიშნავს თ.წერეთელი, სუბიექტურ კონცეფციაში შესაძლებლობა, ობიექტურად, რეალურად არ არსებობს; ის არის მხოლოდ სუბიექტის წარმოდგენაში და გამოხატავს სუბიექტის მოლოდინის ხარისხს. რაც იმას ნიშნავს, რომ სუბიექტი გარკვეული დარწმუნებით მოელის რაიმე გარემოების განხორციელებას. გამოდის, რომ შესაძლებლობა დამოკიდებულია სუბიექტის ცოდნაზე. თუ ამას შევუფარდებთ საფრთხის ცნებას, მივიღებთ, რომ არსებობს მხოლოდ მავნე, ან უვნებელი მოქმედება. ეს იმას ნიშ-

⁵⁸ Уголовный кодекс штата Нью-Йорк- <http://constitutions.ru/archives/8102>

⁵⁹ Церетели Т.В. Причинная связь в уголовном праве.М. 1963, с. 319-321

ნავს, რომ საფრთხის შემქმნელი მოქმედება არ შეიძლება სინამდვილეში არსებობდეს. იმ შემთხვევაში, თუ მაინც ვილაპარაკებთ მავნე შედეგის განხორციელების შესაძლებლობაზე, სუბიექტური გაგების მიხედვით, ამით მხოლოდ ის გამოიხატება, რომ დანამდვილებით არ არის ცნობილი შემთხვევის ყველა გარემოება და მხედველობიდან გამორჩენილია რაღაც ფაქტი, რომელიც სინამდვილეში არსებობდა. აქედან გამომდის, საფრთხე ადამიანის ცოდნის შეზღუდულობის პროდუქტია და ემყარება არასრულ მონაცემებს. როგორც თინათინ წერეთელი ასკვნის: „საფრთხის ცნება, ასეთ წმინდა სუბიექტური მნიშვნელობით გაგებული, არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს დანაშაულის მცდელობის შინაარსის დადგენისათვის. სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა არ შეიძლება ეფუძნებოდეს ისეთ ცნებას, რომელიც მოკლებულია ყოველგვარ რეალურ შინაარსს“.⁶⁰

თანამედროვე ევროპულ ქვეყნებში მცდელობის სუბიექტური კონცეფცია არაა გავრცელებული. მაგალითად, გერმანიის კანონმდებლობაში დაუმთავრებელი დანაშაულის დასაჯობა დაკავშირებულია მოქმედებით გამოვლენილ განზრახვასთან.⁶¹ სუბიექტური კონცეფციის დამსახურება იმაში მდგომარეობს, რომ სუბიექტური ელემენტის გარეშე ძნელია მცდელობის საკითხის გადაწყვეტა. მაგალითად, თუ პირს სურს ადამიანის სიკვდილი და მას მიაყენა მარტო სხეულის მძიმე დაზიანება, მაშინ საქმე გვექნება დანაშაულის მცდელობასთან. მაგრამ ამ კონცეფციის ნაკლი მდგომარეობს იმაში, რომ მან მცდელობის დასჯადობა არ დაუკავშირა

⁶⁰ წერეთელი თ. დანაშაულის მომზადება და მცდელობა. თბ., 1961წ. გვ. 102

⁶¹ Joecks W. Studienkommentar StGB. 4 Aufl. Munchen: C. H. Beck, 2003. S. 67.

მოქმედებით გამოვლენის ფორმას. როგორც აღნიშნავს თ. წერეთელი, დაუმთავრებელი დანაშაული შეიძლება იმ შემთხვევაში დაისაჯოს, როდესაც დანაშაულებრივი განზრახვა გამოვლინდა მოქმედებით, რომელიც დანაშაულის აღსრულების დასაწყისს წარმოადგენს. ამ თეორიის წარმომადგენლები უარყოფენ, როგორც ლიტონი განზრახვის, ისე მოსამზადებელი მოქმედების დასჯადობას, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მოსამზადებელი მოქმედების დასჯადობა სპეციალურად არის აღნიშნული სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებულ ნაწილში, ან მომზადება ისჯება, როგორც დამოუკიდებელი დანაშაული - *sui generalis*.⁶²

1.3. დანაშაულის მცდელობის საკითხი სუბიექტურ - ობიექტურ კონცეფციაში. თანამედროვე სისხლის სამართალში გაბატონებულია შეხედულება, რომლის მიხედვითაც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაუმთავრებელი დანაშაულისათვის დგება შერეული ანუ სუბიექტურ-ობიექტური თეორიით. მიუხედავად ერთიანი შეხედულებისა, ამ მიდგომის მომხრეთა შორის არის უმნიშვნელო განსხვავებებიც. მაგალითად, კ. როქსინი თვლის, რომ მცდელობის დადგენისათვის აუცილებელია შემდეგი წინაპირობების არსებობა: ქმედების განხორციელება, რომელიც გათვალისწინებულია დანაშაულის შემადგენლობით, სუბიექტური კომპონენტის არსებობა და ეგრეთ წოდებული შუალედური რგოლების არარსებობა ქმედებასა და შემადგენლობის შესრულებას შორის.⁶³ ვ. იოკსი გამოყოფს ორ წინაპირობას: მცდელობა

⁶² წერეთელი თ. დანაშაულის მომზადება და მცდელობა. თბ., 1961წ. გვ. 102

⁶³ Roxin C. Strafrecht. Allgemeiner Teil. Band I. Grundlagen der Aufbau der Verbrechenlehre. 4. vollständig neu bearbeitete Auflage. München: Verlag C.H. Beck. 2006. S. 97-104

სახეზეა, თუ სუბიექტი თავისი წარმოდგენით ქმედებაზე, იმედოვნებს, რომ ყველაფერი, რასაც ის აკეთებს, აუცილებელია ამ ქმედების განხორციელებისათვის (დაარტყა დანა მოკვლის მიზნით - დამთავრებული მცდელობა) და თუ შესრულებულია დანაშაულის შემადგენლობის ნიშნებიდან ერთ-ერთი მაინც - ის დამთავრებული მცდელობაა.⁶⁴ ანალოგიური პოზიცია უკავია სხვა გერმანელ მეცნიერებსაც.⁶⁵

ჩვენ ვერ დავეთანხმებით ქ. მჭედლიშვილ-ჰედრისს, რომ ქართული სისხლის სამართალი ეყრდნობა ობიექტურ თეორიას, ხოლო გერმანული - სუბიექტურს.⁶⁶ სუბიექტურ-ობიექტური თეორია გაბატონებულია ქართულ იურიდიულ მეცნიერებასა და სასამართლო პრაქტიკაშიც. ამ თეორიის მიხედვით წყდება სასამართლო პრაქტიკაში დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობის საკითხები და გამიჯვნა, როგორც დამთავრებული დანაშაულისაგან ასევე არადასჯადი ქმედებისაგან. დღესდღეობით ეს თეორია არ იწვევს დავას ქართულ მეცნიერთა შორის. სუბიექტური და ობიექტური კრიტერიუმების კომბინაცია გახდა ყველასათვის მისაღები დანაშაულის მცდელობის დასჯადობის საფუძვლის განსაზღვრისას, ასევე ამ კომბინაციური თეორიის დამსახურებაა დანაშაულის მომზადებისა და მცდელობის ურთიერთგამიჯვნა, ამავე თეორიამ გახადა შესაძლებელი უვარგისი მცდელობის დასჯადობა და აბსოლუტურად უვარგის მცდელობის დასჯადობაზე უარის თქმა.

⁶⁴ Joecks W. Studienkommentar StGB. 4 Aufl. Munchen: C. H. Beck, 2003. S. 92.

⁶⁵ Schmidt R. Strafrecht. Allgemeiner Teil. Grundlagen der Strafbarkeit, Aufbau des strafrechtlichen Gutachtens. 2. Auflage. Verlag-Grasberg bei Bremen. 2003, pp. 252-253

⁶⁶ მჭედლიშვილ-ჰედრისი ქ. სისხლის სამართალი. ზოგადი ნაწილი. დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები თბ., 2011წ. გვ.10

დამთავრებული დანაშაულისაგან განსხვავებით მცდელობისათვის დამახასიათებელია ობიექტური შემადგენლობის ნაკლებობა, სუბიექტურთან შედარებით, რომელიც სრული მოცულობით სახეზეა. აბსოლუტურად ვეთანხმები მ. ტურავას მოსაზრებას მცდელობის დასჯადობის წინაპირობების შესახებ:

- 1) მცდელობის დასჯადობის სამართლებრივი შესაძლებლობა
- 2) ქმედების შემადგენლობის განხორციელების გადანყვეტილება, გამოხატული განზრახვაში (ქმედების სუბიექტური შემადგენლობა)
- 3) ქმედების შემადგენლობის შესრულების განხორციელების უშუალო დაწყება (ქმედების ობიექტური შემადგენლობა)
- 4) მოსალოდნელი შედეგის არარსებობა (გარდა *in dubio pro reo*-ს შემთხვევისა).⁶⁷

თინათინ წერეთელმა განსაზღვრა სამი გარემოება, რომელიც მოსამართლის მიერ მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული დაუმთავრებელი დანაშაულისთვის სასჯელის დანიშვნისას:

1)დამნაშავის მიერ ჩადენილ მოქმედებათა ხასიათი და საზოგადოებრივი საშიშროება; იმ მომენტების განხილვის დროს, რომლებიც ასაბუთებენ მოქმედების ობიექტურ სოციალურ საშიშროებას. დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რა სტადიაზე შეჩერდა დანაშაულებრივი ქმედება, რამდენად ახლოს არის პირი დანაშაულის აღსრულებასთან.

⁶⁷ ტურავა მ. დანაშაულის მოძღვრება. თბ., 2011წ. გვ. 298

2) დანაშაულებრივი განზრახვის განხორციელების შესაძლებლობა, არსებითად ერთ-ერთი პირობაა, რომელიც მოქმედების ობიექტური სოციალური საშიშროების ხარისხს განსაზღვრავს.

3) მიზეზები, რის გამოც დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი. ეს მიზეზები შეიძლება მრავალგვარი იყოს და მოქმედების ან მოქმედის სოციალური საშიშროების ამა თუ იმ შესაძლებლობაზე მიუთითებდეს. მაგალითად, მცდელობის უშედეგოდ დამთავრების მიზეზი შეიძლება იყოს დამნაშავის გამოუცდელობა, დაზარალებულის ან მესამე პირთა აქტიური წინააღმდეგობა, სხვადასხვა შეცდომა თუ უზუსტობა, რომელიც დაშვებული იყო დამნაშავის მიერ სამოქმედო გეგმის შედგენისას თუ მისი განხორციელებისას, სხვადასხვა ბუნებრივ ძალთა ჩარევა და ა. შ. მოქმედი კანონმდებლობით მოსამართლის მიერ სასჯელის დანიშვნისას შეუძლებელია ამ სახით ანუ ამ სამი კრიტერიუმის გათვალისწინებით სასჯელის დანიშვნა, რადგან, როგორც კანონი მიუთითებს, გათვალისწინებული უნდა იქნეს მხოლოდ გარემოებანი, რომელთა გამო დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი. მიუხედავად იმისა, რომ ეს დებულება ერთი შეხედვით საკმაოდ ზღუდავს მოსამართლეს სასჯელის ზომის არჩევაში, წინადადება „მხედველობაში მიიღება გარემოებანი, რომელთა გამოც დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი“, ჩვენი აზრით, შეიძლება მოიცავდეს, როგორც დამნაშავის მიერ ჩადენილი ქმედების ხასიათს და სოციალურ საშიშროებას, ასევე დანაშაულებრივი განზრახვის განხორციელების ხარისხს.⁶⁸

⁶⁸ ნერეთელი თ. დანაშაულის მომზადება და მცდელობა. თბ., 1961წ. გვ. 207

2. ევენტუალური განზრახვით დანაშაულის მცდელობის კონცეფცია

ამ ბოლო დროს სისხლისსამართლებრივი პრობლემატიკის გაართულებამ ევენტუალური განზრახვით დანაშაულის მცდელობისადმი ინტერესი მნიშვნელოვნად გაზარდა. მეცნიერულმა პაექრობამ გადაინაცვლა სასამართლო პრაქტიკაში, სადაც რამდენიმე განაჩენში იყო რეალიზებული რეპრესიული მოდელი, რომელიც მიზნად ისახავდა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამკაცრებას იმ შედეგისათვის, რომლის დადგომის სურვილი არ ჰქონდა პირს. ამიტომაც დანაშაულის მცდელობის ინსტიტუტი მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას, მას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა ენიჭება იმ ნიშნით, რომ მისი სწორი გადწყვეტა ზღუდავს სასამართლოს თვითნებობას და წინ ელობება მძიმე სასჯელების გაუმართლებელ დანიშვნას.

1. უპირველეს ყოვლისა განვიხილოთ ევენტუალური განზრახვით დანაშაულის მცდელობის კონცეფციის მოწინააღმდეგეთა არგუმენტაცია. თ. წერეთლის აზრით, „მცდელობა გამორიცხულია აგრეთვე არაპირდაპირი (ევენტუალური) განზრახვის დროსაც, რადგან ამ შემთხვევაში დამნაშავის ნება არ არის უშუალოდ მიმართული დანაშაულებრივი შედეგების განხორციელებაზე.“⁶⁹ დანაშაულის მცდელობა წარმოადგენს პირის მიზანსწრაფულ საქმიანობას და შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა პირს სურს განსაზღვრული შედეგი და არა მაშინ, როცა იგი უშვებს ასეთი შედეგის შესაძლებლობას. არგუმენტად მას მოჰყავს ის, რომ ამ დროს დამნაშავის ნება უშუალოდ არ არის მიმართული იმ დანაშა-

⁶⁹ წერეთელი თ. ტყემელიძე გ. საქართველოს სისხლის სამართლის კომენტარები. თბ., 1976წ. გვ. 119

ულებრივი შედეგის განხორციელებაზე, რომელსაც მოითხოვს კონკრეტული მუხლი. დანაშაულის მცდელობა წარმოადგენს პირის მიზანმიმართულ საქმიანობას და შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა პირს სურს კონკრეტულად განსაზღვრული შედეგი და არა მაშინ, როცა ის უშვებს ასეთი შედეგის განხორციელების შესაძლებლობას.⁷⁰

ო. გამყრელიძე აღნიშნავს, რომ დანაშაულის მცდელობის მხოლოდ პირდაპირი განზრახვით ჩადენის შესაძლებლობა გამომდინარეობს თვითონ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-19 მუხლის შინაარსიდან. კერძოდ, ამ მუხლში გამოყენებული სიტყვები „უშუალოდ“ და „მიმართული“, მიუთითებენ მხოლოდ პირდაპირ განზრახვაზე. დანაშაულის მცდელობის არაპირდაპირი განზრახვით და გაურთხილებლობით ჩადენის შეუძლებლობის არგუმენტების გასამყარებლად მას მოყვანილი აქვს, კანონმდებლის მიერ სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილში 127-ე და 128-ე მუხლების შემოტანა. ამ დებულების არსი იმაში მდგომარეობს, რომ 127-ე მუხლი (სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში ჩაყენება) არსებითად მცდელობაა, მაგრამ, რადგან არაპირდაპირი განზრახვით მცდელობა პასუხისმგებლობას არ იწვევს, კანონმდებელი იძულებული გახდა შემოეტანა საფრთხის შემქმნელი დელიქტი ამ ხარვეზის შესავსებად. ხოლო, პირი, რომელსაც არ აქვს შესაძლებლობა თავის დასაცავად, რომელიც ჩაყენებულ იქნა სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში, თუ დაიღუპება, ოთარ გამყრელიძის აზრით, პასუხი უნდა აგოს კოდექსის 108-ე მუხლით არაპირდაპირი განზრახვით მკვლე-

⁷⁰ წერეთელი თ. ტყემელიაძე გ. საქართველოს სისხლის სამართლის კომენტარები. თბ., 1976წ. გვ. 119

ლობისთვის, თუ არ არის 109-ე მუხლის მაკვალიფიცირებელი სხვა რაიმე ნიშანი. რაც შეეხება 128-ე მუხლს, აქ საქმე გვაქვს დაუხმარებლობასთან იმ პირისა, ვინც სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში იმყოფება, თუ მას თავდაცვის შესაძლებლობა არა აქვს, ამასთან მიმტოვებელს უნდა ევალებოდეს ან შეეძლოს დახმარება. არაპირდაპირი განზრახვით მცდელობის ჩადენა რომ შეიძლებოდეს ამ მუხლის საჭიროება არ იქნებოდა და საკითხი გადაწყდებოდა ასეთი ქმედების სისხლის სამართლის კოდექსის მე-19, 108-ე მუხლებით კვალიფიკაციით. ანუ 127-ე და 128 მუხლები ავსებენ იმ ხარვეზს, რასაც არაპირდაპირი განზრახვით დანაშაულის მცდელობის შეუძლებლობა ქმნის.⁷¹

ანალოგიურად წყდება საკითხი სხვა საფრთხის შემქმნელ დელიქტებში, მაგალითად, საქართველოს სსკ-ს 233-ე მუხლით გათვალისწინებული კონკრეტული საფრთხის დანაშაული. ესაა ბირთვულ ან რადიაციულ ობიექტზე ავარიის ან უბედური შემთხვევის შესახებ ინფორმაციის დაფარვა ან დამახინჯება, რასაც შეეძლო გამოენვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი. აქაც, თუ დადგინდება, რომ პირს, ვისაც ევალებოდა ამ ინფორმაციის სწორად შეტყობინება, არ ასრულებს ამ მოვალეობას და სურს ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი, ქმედება დაკვალიფიცირდება განზრახვის მიმართულების მიხედვით ან მკვლელობის მცდელობად დამამძიმებელ გარემოებებში, ან საბოტაჟის მცდელობად და ა.შ. ამგვარად, როცა პირს მოსალოდნელი მართლსაწინააღმდეგო შედეგის მიმართ ამოძრა-

⁷¹ გამყრელიძე ო. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება. თბ., 2008 წ. გვ. 160-161

ვებს პირდაპირი განზრახვა, სახეზეა არა კონკრეტული საფრთხის დანაშაული, არამედ სხვა დანაშაულის მცდელობა.

როგორც ვნახეთ, საფრთხის შემქმნელი დელიქტების კრიმინალიზაციის მიზანი არის იმ პირთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება, ვინც შესაძლო მართლსაწინააღმდეგო შედეგის მიმართ მოქმედებს არაპირდაპირი განზრახვით, ხოლო იშვიათ შემთხვევაში გაუფრთხილებლობით. როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ, მცდელობა ახასიათებს მხოლოდ პირდაპირი განზრახვით ჩადენილ დანაშაულებს. მცდელობას ადგილი აქვს მაშინ, როცა პირი თავის ძალისხმევას მიმართავს რაიმე შედეგის მისაღწევად. ცდილობს, ვისაც სურს ამ ქმედებიდან რაიმე შედეგის მიღწევა ან უკიდურეს შემთხვევაში, ვისაც გაცნობიერებული აქვს მისი ქმედებით მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის არა შესაძლებლობა, არამედ გარდუვალობა. არ შეიძლება არსებობდეს მცდელობა მაშინ, როცა პირს არ სურს მისი ქმედებით მართლსაწინააღმდეგო შედეგის გამონწვევა, თუმცა გულგრილია ამ შედეგის მიმართ ან შეგნებულად უშვებს, ეგუება მისი დადგომის შესაძლებლობას და არა გარდუვალობას.⁷²

ანალოგიურ აზრს იზიარებს ო.გამყრელიძე სხვა თემატიკის განხილვისას. მისი აზრით, ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში მიჩნეულია, რომ ეს ქმედება შეიძლება ჩადენილი იქნეს მხოლოდ პირდაპირი განზრახვით. თუ ჩვენ ევენტუალური განზრახვის ფორმულას წარმოვიდგენთ, მართლაც ძნელი დასაჯერებელი იქნება აფექტური მკვლევლო-

⁷²თოდუა ნ. საფრთხის შემქმნელი დანაშაულები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით ჟურ. მართლმსაჯულება და კანონი თბ., 2009 წ. N 2/3 გვ.153

ბის ჩადენა ევენტუალური განზრახვით.⁷³ აფექტის უეცარი წარმოქმნა, მისი სიძლიერე თავისთავად გულისხმობს ამა თუ იმ შედეგისაკენ მიზანმიმართული მოქმედების ჩადენას, 111-ე მუხლით აღწერილი ქმედება შეიძლება ჩადენილი იქნეს ევენტუალური განზრახვითაც, როგორც ეს მიაჩნია ზ. წულაიას.⁷⁴

ანალოგიური პოზიცია უკავია ლ. სურგლაძეს. როგორც ის აღნიშნავს, სასამართლომ უნდა შეძლოს ერთმანეთისაგან განასხვავოს სსკ-ის მე-17-105-ე (მკვლელობის მცდელობა - ძველი რედაქციით) და 110-ე მუხლების პირველი ნაწილით (სხეულის განზრახ მიძიმე დაზიანება - ძველი რედაქციით) გათვალისწინებული დანაშაული. კერძოდ, ამ შემთხვევაში დეტალურად უნდა იქნეს გამოკვლეული და გაანალიზებული საქმის ყველა გარემოება მათ ერთობლიობაში. განსაკუთრებული მნიშვნელობა ამ შემთხვევაში განზრახვის მიმართულებას და მის შინაარსს ენიჭება. ამისათვის კი, აუცილებელია დადგინდეს, დაზიანების ხერხი, გამოყენებული იარაღის თუ საშუალების თავისებურება, ქრილობათა რაოდენობა და ლოკალიზაცია, დანაშაულის ჩადენის გარემოება, დამნაშავესა და მსხვერპლს შორის არსებული ურთიერთობა, დამნაშავეს ქცევა კრიმინალურ აქტამდე და მის შემდეგ. სასამართლომ ყველა ეს გარემოება დანვრილებით უნდა გაანალიზოს და ისე მივიდეს შესაბამის დასკვნამდე. საქმე ის არის, რომ შინაარსის მიხედვით განზრახ-

⁷³ სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი. თბ., 2002 წ. გვ. 67

⁷⁴ წულაია ზ. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი. ტომი1. თბ., 2000 წ. გვ. 93

ვის ერთ-ერთ სახედ განუსაზღვრელი, ანუ არაკონკრეტიზირებული განზრახვა იკვეთება, რომლის დროსაც პირი ითვალისწინებს, რომ მისი მოქმედების შედეგად განხორციელდება მავნე შედეგი. მაგრამ თვალნათლივ ეს შედეგი წარმოდგენილი არა აქვს. ასეთ შემთხვევაში იგი პასუხს აგებს ფაქტიურად დამდგარი შედეგისათვის. მცდელობა კი ამ დროს, ისევე როგორც არაპირდაპირი განზრახვის დროს, გამორიცხულია.

ეს პოზიცია ემყარება საქართველოს სისხლის სამართლის თეორიაში გაბატონებულ შეხედულებას, რომლის თანახმად ევენტუალური განზრახვით მცდელობა უარყოფილია (იხ. თ. წერეთელი. დანაშაულის მომზადება და მცდელობა. თბ., 1961წ.). ამავე შეხედულებას იზიარებს მოქმედი კანონმდებლობაც, ამის დადასტურებაა სსკ-ის 127-ე მუხლი, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა ევენტუალური განზრახვით მკვლელობის ჩადენის მცდელობა.

მაგრამ იმის გამო, რომ კანონმდებელმა არ დაუშვა ევენტუალური განზრახვით მცდელობის შესაძლებლობა, იგი იძულებული გახდა სპეციალური მუხლით „სუი გენერის“ გაეთვალისწინებინა ეს დანაშაული.

გარდა ამისა, თვით სიტყვა „მცდელობის“ ეტიმოლოგიური ხასიათი იმაზე მიმანიშნებელია, რომ პირს რაღაც სურს და ცდილობს ამის მიღწევას. ევენტუალური განზრახვა კი სურვილს გამორიცხავს. უკვე აქედანვე ნათელია ამ ორი მომენტის შერწყმის შეუძლებლობა. თუმცა, ამ ბოლო პერიოდში ქართული სისხლის სამართლის ლიტერატურაში გამოიკვეთა აზრი – ევენტუალური განზრახვით ჩადენილი დანაშაულის მცდელობის შესაძლებლობის თაობაზე. კერძოდ, მ.

ტურავა გერმანული სისხლის სამართლის დოგმატიკაზე დაყრდნობით შესაძლებლად მიიჩნევს დანაშაულის მცდელობას როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი განზრახვით (იხ. მ. ტურავა. სისხლის სამართალი. ზოგადი ნაწილის მიმოხილვა. თბ., 2002 წ.) და თანამედროვე სასამართლო პრაქტიკა მას ამ გზით მიჰყავს.

ჩვენს თეორიასა და პრაქტიკაში დამკვიდრებულია აზრი, რომ ევენტუალური განზრახვით მცდელობა არ დაიშვება. პრაქტიკის მასალების გაცნობამ გვიჩვენა, რომ ზოგჯერ ევენტუალური განზრახვით ხდება მკვლელობის მცდელობის კვალიფიკაცია, რაც სწორად ვერ ჩაითვლება. მცდელობა, როგორც სიტყვის ეტიმოლოგიური წარმომავლობა გვიჩვენებს - ნიშნავს რისამეს ცდას, ვინც ცდილობს რამეს, პირი ცდილობს იმის გაკეთებას, რაც მას სურს, უნდა. და, როგორც ცნობილია, ევენტუალურ განზრახვაში რისამე სურვილი არ მოიაზრება, მაშინ ევენტუალური განზრახვით მცდელობაც ალოგიკური კატეგორიაა და ამდენად, ევენტუალური განზრახვით მკვლელობის მცდელობაც დაუშვებელია.⁷⁵

ანალოგიურად ავტორი მსჯელობს სსკ-ს 111-ე მუხლთან მიმართებაში. როგორც ის აღნიშნავს, განზრახვა აქ მხოლოდ პირდაპირია. აფექტური მკვლელობა არ შეიძლება იყოს ჩადენილი ევენტუალური განზრახვით.⁷⁶

2. განვიხილოთ ევენტუალური განზრახვით მცდელობის კონცეფციის მომხრეთა პოზიციები. მ. ტურავა აღ-

⁷⁵ სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი. თბ., 2002 წ. გვ. 21- 22

⁷⁶ მაყაშვილი ვ. მაჭავარიანი მ. წერეთელი თ. შავგულიძე თ. დანაშაული პროცესების წინააღმდეგ. თბ., 1980 წ. გვ. 51

ნიშნავს, რომ „მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსიდან გამომდინარე, მცდელობა შეიძლება არა მხოლოდ პირდაპირი, არამედ არაპირდაპირი (ევენტუალური) განზრახვის შემთხვევაშიც.“⁷⁷ მერაბ ტურავას მოსაზრებით, რადგან სისხლის სამართლის კოდექსის მე-19 მუხლში მითითებულია მხოლოდ ის, რომ მცდელობა შესაძლებელია განზრახ, და არ არის დაკონკრეტებული, რომელ განზრახვაზეა საუბარი, ეს გვაძლევს იმის შესაძლებლობას, რომ ვთქვათ: დანაშაულის მცდელობა შესაძლებელია, როგორც პირდაპირი ისე არაპირდაპირი (ევენტუალური) განზრახვით.

თუ დაუმთავრებელი დანაშაული შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ განზრახი დანაშაულის ჩადენისას, დგება საკითხი, შესაძლებელია თუ არა დანაშაულის მომზადება და მცდელობა არაპირდაპირი (ევენტუალური) განზრახვის დროს.

პირი მოქმედებს არაპირდაპირი განზრახვით იმ შემთხვევებში, როდესაც ის ითვალისწინებს საკუთარი ქმედების შედეგის დანაშაულებრივ ხასიათს, არ სურს ის, მაგრამ შეგნებულად უშვებს მათ დადგომას.

დამნაშავეს არ სურს საკუთარი ქმედებით გამოწვეული შედეგის დადგომა, რადგან ისინი მას არ სჭირდება, ეს არ არის მისი მიზანი. უფრო მეტი, დამნაშავესათვის უფრო ხელსაყრელი იქნებოდა, რომ ეს შედეგი არ დამდგარიყო, რადგან მაშინ მისთვის შესაძლებელი იქნებოდა აერიდებინათ თავი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან ან შეემცირებინათ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე. თუ არ გსურს დანაშაულებრივი შედეგის დადგომა, არ შეიძლება მისთვის ემზადო ან ცდილობდე მის მიღწევას. მხოლოდ პირ-

⁷⁷ ტურავა მ. დანაშაულის მოძღვრება. თბ., 2011წ. გვ. 298

დაპირი განზრახვით დანაშაულებრივი საქმიანობისას შეიძლება იმის მტკიცება, რომ, თუ არა სუბიექტისათვის შემთხვევითი გარემოება, დანაშაული ბოლომდე იქნებოდა მიყვანილი. მხოლოდ ამ შემთხვევაში არის შესაძლებელი იმის მტკიცება, რომ დამნაშავე ცდილობდა მიეღწია მავნე შედეგისათვის და ამ მიზნით განახორციელა მან მოსამზადებელი საქმიანობა და მიმართა საკუთარი შესაძლებლობები ქმედებისაკენ, რომელიც ქნის დანაშაულის მცდელობას.

არაპირდაპირი განზრახვით დანაშაულის მომზადების და მცდელობის შეუძლებლობა, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ დამნაშავეს ქმედება, რომელიც ქმნის ზიანის მიყენების საფრთხეს, არ წარმოადგენს დანაშაულს. არაპირდაპირი განზრახვის დროს დანაშაულებრივი შედეგის არდადგომის შემთხვევაში დამნაშავეს ქმედება შეიძლება შეიცავდეს დამოუკიდებელი დამთავრებული დანაშაულის შემადგენლობის ნიშნებს - სხვისი სიცოცხლის ან ჯანმრთელობის საფრთხეში ჩაყენება. ამ და მსგავსი შემადგენლობის დანაშაულების გათვალისწინება სისხლის სამართლის კოდექსში ნაკარნახევია ზუსტად არაპირდაპირი განზრახვით დანაშაულის მცდელობის შეუძლებლობით. არ შეიძლება დავეთანხმოთ იმ მეცნიერებს, რომლებიც ფიქრობენ, რომ განზრახ განსაცდელში ჩაყენება ეს არის გარკვეული სუროგატი მცდელობის კონსტრუქციისა. არაპირდაპირი განზრახვით დანაშაულის მცდელობის აღიარებისას ისინი მიუთითებენ, რომ პრაქტიკულად შეუძლებელია ან ძალიან რთულია ამ სტადიის დამტკიცება, რადგან დამნაშავეს შეუძლია იუაროს დამდგარი შედეგის დაშვების შეგნების არსებობა. აქედან კეთდება დასკვნა, რომ მცდელობის კონსტრუქციის ნაცვლად ასეთ შემთხვევებში უფრო მიზანშეწონილია განზრახ

განსაცდელში ჩაყენების კონსტრუქცია, რომელიც ვითომდა შეესაბამება არაპირდაპირი განზრახვით დანაშაულებრივი შედეგის მიღწევის დაუმთავრებელ მცდელობას. განსაცდელში ჩაყენების ასეთი ინტერპრეტაცია საფუძველს მოკლებულია. მოქმედი სისხლის სამართლის კანონისათვის ცნობილი სიცოცხლის და ჯანმრთელობის განსაცდელში ჩაყენების შემადგენლობები არ გამოორიცხავენ შედეგის მიმართ გაუფრთხილებლობას. და თუ არ არის განზრახვა შედეგის მიმართ, როგორ შეიძლება ვისაუბროთ შედეგის მისაღწევად მოსამზადებელ მოქმედებაზე ან შედეგის მიღწევის მცდელობაზე.

არაპირდაპირი განზრახვით მცდელობის შეუძლებლობის მითითებისას, ჩვენ გამოვდივართ იმ მოსაზრებიდან, რომ ასეთ შემთხვევებში დამნაშავე ითვალისწინებს დანაშაულებრივი შედეგის დადგომის შესაძლებლობას. წარმოუდგენელია, რომ პირი რომელიც მოქმედებს ევენტუალური განზრახვით, ითვალისწინებდეს თავისი ქმედებით მანვე შედეგის დადგომის გარდუვალობას, და ამ უკანასკნელის დადგომის სურვილის გარეშე, მაინც ჩაიდინოს ეს ქმედება. თუ სუბიექტს ნამდვილად არ სურს ეს დანაშაულებრივი შედეგი, ის არ განახორციელებს ისეთ მოქმედებას, რომელიც აუცილებლად გამოიწვევს ამ შედეგს. ევენტუალური განზრახვა, როგორც ვიცით, გულისხმობს, რომ შედეგი, რომელიც არ სურს, მაგრამ შეგნებულად უშვებს დამნაშავე, შეიძლება დადგეს ან არ დადგეს ანუ ზუსტად ევენტუალურია.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-19 მუხლის თანახმად, დანაშაულის მცდელობა განზრახ შეიძლება განხორციელდეს. მაშასადამე, ერთი შეხედვით შესაძ-

ლებელია დანაშაულის მცდელობა არაპირდაპირი განზრახვით. თუკი პირდაპირი განზრახვით ჩადენილ დანაშაულს მხოლოდ და მხოლოდ ობიექტური კრიტერიუმის, გარეგნული მოქმედების მიხედვით შევადარებთ არაპირდაპირი განზრახვით ჩადენილ დანაშაულებს, აღმოჩნდება, რომ, თუ შესაძლებელია პირდაპირი განზრახვისას დანაშაულის მცდელობა, ის ობიექტურ ნიშანთა მიხედვით შესაძლებელია არაპირდაპირი განზრახვის დროსაც. ახლა კი გასარკვევია ის არგუმენტები, თუ რატომ არ შეიძლება ევენტუალური განზრახვით დანაშაულის მცდელობა. რამდენადაც ადამიანის ნებისმიერი მოქმედება მიზანმიმართულ საქმიანობას წარმოადგენს. ამდენად მისი მისწრაფება ყოველთვის მიმართულია რაიმე შედეგისაკენ, რომლის მიღწევა მის დაკმაყოფილებას იწვევს. ანუ ადამიანი შეიძლება მხოლოდ იმისთვის იღვწოდეს, რაც მისი საქმიანობის მიზანს წარმოადგენს. ასეთი საქმიანობა, სისხლის სამართლის თვალსაზრისით, შეიძლება მხოლოდ პირდაპირი განზრახვით განხორციელდეს. მაშასადამე, პირდაპირი განზრახვისას, მანამ სანამ შედეგი დადგება, შეიძლება ვიმსჯელოთ იმაზე, თუ რისი განხორციელება, რისი მიღწევა სურდა პირს ანუ რის მცდელობასთან გვაქვს საქმე. ასეთ დასკვნას კი, რა თქმა უნდა, ვერ გამოვიტანთ არაპირდაპირი განზრახვისას, სადაც დამდგარი შედეგი აბსოლუტურად განსხვავდება დამნაშავის მისწრაფებისაგან. ევენტუალური განზრახვისას დამდგარი შედეგი გათვალისწინებულია, როგორც თანამდევნი. პირდაპირი განზრახვისაგან განსხვავებით არაპირდაპირი განზრახვისას ჩადენილი ქმედების შეფასება სისხლისსამართლებრივი თვალსაზრისით ხდება მხოლოდ დამდგარი შედეგის მიხედვით, რად-

გან მანამდე შეუძლებელია ქმედების სწორი კვალიფიკაცია. მაგალითად თუ ა-ს სურს ხალხმრავალ ადგილას იარაღის უმისამართო სროლა, მაგრამ მას ამის საშუალება არ მისცეს, მაშინ არაპირდაპირი განზრახვით მცდელობის მომხრეებმა უნდა აღიარონ, რომ ამგვარი მოქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს კვალიფიციური მკვლელობის მომზადებად (შესაბამისი დამამძიმებელი გარემოებებით), რადგან დაუმთავრებელი დანაშაულის კვალიფიკაცია უმძიმესი დანაშაულის მიხედვით ხდება. ამასთან, ამას უნდა დაემატოს სხვა დანაშაულის მომზადებაც, იმისდა მიხედვით, თუ რომელ სამართლებრივ სიკეთეს შეუქმნა საფრთხე.⁷⁸

ისევე, როგორც ფსიქოლოგიურად შეუძლებელია გაუფრთხილებელი დანაშაულის მცდელობა, შეუძლებელია ასევე არაპირდაპირი განზრახვით იმის ცდა, რაც ადამიანის მოქმედების მიზანს არ წარმოადგენს. მიზანი მხოლოდ პირდაპირი განზრახვის შემადგენელი ნაწილია, ამიტომაც მცდელობა მხოლოდ პირდაპირი განზრახვით შეიძლება.

ბოლო ხანებში, ქართული სისხლის სამართლის მეცნიერებაში, ეს საკითხი მწვავე დისკუსიას იწვევს. როგორც უკვე ზემოთ წარმოვადგინეთ, არაპირდაპირი განზრახვით დანაშაულის მცდელობის შესაძლებლობის აქტიური მომხრეა პროფესორი მ. ტურავა, რომელიც ამ საკითხში ემხრობა გერმანულ და დასავლეთ ევროპაში ზოგიერთი მეცნიერის შეხედულებებს. მ.ტურავას მოსაზრებით, კვლავ გავიმეორებთ, არაპირდაპირი (ევენტუალური) განზრახვით დანაშაულის მცდელობა შესაძლებელია. ამით ის მხარს უჭერს გერმანიაში და დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებში არსებულ შე-

⁷⁸ნაჭყებია გ. სისხლის სამართალი. ზოგადი ნაწილი, თბ., 2006წ. გვ. 170

ხედულებას ამ ინსტიტუტისადმი. მაგალითად, მოჰყავს მსოფლიოში აღიარებული სისხლის სამართლის პროფესორების ჰანს-ჰაინრიხ იეჰკისა და თომას ვაიგენდის სახელმძღვანელობში მოცემული მითითება, რომ მცდელობის დასჯადობისათვის საკმარისია ევენტუალური განზრახვით მოქმედება, თუ ამ დანაშაულის განზრახვის ამ ფორმით ჩადენა შესაძლებელია. მერაბ ტურავა ეთანხმება ამ პოზიციას და წერს, რომ: „განზრახი დანაშაულის მცდელობისათვის ქმედების ევენტუალური განზრახვით ჩადენა საკმარისია და არ არის საჭირო პირდაპირი განზრახვის დადგენა. ევენტუალური განზრახვა ხომ ქმედებისა და შედეგის ნებელობაა. ვისაც დანაშაულის ჩადენის ნება აქვს და, ქმედების ობიექტურად განხორციელების მიუხედავად, შედეგს ვერ მიაღწია, განზრახვა ვერ აღასრულა, უნდა დაისაჯოს ამ დანაშაულის მცდელობის ჩადენისათვის“.⁷⁹

ქართველი მეცნიერ-იურისტების მიერ გამოთქმულ, კერძოდ კი, ოთარ გამყრელიძის პოზიციას ევენტუალური განზრახვით მცდელობის შეუძლებლობის შესახებ, მერაბ ტურავა, თეორიულად დასაბუთებულს უწოდებს, მაგრამ დოგმატურად და პრაგმატულად მიუღებლად მიიჩნევს. რაც შეეხება უშუალოდ 127-ე და 128-ე მუხლებს (რომელთა არსებობასაც, როგორც ზემოთ ვნახეთ ოთარ გამყრელიძე უკავშირებს, დანაშაულის მცდელობის ევენტუალური განზრახვით ჩადენის შეუძლებლობას), ტურავას აზრით, ეს მუხლები ისევე უნდა იყოს გაგებული, როგორც შვეიცარიაში (127-ე მუხლი, როგორც ტურავა აღნიშნავს, გოჩა მამულაშვილის

⁷⁹ტურავა მ. დანაშაულის მოძღვრება. თბ., 2011წ. გვ. 303

ნიგნზე მითითებით, ჯერ კიდევ თინათინ წერეთლის დროს, გადმოღებულ იქნა შევიცარიის სისხლის სამართლის კოდექსიდან), ანუ პირის სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში ჩაყენება უნდა მოხდეს პირდაპირი განზრახვით, მაგრამ შედეგის მიმართ არ უნდა არსებობდეს არც პირდაპირი და არც არაპირდაპირი განზრახვა, არამედ პირი უნდა ფიქრობდეს, რომ საშიშროებას შედეგი არ მოჰყვება. თუ პირი უშვებს მსხვერპლის სიკვდილს, მაგრამ შედეგი არ დადგა, მაშინ მისი ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს ევენტუალური განზრახვით ჩადენილი მკვლელობის მცდელობად, ხოლო თუ შედეგი დადგა - ევენტუალური განზრახვით ჩადენილ მკვლელობად. იგივე ინტერპრეტაცია უნდა გამოვიყენოთ 128-ე მუხლის მიმართაც.⁸⁰

კითხვაზე, თუ რომელი მუხლიდან გამომდინარეობს დანაშაულის მცდელობის ევენტუალური განზრახვით მცდელობის შესაძლებლობა, ტურავა პასუხობს: „სისხლის სამართლის კოდექსის მე-19 მუხლიდან, რადგან ეს მუხლი არ აკეთებს არავითარ შეზღუდვას იმასთან დაკავშირებით, რომ ევენტუალური განზრახვით მცდელობის ჩადენა არ შეიძლება. ქმედება დანაშაულის ჩასადენად უშუალოდ მიმართული კი, შეიძლება იყოს განზრახვის ორივე ფორმის დროს, რადგან პირს ორივე შემთხვევაში აქვს ქმედებისა და შედეგის ნებელობა“.⁸¹

აქედან გამომდინარე, ტურავა არასწორად მიიჩნევს თინათინ წერეთლის და ოთარ გამყრელიძის მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს, რომ სსკ მე-19 მუხლში მოცემული სიტ-

⁸⁰ ტურავა მ. სისხლის სამართალი. კომენტარები. თბ., 2010 წ. გვ. 132

⁸¹ ტურავა მ. სისხლის სამართალი. კომენტარები. თბ., 2010 წ. გვ. 304

ყვები– „უშუალოდ მიმართული“, მხოლოდ პირდაპირ განზრახვაზე მიუთითებს. ქმედების მიმართვის დროს პირდაპირ განზრახვასა და ევენტუალურ განზრახვას შორის განსხვავება არ არსებობს, ორივე შემთხვევაში ქმედება და შედეგი არის ნებელობითი და საშიში შედეგის დადგომის რისკის მდგომარეობაში უშუალოდ მიმართულია ქმედების შემადგენლობის განხორციელებისაკენ.

მაშასადამე, როგორც მ. ტურავა აღნიშნავს ევენტუალური განზრახვით მცდელობის შესაძლებლობის დადგენაში პრობლემა არ არსებობს იმის გამო, რომ ქმედებასა და შედეგისადმი პირის ნებისმიერი ნებელობითი დამოკიდებულება საკმარისია მცდელობის დასადგენად. როგორც პირდაპირი ისე ევენტუალური განზრახვისას, პირს ასეთი ნებელობა ნამდვილად გააჩნია.

მ.ტურავას აზრს ემხრობა თ.ებრალიძეც. მისი აზრით, კონკრეტიზირებული და არაკონკრეტიზირებული შეიძლება იყოს არა მხოლოდ პირდაპირი, არამედ არაპირდაპირი განზრახვაც. არაპირდაპირი განზრახვის დროს დამნაშავეს საერთოდ არ სურს დაზარალებულის ჯანმრთელობის დაზიანება, თუმცა ითვალისწინებს ასეთი შედეგის დადგომის შესაძლებლობას და შეგნებულად უშვებს ან გულგრილად ეკიდება მას. ამ დროს დამნაშავე შეიძლება ითვალისწინებდეს, თუ კონკრეტულად რა სიმძიმის დაზიანება შეიძლება მოჰყვეს მის მოქმედებას - მძიმე, ნაკლებად მძიმე თუ მსუბუქი (კონკრეტიზირებული განზრახვა) ან ითვალისწინებდეს მხოლოდ იმას, რომ მის მოქმედებას საერთოდ მოჰყვება ჯანმრთელობის დაზიანება (არაკონკრეტიზირებული განზრახვა). უკანასკნელ შემთხვევაში პასუხისმგებლობა დგება ფაქტიურად მიყენებული ზიანის მიხედვით.

რაც შეეხება კონკრეტიზირებულ ევენტუალურ განზრახვას, ამ დროს პასუხისმგებლობის საკითხი უნდა გადაწყდეს იმის მიხედვით, თუ რა სიმძიმის დაზიანებას ითვალისწინებდა დამნაშავე დაზარალებულის ჯანმრთელობისათვის. თუ დამნაშავეს გაცნობიერებული ჰქონდა დაზარალებულის ჯანმრთელობის მძიმე დაზიანების შესაძლებლობა და შეგნებულად უშვებდა ასეთი შედეგის დადგომას, მაგრამ მისმა მოქმედებამ ნაკლებად მძიმე ან მსუბუქი დაზიანება გამოიწვია, იგი პასუხს აგებს ჯანმრთელობის მძიმე დაზიანების მცდელობისათვის.

ამგვარი კვალიფიკაცია ეფუძნება ევენტუალური განზრახვით მცდელობის შესაძლებლობის აღიარებას. ქართულ სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში გამოთქმული თვალსაზრისის თანახმად, ახალი სისხლის სამართლის კოდექსით მცდელობა შესაძლებელია არა მხოლოდ პირდაპირი, არამედ არაპირდაპირი განზრახვით ჩადენილ დელიქტებშიც.

ჯანმრთელობის დაზიანების შემადგენლობებში შესაძლოა ადგილი ჰქონდეს პირდაპირი და არაპირდაპირი განზრახვის კომბინაციას, რაც გამოიხატება დანაშაულის შედეგისადმი დამნაშავეს სხვადასხვაგვარი დამოკიდებულებით. მაგალითად, დამნაშავეს სურს დაზარალებულის მსუბუქი ან ნაკლებად მძიმე დაზიანება, მაგრამ გაცნობიერებული აქვს, რომ მის მოქმედებას შესაძლოა ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება მოჰყვეს და შეგნებულად უშვებს ასეთი შედეგის დადგომას. აქაც ადგილი აქვს არაკონკრეტიზირებულ განზრახვას.⁸²

არაკონკრეტიზირებული განზრახვის დროს კი, როგორც აღნიშნული იყო, პასუხისმგებლობა დამდგარი შედე-

⁸² სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი. თბ., 2002 წ. გვ. 108

გის მიხედვით უნდა დადგეს. 1999 წლის 1 იანვარს, არაფხი-ზელ მდგომარეობაში მყოფმა ს. გ-იანმა ურთიერთშელაპა-რაკებისა და ჩხუბის დროს დანა დაარტყა მეუღლეს - ხ. ჩ-იანს. ამ მოქმედების შედეგად ხ. ჩ-იანმა მიიღო სიცოცხლი-სათვის სახიფათო მძიმე ხარისხის დაზიანება, რის შედეგა-დაც იგი გარდაიცვალა. ს. გ-იანს მსჯავრი დაედო სსკ-ის 105-ე მუხლით (108-ე მუხლი ახალის რედაქციით) - ევენტუა-ლური განზრახვით მკვლელობისათვის.

საკასაციო პალატის განჩინებაში ნათქვამია: დანის მოქმედების დროს ს. გ-იანს არ ჰქონდა მეუღლის მოკვლის პირდაპირი განზრახვა, რაც იქიდან ჩანს, რომ მან დანა მო-უქნია არა სიცოცხლისათვის მნიშვნელოვან ორგანოში, არა-მედ ფეხში. გარდა ამისა, ს. გ-იანმა დანაშაულებრივი ქმედე-ბა დანის განმეორებითი დარტყმის გზით არ გააგრძელა... პალატა აკონკრეტებს სააპელაციო პალატის მიერ გაკეთე-ბულ სამართლებრივ შეფასებას და თვლის, რომ ს. გ-იანი მოქმედებდა ალტერნატიული განზრახვით, რაც იმაში გამო-იხატა, რომ მისი ევენტუალური განზრახვა ალტერნატიუ-ლად მიმართული იყო როგორც სხეულის დაზიანების, ასევე სიცოცხლის მოსპობისაკენ, რაც გამორიცხავს ქმედების სსკ-ის 108-ე მუხლით დაკვალიფიცირებას (გაუფრთხილებ-ლობითი მკვლელობა, ძველი რედაქციით).

როგორც აღნიშნული იყო, სისხლისსამართლებრივ ლი-ტერატურასა და სასამართლო პრაქტიკაში დღემდე გაბატო-ნებული შეხედულების თანახმად, მცდელობა ევენტუალური განზრახვით შეუძლებელია. ბოლო წლებში უზენაესი სასა-მართლოს პრაქტიკაში დაიწყო დამკვიდრება საწინააღმდე-გო თვალსაზრისმა. ამ მხრივ საინტერესოა უზენაესი სასა-

მართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2000 წლის 1 მარტის განჩინება ზ.ნ-შვილის საქმეზე.

1997 წლის 10 ივნისს, ზ.ნ-შვილი მივიდა თბილისში, მოსაშვილის ქუჩაზე მდებარე კაფე-ბარ „პი-ჯი-ეს“-თან, სადაც იმყოფებოდნენ მისი ნაცნობი ი.ზ-ძე და მისი მეგობრები. აქ მან ჩაიდინა ბოროტი ხულიგნური მოქმედება. ი.ზ-ძეზე განაწყენებულმა ზ.ნ-შვილმა განიზრახა მისი მოკვლა და წავიდა მის მიერ უკანონოდ შეძენილი ცეცხლსასროლი იარაღის მოსატანად. დაახლოებით 10 წუთში იგი დაბრუნდა შემთხვევის ადგილზე ცეცხლსასროლი პისტოლეტით შეიარაღებული და მიუახლოვდა ავტომანქანას, რომელშიც ისხდნენ ი.ზ-ძე, დ.წ-ია და ბ.ა-შვილი. ზ.ნ-შვილმა ი.ზ-ძის მოკვლის განზრახვით, მანქანის მიმართულებით მრავალჯერ გაისროლა პისტოლეტიდან, რითაც შეგნებულად დაუშვა აგრეთვე მანქანაში მჯდომი დ.წ-იასა და ბ.ა-შვილის განზრახ მკვლელობის შესაძლებლობა.

ზ.ნ-შვილის სროლის შედეგად ი.ზ-ძემ და დ.წ-იამ მიიღეს სიცოცხლისათვის სახიფათო მძიმე ხარისხის დაზიანება. ისინი დროული სამედიცინო დახმარებით გადაურჩნენ სიკვდილს.

1997 წლის 19 ოქტომბერს, ზ.ნ-შვილი თბილისში, სასტუმრო „ივერია“, საბანკეტო დარბაზში, მთვრალი დაუპატიჟებლად მივიდა ქორწილში. იგი გვერდით დაუჯდა მეჯვარეს ი.ზ-ძის მეგობარს გ.გ-ძეს და საუბარი დაუწყო ი.ზ-ძის დაქრასთან დაკავშირებით. საუბარი კამათში გადაიზარდა. მათ კამათში ჩაერივნენ გ.გ-ძის მეგობრები ზ.გ-ძე და სხვები, რომლებმაც ზ.ნ-შვილს სთხოვეს შეეწყვიტა გ.გ-ძესთან კამათი. ამით განაწყენებულმა ზ.ნ-შვილმა, ნაცვლად კამათის შეწყვეტისა, გამოიჩინა საზოგადოებისადმი აშკარა უპატივ-

ცემულობა და ჩაიდინა ხულიგნური მოქმედება. გ.გ-ემ, ზ.გ-ემ და სხვებმა აღკვეთეს მისი ხულიგნური მოქმედება და ძალის გამოყენებით გააძევეს ქორწილიდან. გაბრაზებული ზ.ნ-შვილი წავიდა, რათა მოეტანა პისტოლეტი მის მონინა-აღმდეგეთა მოსაკლავად.

10-15 წუთში იგი დაბრუნდა ქორწილში, გამოალო საბანკეტო დარბაზში შესასვლელი კარები და პისტოლეტიდან მოახდინა მრავალჯერადი გასროლა ნეფე-დედოფლის სუფრის წინ საცეკვაო მოედანთან მდგარი ზ.გ-ძისა და გ.გ-ძის მიმართულებით. ზ.ნ-შვილის მიერ გასროლილი ტყვიებიდან ორი მოხვდა გ.პ-შვილს, რის შედეგადაც იგი გარდაიცვალა. ერთი ტყვია მოხვდა ზ.გ-ძეს, რომელმაც მიიღო სიცოცხლისათვის სახიფათო მძიმე ხარისხის დაზიანება, მაგრამ ექიმების დახმარებით გადაურჩა სიკვდილს. ერთ-ერთი ტყვია მოხვდა კ.ბ-ძეს, რომელმაც მიიღო მსუბუქი ხარისხის დაზიანება. შემთხვევის ადგილიდან გაქცეული ზ.ნ-შვილი რესპუბლიკის მოედანზე ჩაჯდა „მიცუბიშის“ მარკის ავტომანქანაში, რომლის მძღოლს ბ.კ-ძეს დაემუქრა მოკვლით და აიძულა მიეყვანა იგი სამტრედიის ქუჩაზე, სადაც გადმოვიდა ტაქსიდან და მიიმალა. ზ.ნ-შვილი დააკავეს ქ. ბათუმში 1999 წლის 8 აპრილს. მისი ნაქირავები ბინის ჩხრეკისას ამოღებული იქნა პისტოლეტი და საბრძოლო ვაზნები, ნარკოტიკული ნივთიერებები, აგრეთვე ორი ყალბი პასპორტი სხვა პირთა სახელზე, ზ.ნ-შვილის სურათებით.

I ინსტანციის სასამართლოს განაჩენით ზ.ნ-შვილს მსჯავრი დაედო სსკ-ის რამდენიმე მუხლით, მათ შორის მკვლელობის მცდელობისათვის. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ განიხილა

მსჯავრდებულის ინტერესების დამცველი ადვოკატების საკასაციო საჩივრები და განაჩენი ზ.ნ-შვილის მიმართ უცვლელად დატოვა. პალატის განჩინებაში ვკითხულობთ: „საკასაციო საჩივარში მსჯავრდებულის ინტერესების დამცველმა ადვოკატებმა გამოთქვეს აზრი იმის შესახებ, რომ ზ.ნ-შვილს თუნდაც მოეხდინა მოსაშვილის ქუჩაზე ცეცხლსასროლი იარაღიდან მანქანის მიმართულებით გასროლები, იგი არ მოქმედებდა მკვლელობის პირდაპირი განზრახვით, ხოლო თუ დავუშვებთ სასიკვდილო შედეგისადმი მსჯავრდებულის ევენტუალურ განზრახვას, მათი პოზიციით, იმ შემთხვევაში, როცა პირი უშვებს თავისი ქმედებით სიკვდილის შესაძლებლობას, მაგრამ შედეგი არ დგება, ქმედება უნდა შეფასდეს დამდგარი შედეგის მიხედვით და არა განზრახვი მკვლელობის მცდელობად, ვინაიდან მცდელობა მხოლოდ პირდაპირი განზრახვით ჩადენილ ქმედებებში არის შესაძლებელი“.

ამასთან დაკავშირებით საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ „მკვლელობის ევენტუალური განზრახვის შემთხვევაში, როცა სასიკვდილო შედეგი არ დგება, პირის ქმედების ევენტუალური განზრახვით ჩადენილი მკვლელობის მცდელობად კვალიფიკაცია არ ეწინააღმდეგება დღეს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის დებულებებს. ამდენად, პალატა თვლის, რომ განზრახვი მკვლელობის მცდელობად ქმედების კვალიფიკაციისათვის აუცილებელი არ არის პირდაპირი განზრახვის არსებობის დამტკიცება, არამედ სავსებით საკმარისია ევენტუალური განზრახვის არსებობის დადგენა“.

სასამართლო პრაქტიკის გაცნობამ გვიჩვენა: როდესაც მძიმედ დაზიანებულია სიცოცხლისათვის მნიშვნელოვანი ორგანო, ხშირ შემთხვევაში დამნაშავეს არა აქვს დაზარალებულის მოკვლის პირდაპირი განზრახვა, მაგრამ უშვებს

სასიკვდილო შედეგის დადგომის შესაძლებლობას. ე. ი. მოქმედებს ევენტუალური განზრახვით. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ თუ სასიკვდილო შედეგი არ დადგა, დამნაშავე როგორც წესი აცხადებს, რომ არ სურდა დაზარალებულის მოკვლა. საწინააღმდეგოს მტკიცება კი ხშირად ძნელია, რადგან სიცოცხლისათვის სახიფათო დაზიანება დამახასიათებელია ჯანმრთელობის მძიმე დაზიანების შემადგენლობისთვისაც. ასეთ შემთხვევაში ქმედების კვალიფიკაცია დამდგარი შედეგის მიხედვით ხშირად დამნაშავისათვის ზედმეტად მსუბუქი სასჯელის შეფარდებას იწვევს.⁸³

ევენტუალური განზრახვით მცდელობის კონცეფციის მომხრეთა აზრით, მოცემულ შემთხვევაში ადგილი აქვს პირდაპირი და არაპირდაპირი განზრახვის კომბინაციას. დამნაშავეს სურდა დაზარალებულისათვის ჯანმრთელობის მძიმე დაზიანების მიყენება, მაგრამ ითვალისწინებდა, რომ მის მოქმედებას შესაძლოა შედეგად მოჰყვეს დაზარალებულის სიკვდილი და შეგნებულად უშვებდა ამ შედეგის დადგომას.

პირი, რომელიც ღამის პირველ საათზე, 20 მეტრის მანძილიდან ორჯერ ისვრის მისკენ ჩქარი ნაბიჯებით მიმავალი ადამიანის მიმართულებით, შეუძლებელია არ ითვალისწინებდეს, რომ შესაძლოა სიბნელეში ვერ მოზომოს და გასროლას სასიკვდილო შედეგი მოჰყვეს.

როგორც აღნიშნავს თ.ებრალიძე, დამნაშავე ითვალისწინებდა ასეთ შედეგს და უშვებდა მისი დადგომის შესაძლებლობას. ე. ი. მოქმედებდა ევენტუალური განზრახვით.

⁸³სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი. თბ., 2002 წ. გვ. 120 -123

მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ სროლის შემდეგ ს-შვილს ეკისრებოდა დაზარალებულზე ზრუნვის სპეციალური სამართლებრივი მოვალეობა. მან თავისი მოქმედებით სასიკვდილო შედეგის დადგომის საფრთხე შექმნა. ამიტომ ვალდებული იყო მიეღო ზომები ამ საფრთხის თავიდან ასაცილებლად. მიუხედავად იმისა, რომ იგი ხედავდა მ-ძესთან არავინ არ იყო, მიატოვა ქუჩაში დაჭრილი, სწრაფად ჩაჯდა მანქანაში და გაშორდა იქაურობას. ე. ი. არ შეასრულა მისი, როგორც სამართლებრივი გარანტიის ფუნქცია. სროლის ხმა გაიგონა მ-ძის მეგობარმა მ-იანმა, რომელიც ცოტა ხნის წინათ დაშორდა მას, მობრუნდა და მძიმედ დაჭრილს აღმოუჩინა დახმარება.

სასამართლომ ს-შვილს შეუფარდა თავისუფლების აღკვეთა ორი წლის ვადით, საერთო რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში სასჯელის მოხდით. ჩემი აზრით, აღნიშნავს თ. ებრალიძე, შეფარდებული სასჯელი არ შეესაბამება ს-შვილის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს. სასჯელი გაცილებით მკაცრი იქნებოდა, რომ მას პასუხი ეგო მკვლევლობის მცდელობისათვის.

ევენტუალური განზრახვით მცდელობის გამორიცხვამ დამნაშავე პირის მსუბუქად დასჯა გამოიწვია. ევენტუალური განზრახვით მკვლევლობის დროს, როცა სასიკვდილო შედეგი არ დგება, ქმედების ევენტუალური განზრახვით ჩადენილი მკვლევლობის მცდელობად კვალიფიკაცია არ ეწინააღმდეგება დღეს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის დებულებებს. განზრახ მკვლევლობის მცდელობად ქმედების კვალიფიკაციისათვის აუცილებელი არ არის პირდაპირი განზრახვის არსებობა.⁸⁴

⁸⁴ სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი. თბ., 2002 წ. გვ. 200

უცხოურ სისხლის სამართლის მეცნიერებაში ისევე, როგორც ქართულში მწვავე დისკუსიაა გამართული დანაშაულის მცდელობის ევენტუალური განზრახვით შესაძლებლობის შესახებ. ამ კონსტრუქციის მონინალმდეგეთა აზრი ასევე გამომდინარეობს იქიდან, რომ, რადგან მცდელობა არის დანაშაულებრივი განზრახვის განხორციელების დაწყება, ასეთი ზრახვა არ ახასიათებს არაპირდაპირ განზრახვას, ანუ შეიძლება ეცადო იმას, რაც გსურს, ევენტუალური განზრახვისას კი არ არსებობს შედეგის განხორციელების სურვილი. ასევე უცხოურ ლიტერატურაში ვკითხულობთ, რომ მცდელობის კონსტრუქცია არაპირდაპირი განზრახვით ენინალმდეგება მოქმედ კანონმდებლობაში მოცემული დანაშაულის მცდელობის ცნების განმარტებას, რომლის მიხედვითაც ეს სტადია არის ქმედება უშუალოდ მიმართული დანაშაულის ჩასადენად. არაპირდაპირი განზრახვისას პირი უშვებს სხვადასხვა შედეგების დადგომის შესაძლებლობას, არ არსებობს საფუძველი ამ შედეგებიდან უფრო მძიმე ავარჩიოთ და წავუყენოთ ის პირს ბრალად.⁸⁵ პოლონურ სისხლისსამართლის ლიტერატურაში გამოითქვა მოსაზრება, რომ თუ ვალიარებთ ევენტუალური განზრახვით მცდელობას, მაშინ ყოველ აბორტში უნდა დავინახოთ მკვლევლობის მცდელობა.⁸⁶ პოლონელი მეცნიერი ვ. ბუგაისკი წერს: თუ დამნაშავე აცნობიერებდა, რომ მის ქმედებას, რომელიც ჩადენილი იყო სხვა მიზნით, მოჰყვება საზოგადოებრივად მავნე შედეგი, არ შეიძლება დავიყვანოთ მხოლოდ იქამ-

⁸⁵ Таганцев Н. С. Русское уголовное право. Часть общая, т. 1, изд. 2-е. СПб., 1902, стр. 702; Кудрявцев В. Квалифицировать преступление в строгом соответствии с законом.— «Советская юстиция», 1963, № 13, стр. 7;

⁸⁶ Mogilnicki . Zornik wynikowy i usilowanie.— «Prawo i prawo», 1948, № 1, s. 70.

დე, სურდა მას ეს შედეგი თუ არ სურდა. შედეგი, რომელიც შეიძლება მოჰყვეს სოციალურად სახიფათო ქმედებას, სასურველია ის თუ არა, ბუგაისკის აზრით, არის მხოლოდ „გარეგანი ელფერი“.⁸⁷

დანაშაულის მცდელობის ევენტუალური განზრახვით ჩადენის კონცეფციის მომხრეები კი აყენებენ სრულიად სანინალმდეგო არგუმენტებს: უსაფუძვლო არ არის, რომ კანონი პირდაპირი თუ არაპირდაპირი განზრახვით ჩადენილ დანაშაულებს არ განასხვავებს. სადავო აზრს კი მივყავართ განზრახვის ერთიანი ცნების გახლეჩისაკენ. უნდა ვაღიაროთ, ამ თეორიას რომ გავყვეთ, თუ განზრახვისას შედეგი დადგა არანაირი მნიშვნელობა არა აქვს განზრახვის ფორმას, მაგრამ თუ შედეგი არ დადგა, მაშინ იწყება დიფერენციაცია, რომელიც ენინალმდეგება განზრახვის ერთიანობას. ის, რომ კანონი არ ანსხვავებს დანაშაულებს განზრახვის ფორმით, ცხადყოფს მათ ერთნაირ საფრთხეს, მიუხედავად ქმედებისადმი ფსიქიკური დამოკიდებულების ზოგიერთი თავისებურებისა. თუ პირდაპირი განზრახვით და ევენტუალური განზრახვით მოქმედი პირები ერთნაირად აგებენ პასუხს თავიანთი შეგნებული ქმედებების შედეგისათვის, შესაბამისად, ერთნაირი უნდა იყოს პასუხისმგებლობა შეგნებული ქმედებისათვის, რომელთაც შემთხვევით ვერ გამოიწვიეს შედეგები.⁸⁸

ამ კონცეფციის მომხრეები ასევე აღნიშნავენ, რომ სადავო საკითხი არღვევს განზრახვის ორივე ფორმის ერთნაირი საფრთხის პრინციპს, რასაც მივყავართ იმისკენ, რომ და-

⁸⁷Bugajski W. Zamiar ewentualny i usitowanie.— «Nowe prawo», 1961, № 1, s. 30.

⁸⁸Sliwinski S. Polskie prawo karne materjalne. Warszawa, 1946, s. 302

ნაშაულის საფრთხე ჩადენილი ევენტუალური განზრახვით (თუ ამასთან შედეგი არ დადგა) ხდება განსხვავებული და უფრო მცირე. ჯერ კიდევ რევოლუციამდელი პროფესორი ე.ნემიროვსკი წერდა: „სუბიექტის დანაშაულებრივი განწყობა, რომელიც ახასიათებს ამ განზრახვას არ იცვლება იმის გამო, რომ არ დადგა შედეგი, რომელსაც ითვალისწინებდა მოქმედი, როგორც შესაძლებელს და რომელზე წარმოდგენამაც უარი არ ათქმევინა ქმედებაზე. ზოოპარკის თანამშრომელმა, რომელსაც უნდოდა მეპატრონის განზილება, გალიიდან გამოუშვა ვეფხვი ისეთ პირობებში, როდესაც ცხოველს ადვილად შეეძლო ზოოპარკის თანამშრომლის ან დამთვალეირებლის ვნება (თავდასხმის შედეგად მოკვლა), ასეთ შემთხვევაში პირმა პასუხი უნდა აგოს მკვლელობის მცდელობისათვის, თუ ვეფხვი მოკლეს მანამ სანამ ის ვინმეს იმსხვერპლებდა“.⁸⁹

საბჭოთა პერიოდში ამ კონცეფციას მხარს უჭერდა რუსი მეცნიერი პ.დაგელი. მისი აზრით, არაპირდაპირი განზრახვით მცდელობის კონცეფცია არ ეწინააღმდეგება კანონში მოცემული დანაშაულის მცდელობის ფორმულირებას. სისხლის სამართლის საფუძვლების მე-15 მუხლი ამბობდა „ქმედების მიმართვაზე“ და არა სუბიექტის სურვილზე რეალურად შეექმნა დამდგარი შედეგი. ფორმულირება „ქმედება უშუალოდ მიმართული დანაშაულის ჩასადენად“ ახასიათებს ობიექტურ მიმართვას ამ ქმედებისა ობიექტისათვის ზიანის მისაყენებლად. ამას ადასტურებს სიტყვა „განზრახი“ დასმული სიტყვა „ქმედების“ წინ, რომელიც ზღუდავს მცდე-

⁸⁹ Немировский Э. Основные начала уголовного права. Одесса, 1917г. стр. 574.

ლობის ცნებას განზრახი დანაშაულების სფეროთი, და არა მხოლოდ პირდაპირი განზრახვის დანაშაულთა წილით. თუ სიტყვები „ქმედება უშუალოდ მიმართული“ გულისხმობს მხოლოდ პირდაპირ განზრახვას, მაშინ სიტყვა „განზრახი“ იქნებოდა ზედმეტი. ქმედება ჩადენილი ევენტუალური განზრახვით დანაშაულებრივი შედეგის მიმართებაში, ასევე უშუალოდ მიმართულია დანაშაულის ჩასადენად.⁹⁰

ამ კონცეფციის კიდევ ერთი წარმომადგენელი ბ.უტევესკი აღნიშნავდა, არანაირი საფუძველი არ გვაქვს ვამტკიცოთ ის, რომ, ვინც ითვალისწინებდა მრავალნაირი დანაშაულებრივი შედეგის დადგომის შესაძლებლობას (მათ შორის მძიმეს) და არ სურდა არცერთი მათგანი, მაგრამ მაინც მოქმედებდა მათი დადგომის კონკრეტული შესაძლებლობის შეგნებით, სოციალურად უფრო ნაკლებად საშიშია, ვიდრე ის, ვინც ითვალისწინებდა ერთ შედეგს და სურდა ის. სუბიექტი, რომელიც მოქმედებდა არაპირდაპირი განზრახვით არათუ ნაკლებად საშიშია, არამედ მეტ საფრთხესაც შეიცავს, ვიდრე პირდაპირი განზრახვით მოქმედი.

მისი აზრით, „პირი, რომელიც მოქმედებს ევენტუალური განზრახვით სახელმწიფოს და სხვა პირთა ინტერესებს უფრო მეტად წირავს, ვიდრე პირი, რომელიც მოქმედებს პირდაპირი განზრახვით.“ და თუ არაპირდაპირი განზრახვისას დამნაშავე შესაძლო შედეგთა შორის ითვალისწინებს მძიმე შედეგსაც, არსებობს ყველა საფუძველი ამ შედეგის მისთვის ბრალად შერაცხვისათვის. მსჯელობა ამის შესახებ შესაძლებელია ქმედების ხასიათის და ვითარების მიხედვით,

⁹⁰ Дурманов Н. Д. Понятие преступления. М.-Л. 1948г. стр. 53.

რომლის დროსაც ის იყო ჩადენილი, ასევე დამნაშავის თვალსაზრისიდან გამომდინარე, რამდენად ჰქონდა მას შეგნებული რა შედეგები მოჰყვებოდა მის ქმედებას. თუ ფაქტობრივად დადგა უფრო ნაკლები სიმძიმის შედეგი, ვიდრე შეიძლება დამდგარიყო, პირმა პასუხი უნდა აგოს უფრო მძიმე შედეგის დადგომის მცდელობისათვის, რადგან ის ითვალისწინებდა მათი დადგომის შესაძლებლობას. ასე მაგალითად, ა-ს მოქმედება, რომელიც გამოიხატა იმაში, რომ მან ხულიგნური ქვენაგრძნობით ავტომატის რამდენიმე ჯერით დაჭრა მოქალაქე რ. მუცელში და ხელში, რითაც მიაყენა მას სხეულის მძიმე დაზიანება, უნდა დაკვალიფიცირებულიყო, როგორც მკვლელობის მცდელობა და არა, როგორც ჯანმრთელობისთვის განზრახ მძიმე დაზიანების მიყენება, როგორც ეს დანაშაული დააკვალიფიცირა სსრკ-ს უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ.⁹¹

თანამდეროვე რუსი მეცნიერებიდან განსახილველ კონცეფციას მხარს უჭერს ი.გორელიკი. ის ხაზს უსვამს, რომ ევენტუალური განზრახვით მცდელობის აღიარებას ექნება ძალიან დიდი გამაფრთხილებელ-აღმზრდელობითი მნიშვნელობა. არაპირდაპირი განზრახვით მოქმედი პირის შეგნება იმის შესახებ, რომ ის დაისჯება ყველაზე მძიმე შედეგისთვის, რომელიც შეიძლება დამდგარიყო მისი ქმედების შედეგად, მაგრამ შემთხვევით არ დადგა, შეიძლება თავი შეაკავებინოს მას საზოგადოებრივად საშიში საქციელისაგან. გორელიკი ასევე აღნიშნავს, რომ ევენტუალური განზრახვით მცდელობის აღიარება, ყოველი კრიმინალური აბორტის დროს ყოველთვის ნიშნავდეს იქნება მკვლელობის

⁹¹ Утевский С. Вина в советском уголовном праве. М. 1950г. стр. 258.

მცდელობას. ექიმს, რომელიც აკეთებს უკანონო აბორტს, შეგნებული აქვს სიკვდილის ან სხეულის მძიმე დაზიანების მიყენების საფრთხე, მაგრამ ეს შეგნება in abstracto არის და არა in concrete. ექიმი ეყრდნობა რა თავის გამოცდილებას და ცოდნას, იმედოვნებს, რომ მის მიერ მიღებულ გამაფრთხილებელ ზომათა გამო მავნე შედეგები არ დადგება. ამიტომ საუბარი შეიძლება გვექონდეს მხოლოდ გაუფრთხილებლობაზე თვითიმედოვნებით. ხოლო პირი, რომელსაც არ გააჩნია სპეციალური სამედიცინო განათლება, უფიცობის გამო ვერ აცნობიერებს აბორტის მთელ საშიშროებას, ქალის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის, და თუ აცნობიერებს, იგივე მიზეზით ეყრდნობა თავის ცოდნას და გამოცდილებას. ამ შემხვევაშიც შეგვიძლია ვისაუბროთ გაუფრთხილებლობაზე დანაშაულებრივი თვითიმედოვნებით ან დაუდევრობით. აქედან გამომდინარე, უკანონო აბორტს აკეთებს კვალიფიციური ექიმი თუ სხვა პირი, რომელსაც არა აქვს სპეციალური სამედიცინო ცოდნა, შესაძლო შედეგისადმი დამოკიდებულება, სიკვდილი იქნება ეს თუ სხეულის დაზიანება, ორივეს ერთნაირი აქვს - გაუფრთხილებლობა. თუ რომელიმე შემთხვევაში სიკვდილის ან სხეულის დაზიანების მიმართ დადგენილი იქნება ევენტუალური განზრახვა, პირმა პასუხი უნდა აგოს მკვლევლობის ან სხეულის დაზიანების მცდელობისათვის. ნებისმიერ შემთხვევაში უკანონო აბორტისათვის დამახასიათებელია დასახელებული შედეგების შესაძლებლობის მიმართ არა არაპირდაპირი განზრახვა, არამედ გაუფრთხილებლობა.⁹²

⁹² Горелик И.И. Квалификация преступлений, опасных для жизни и здоровья. М. 1973, с. 52-53

საბჭოთა პერიოდის გამოჩენილი მენიერები მ.ისაევი და ა.პიონტკოვსკი დანაშაულის ევენტუალური განზრახვით მცდელობის კონცეფციის სანინალმდეგოდ მიუთითებდნენ ასეთი მცდელობის არსებობის დამტკიცების სირთულეს.⁹³ გორელიკი მათი მოსაზრების სანინალმდეგოდ წერდა, რომ ასეთი სირთულეები საერთოდ ახასიათებს მცდელობის შემთხვევებს, მიუხედავად იმისა, განზრახვის როგორ ფორმასთან გვაქვს საქმე. ამგვარად, ევენტუალური განზრახვის დროს დამდგარი შედეგის მიმართ გვაქვს *de lege ferenda* სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინალმდეგ მიმართული დანაშაულის მცდელობა. ხოლო დამდგარი შედეგისადმი გაუფრთხილებლობის დროს გვექნება განსაცდელში მიტოვება.⁹⁴

საბჭოთა პერიოდში დანაშაულის მცდელობის ევენტუალური განზრახვით ჩადენის უარყოფა ოფიციალურად დადასტურებული იყო სსრკ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1963 წლის 3 ივნისის N9 დადგენილებით „განზრახ მკვლელობის საქმეებზე სასამართლო პრაქტიკაში წარმოშობილი ზოგიერთი საკითხის შესახებ“, რომელშიც ნათქვამია, რომ „სისხლის სამართლის საფუძვლების მე-15 მუხლის შესაბამისად ... დამნაშავის ქმედება შეიძლება მიჩნეულ იქნას მკვლელობის მცდელობად მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც ის უშუალოდ იყო მიმართული სხვისი სიცოცხლის მოსასპობად, ანუ ჩადენილი იყო პირდაპირი განზრახვით“.⁹⁵

⁹³Исаев М. М., Пионтковский А. А. Вопросы уголовного права, военно-уголовного права и уголовного процесса в судебной практике Верховного Суда Союза ССР. М. 1947, с. 39.

⁹⁴Горелик И.И. Квалификация преступлений, опасных для жизни и здоровья. М. 1973, с. 53

⁹⁵Сборник постановлений Пленума -Верховного Суда СССР, 1924—1970. М. 1970, с. 448—449.

თუმცა ეს განმარტება ეხებოდა მხოლოდ ერთ დანაშაულს, ის ფაქტობრივად, პრაქტიკის და უმეტესობა ავტორების მიერ მიჩნეული იყო საერთო დებულებად.

განვიხილოთ, ევენტუალური განზრახვით მცდელობის შესაძლებლობის კონცეფციის მომხრეები, ცნობილი კაზუსების როგორ ინტერპრეტირებას აკეთებენ. გ-მ იმყოფებოდა რა ნასვამ მდგომარეობაში, გავიდა აივანზე და გახსნა ცეცხლი საპირისპირო მხარეს მდგომი საცხოვრებელი კორპუსის ფანჯრისაკენ. ბოროტმოქმედი იმდენად ხანგრძლივი დროის განმავლობაში ისროდა, რომ გამოძახებაზე მოსვლა მოასწრო მილიციამ. ერთმა ტყვიამ ოპერთანამშრომლის საფეთქელთან სანტიმეტრში გაიარა. მოვიყვანოთ კიდევ ორი მაგალითი, ვ. უმიზეზოდ ერჩოდა მ-ს, კრავდა მას ხელს, მოიხსენიებდა უცენზურო სიტყვებით, ბოლოს კი გადაადგო ხიდიდან. დაზარალებული აღმოჩნდა შუაწყალში, ნაპირიდან რვა მეტრის დაშორებით და მხოლოდ სხვისი დახმარებით შეძლო ნაპირზე გამოსვლა. კ-მ ა-ს თან ადრე მომხდარი შელაპარაკების ნიადაგზე, იმყოფებოდა რა ქუჩის მეორე მხარეს, დამიზნების გარეშე ესროლა მას და მიაყენა სხეულის მძიმე დაზიანება.

განსახილველი კონცეფციის მონინალმდეგეები მიდიან იმ დასკვნამდე, რომ კ-მ პასუხი უნდა აგოს სხეულის მძიმე დაზიანების მიყენებისათვის. გ-მ და ვ-მ ხულიგნობისათვის. კონცეფციის მომხრეთა აზრით, შედეგის არარსებობა ორ პირველ შემთხვევაში და სხეულის მძიმე დაზიანების და არა სიკვდილის დადგომა, ბოლო მაგალითში - აბსოლუტური შემთხვევითობაა. შემთხვევითმა გარემოებამ განაპირობა მოცემული კვალიფიკაცია და არა დამნაშავის ქმედების ხასიათმა და გან-

ზრახვის შინაარსმა. ევენტუალური განზრახვით მცდელობის აღიარება მოგვცემდა საშუალებას ყველა შემთხვევა მკვლელობის მცდელობად დაგვეკვალიფიცირებინა, რაც შესაბამისობაში იქნებოდა ქმედების საშიშროებასთან. არაღიარებას კი, როგორც ვხედავთ, მივყავართ სოციალური საფრთხის სათანადო შეუფასებლობასთან, რომელიც თან ახლავს პიროვნების ნინაალმდეგ მიმართულ მძიმე ხელყოფებს.⁹⁶

კ-სა და ა-ს კამათის შედეგად სხეულის მძიმე დაზიანების მიყენება, განსახილველი კონცეფციის მომხრეთა აზრით - შემთხვევითია, ხოლო კ-ს ქმედების ხასიათი და განზრახვის შინაარსი ნათელყოფს მკვლელობის მცდელობას ევენტუალური განზრახვით. ასეთ შემთხვევაში, როგორც წერს თ.წერეთელი, შესაძლებლობის ცნება ეფუძნება განზოგადოებულ წარმოდგენით პირობებს. ეს ნიშნავს, რომ შესაძლებლობა გაგებულია არა, როგორც რეალობა, არამედ, როგორც ლოგიკური კატეგორია. თ.წერეთლის სიტყვების ინტერპრეტირებით ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ აბსტრაქტული შესაძლებლობის საფუძველზე ფართოდება სასამართლოს თავისუფალი შეხედულება. ამ ფორმულაზე დაყრდნობით, მოსამართლე ლეზულობს შესაძლებლობას გააძლიეროს რეპრესია, თუ ამას მოითხოვს სისხლისსამართლებრივი პოლიტიკა.⁹⁷

დანაშაულის მცდელობის ევენტუალური განზრახვით ჩადენის კონცეფციის მოწინააღმდეგეებმა ამას ბოროტი ნების კონცეფცია დაარქვეს. როგორც ისინი მიუთითებენ, განზრახვა არის შეგნების ერთ-ერთი მდგომარეობა. ის წარმოადგენს დანაშაულებრივი ნების ფსიქიკური მდგომარეობის

⁹⁶ Горелик. И.И. Квалификация преступлений, опасных для жизни и здоровья. М. 1973, с. 53

⁹⁷ Церетели Т.В. Причинная связь в уголовном праве. М. 1963г. с.101-103

აუცილებელ კომპონენტს. იმისათვის, რომ გავაკეთოთ სწორი დასკვნები, პასუხი უნდა გავცეთ ორ კითხვაზე: იყო თუ არა სიკვდილი ან სხეულის დაზიანება აქტის ბუნებრივი შედეგი და ითვალისწინებდა თუ არა პირი ამ შედეგებს. წინააღმდეგ შემთხვევაში საქმე გვექნება ბოროტი ნების კონცეფციასთან. ის მიმზიდველია ზოგიერთი მოსამართლისათვის, მათთვის, ვისთვისაც ვირტუალური რწმუნების კატეგორია წარმოადგენს ცენტრალურ ადგილს სისხლისსამართლებრივი ბრალეულობის საკითხის გადანეწყვისას.⁹⁸

სსკ-ს მე-9 მუხლის თანახმად, არაპირდაპირი განზრახვის დროს პირს არ სურს შედეგის დადგომა, მაგრამ შეგნებულად უშვებს ან გულგრილად ეკიდება მის დადგომას. სამოქალაქო სამართლაში ასეთ ნებელობას ჰქვია „ნების ნაკლი“. როგორც აღნიშნავს ლ.ჭანტურია, ხდება ისეც, რომ გარეგნულად გამოსატყული ნება არ ემთხვევა შინაგან ნებას და განხორციელდა გარეშე ფაქტორებიდან გამომდინარე. ისეთ ვითარებას, როდესაც გამოვლენილი ნება არ ემთხვევა მისი გამოვლენის შინაგან, ნამდვილ ნებას და გარიგება ნების გარეგნული გამოვლენის შედეგად დაიდო, სამოქალაქო სამართალში ეწოდება „ნების ნაკლი“. „ნების ნაკლის“ მიზეზი შეიძლება სხვადასხვა იყოს, მაგალითად, როდესაც ნების გამოვლენა ხდება არასერიოზულად და ნების გამომვლენი პირი არც ითვალისწინებდა რაიმე კონკრეტული მიზნის მიღწევას. ამ შემთხვევაში ყოველი ასეთი ნების გამოვლენა არის

⁹⁸Norrie A. Crime, Reason and History: A Critical Introduction to Criminal Law. 2nd Edition Publisher: Cambridge University Press(2001). Broadbent R. Intention in the English Criminal Law -http://www.academia.edu/2298343/Intention_in_the_English_Criminal_Law

ნაკლის მქონე, ანუ ეს არის შემთხვევები, როდესაც შინაგან ნებას არ პასუხობს გამოვლენილი, გამოხატული ნება.⁹⁹

აღნიშნული მოსაზრება გარკვეულად შეიძლება გავითავალისწინოთ სისხლის სამართალში. სხეულის დაზიანებით პირმა გამოხატა ნამდვილი ნება. მაგრამ მისი ქმედების შედეგი სხეულის დაზიანებით თუ სიკვდილით დასრულდება, ეს არაა დამოკიდებული მისი ნებისაგან, არამედ დამოკიდებულია ნების გარეგნული გამოვლენის ფაქტორებისაგან. ეს შემთხვევა ტიპურია არაპირდაპირი განზრახვისათვის. პირდაპირი განზრახვა იმით განსხვავდება არაპირდაპირისაგან, რომ აქ არ გავქვს საქმე „ნების ნაკლთან“ - პირს სურს შედეგის დადგომა და ითვალისწინებს ასეთი შედეგის განხორციელების გარდუვალობას. მ.ტურავა ერთმანეთში ურევს შინაგან ნებას (რომელიც ტიპურია პირდაპირი განზრახვის დროს) და ნების გარეგნულ გამოვლენას ან ნების ნაკლს (რომელიც ტიპურია არაპირდაპირი განზრახვის დროს). აქედან გამომდინარე, შეიძლება გადავწვიტოთ მცდელობის საკითხი. არაპირდაპირი განზრახვის დროს ვერ ვიტყვით ცდილობდა თუ არა პირი სხეულის დაზიანების მაგივრად სიკვდილის დადგომას, რომელიც შეიძლება დადგეს ან შეიძლება არ დადგეს. სსკ-ს მე-19 მუხლის თანახმად, პირი აგებს პასუხს დანაშაულის მცდელობისათვის იმიტომ, რომ ცდილობს თავისი ნება გამოხატოს კონკრეტულ შედეგში, რომელიც მას სურს და ითვალისწინებს.

არაპირდაპირი განზრახვით მცდელობის კონსტრუქციის დამკვიდრება ემსახურება რეპრესიულ სისხლისსამარ-

⁹⁹ჭანტურია ლ. სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი. თბ., 2011წ. გვ. 360

თლებრივ პოლიტიკას, რომელიც უგულველყოფს კანონიერებას და ხელს უხსნის სასამართლოს თვითნებობას.

მანამ სანამ რაიმე დასკვნას გავაკეთებთ ამ მნიშვნელოვან საკითხთან მიმართებაში, აუცილებლად მიგვაჩნია, ორიოდ სიტყვით შევეხოთ ევენტუალური განზრახვით მცდელობის შესაძლებლობის საკითხის მდგომარეობას საზღვარგარეთ. მითუმეტეს, რომ ამ საკითხის ევროპაში დადებითად შეფასებაზე მიუთითებს მერაბ ტურავა.

ჯერ ერთი, უნდა ითქვას ის, რომ საზღვარგარეთაც არ არსებობს ერთიანი მოსაზრება ამ საკითხის ირგვლივ. მითუმეტეს ის განსხვავებულია სამართლის სისტემებს შორის და, რა თქმა უნდა, ერთი სამართლებრივი სისტემის შიგნით ქვეყნებს შორისაც. ეს განპირობებულია არა მარტო თვითონ დანაშულის მცდელობის ცნების განმარტების სხვაობით, არამედ არაპირდაპირი განზრახვის შინაარსის განსხვავებითაც, რადგან იმის გასარკვევად შესაძლებელია თუ არა ევენტუალური განზრახვით მცდელობის ჩადენა, აუცილებელია გავითვალისწინოთ არა მარტო მცდელობის საკანონმდებლო განმარტება, არამედ, რა თქმა უნდა, ყურადსაღებია, თუ როგორ არის განმარტებული არაპირდაპირი განზრახვის ცნებაც. „ევენტუალური განზრახვის კლასიფიკაციის მიხედვით, სამართლებრივი სისტემები შესაძლებელია სამ ჯგუფად დაიყოს: 1. ქვეყნები, რომლებიც ევენტუალურ განზრახვას მიაკუთვნებენ განზრახვი ბრალის კატეგორიას - (გერმანია, იტალია, ესპანეთი, ნიდერლანდები, შვეიცარია, პორტუგალია), 2. ქვეყნები, რომლებიც ევენტუალურ განზრახვას მიაკუთვნებენ გაუფრთხილებლობას (საფრანგეთი); 3. ქვეყნები, რომლებიც ევენტუალურ განზრახვას გამო-

ყოფენ ბრალის ცალკე ფორმად, რომელიც განზრახვასა და გაუფრთხილებლობას შორისაა (ინგლისი, აშშ).

არ არსებობს არც დანაშაულის მცდელობის უნივერსალური დეფინიცია. მცდელობის ობიექტური მხარე სხვადასხვა ქვეყნის სისხლის სამართლით განიმარტება, როგორც 1. „აღსრულების დასაწყისი“ (საფრანგეთი); 2. „არსებითი ნაბიჯი“ დანაშაულის განსახორციელებლად (აშშ), დანაშაულის ჩასადენად მიმართული „არაორაზროვანი“ და ვარგისი ქმედება (იტალია); 3. ქმედება, რომელიც აღემატება დანაშაულის „უბრალო მომზადებას“ (ინგლისი).¹⁰⁰ რაც შეეხება სუბიექტურ მხარეს, ზოგიერთ ქვეყანაში კანონმდებელს მცდელობის განმარტებაში შეაქვს ბრალის ფორმა, ზოგან კი ამ საკითხის გადაწყვეტა დოქტრინაზე ან სასამართლო პრაქტიკაზეა დამოკიდებული.

იტალიურ სამართალში დანაშაულის მცდელობა შესაძლებელია მხოლოდ განზრახ დანაშაულებზე. ევენტუალური განზრახვით დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობა წარმოადგენს დისკუსიის საგანს. ევენტუალური განზრახვით მცდელობის მოწინააღმდეგეებს მოჰყავთ შემდეგი არგუმენტები: დანაშაულის მცდელობა არ არის დამთავრებული დანაშაულის ნაწილი, ისინი ცალკეული დამოუკიდებელი იურიდიული კატეგორიებია. დამთავრებული დანაშაულის დროს ისჯება სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა, მცდელობისას კი სამართლებრივი სიკეთის პოტენციური ხელყოფა. შესაბამისად, თუ ევენტუალური განზრახვა საკმარისია დასრულებული დანაშაულის

¹⁰⁰ ნიქარიშვილი კ. ევენტუალური განზრახვით დანაშაულის მცდელობის ჩადენის საკითხი იტალიურ, ფრანგულ და ანგლო-ამერიკულ სისხლის სამართალში, ჟურ. მართლმსაჯულება და კანონი, თბ. 2009წ. N 1 გვ. 39

შემადგენლობის განსახორციელებლად, ის საკმარისი არაა დანაშაულის მცდელობისათვის.¹⁰¹ კანონში მითითებული „ერთმნიშვნელობის“ კრიტერიუმი (საქმე იმაშია, რომ იტალიური სამართლის მიხედვით, დანაშაულის მცდელობას უნდა ახასიათებდეს შემდეგი ნიშნები: დანაშაულებრივი განზრახვა, დაუმთავრებლობა, დანაშაულად გადაზრდის უნარი, ერთმნიშვნელობა ანუ არაორაზროვნება), გამორიცხავს ევენტუალური განზრახვით მცდელობის ჩადენის შესაძლებლობას. „ერთმნიშვნელოვნება“ ნიშნავს, რომ პირის განზრახვა მიმართულია დანაშაულის ჩასადენად, რაც ევენტუალური განზრახვის დროს არ არსებობს.¹⁰² რაც შეეხება ევენტუალური განზრახვით დანაშაულის მცდელობის მომხრეებს, მათი არგუმენტები შემდეგში მდგომარეობს: დანაშაულის მცდელობა წარმოადგენს უბრალოდ დაუსრულებელ ნაკლოვან შემადგენლობას, რადგან დანაშაულის განხორციელების პროცესში მოქმედი მიზნად ისახავს იმ ქმედების განხორციელებას, რომელიც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილით და თუ შესაძლებელია სასურველი დანაშაულის განხორციელება არაპირდაპირი განზრახვით, შესაძლებელია, ამ დანაშაულის მცდელობაც არაპირდაპირი განზრახვით. კანონში მოცემული ერთმნიშვნელობის ცნება კი მოიცავს მხოლოდ ქმედების ობიექტურ ასპექტს და დანაშაულის სუბიექტურ მხარესთან კავშირში არ არის. ასე, რომ ერთმნიშვნელოვნება ვერ გამორიცხავს ევენტუალური განზრახვით მცდელობას.

აბსოლუტურად განსხვავებულად დგას დანაშაულის მცდელობის შესაძლებლობის საკითხი ევენტუალური გან-

¹⁰¹ Pellegrino F. *Il dolo del tentative* (2001) p. 16

¹⁰² Pertucci R. *Diritto penale, parte generale*, (Edizioni Giuridich Simone) 2007. p. 250

ზრახვით ფრანგულ სამართალში. იმის გამო, რომ ფრანგული სამართალი ევენტუალურ განზრახვას მიაკუთვნებს გაუფრთხილებლობას, არაპირდაპირი განზრახვით მცდელობის საკითხი საფრანგეთში ცალმხრივად უარყოფითად არის გადაწყვეტილი. იმ პრობლემების ნაწილობრივ მაინც გადასაწყვეტად, რაც მოჰყვება არაპირდაპირი განზრახვის ასეთ დეფინიციას ფრანგული სისხლის სამართლის სისტემაში და ევენტუალური განზრახვით დანაშაულის შეუძლებლობისა ნარმოშობილი ხარვეზების შესავსებად, საფრანგეთის სისხლის სამართალში საქართველოს სისხლის სამართლის მსგავსად (127-ე მუხლი) შემოტანილია 223-ე მუხლი (სხვისი საფრთხეში ჩაყენება). თუმცა ამ მუხლებს შორის არსებობს საკმაო განსხვავებაც. მაგალითად, 223-ე მუხლი ეხება მხოლოდ იმ შემთხვევებს, როდესაც პირმა დაარღვია კანონით ან რეგლამენტით დაწესებული უსაფრთხოების სპეციალური წესები, ეს მუხლი ეხება არა მარტო სიკვდილის, არამედ ჯანმრთელობის დაზიანების საფრთხეს და, რაც მთავარია, საქართველოს სსკ-ის 127-ე მუხლისაგან განსხვავებით, ფრანგული ნორმა არ მოითხოვს, რომ დაზარალებულს არ გააჩნდეს „შესაძლებლობა მიიღოს ზომები თავის დასაცავად“. ამ მუხლმა უნდა შეავსოს ვაკუუმი, რომელიც შეიძლება ნარმოშვას უშედეგო ქმედებების დაუსჯელობით, რომლებიც ჩადენილია ბრალის ამ ფორმით.¹⁰³

ამერიკის შეერთებულ შტატებში არ არსებობს ერთიანი სისხლის სამართლის კოდექსი. როგორც ცნობილია ყველა შტატს გააჩნია საკუთარი კანონმდებლობა, არსებობს

¹⁰³ ნიქარიშვილი კ. ევენტუალური განზრახვით დანაშაულის მცდელობის ჩადენის საკითხი იტალიურ, ფრანგულ და ანგლო-ამერიკულ სისხლის სამართალში, ჟურ. მართლმსაჯულება და კანონი, თბ. 2009წ. N 1 გვ. 43-44

ფედერალური კანონებიც, რომლებიც ეხება მხოლოდ ფედერალურ დანაშაულებს, რომლებიც საკმაოდ მცირერიცხოვანია. რა თქმა უნდა, არსებობს სამაგალითო ე.წ. „სამოდელი სისხლის სამართლის კოდექსი“, რომელსაც სავალდებულო ძალა არა აქვს, მაგრამ მის დებულებებს ფართოდ იყენებენ შტატების საკანონმდებლო და სასამართლო პრაქტიკის ფორმირებისას. დანაშაულის მცდელობის დეფინიცია ამერიკულ და ინგლისურ სამართალში შემდეგნაირადაა წარმოდგენილი: ამერიკის სამოდელი სისხლის სამართლის კოდექსი დანაშაულის მცდელობას განმარტავს, როგორც „არსებით ნაბიჯს“ - მიმართულს დანაშაულის განსახორციელებლად. აშშ-ში დანაშაულის მცდელობის მომზადებისაგან გასამიჯნავად ძირითადად სამ სხვადასხვანაირ ფორმულას იყენებენ; „სიახლოვეს“, რომელიც გულისხმობს, რომ მცდელობა მაშინაა, როცა პირის მიერ განხორციელებული ქმედება ახლოსაა შედეგთან; „ბოლო აქტი“ - მცდელობისთვის პასუხს აგებს ის, ვინც ახორციელებს ბოლო მოქმედებას დანაშაულის ბოლომდე მისაყვანად; „არაორაზროვნება“ - პირის მიერ ჩადენილი ქმედებები ურყევად ადასტურებენ მის დანაშაულებრივ განზრახვას. რაც შეეხება ინგლისს, იქ დანაშაულის მცდელობა 1981წლის კანონით განმარტებულია შემდეგნაირად: თუ პირი დანაშაულის ჩადენის მიზნით, ჩაიდენს ქმედებას, რომელიც უფრო მეტია ვიდრე უბრალოდ მომზადება დანაშაულის ჩასადენად, მაშინ ის პასუხს აგებს მცდელობისათვის. აქვე აღსანიშნავია აშშ-ში სამოდელი სამართლის მიხედვით, პირი მოქმედებს ევენტუალური განზრახვით, როდესაც ის ცნობიერად უგულებელყოფს კონკრეტული მატერიალური ელემენტის არსებობის ან შედეგის დად-

გომის არსებით და გაუმართლებელ რისკს. რაც შეეხება ევენტუალური განზრახვით მცდელობის ჩადენის საკითხს ინგლისურ და ამერიკულ სამართალში, თავიდანვე უნდა ითქვას, რომ დოქტრინაში გაბატონებული შეხედულებით, დანაშაულის მცდელობა შეიძლება ჩადენილ იქნას მხოლოდ განზრახვით, ევენტუალური განზრახვით მცდელობა კი დაუშვებელია. სმიტისა და ჰოგანის ავტორობით გამოცემული ინგლისური სისხლის სამართლის სახელმძღვანელოში ვკითხულობთ: „მაშინ, როცა დამთავრებული დანაშაულის სუბიექტური მხარე შეიძლება გამოვლინდეს ბრალის ნებისმიერი ფორმის სახით, დანაშაულის მცდელობის შემთხვევაში კანონის მოთხოვნა უფრო მკაცრია“. სხეულის მძიმე დაზიანების დროს მკვლელობის მცდელობისათვის პირი პასუხს აგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სასიკვდილო შედეგი „მოცულია პირის განზრახვით“.¹⁰⁴

მარკუს დაბერი ნიგნში - *Amerikan Criminal Law – case, statutes and materials (2005)*, წერს: „თუ ვინმე ჩაიდენს აშკარად უპასუხისმგებლო ქმედებას, რომელსაც საბედნიეროდ შედეგი არ მოჰყვება, უნდა აიცილოს თუ არა მან სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა? სამოდელო სისხლის სამართლის კოდექსი ასეთი შემთხვევებისათვის ითვალისწინებს საფრთხეში ჩაყენების დელიქტს - „ევენტუალური განზრახვით სხვისი სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის მძიმე დაზიანების საფრთხის შექმნა“. ასეთი ტიპის დანაშაული გათვალისწინებულია 24 შტატის კანონმდებლობით. მაგალითისათვის მოვიყვანთ ნიუ-იორკის სისხლის სამართლის კოდექსს: ევენტუალური განზრახვით განსაცდელში ჩაყენება - პირველი ხარისხი (მუხლი

¹⁰⁴ Smith and Hogan “Criminal Law” (2002) p. 329

120.25). პირი პასუხს აგებს პირველი ხარისხის „ევენტუალური განზრახვით“ განსაცდელში ჩაყენებისათვის, თუ მან: 1. „ევენტუალური განზრახვით“ განახორციელა ქმედება, რომელიც სერიოზულ საფრთხეს უქმნის სხვა პირის სიცოცხლეს. 2. იმ გარემოებებში, რაც ადასტურებს სრულ გულგრილობას ადამიანის სიცოცხლისადმი, ევენტუალური განზრახვით განსაცდელში ჩაყენება არის D კლასის არაძალადობრივი ფელონია. ნიუ-იორკის კანონების შესაბამისად, ევენტუალური განზრახვით განსაცდელში ჩაყენება - მეორე ხარისხი (მუხლი 120.25). პირი პასუხს აგებს მეორე ხარისხის „ევენტუალური განზრახვით“ განსაცდელში ჩაყენებისათვის, თუ მან: 1. „ევენტუალური განზრახვით“ განახორციელა ქმედება, რომელიც ქმნის სხვა პირის სხეულის მძიმე დაზიანების საფრთხეს. 2. ევენტუალური განზრახვით განსაცდელში ჩაყენება არის კლასის მისდამინორი ნიუ-იორკის კანონების შესაბამისად.¹⁰⁵

აღნიშნულ საკითხს მონოგრაფიული ნაშრომი მიუძღვნა მკვლევარმა მაიკლ კაჰილმა, რომელიც ევენტუალური განზრახვით მცდელობის დასაბუთებას რამდენიმე მიმართულებით შეეცადა: 1. თუ უარს ვიტყვით ევენტუალური განზრახვით მცდელობის დასჯადობაზე, მაშინ პასუხისმგებლობა დამოკიდებული ხდება ისეთ შემთხვევით ფაქტორზე, როგორიცაა შედეგის დადგომა/არდადგომა. 2. თუკი ევენტუალური განზრახვა წინააღმდეგობაში მოდის სიტყვასთან „მცდელობა“ მაშინ, შეგვიძლია სისხლის სამართლიდან ამოვიღოთ სიტყვა „მცდელობა“ და დავამკვიდროთ ტერმინი „დაუმთავრებე-

¹⁰⁵ ნიქარიშვილი კ. ევენტუალური განზრახვით დანაშაულის მცდელობის ჩადენის საკითხი იტალიურ, ფრანგულ და ანგლო-ამერიკულ სისხლის სამართალში, ჟურ. მართლმსაჯულება და კანონი, თბ. 2009წ. N 1 გვ. 55

ლი დანაშაული“. 3. მართალია, სამოდელო პენალური კოდექსი მცდელობის დროს ითხოვს განზრახ ბრალს დანაშაულის მიმართ, მაგრამ ის უშვებს ევენტუალურ განზრახვას შემადგენლობის სხვა ნიშნების მიმართ. მაიკლ კაჰილის აზრით, ყოველთვის არ არის შესაძლებელი დანაშაულის შედეგი გავარჩიოთ შემადგენლობის სხვა ნიშნებისაგან, შესაბამისად, კოდექსმა უნდა დაუშვას ევენტუალური განზრახვით მცდელობა. 5. განსაცდელში ჩაყენების დელიქტი პრაქტიკაში თავად წარმოშობს პრობლემებს. მაგალითად, როდესაც სუბიექტი ერთი მოქმედებით საფრთხეს უქმნის მრავალ პირთა სიცოცხლეს, მან პასუხი უნდა აგოს ერთი მოქმედებისათვის, თუ დანაშაულთა რეალური ერთობლიობის საფუძველზე.¹⁰⁶

საინტერესოა სხვადასხვა უცხოელ მეცნიერთა მოსაზრება ამ საკითხზე. ლუდენი მე-19 საუკუნეში მიუთითებდა, რომ ევენტუალური განზრახვით მცდელობის შეუძლებლობას ჯერ კიდევ რომის სამართალში აღიარებდნენ. ბინდინგი ევენტუალურ განზრახვას და თვითიმედოვნებას ცნობიერი ბრალის კატეგორიას მიაკუთვნებდა და გამორიცხავდა მცდელობის შესაძლებლობას. შვეიცარიელი დოგმატიკოსი შტოსი თვლიდა, რომ ევენტუალური განზრახვით შექმნილი კონკრეტული საფრთხე კანონმდებელმა უნდა დასაჯოს არა როგორც ევენტუალური განზრახვით მცდელობა, არამედ როგორც კონკრეტული საფრთხის დელიქტი.

დღეს გერმანული სამართალი აღიარებს მცდელობას განზრახვის ორივე ფორმით, თუ დამთავრებული დანაშაულისთვის ევენტუალური განზრახვა საკმარისია, შესაძლებე-

¹⁰⁶ ნიქარიშვილი კ. ევენტუალური განზრახვით დანაშაულის მცდელობის ჩადენის საკითხი იტალიურ, ფრანგულ და ანგლო-ამერიკულ სისხლის სამართალში, ჟურ. მართლმსაჯულება და კანონი, თბ. 2009წ. N 1 გვ. 48

ლია შესაბამისი დანაშაულის მცდელობაც.¹⁰⁷ მიუხედავად ამისა გერმანელ მეცნიერთა მცირე ნაწილი სრულიად ან ნაწილობრივ გამორიცხავს ევენტუალური განზრახვით მცდელობის შესაძლებლობას. გერმანელი დოგმატიკოსი პუპე ევენტუალური განზრახვით მცდელობის დასჯადობის კრიტიკას დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებას უკავშირებს. თუ კანონმდებელი დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებისას დანაშაულებრივი შედეგის თავიდან აცილებისათვის პირს სასჯელისაგან ათავისუფლებს, არათანამიმდევრული იქნებოდა ქმედება დასჯადი ყოფილიყო მაშინ, როდესაც პირმა დანაშაულებრივი შედეგი საბოლოო ჯამში, არ გამოიწვია.¹⁰⁸ გერმანელი მეცნიერის შტრენგის აზრით, გერმანულ სისხლის სამართალში მცდელობა მხოლოდ პირდაპირი განზრახვით უნდა იქნეს დაშვებული, ხოლო ევენტუალური განზრახვით შექმნილი საფრთხისათვის საფრთხის შემქმნელი დელიქტის მიხედვით უნდა დაისაჯოს. ბაუერის აზრით, არაპირდაპირი განზრახვით მცდელობის შესაძლებლობა ერთიანი კანონიერების განხორციელებას უშლის ხელს.¹⁰⁹

წინააღმდეგობაში მოდის დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება და ევენტუალური განზრახვით მცდელობა, რადგან ეს უკანასკნელი შეუძლებელია ნებაყოფლობით ხელის აღებისას, რადგან ხელის აღება მხოლოდ წინასწარ გამიზნულ ქმედებას მოითხოვს.¹¹⁰

შვეიცარიის სასამართლო პრაქტიკა საკმაო სიძნელეებს წააწყდა შვეიცარიის სისხლის სამართლით დანაშაულის მცდელობის ევენტუალური განზრახვით ჩადენის აღიარების

¹⁰⁷ Heinrich, AT I Rn. 658

¹⁰⁸ Puppe, NStZ 1984, S. 491

¹⁰⁹ Streng, JZ 1990, S. 219.

¹¹⁰ LK-Lilie/ Albrecht, &24/Rn. 188.

გამო. მოსამართლე იძულებულია ქმედების საშიშროებაზე დაყრდნობით ევენტუალური განზრახვის არსებობა დაასაბუთოს, რაც საკმაოდ რთულია ამ ერთადერთი შესაძლო არგუმენტით, რადგან მოქმედი პირი სიტუაციას უმეტეს შემთხვევაში ოპტიმისტურად აფასებს და ქმედების საფრთხის არ სჯერა.

მეცნიერ - იურისტთა შორის ამ საკითხის ირგვლივ, ისევე როგორც საქართველოში, დამოკიდებულება ევენტუალური განზრახვით დანაშაულის მცდელობის შესაძლებლობისადმი, არაერთგვაროვანია. თუმცა საბედნიეროდ, საზღვარგარეთ კანონმდებლობა დოქტრინა და სასამართლო პრაქტიკა ერთმნიშვნელოვნად იმ აზრზე დგას, რომ დანაშაულის მცდელობა შესაძლებელია მხოლოდ პირდაპირი განზრახვით და არანაირი წინაპირობა არ არსებობს, რომ ეს დებულება უახლოეს დროში, როგორმე შეიცვალოს.

საზღვარგარეთის კანონმდებლობით, თუ მას კარგად დავაკვირდებით, ევენტუალური განზრახვით მცდელობის შეუძლებლობა განპირობებულია უფრო არაპირდაპირი განზრახვის კონსტრუქციით და მისი ადგილით სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის სისტემაში, ვიდრე თვითონ დანაშაულის მცდელობის ცნების კონსტრუქციიდან გამომდინარე. მაგალითად, როგორც საფრანგეთშია, სადაც ევენტუალურ განზრახვას მიაკუთვნებენ გაუფრთხილებლობას, ან როგორც ინგლისის და ამერიკის სამართალში - სადაც არაპირდაპირი განზრახვა ბრალის ცალკე ფორმაა და, სადაც განზრახვასა და გაუფრთხილებლობას შორისაა მოქცეული და, რაც მთავარია, უფრო გაუფრთხილებლობისაკენ იხრება. აქედან გამომდინარე, სისხლის სამართალში თვითონ არა-

პირდაპირი განზრახვის ადგილიდან გამომდინარე, რომელიც უფრო გაუფრთხილებლობაა, ვიდრე სხვა რამე, დაუშვებელია ევენტუალური განზრახვით მცდელობა, ისევე როგორც გაუფრთხილებლობით შეუძლებელია მცდელობა. განსხვავებულადაა საკითხი ისეთ ქვეყნებში, როგორცაა, გერმანია, იტალია, ესპანეთი, ნიდერლანდები და სხვა - ისეთ ქვეყნებში, სადაც ევენტუალურ განზრახვას მიაკუთვნებენ განზრახი ბრალის კატეგორიას. ასეთი ტიპის სამართლის ქვეყნებში მცდელობის ცნებას, რომლისგანაც პირდაპირ გამომდინარეობს ევენტუალური განზრახვით დანაშაულის მცდელობის შეუძლებლობა, თუ შეიძლება ასე ითქვას, ეხმარება ევენტუალური განზრახვის ცნების კონსტრუქციაც, რომელიც გამოდის, როგორც დამატებითი არგუმენტი ამ საკითხის გადანყვეტიას.

მსგავს სიტუაციას ვხვდებით ქართულ სამართალშიც. მიუხედავად იმისა, რომ დანაშაულის მცდელობის საკანონმდებლო ცნება სავსებით საკმარისია იმისათვის, რომ გამოირიცხოს არაპირდაპირი განზრახვით მცდელობის შესაძლებლობა, რასაც განაპირობებს კოდექსის მე-19 მუხლში მოცემული ტერმინები „უშუალოდ“ და „მიმართული“, რაზეც არაერთხელ იქნა გამახვილებული ყურადღება ისეთი დიდი ქართველი მეცნიერების მიერ, როგორცაა თინათინ ნერეთელი და ოთარ გამყრელიძე; ასევე საფრთხის შემქმნელი დელიქტების არსებობა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში, კერძოდ კი, 127-ე და 128-ე მუხლები, რომლებზედაც უკვე გვქონდა საუბარი. ასევე პრაქტიკაში გავრცელებული და სისხლის სამართლის დოქტრინით აღიარებული არაპირდაპირი განზრახვის დროს შედეგით კვალიფიკაციის შესაძ-

ლებლობა, მაგალითად, როგორც ეს ჯანმრთელობის განზრახ დაზიანებისას ხდება. ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში მაინც არსებობს მოსაზრება ევენტუალური განზრახვით დანაშაულის მცდელობის შესაძლებლობის შესახებ, რომელსაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, პროფესორი მერაბ ტურავა აქტიურად უჭერს მხარს. თუ ზემოთ მოყვანილი არგუმენტები საკმარისი არ არის ევენტუალური განზრახვით დანაშაულის მცდელობის შესაძლებლობის მომხრეებისათვის, ამ საკითხის უარსაყოფად უნდა მოვიშველიოთ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-9 მუხლის მესამე ნაწილი, კერძოდ კი, არაპირდაპირი განზრახვის განმარტება: „ქმედება არაპირდაპირი განზრახვითაა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული ჰქონდა თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებდა მართლწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და არ სურდა ეს შედეგი, მაგრამ შეგნებულად უშვებდა ან გულგრილად ეკიდებოდა მის დადგომას“. ამ მუხლში ჩვენთვის საყურადღებოა მართლწინააღმდეგო შედეგის დადგომის სურვილის არარსებობა, მაგრამ მისი შეგნებულად დაშვება ან მისადმი გულგრილი დამოკიდებულება. მაშინ, როცა სიტყვა „ცდა“ (მცდელობა) ნიშნავს ადამიანის მიზანმიმართულ მისწრაფებას კონკრეტული შედეგის მისაღწევად, რომელიც მას ჩამოყალიბებული აქვს არათუ მცდელობის, არამედ მომზადების პროცესში და რაც მთავარია, უმეტეს შემთხვევაში, ეს კონკრეტული სასურველი შედეგი წარმოსახული აქვს ჯერ კიდევ განზრახვის გამოვლენის სტადიაზეც. როგორ შეიძლება ვისაუბროთ, რომ მას არ სურდა ეს შედეგი ან გულგრილად ეკიდებოდა მას ან მხოლოდ უშვებდა მის შესაძლებლობას,

რასაც მოითხოვს არაპირდაპირი განზრახვა, მაშინ, როცა დანაშაუვ ხაზგასმით ცდილობს შედეგის მიღწევას და ყველაფერს აკეთებს ამისათვის, მაგრამ ვერ აღწევს შედეგს მხოლოდ რაღაც გაუთვალისწინებელი გარემოების გამო, რომელიც რომ არ დამდგარიყო, ვიმეორებთ, სასურველი შედეგი დადგებოდა.

რა თქმა უნდა, ზემოთ მოყვანილი არგუმენტები არასაკმარისი იქნება დანაშაულის მცდელობის ევენტუალური განზრახვით შესაძლებლობის მომხრეებისათვის და, რა თქმა უნდა, მეცნიერული დავა მუდმივად გაგრძელდება ამ თემაზე ისევე, როგორც სისხლის სამართლის სხვა აქტუალურ საკითხებზე. მიუხედავად ამისა, იმისათვის რომ მოიხსნას ეს პრობლემა სასამართლო პრაქტიკის დონეზე და თავიდან ავიცილოთ დანაშაულებრივი ქმედების არასწორი კვალიფიკაცია, აუცილებლად მიგვაჩნია, საკანონმდებლო ცვლილების შეტანა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-19 მუხლში „დანაშაულის მცდელობა“. მაგალითად, ასეთი სახით: „დანაშაულის მცდელობად ითვლება ქმედება პირდაპირი განზრახვით, რომელიც თუმცა უშუალოდ მიმართული იყო დანაშაულის ჩასადენად, მაგრამ დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი.“ ან რაიმე მსგავსი რედაქციით, მინიშნებით ან შენიშვნის სახით, რომელიც აშკარად გახდის დანაშაულის მცდელობის მხოლოდ პირდაპირი განზრახვით ჩადენის შესაძლებლობას და არ მისცემს სამართალმემფარდებელს სხვაგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას. თუმცა ვიმეორებ, რომ ეს არ შეწყვეტს მეცნიერულ დავას და დისკუსიას ამ საკითხის ირგვლივ, მაგრამ აბსოლუტურად განსაზღვრულს გახდის სასამართლო პრაქტიკისათვის. მითუმეტეს,

რომ მოქმედი კოდექსის მიღებამდე, სისხლის სამართლის ერთ-ერთ სამუშაო პროექტში ეს საკითხი გადანყვეტილი იყო ისე, როგორც ეს ჩვენ მიგვაჩნია მისაღებად ანუ დანაშაულის მცდელობის მხოლოდ პირდაპირი განზრახვით ჩადენის შესაძლებლობით.

3. დანაშაულის მცდელობის შემადგენლობის ბუნება

3.1. დანაშაულის მცდელობა შესაძლებელია ჩადენილი იყოს მხოლოდ განზრახ, ამაზე მიუთითებს თვითონ სისხლის სამართლის კოდექსის მე-19 მუხლი: „დანაშაულის მცდელობად ითვლება განზრახი ქმედება“. განზრახვას მცდელობისას უნდა ახასიათებდეს ყველა ის ნიშანი, რაც ახასიათებს განზრახვას დამთავრებული დანაშაულის დროს.

მცდელობის განზრახვა ყოველთვის მიმართულია დანაშაულის დამთავრებაზე. ამასთან, ამსრულებელი უნდა ითვალისწინებდეს მიზეზობრივ კავშირს საკუთარ ქმედებასა და შედეგს შორის, რომელიც მას შეიძლება მოჰყვეს. აუცილებელი არ არის ამ კავშირის დეტალური განჭვრეტა, საკმარისია მიზეზობრივი კავშირის ძირითადი მომენტების შეცნობა. ო.გამყრელიძის აზრით, ის, რომ დანაშაულის მცდელობა შესაძლებელია მხოლოდ პირდაპირი განზრახვით, გამომდინარეობს თვითონ სისხლის სამართლის კოდექსის მე-19 მუხლიდან, სადაც ნათლად ნათქვამია, რომ დანაშაულის მცდელობა განზრახი მოქმედებაა, რომელიც უშუალოდ მიმართული იყო დანაშაულის ჩასადენად. სიტყვები „უშუალოდ“ და „მიმართული“ ო.გამყრელიძის აზრით, გულისხმობს მხოლოდ პირდაპირ განზრახვას. ზუსტად იგივე მოსაზრება არის გამოთქმული გოჩა მამულაშვილის მიერ, მის

ნაშრომში „სისხლის სამართალი“ (კერძო ნაწილი), სადაც ის იზიარებს რა ო.გამყრელიძის მოსაზრებას, კანონში მოცემულ ტერმინებს „უშუალოდ“ და „მიმართული“ მიიჩნევს დანაშაულის მცდელობის მხოლოდ პირდაპირი განზრახვით ჩადენის შესაძლებლობის დამადასტურებლად.¹¹¹ როგორც ამ საკითხზე მართებულად აღნიშნავს თინათინ წერეთელი: „მცდელობა გამორიცხულია აგრეთვე არაპირდაპირი (ევენტუალური) განზრახვის დროსაც, რადგან ამ შემთხვევაში დამნაშავის ნება არ არის უშუალოდ მიმართული დანაშაულებრივი შედეგების განხორციელებაზე“.¹¹² დანაშაულის მცდელობა წარმოადგენს პირის მიზანსწრაფულ საქმიანობას და შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა პირს სურს განსაზღვრული შედეგი და არა მაშინ, როცა იგი უშვებს ასეთი შედეგის შესაძლებლობას.

მცდელობა უნდა გაიმიჯნოს დამთავრებული დანაშაულისაგან. დანაშაულის დამთავრება ორ მომენტზეა დამოკიდებული: „1) განხორციელებული უნდა იყოს სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის მუხლში აღწერილი დანაშაულის ყველა ნიშნები, 2) განხორციელებული უნდა იყოს სწორედ იმ დანაშაულის ნიშნები, რომლის შესრულებისკენაც მიმართული იყო დამნაშავის ნება“.¹¹³ ამიტომაც იმ შემთხვევაში, როდესაც ერთმა პირმა მეორეს ესროლა იარაღი მოკვლის მიზნით, მაგრამ მიაყენა მხოლოდ სხეულის დაზიან-

¹¹¹ მამულაშვილი გ. საქართველოს სისხლის სამართლის კერძო ნაწილი. წიგნი 1, მე-3 გამოცემა. თბ., 2008წ. გვ. 123.

¹¹² წერეთელი თ. ტყეშელიაძე გ. საქართველოს სისხლის სამართლის კმენტარები. თბ., 1976წ. გვ. 119

¹¹³ წერეთელი თ. ტყეშელიაძე გ. საქართველოს სისხლის სამართლის კმენტარები, თბ., 1976წ. გვ. 117

ნება ანუ გარკვეულწილად მავნე შედეგი, სახეზე გვექნება, მკვლელობის მცდელობა და არა დამთავრებული დანაშაული სხეულისთვის დაზიანების მიყენების სახით. და, პირიქით, დანაშაული დამთავრებულად ჩაითვლება იმ შემთხვევაში, როდესაც დამნაშავემ დანაშაულის მეშვეობით ვერ მიაღწია იმ საბოლოო მიზანს, რის გამოც მან დანაშაული ჩაიდინა, თუ ასეთი მიზნის განხორციელება კოდექსის მუხლის დისპოზიციაში გათვალისწინებული არ არის როგორც დანაშაულის შემადგენლობის ელემენტი. მაგალითად, თუ პირმა მსხვერპლისაგან მემკვიდრეობის მიღების მიზნით მოკლა პირი, მაგრამ მემკვიდრეობა ვერ მიიღო, მკვლელობა დამთავრებულია, თუმცა დამნაშავემ თავის მიზანს ვერ მიაღწია. საერთოდ უნდა ითქვას, რომ საბჭოთა პერიოდში და დღევანდელ რუსულ იურიდიულ მეცნიერებაში დანაშაულის ჩადენის სტადიების განხილვისას ჯერ განიხილავენ დანაშაულის მომზადებას, შემდგომ დანაშაულის მცდელობას და ბოლოს დამთავრებულ დანაშაულს. რაც დღევანდელი გადმოსახედიდან მეთოდოლოგიურად, რა თქმა უნდა, არასწორია. ამას ადასტურებს პროფესორ გურამ ნაჭყებიას რედაქტორობით გამოცემული სისხლის სამართლის სახელმძღვანელო, სადაც წერია: „რომ ვიცოდეთ, თუ რა არის დაუმთავრებელი დანაშაული, უნდა ვიცოდეთ დამთავრებული დანაშაული“.¹¹⁴ როგორც აღნიშნულია მოცემულ სახელმძღვანელოში დანაშაულის დამთავრებულად გამოცხადება დამოკიდებულია დანაშაულის შემადგენლობის სახეზე, ანუ კანონმდებლის ნებაზე, თუ რა მომენტიდან მიიჩნევა დანაშაულს დამთავრებულად.

¹¹⁴ ნაჭყებია გ. სისხლის სამართალი. ზოგადი ნაწილი. თბ., 2006წ. გვ. 150

დანაშაული დამთავრებულია მაშინ, როდესაც განხორციელდება ამსრულებლის მიერ განზრახული დანაშაულის შემადგენლობის ყველა ელემენტი. საკანონმდებლო კონსტრუქციის მიხედვით ერთმანეთისაგან განასხვავებენ დამთავრებული დანაშაულის ორ სახეს: 1) დანაშაული დამთავრებულად ითვლება იმ მომენტიდან, როდესაც დაზიანდა სამართლით დაცული ობიექტი ანუ ეგრეთ წოდებული შედეგის დანაშაული, და 2) როდესაც დანაშაულის დამთავრებისათვის არ არის საჭირო ზიანის მიყენება ობიექტისათვის, არამედ საკმარისია ასეთი ზიანის მიყენების საფრთხის შექმნა ანუ ეგრეთ წოდებული საფრთხის შემქმნელი დელიქტები, რომელთაც კარლ ბინდინგის თეორიის მიხედვით, „შეკვეცილ“ შემადგენლობებსაც უწოდებენ.

ამ მიმართულებით გასათვალისწინებელია შემდეგი დებულებები:

- თუ მოქმედებით შესრულებულია დანაშაულის შემადგენლობის ყველა ელემენტი, ასეთ შემთხვევაში ადგილი აქვს არა მცდლობას, არამედ დამთავრებულ დანაშაულს;

- მცდლობას ადგილი აქვს ყველა შემთხვევაში, როდესაც პირმა ჩაიდინა ისეთი მოქმედება, რომელსაც რაიმე ახალი მოქმედების გარეშე მისი მხრიდან უნდა მოჰყოლოდა დანაშაულებრივი შედეგი, მაგრამ ეს შედეგი არ განხორციელდა მასზე დამოუკიდებელ გარემოებათა გამო;

- მცდლობას ადგილი აქვს აგრეთვე მაშინ, როდესაც პირი უშუალოდ დაესხა თავს ხელყოფის ობიექტს და შეუდგა თავისი განზრახვის განხორციელებას, თუმცა მოქმედება ვერ დაამთავრა;

- მცდლობას ადგილი აქვს მაშინაც, როდესაც დამნაშავემ მოამზადა ყველა პირობა დანაშაულის ჩასადენად და

უკვე გადავიდა იმ მოქმედებაზე, რომლითაც უშუალოდ ხორციელდება დანაშაულის შემადგენლობა;¹¹⁵

• თუ დანაშაული რამდენიმე აქტისაგან შედგება, მცდელობა იქნება ერთ-ერთი აქტის განხორციელება; მცდელობა გვექნება ყოველთვის, როდესაც განხორციელებულია დანაშაულის შემადგენლობის ერთ-ერთი ნიშანი. მაგალითად, გაუპატიურების შემადგენლობის ერთ-ერთ ნიშანს წარმოადგენს ფიზიკური ძალადობა, მუქარა ან დაზარალებულის უმწეო მდგომარეობის გამოყენება. თუ დამნაშავემ გაუპატიურების მიზნით ხელ-ფეხი შეუკრა დაზარალებულს ან მას დასაძინებელი წამალი მისცა, საქმე გვექნება გაუპატიურების მცდელობასთან“.¹¹⁶

1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსის რედაქციისაგან განსხვავებით მოქმედმა კანონმდებლობამ სრულიად მართებულად შეიტანა მცდელობის ცნებაში შესწორება. როგორც აღნიშნავს ო.გამყრელიძე, „დანაშაულის მცდელობა, როგორც თვითონ ტერმინი მიგვანიშნებს, განზრახი ქმედებაა და დანაშაულის ჩასადენად უშუალოდაა მიმართული; თუმცა დანაშაული არ სრულდება სხვადასხვა, ზოგჯერ დამნაშავის, ზოგჯერ მისგან დამოუკიდებელი მიზეზით“.¹¹⁷

ამიტომაც, თუ წამოწყებულ დანაშაულებრივ საქმიანობას არავინ და არაფერი უშლის ხელს, დამნაშავე, რომელმაც უარი არ თქვა დანაშაულის ბოლომდე მიყვანაზე, მოსამ-

¹¹⁵ წერეთელი თ. დანაშაულის მომზადება და მცდელობა. თბ., 1961წ. გვ. 131-134

¹¹⁶ წერეთელი თ. ტყეშელიაძე გ. საქართველოს სისხლის სამართლის კმენტარები. თბ., 1976წ. გვ. 118

¹¹⁷ გამყრელიძე ო. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება. თბ., 2005წ. გვ. 158

ზადებელი საქმიანობის შემდეგ იწყებს უშუალოდ მცდელობას, ჩაიდინოს დამთავრებული დანაშაული. თუ ეს ცდა არ გამართლდა და სუბიექტის ნდომისაგან განსხვავებით, მიიყვანოს დანაშაული ბოლომდე, შედეგი არ იქნა მიღწეული, პასუხისმგებლობა დგება დანაშაულის მცდელობისათვის. დანაშაულის მცდელობა მოიცავს თავისი შინაარსით განსხვავებულ ქმედებებს, რომლებიც უშუალოდაა მიმართული დანაშაულის ჩასადენად, მაგრამ რომელთა შედეგად არ დადგა დამთავრებული დანაშაული. დანაშაულის მცდელობა გამოიხატება ისეთი ქმედების ჩადენაში, რომლის მეშვეობითაც შეიძლება შესრულდეს შესაბამისი დამთავრებული დანაშაულის შემადგენლობა. ყველაზე აშკარა შემთხვევად დანაშაულის მცდელობისა არის უშუალოდ ზიანის მიყენების ცდა, რომელიც კანონმდებლის მიერ ჩართულია მოცემული დანაშაულის ობიექტური მხარის აუცილებელ ელემენტად. მაგალითად, დანაშაულის მცდელობაა კ-ს მოქმედება, რომელიც ცდილობდა ს-ს სახლის დაწვას. ამ მიზნით დამნაშავემ მიიტანა ანთებელი ჩირაღდანი სახლის სახურავთან და წაუკიდა მას. დანაშაული ვერ იქნა ბოლომდე მიყვანილი, რადგან ს-მ ცეცხლს გავრცელების საშუალება არ მისცა. კ-ს მოქმედება წარმოადგენს სახლის დაწვის მცდელობას, რადგან მას შეეძლო დანაშაულებრივი შედეგის დადგომა გამოწვით (სხვისი ქონების განზრახ განადგურება). დამნაშავის მიერ შექმნილ ცეცხლის მცირე კერას, მის მიერ მოქმედებაში მოყვანილ სტიქიურ ძალას ლოგიკური განვითარებით შეეძლო გამოეწვია გამანადგურებელი ხანძარი, რომელიც გამოიწვევდა მნიშვნელოვან ზარალს. მაგრამ ეს შედეგი არ დადგა იმის გამო, რომ მიზეზობრივი კავშირის განვითარება,

რომელიც წამოიწყო დამნაშავემ, განყვეტილ იქნა დაზარალებულის დროული რეაგირებით. შედეგიანი დანაშაულის მცდელობა შეიძლება გამოიხატოს ასევე ქმედების მხოლოდ ნაწილის შესრულებაში, რომელიც აუცილებელია დანაშაულებრივი შედეგის განხორციელებისათვის. რაც შეეხება ფაკულტატურ დანაშაულებს, მათი ჩადენისას მცდელობა ყოველთვის გამოიხატება, მხოლოდ იმ ქმედებათა ნაწილის ჩადენაში, რაც აუცილებელია დამთავრებული დანაშაულის ჩასადენად.

აქედან გამომდინარე, მცდელობა უშუალოდაა მიმართული დანაშაულის ჩასადენად იმ მნიშვნელობით, რომ დამნაშავის მოქმედებამ უკვე შეიძლება შექმნას, მაგრამ გარკვეულ მიზეზთა გამო ვერ შექმნა დამთავრებული დანაშაულის შემადგენლობა. სწორედ ამაში მდგომარეობს დანაშაულის მცდელობის არსი.

დანაშაულის მცდელობისას, დამნაშავე ჩადის ან იწყებს ისეთ მოქმედებას, რომელსაც შეეძლო შეესრულებინა დამთავრებული დანაშაულის შემადგენლობა. რადგან, ჩვეულებრივ, ქმედება, რომელიც აუცილებელია დამთავრებული დანაშაულის შემადგენლობის შესასრულებლად, განელილია დროში და გააჩნია გარკვეული შემადგენელი ნაწილები. განზრახ მკვლელობის ჩასადენად დამნაშავე იყენებს სასიკვდილო იარაღს ან ჩადის სხვა მოქმედებას, რომელიც იწვევს დაზარალებულის სიკვდილს. ეს ქმედება მოიცავს გარკვეულ შემადგენელ ეტაპებს. ასეთ ეტაპებად გვევლინება, მაგალითად, ცეცხლსასროლი იარაღით (პისტოლეტით) მკვლელობის დროს იარაღის აწევა თვალის სიმაღლეზე, დამიზნება, ჩახმახზე გამოკვრა. ერთ-ერთი ამ ეტაპის შესრულება უკვე

გვაძლევს მკვლევლობის მცდელობას, რადგან დამნაშავემ დაიწყო ისეთი მოქმედების შესრულება, რომელსაც შეეძლო დამთავრებული დანაშაულის შემადგენლობის შესრულება. ქმედება, რომელიც ქმნის მცდელობას იდენტიურია ქმედებისა რომელსაც შეუძლია დამთავრებული დანაშაული გამოიწვიოს. განსხვავება მხოლოდ ამ ქმედების შედეგშია, რაც აიხსნება დანაშაულებრივი განზრახვის განხორციელების განსხვავებულ ხარისხში.

დანაშაულის მცდელობისას დამნაშავეს არ სურს იმ შედეგის დადგომა, რომელიც მის მიზანს სცილდება. უფრო მეტი, დამნაშავისათვის უფრო ხელსაყრელი იქნებოდა, რომ ეს შედეგი არ დამდგარიყო, რადგან მაშინ მისთვის შესაძლებელი იქნებოდა აერიდებინა თავი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან ან შეემცირებინა ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე. თუ არ გსურს დანაშაულებრივი შედეგის დადგომა, არ შეიძლება მისთვის ემზადო ან ცდილობდე მის მიღწევას. მხოლოდ პირდაპირი განზრახვით დანაშაულებრივი საქმიანობისას შეიძლება იმის მტკიცება, რომ თუ არა სუბიექტისათვის შემთხვევითი გარემოება, დანაშაული ბოლომდე იქნებოდა მიყვანილი. მხოლოდ ამ შემთხვევაში არის შესაძლებელი იმის მტკიცება, რომ დამნაშავე ცდილობდა მიეღწია მავნე შედეგისათვის და ამ მიზნით განახორციელა მან მოსამზადებელი საქმიანობა და მიმართა საკუთარი შესაძლებლობები ქმედებისაკენ, რომელიც ქმნის დანაშაულის მცდელობას.

3.2. განვიხილოთ დანაშაულის მცდელობის საკითხი სასამართლო პრაქტიკის განზოგადების კუთხით.

3.2.1. 2007 წლის 15 მარტს, დაახლოებით 00 საათზე, ქარელის რაიონში მცხოვრებმა ჯ. ლ-შვილმა ფარულად, მარ-

თლსანინაალმდეგოდ შეაღწია გორის რაიონში მცხ. ა. კ-ის კუთვნილ საქონლის სადგომში, თანნაქონი, პოლიმერული მასალისაგან დამზადებული თეთრი თოკი რქებზე მოაბა მსხვილფეხა რქოსან პირუტყვს, გამოიყვანა სადგომიდან და შეეცადა, ფარულად დაუფლებოდა მას, მაგრამ დაზარალებულმა ა.კ-ემ შეიტყო აღნიშნულის შესახებ და სახლიდან გარეთ გამოვიდა, რის შემდეგაც ჯ.ლ-შვილი იძულებული გახდა, პირუტყვი მიეტოვებინა და მიმალულიყო. იმავე დამეს, გორის რაიონის სოფელ ... მიმდებარე ტერიტორიაზე ჯ.ლ-შვილი დააკავეს პოლიციელებმა.

გორის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 7 დეკემბრის განაჩენით ჯ.ლ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით, მე-19, 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით იმაში, რომ ჩაიდინა ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა და ტარება, ასევე, ქურდობის მცდელობა სადგომში უკანონო შეღწევით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 27 მარტის განაჩენით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; ამასთან, გასაჩივრებული განაჩენი შეიცვალა: ჯ. ლ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის მე-19, 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით, 236-ე მუხლის 1-ლი, მე-2 ნაწილებით.

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ დაადგინა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 27 მარტის განაჩენიდან ჯ. ლ-შვილის მიმართ ამოირიცხოს სსკ-ის მე-19, 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი.

საქმის შინაარსიდან გამომდინარე, სასამართლოებმა ქმედებას არასწორი კვალიფიკაცია მისცეს, რადგან სახეზეა დამთავრებული დანაშაული, ქურდობა (სსკ 177-ე მუხლი) და არა მისი მცდელობა. სასამართლომ გადაწყვეტილების მიღებისას არ გაითვალისწინა, რამდენიმე ნიუანსი, რის გამოც მიიღო არასწორი გადაწყვეტილება. პირველი სასამართლომ არასწორად გაიგო ნივთის დაუფლების მომენტი. ამ კონკრეტულ შემთხვევაში ნივთზე ფლობა დაზარალებულმა დაკარგა, როგორც კი მას დამნაშავე დაეუფლა და სათავსოდან გამოიყვანა, მეორე, რაც სასამართლოს უნდა გაეთვალისწინებინა, არის დანაშაულის თავისებურება სათავსოს ან სხვა საცავის გაქურდვისას. საცავში ან სხვა სადგომში შეღწევის დროს ქურდობა არ არის დამთავრებული, ვიდრე ქურდი საცავიდან ან სადგომიდან არ გამოვა. საცავიდან ან სადგომიდან გამოსვლისთანავე ქურდი ნივთს დაუფლებულია ანუ ქურდობა დამთავრებულია.¹¹⁸

3.2.2. 2012 წლის 20 იანვარს გ. კ-მა გამოძიებით დაუდგენელ პირთან ერთად კარების დაზიანებით, უკანონოდ შეაღწია ქ.ქ-ში, ... ქ. №14-ში მდებარე ნ.რ-ის საცხოვრებელ სახლში და მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ფარულად დაეუფლა დიდი ოდენობის სხვადასხვა დასახელების საყოფაცხოვრებო ნივთს, რომლებზეც პასუხისმგებლობა ეკისრებოდა ნ.რ-ის მამულს ი.რ-ეს. ამ დანაშაულებრივი ქმედებით მათ დაზარალებულს მიაყენეს 19 025 ლარის ზიანი.

გ.კ-ი აღიარებს ნ.რ-ის საცხოვრებელ სახლში ყოფნის ფაქტს, თუმცა, უარყოფს დიდი ოდენობით ნივთების ფარუ-

¹¹⁸ საქმე N-970-აპ

ლად დაუფლებას და დანაშაულში მასთან ერთად სხვა პირის მონაწილეობას. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ამერიკაში მცხოვრები ნ.რ-ის საცხოვრებელი სახლი თვეების განმავლობაში დაკეტილი იყო, ხოლო მეზობელი მ.ბ-ე, რომელსაც ჩაბარებული ჰქონდა სახლი, პერიოდულად გადადიოდა ხოლმე იქ ნივთების შესამოწმებლად და სახლი შესაძლებელია, გაქურდულიყო არა მარტო იმ დღეს, როცა შიგ გ.კ-ი შევიდა, არამედ სხვა დღეებშიც, რასაც არც ი.რ-ე და მონმე მ.ბ-ე გამორიცხავენ თავიანთი ჩვენებებით და უშვებენ შესაძლებლობას, რომ ხსენებული სახლი შეიძლება გაქურდულიყო წინა დღეებში, თუნდაც გ.კ-ის იქ შესვლამდე რამდენიმე საათით ადრე.

არც წინასწარი და არც სასამართლო გამოძიებისას არ ყოფილა მოპოვებული უტყუარი მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებდა გ. კ-ის მიერ ქურდობის ჩადენის ფაქტს.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 27 ივნისის განაჩენით გ.კ-ი, ნასამართლობის არმქონე, ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ბ« ქვეპუნქტით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 23 აგვისტოს განაჩენით ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 27 ივნისის განაჩენი დარჩა უცვლელად.

საქმის შინაარსიდან გამომდინარე უზენაესმა სასამართლომ სწორი გადაწყვეტილება მიიღო. ზემოხსენებულიდან გამომდინარე, სახეზეა აშკარად დანაშაულის, ქურდობის

მცდელობა, ამას განაპირობებს რამდენიმე ფაქტი: ქურდობა, განეკუთვნება ეგრეთ წოდებულ მატერიალური შემადგენლობის მქონე დანაშაულებს, მისი დამთავრებულად ცნობისათვის აუცილებელია მავნე შედეგის დადგომა, ანუ სხვისი ქონების დასაკუთრება და მისი განკარგვის შესაძლებლობა, რასაც ამ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია, დამნაშავეს ბინიდან არავითარი ნივთი არ გაუტანია, რაც გამორიცხავს დამთავრებულ ქურდობას. რაც შეეხება მცდელობის საკითხს, მას განაპირობებს ის ფაქტი, რომ დამნაშავემ შეაღწია სხვის ბინაში ქურდობის მიზნით, ბინაში უკანონოდ შეღწევის ფაქტი ქურდობის მიზნით უკვე ქმნის სხვისი ქონების უფლების ხელყოფის საფრთხეს, რაც პირველი აუცილებელი ნიშანია დანაშაულის მცდელობისათვის.¹¹⁹

3.3.3. კ. რ-შვილს ინტიმური ურთიერთობა ჰქონდა ი. მ-შვილთან და წლების განმავლობაში ისინი ერთად ცხოვრობდნენ. 2006 წლის მარტის თვეში, უსიამოვნების ნიადაგზე, ი. მ-შვილმა მიატოვა იგი და საცხოვრებლად გადავიდა დედამისთან ქ. თელავში, ... ქ. #85-ში. მიუხედავად ამისა, კ. რ-შვილი ი. მ-შვილს მაინც აკითხავდა ბინაში და სთხოვდა ურთიერთობის აღდგენას, რაზეც იგი უარს ეუბნებოდა.

2006 წლის 2 ნოემბერს, დაახლოებით 18 საათზე, მთვრალმა კ. რ-შვილმა კვლავ მიაკითხა ი. მ-შვილს, რომელმაც კარი არ გაუღო. განაწყენებულმა კ. რ-შვილმა შეამტვრია კარი, აგინა და სცემა ი. მ-შვილს და წავიდა. დაახლოებით ნახევარ საათში იგი კვლავ დაბრუნდა და ვინაიდან კარი ისევ დაკეტილი დახვდა, ძალის გამოყენებით შეამტვრია იგი, შევიდა ბინაში, სადაც დახვდა ი. მ-შვილის დედა მ. მ-

¹¹⁹ საქმე №351-აპ-12

შვილი, ხოლო თვით ი. მ-შვილი იმალებოდა სამზარეულოში. კ. რ-შვილი აგინებდა დედა-შვილს, რის გამოც მ. მ-შვილი შეეცადა მის დაწყნარებას, მაგრამ უშედეგოდ. იმის გამო, რომ კ. რ-შვილს მისი დედისათვის რამე არ ევნო, ი. მ-შვილი გამოვიდა სამზარეულოდან, რა დროსაც კ. რ-შვილმა უმატა გინებას. მ. მ-შვილი კვლავ შეეცადა კ. რ-შვილის დაწყნარებას, რის გამოც მათ მიმართ ისედაც მტრულად განწყობილ კ. რ-შვილს გაუჩნდა მათი მოკვლის განზრახვა. განზრახვის სისრულეში მოსაყვანად კ. რ-შვილმა ჯიბიდან ამოიღო დანა და მუცლის არეში დაარტყა მ. მ-შვილს, რის შედეგადაც მას მიაყენა სიცოცხლისათვის სახიფათო ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება. შემდეგ კ. რ-შვილმა ი. მ-შვილს მკერდის არეში, ჯერ წინა, შემდეგ კი უკანა მხრიდან ორჯერ მოუქნია დანა, მაგრამ ი. მ-შვილმა, რომელიც ყვიროდა და საშველად უხმობდა მეზობლებს, შეძლო მოქნეული დანის აცილება. კ. რ-შვილი, შეექმნა რა მხილების საფრთხე, შემთხვევის ადგილიდან მიიმალა, ხოლო, სიცოცხლისათვის საშიში მძიმე დაზიანების გამო, მ. მ-შვილი საავადმყოფოში გარდაიცვალა.

საბრალდებო დასკვნით კ. რ-შვილს ბრალი ედებათ და საქართველოს სსკ-ის მე-19 მუხლითა და 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ა» ქვეპუნქტით, ამავე კოდექსის 108-ე მუხლით.

თელავის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 3 მაისის განაჩენით კ. რ-შვილი გამართლდა საქართველოს სსკ-ის მე-19 მუხლითა და 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ა» ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში, სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო. ხოლო იმავე კოდექსის 108-ე მუხლით ბრალი დასდო მ.მ განზრახ მკვლელობაში.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 9 ივლისის განაჩენით სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა, ხოლო თელავის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 3 მაისის განაჩენი კ.რ-შვილის მიმართ დარჩა უცვლელად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატამ დაადგინა: მსჯავრდებულ კ.რ-შვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 9 ივლისის განაჩენით დარჩეს უცვლელად.

საქმეში არსებული მასალებიდან გამომდინარე სასამართლოებმა მიიღეს არასწორი გადაწყვეტილება. სასამართლომ აშკარად არ გაითვალისწინა საქმის ფაქტობრივი გარემოებები და თავისი გადაწყვეტილებით კ.რ-ს მიერ ი.მ-ს მიმართ განხორციელებული ქმედება უყურადღებოდ დატოვა, ასევე სათანადოდ ვერ შეაფასა კ.რ-ს განზრახვა მიმართული ორი პირის სიცოცხლის მოსპობისაკენ. სსკ-ის 109 მუხლის (განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში) მე-3 ნაწილის ა-ქვეპუნქტი (ორი ან მეტი პირის მკვლელობა) გულისხმობს ორი ან მეტი პირის სიცოცხლის მოსპობას და თითოეულის მიმართ დამნაშავეს უნდა ჰქონდეს ასეთი განზრახვა. ეს მოქმედება ხორციელდება ან ყველა პირის სიცოცხლის ერთდროული მოსპობით, ან დროის მცირე მონაკვეთის დაცილებით და ერთიანი განზრახვით. ის ფაქტი რომ კ.რ-მ ჯერ დანა ჩაარტყა მ.მ-ს მუცლის არეში მოკვლის განზრახვით და ამ მოქმედების დასრულებისთანავე მივარდა ი.მ-ს, მოუქნია დანა ჯერ წინიდან, შემდეგ ზურგის მხრიდან, მაგრამ ვერ შეძლო დაზიანების მიყენება, რადგან ი.მ-მ აიცი-

ლა დანა. ეს ფაქტი მეტყველებს კ.რ-ს მიერ ი.მ-ს მკვლელობის მცდელობის პირდაპირ განზრახვაზე. დამნაშავემ ვერ მოსპო მეორე ადამიანის სიცოცხლე მხოლოდ იმიტომ, რომ შეეშინდა მხილების, რადგან დაზარალებულმა ყვირილი დაინყო და მეზობლებს უხმობდა საშველად. ქმედება ჩადენილი ი.მ-ს და მ.მ-ს მიმართ უნდა დაკვალიფიცირდეს, როგორც განზრახ ორი ან მეტი პირის მკვლელობის მცდელობა სსკ-ის მე-19, 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის ა-ქვეპუნქტით. ხოლო მ.მ მკვლელობის ფაქტზე აუცილებელია დამატებით დაკვალიფიცირდეს სსკ-ის 108-ე მუხლით, როგორც განზრახი მკვლელობა.¹²⁰

3.3.4. 2007 წლის 27 ივნისს, დაახლოებით 19.30 საათზე, კ.კ-ძე მივიდა მეგობართან - ვ.კ-ძესთან, რომელიც იმ დროს იმყოფებოდა თავისი საცხოვრებელი კორპუსის ეზოში - თბილისი, ... ქ. N-26-ში, სადაც ასევე იმყოფებოდა მისი ბიძაშვილი - ა.ზ-შვილი. კ.კ-ძემ ვ.კ-ძესა და ა.ზ-შვილთან საუბარში დაჰყო დაახლოებით 40 წუთს, რა დროსაც მათ შეუერთდა ვ.კ-ძის მეგობარი, ავტომანქანით მყოფი ო.გ-ია, რომელიც გადმოვიდა ავტომანქანიდან და ისე საუბრობდა მათთან. კ.კ-ძე კი დაჯდა აღნიშნულ ავტომანქანაში და ხმა აუწვინა მაგნიტოფონს. ხმაურზე ვ.კ-ძეს სახლიდან დაურეკა და შენიშვნა მისცა ბაბუამისმა, რის გამოც მან ხმა ჩაუწვინა მაგნიტოფონს. აღნიშნულის გამო კ.კ-ძე განაწყენდა და გადმოვიდა ავტომანქანიდან. შემდეგ ვ.კ-ძემ, შეიძინა რა ლუდი და მინერალური წყალი - «ნაბელლავი», ა.ზ-შვილთან და კ.კ-ძესთან ერთად გადაინაცვლა 62 სკოლის ეზოში, სადაც მათ გა-

¹²⁰ საქმე N - 1659-აპ

ნაგრძეს საუბარი. მათთან ერთად ასევე იმყოფებოდნენ ა.ზ-შვილის უმცროსი ძმა - დ.ზ-შვილი, ვ.კ-ძის მეგობარი - ო.ჩ-შვილი და ი. ქ-ია. კ.კ-ძემ, ზემოაღნიშნული მცირე საბაბის გამო, ხულიგნური ქვენაგრძნობით განიზრახა ვ.კ-ძის მკვლელობა. დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, დაახლოებით 22.30 საათზე, თითქოსდა სალაპარაკოდ, ცალკე გაიხმო იგი და გაიყვანა იქ მყოფებისაგან მოშორებით, სკოლის ეზოში არსებულ ბუჩქებში, სადაც ყოველგვარი მიზეზის გარეშე, ხულიგნური ქვენაგრძნობით, განზრახ მოკვლის მიზნით, თან ნაქონი დანა ორჯერ ზედიზედ დაარტყა ვ.კ-ძეს კისრის არეში და მიაყენა დაზიანებები. ვ.კ-ძე საშველად უხმობდა მეგობრებს და ცდილობდა მისგან გაქცევას. კ.კ-ძე არ აძლევდა მას ამის საშუალებას და მეორე ხელით იჭერდა. კ.კ-ძემ, შენიშნა რა მათკენ მომავალი ა.ზ-შვილი, რომელმაც დაინახა, თუ როგორ ურტყამდა იგი დანას ვ.კ-ძეს, უყვიროდა და მოუწოდებდა, რომ შეენწყვიტა აღნიშნული ქმედება, მხოლოდ ამის შემდეგ გაუშვა ხელი ვ.კ-ძეს, თვითონ კი მიიმალა შემთხვევის ადგილიდან. ვ.კ-ძე მიღებული დაზიანებებით გადაიყვანეს ყიფშიძის სახელობის თსუ-ს კლინიკაში, სადაც სამედიცინო დახმარების შედეგად სიკვდილს გადაურჩა.

კ.კ-ძეს მსჯავრი დაედო იმაში, რომ მან ჩაიდინა მკვლელობის მცდელობა დამამძიმებელ გარემოებაში - ხულიგნური ქვენაგრძნობით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ, არ დააკმაყოფილა რა სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა, 2008 წლის 2 აპრილის განაჩენით უცვლელად დატოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს სის-

ხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მიერ მსჯავრდებულ კ.კ-ძის მიმართ გამოტანილი განაჩენი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატამ დაადგინა: თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 2 აპრილის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება: მსჯავრდებულ კ.კ-ძის მიერ ჩადენილი ქმედება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-19 მუხლიდან და 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის «გ» ქვეპუნქტიდან გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის მე-19 მუხლსა და 108-ე მუხლზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადანყვეტილება არ არის სწორი, დამნაშავეს განზრახვის შეფასების სამართლებრივ ასპექტში და აქედან გამომდინარე, დაშვებულია შეცდომა დანაშაულის კვალიფიკაციაში.

უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის პალატა როდესაც მსჯელობს და მუთითობს, რომ დამნაშავე მოქმედებდა არაპირდაპირი განზრახვით, რომ მას არ ჰქონია დაზარალებულის მკვლელობის განზრახვა და მხოლოდ უშვებდა ასეთ შესაძლებლობას, რა თქმა უნდა, არ ითვალისწინებს დანაშაულის მცდელობის საკანონმდებლო კონსტრუქციას და მის დოქტრინალურ ცნებას. დანაშაულის მცდელობა შეიძლება ჩადენილ იქნეს მხოლოდ პირდაპირი განზრახვით ანუ, როდესაც დამნაშავეს ქმედება უშუალოდ მიმართულია მისთვის სასურველი შედეგის მისაღწევად. სიტყვები „უშუალოდ“ და „მიმართული“ გულისხმობს მხოლოდ პირდაპირ განზრახვას. დანაშაულის მცდელობა წარმოადგენს პირის მიზანმიმართულ საქმიანობას და შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც პირს სურს განსაზღვრული შედეგი და არა მაშინ, როდესაც

საც უშვებს ასეთი შედეგის დადგომის შესაძლებლობას. ისეთი შემთხვევების დროს, როდესაც პირი მოქმედებს განზრახ ანუ დანას ურტყამს ადამიანს სიცოცხლისათვის საშიშ ადგილას და არ სურს ადამიანის სიკვდილი, მაგრამ შეგნებულად უშვებს ასეთ შესაძლებლობას, სახეზეა არა დანაშაულის მცდელობა (მკვლევლობის მცდელობა), არამედ ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, რადგან ასეთ შემთხვევებში, როდესაც არ არსებობს კონკრეტული მავნე შედეგის დადგომის სურვილი, საქმე უნდა გადაწყდეს ფაქტობრივად დამდგარი შედეგის მიხედვით. თუ უზენასეი სასამართლო საქმის მასალებზე დაყრდნობით ამტკიცებს, რომ დამნაშავე მოქმედებდა მხოლოდ არაპირდაპირი, ევენტურული განზრახვით და მის ქმედებაში არ არსებობს ხულიგნური ქვენაგრძნობა, მაშინ ეს დანაშაული უნდა დაკვალიფიცირდეს არა, როგორც მკვლევლობის მცდელობა, არამედ როგორც ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, სსკ-ის 117 მუხლი.¹²¹

4. დანაშაულის მცდელობის სუბიექტური შემადგენლობა

ევენტურული განზრახვით დანაშაულის მცდელობის კონცეფციის კრიტიკული განხილვისას ჩვენ აღვნიშნეთ, რომ დანაშაულის მცდელობა შესაძლებელია მარტო პირდაპირი განზრახვით. აღნიშნულ პარაგრაფში ჩვენ აღარ დავუბრუნდებით ამ საკითხს და გავაგრძელებთ ანალიზს კუმულატიურ და ალტერნატიულ განზრახვასთან დაკავშირებულ პრობლემათიკაზე.

¹²¹ საქმ N - 745-აპ-08

კუმულატიური განზრახვა გვაქვს მაშინ, როდესაც პირს შეგნებული აქვს, რომ ის ერთდროულად ქმედების რამდენიმე შემადგენლობას ახორციელებს (მაგალითად, როდესაც პირი საცხოვრებელ სახლს ცეცხლს წაუკიდებს, მისი განადგურების მიზნით, ასევე სურს მის მიერ გაჩენილ ხანძარს ემსხვერპლოს სახლის მეპატრონე).

როგორც აღნიშნავს ჰეინრიხი, ალტერნატიული განზრახვის დროს პირის განზრახვა, რამდენიმე შესაძლო და ერთმანეთისაგან განსხვავებულ შედეგს მოიცავს.¹²² ალტერნატიული განზრახვის ცნება მეცნიერებაში განსხვავებულადაა გაგებული, გამოითქვა აზრი, რომ ის ევენტუალური განზრახვის ქვესახეა,¹²³ ზოგიერთი მეცნიერი მას განზრახვათა ერთობლიობად მოიხსენიებს.¹²⁴ ქ. მჭედლიშვილი-ჰეიდრიხის აზრით, ალტერნატიული განზრახვის შეფასებისას მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ხელყოფილი სიკეთის სამართლებრივ ღირებულებას. ალტერნატიული განზრახვა შეიძლება მიმართული იყოს თანაბარმნიშვნელოვან სამართლებრივ სიკეთეთა წინააღმდეგ (მაგალითად, როდესაც პირს ორიდან ერთერთი ადამიანის მოკვლა სურს და არააქვს მნიშვნელობა რომელი მოკვდება), შესაძლებელია ალტერნატიული განზრახვა არათანაბარმნიშვნელოვან სამართლებრივ სიკეთეზე იყოს მიმართული (მაგალითად, როდესაც პირი ძალღატაკობით ერთად მდგომ ადამიანს ესვრის, სურს ადამიანის მოკვლა და შესაძლებლად თვლის ძალღატაკობის მოკვლასაც). ჩვენ ვეთანხმებით ქ. მჭედლიშვილი-ჰეიდრიხის, რომელიც აღნიშნავს, რომ არის ალტერნატიული განზრახვის ისეთი შემთხვევები, რო-

¹²² Heinrich, AT I Rn. 292 ff

¹²³ Baumann/ Weber/ Mitsch, AT &26/Rn. 63.

¹²⁴ Kindhauser, AT &14/Rn. 13

დესაც არათანაბარმნიშვნელოვან სამართლებრივ სიკეთეთა წინააღმდეგ მიმართული ქმედება ორივე სიკეთის მიმართ ევენტუალური განზრახვითაა ჩადენილი (მაშინ, როდესაც პირი ესვრის ძალთან ერთად მდგომ ადამიანს და მისთვის სულერთია ძალლი მოკვდება თუ ადამიანი), ასეთ შემთხვევაში ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს ფაქტობრივი შედეგის მიხედვით.

ალტერნატიული განზრახვის კიდევ ერთი სახეობაა ცნობილი, როდესაც თანაბარმნიშვნელოვან სამართლებრივ სიკეთეთა წინააღმდეგ მიმართული ქმედება, ერთი მხრივ, პირდაპირ განზრახვას მოიცავს, მეორე მხრივ, კი- ევენტუალურს (ეს ისეთი შემთხვევაა, როდესაც ხალხმრავალ ადგილას პირი ესვრის ადამიანს და სურს მისი მოკვლა, ამასთან დიდი ალბათობით ამ გასროლამ შეიძლება იმსხვერპლოს სხვა ადამიანი, რაც ბოროტმოქმედს არ სურს, მაგრამ შეგნებულად უშვებს ასეთ შედეგს). იმ შემთხვევაში, როდესაც მოკვდება ის ადამიანი, რომლის სიკვდილიც სურს დამნაშავეს, ხოლო დანარჩენები უვნებელი გადარჩებიან, ქმედების კვალიფიკაციისას აუცილებელია, აისახოს არა მარტო სასურველი ადამიანის სიკვდილი, არამედ ის საფრთხეც, რომელიც აშკარა იყო სხვა იქ მყოფი ადამიანებისთვის (ეს ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ 109-ე მუხლის „გ“ პუნქტით, მკვლელობა ისეთი საშუალებით, რომელიც განზრახ უქმნის საფრთხეს სხვათა სიცოცხლეს და ჯანმრთელობას). თუ განვიხილავთ მოცემული ქმედების განსხვავებულ შედეგს, როდესაც სასიკვდილოდ გამიზნულ პირს ტყვია ასცდება და მოკვდება ის ადამიანი, რომლის მიმართაც დამნაშავეს ევენტუალური განზრახვა ამოძრავებდა, მივალთ იმ

დასკვნამდე, რომ ეს ქმედებაც უნდა დაკვალიფიცირდეს, როგორც წინა დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი მკვლელობა (სსკ 109-ე მუხლის „გ“ პუნქტი). და ბოლოს, ისეთ შემთხვევაში როდესაც ასეთ ქმედებას არ მოჰყვება არცერთი ადამიანის სიკვდილი, აშკარაა, რომ საქმე გვაქვს დანაშაულის მცდელობასთან ანუ კვალიფიკაცია იქნება შემდეგნაირი: დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი მკვლელობის მცდელობა (სსკ მე-19 მუხლი და 109-ე მუხლის „გ“ პუნქტი) ისეთი საშუალებით, რომელიც განზრახ უქმნის საფრთხეს სხვათა სიცოცხლეს და ჯანმრთელობას.

ალტერნატიული განზრახვა შეიძლება მოიცავდეს სასურველი შედეგის რამდენიმე სახეს (როდესაც პირი ესვრის მსხვერპლს მისი მოკვლის ან სხეულის დაზიანების მიზნით). ასეთ შემთხვევაში თუ ადამიანი მოკვდება საქმე გვაქვს განზრახ მკვლელობასთან, ხოლო ისეთ შემთხვევებში, როდესაც ადამიანი დაიჭრება ან საერთოდ ტყვია ასცდება, საქმე გვექნება დანაშაულის მცდელობასთან (ამასთან თუ პირი დაიჭრა უფრო მსუბუქ ალტერნატიულ განზრახვას შთანთქავს უფრო მძიმე).

ალტერნატიული განზრახვის დროს პირს შეიძლება წარმოდგენილი ჰქონდეს ერთ-ერთი ზუსტად განსაზღვრული შედეგის განხორციელება, ამასთან თითოეული მათგანი ერთნაირად სასურველი იყოს მისთვის. მეცნიერებაში გაბატონებული მოსაზრებით, ალტერნატიული განზრახვით ჩადენილი ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს ფაქტიურად დამდგარი შედეგის მიხედვით, იგივე პრინციპი გამოიყენება მცდელობის შემთხვევაშიც, რაც ზემოთ იყო განხილული.

ე.წ. გაუფრთხილებლობით დანაშაულის მცდელობის საკითხს დეტალურად შევეხებით ბრალის განხილვისას. აქ

მოკლედ აღვნიშნავთ, რომ სისხლის სამართლის მეცნიერება და კანონმდებლობა დაუშვებლად მიიჩნევს გაუფრთხილებლობით დანაშაულის მცდელობას. უპირველესად, ეს გამომდინარეობს სსკ მე-19 მუხლიდან, სადაც ნათლად წერია, რომ დანაშაულის მცდელობა განზრახი ქმედებაა. გაუფრთხილებლობის მთავარი საფუძვლელი ისაა, რომ პირს დანაშაულებრივი შედეგი ან გაცნობიერებული არა აქვს საერთოდ ან ყოველმხრივ ცდილობს მის თავიდან აცილებას.

აქედან გამომდინარე, ქმედება დანაშაულის ჩასადენად კი არ არის მიმართული, არამედ სხვა განსხვავებული მიზანი გააჩნია. როგორც აღნიშნეს ქ. მჭედლიშვილი-ჰეიდრიხი, გაუფრთხილებლობისას დანაშაულებრივი შედეგი პირის ნებით არაა მოცული, ანუ არ არსებობს მცდელობის ფუნდამენტური ნიშანი – ქმედების მიმართვა დანაშაულებრივი შედეგის მისაღწევად. შეუძლებელია გაუფრთხილებლობისას წარმოშობილი საფრთხე მცდელობას დაუკავშირო, ეს ლოგიკურად წარმოუდგენელია.

5. დანაშაულის მცდელობის სუბიექტურ და ობიექტურ მხარეთა თანაფარდობის საკითხი

დანაშაულის მცდელობის ცნების განსაზღვრისას აუცილებელია ყურადღება გავამახვილოთ ქმედების სუბიექტურ და ობიექტურ მხარეთა თანაფარდობაზე. როგორც პროფესორი მერაბ ტურავა აღნიშნავს: „დამთავრებული დანაშაულისაგან განსხვავებით, მცდელობისათვის დამახასიათებელია უმართლობის ობიექტური შემადგენლობის ნაკლებობა, მაშინ როდესაც სუბიექტური შემადგენლობა სრული მოცულობით სახე-

ზეა“.¹²⁵ რა თქმა უნდა ეს თანაფარდობა დამთავრებული დანაშაულისაგან განსხვავებით დარღვეულია, სუბიექტური მხარის სასარგებლოდ, რადგან ის ყოველთვის უფრო მეტია ობიექტურთან შედარებით იმიტომ, რომ ამ უკანასკნელს აკლია არსებითი ნიშანი, შედეგი (რომელიც მოცული იყო დამნაშავის განზრახვით). ასეთი თანაფარდობა დარღვეულია ზოგიერთი დამთავრებული დანაშაულის დროსაც, რაც ზოგჯერ სასამართლო პრაქტიკაში შეცდომასაც იწვევს. ამიტომ მნიშვნელოვანია იმის ზუსტად ცოდნა რა არის დამთავრებული დანაშაული. ეს დამოკიდებულია იმაზე, კონკრეტულ მუხლში დანაშაულის აღწერისას, თუ რა ჰქონდა კანონმდებელს მხედველობაში. სისხლის სამართლის კოდექსში დამთავრებული დანაშაულის სამი სახე გვხვდება: ა) შედეგიანი დანაშაული, ბ) კონკრეტული საფრთხის დელიქტი, გ) აბსტრაქტული საფრთხის დელიქტი ანუ ფორმალური დანაშაული. ზოგჯერ კანონმდებელი დანაშაულს დამთავრებულად აცხადებს, მხოლოდ შედეგის დადგომისას და ამ შედეგს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, მაგალითად, 108-ე მუხლში (განზრახ მკვლელობა). განსხვავებით ამისაგან გვაქვს 179-ე მუხლი (ყაჩაღობა), რომლის დროსაც დანაშაულის შედეგს ანუ სხვისი ნივთის დაუფლებას მნიშვნელობა არა აქვს. დანაშაული დამთავრებულად ცხადდება თავდასხმის მომენტიდან, როგორც ვხედავთ, აქ აშკარაა სუბიექტური მხარის მეტობა ობიექტურზე. განზრახვა არა მარტო თავდასხმას, ნივთის დაუფლებას, არამედ გახარჯვას ან გამოყენებასაც გულისხმობს. იგივეს ვაწყდებით 109-ე მუხლში – ორი ან მეტი პირის განზრახ მკვლელობისას. დამნაშავეს შეიძლება ჩაფიქრებული

¹²⁵ ტურავა მ. სისხლის სამართლის კოდექსი კომენტარები. თბ., 2010 წ. გვ. 257

ჰქონდეს 5 ადამიანის მკვლელობა, მაგრამ მხოლოდ ორი მათგანის მოახერხოს, მიუხედავად ამისა, დანაშაული დამთავრებული იქნება, რადგან კანონისათვის საკმარისია მხოლოდ ორი მსხვერპლის არსებობაც კი. აქაც აშკარაა სუბიექტური მხარის მეტობა ობიექტურზე. ამიტომ, შეცდომაში რომ არ შეგვიყვანოს ამ თანაფარდობამ – სუბიექტურ და ობიექტურ მხარეთა შორის დანაშაულის მცდელობის და დამთავრებული დანაშაულის გამიჯვნისას, საჭიროა, უპირველესად, ყურადღება მიექცეს, თუ როგორ არის აღწერილი ქმედება კოდექსის კერძო ნაწილის მუხლში.¹²⁶ და ბოლოს, დამთავრებული დანაშაული არ გულისხმობს დანაშაულებრივი შედეგის დაუყოვნებლივ განხორციელებას. მოქმედება, მიმართული რაიმე დანაშაულის ჩასადენად, არ გადაიქცევა მცდელობად იმის გამო, რომ ამ მოქმედების ჩადენიდან შედეგის განხორციელებამდე დროის განსაზღვრულმა მანძილმა გაიარა.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-19 მუხლიდან გამომდინარე, მოკლედ განვიხილავთ დასკვნით დებულებებს მცდელობის ობიექტურ მხარესთან მიმართებაში. ჩადენილი ქმედების დანაშაულის მცდელობად დაკვალიფიცირება უნდა მოხდეს: 1) დანაშაულის ჩასადენად უშუალოდ მიმართული ქმედების, 2) განზრახვის, 3) დანაშაულის ბოლომდე არმიყვანის დადგენისას.

მოქმედების (უმოქმედობის) ნიშანი, უშუალოდ მიმართული დანაშაულის ჩასადენად, ნიშნავს რომ დანაშაულის მცდელობისას ხორციელდება ქმედება, გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის კონკრეტუ-

¹²⁶ გამყრელიძე ო. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება. თბ., 2005წ. გვ. 162-163

ლი მუხლით. ეს ნიშანი განასხვავებს დანაშაულის მცდელობას არადანაშაულებრივი ქმედებისა და დანაშაულის მომზადებისაგან (პირობების შექმნა დანაშაულის ჩასადენად). თუ პირი არ იწყებს მოქმედებას (უმოქმედობას) აღწერილ სსკ კერძო ნაწილის შესაბამის მუხლში, ქმედება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება დაკვალიფიცირდეს დანაშაულის მცდელობად. მაგალითად, არ შეიძლება ქრთამის აღების ან მიცემის მცდელობად დაკვალიფიცირდეს გამოთქმული განზრახვა მისცეს ან აიღოს ფული, ფასიანი ქაღალდები ან სხვა ქონება, თუ ამის რეალიზაციისათვის პირმა არ გადადგა რაიმე კონკრეტული ნაბიჯები, არ განახორციელა რაიმე ქმედება ანუ არ შეუდგა განზრახვის განხორციელებას.

რა თქმა უნდა, მოქმედების (უმოქმედობის) დანაშაულის მცდელობად კვალიფიკაციისათვის აუცილებელია დადგენა, დაიწყო თუ არა პირმა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების განხორციელება, მაგრამ მხოლოდ ამ ნიშნის დადგენა საკმარისი არ არის ნამოქმედარის სისხლისსამართლებრივი შეფასებისათვის, აუცილებელია დადგინდეს განზრახვის არსებობა.

ნიშანი, განზრახი ქმედების ჩადენა, რა თქმა უნდა, თავისთავად არ განასხვავებს დანაშაულის მცდელობას და დამთავრებულ დანაშაულს, მაგრამ ნიშნავს, რომ გაუფრთხილებლობის დადგენა ავტომატურად გამოორიცხავს ქმედების დანაშაულის მცდელობად კვალიფიკაციას. მაგალითად, არასწორი იქნება სასამართლოს შეფასება პირის ქმედებისა, რომელმაც ფაქტიურად გამოიწვია დაზარალებულის ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანება, გაუფრთხილებლობით მკვლელობის მცდელობად, თუ ქმედება ჩადენილია

დაუდევრობით. დანაშაულის მცდელობის შესახებ მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, ასეთი ქმედება შესაძლებელია მხოლოდ განზრახ. პრაქტიკა დასაბუთებულად უნდა გამომდინარეობდეს იმ დებულებიდან, რომ დანაშაულის მცდელობა შეიძლება ჩადენილ იქნას მხოლოდ პირდაპირი განზრახვით. ასე მაგალითად, მკვლელობის მცდელობა შესაძლებელია მხოლოდ პირდაპირი განზრახვით ანუ, როდესაც ნამოქმედარი ცხადყოფს, რომ დამნაშავე აცნობიერებდა თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობას, ითვალისწინებდა შესაძლებლობას ან გარდუვალობას სხვა ადამიანის სიკვდილის და სურდა ის, მაგრამ სასიკვდილო შედეგი არ დადგა (მსხვერპლის აქტიური წინააღმდეგობის, სხვა პირთა ჩარევის, დროული სამედიცინო დახმარების აღმოჩენის ან რაიმე სხვა მიზეზის გამო).

ასეთ პირობებში პრობლემას არ უნდა წარმოადგენდეს დასკვნის გაკეთება, რომ არაპირდაპირი განზრახვის აღმოჩენამ უნდა გამორიცხოს დანაშაულის მცდელობის არსებობა. კანონი, იყენებს რა მხოლოდ ტერმინს „განზრახი“, პირადპირ არ ზღუდავს ასეთი ქმედების ჩადენის შესაძლებლობას მხოლოდ პირდაპირი განზრახვით. ამასთან დანაშაულის მცდელობა ესაა განზრახი ქმედება უშუალოდ მიმართული დანაშაულის ჩასადენად ან ქმედება, რომელსაც მივყავართ დამთავრებული დანაშაულისაკენ. რა თქმა უნდა, ასეთი რამ შეიძლება იყოს არაპირდაპირი განზრახვის დროსაც, მაგრამ როგორც აღიარებულია თეორიაში, ევენტუალური განზრახვით ყოველთვის მოცულია ქმედების გვერდითი შედეგი, რომელსაც მივყავართ სხვა დანაშაულის ჩადენისკენ ან საერთოდ უდანაშაულო ქმედებისაკენ, რომლის

დადგომისათვის პირს საერთოდ არაფერი გაუკეთებია. იმის გამო, რომ ევენტუალური განზრახვის რეალიზაციისათვის სპეციალურად არაფერი არ ხორციელდება, ქმედების უშუალოდ მიმართვა დანაშაულის ჩასადენად, გამორიცხულია.

დანაშაულის ბოლომდე არ მიყვანის ნიშანი წარმოადგენს იმას, რომ მცდელობის დროს ან შესაბამისი ქმედება არ სრულდება მთელი მოცულობით, ან ის არ იწვევს მავნე შედეგს, რომელიც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის მუხლით. ამ ნიშანს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს დამთავრებული დანაშაულის და დანაშაულის მცდელობის ერთმანეთისაგან გასამიჯნავად.

კანონმდებელს გათვალისწინებული აქვს ისეთი შემთხვევები, როდესაც განსაკუთრებული მნიშვნელობის სამართლებრივი ობიექტის დასაცავად, ამ ობიექტის ხელყოფა ჯერ კიდევ მცდელობის სტადიაზე კრიმინალიზირებულია, როგორც დამთავრებული დანაშაული. საუბარი გვაქვს ეგრეთ წოდებულ შეკვეცილ და ზოგიერთ შემთხვევაში ფორმალურ შემადგენლობებზე. მაგალითად, ყაჩაღობისას უკვე თავდასხმის მომენტიდან, მფლობელისაგან ქონების ამოღების გარეშეც ეს დანაშაული დამთავრებულია. გამოძალვისას სხვისი ქონების გადმოცემის მოთხოვნა, რაიმე მოქმედების განხორციელების გარეშე ამ ქონების დასაუფლებლად ასევე ქმნის დანაშაულს.

სისხლისსამართლებრივი შეფასებისას იმის განსაზღვრა, რომ ქმედება არ იყო სრულად განხორციელებული, სისხლის სამართლის კანონში მის აღწერასთან შეფარდებით ხდება. ქმედების შემადგენლობის გათვალისწინებას დიდი მნიშვნელობა აქვს. ამ მოთხოვნის უგულველყოფის ფაქტს

ჩვენ ვხედავთ რუსეთის სასამართლო პრაქტიკაში. რუსეთის უმზენაესი სასამართლოს პლენუმის 1997 წლის 17 იანვრის დადგენილებით N1 „სასამართლოების მიერ ბანდიტიზმისათვის პასუხისმგებლობის კანონმდებლობის გამოყენების პრაქტიკის შესახებ“ განმარტებულია, რომ „იმ შემთხვევებში, როდესაც პირის აქტიური ქმედებები მიმართულია მდგრადი შეიარაღებული ჯგუფის შექმნისაკენ, რაც ვერ მოხერხდა და ბანდა ვერ ჩამოყალიბდა სამართალდამცავი ორგანოების დროული მოქმედების ან თვითონ პირისაგან დამოუკიდებელი სხვა მიზეზების გამო, დაკვალიფიცირებულ უნდა იქნას, როგორც ბანდიტიზმის მცდელობა“.¹²⁷ ეს გადაწყვეტილება არაა სწორი, რადგან „მყარი შეიარაღებული ჯგუფის შექმნა ვინმეზე თავდასხმის მიზნით ფაქტობრივად დანაშაულის მოსამზადებელი მოქმედებაა. მიუხედავად ამისა, კანონმდებელმა ეს მოქმედება, თავისი მომეტებული საშიშროების გამო, დამოუკიდებელ დანაშაულად გამოაცხადა“.¹²⁸ ამიტომ ე.წ. მომზადების მცდელობა არის ნონსენსი და პრაქტიკულად დაუშვებელი.

განსხვავებულად გადაწყდება დანაშაულის მცდელობის საკითხი, როდესაც სისხლისსამართლის ნორმა ითვალისწინებს ქმედების ალტერნატიულ სახეებს (დესკრიპციული აღწერილობა). საქართველოს სსკ 236–ე მუხლი ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ცეცხლსასროლი იარაღის, (გარდა გლუვლულიანი სანადირო თოფისა) საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი

¹²⁷ Судебная практика к Уголовному кодексу Российской Федерации / Под общ. ред. В.М. Лебедева. М., 2001, с. 839.

¹²⁸ გამყრელიძე ო. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება. თბ., 2005 წ. გვ. 156

მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შექმნა, შენახვა, ტარება, დამზადება, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღების გამო. ამ მუხლის დისპოზიციაში მოცემული ნებისმიერი მოქმედების შესრულება უკვე ქმნის დანაშაულის დამთავრებულ შემადგენლობას. ამიტომაც ერთ–ერთი მოქმედების სრულყოფილად შესრულება გამორიცხავს მეორე მოქმედების სისხლისსამართლებრივი შეფასებისას მცდელობის კვალიფიკაციას, თუნდაც ეს მეორე მოქმედება სრულად არ განხორციელდეს. ასეთ პირობებში მთლიანად შესრულებულ მოქმედებაში უკვე არსებობს დანაშაულის შემადგენლობის ყველა ნიშანი, რაც გათვალისწინებულია სისხლისსამართლებრივი ნორმით. ანუ მოცემული ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს, როგორც დამთავრებული დანაშაული. ყველა სხვა მოქმედებას ფაქტობრივად ჩადენილი ქმედებიდან, სამართლებრივი შეფასებისას იურიდიული მნიშვნელობა არა აქვს.

უფრო რთულად წყდება საკითხი, დანაშაულის მცდელობის იურიდიული შეფასებისას, როდესაც არ დგება ის შედეგი, რაც გათვალისწინებულია სსკ კერძო ნაწილის მუხლით ან მუხლის ნაწილით. საქმე იმაშია, რომ ასეთ შემთხვევებში, ჩადენილ ქმედებაში შეიძლება გამოიკვეთოს უფრო მსუბუქი დასრულებული დანაშაულის ნიშნები, თუმცა პირის განზრახვა მოიცავდა დაუმდგარ შედეგსაც. მაგალითად, დიდი ოდენობით სხვის ქონების დაუფლება (ქურდობის მცდელობა), რაც მან ვერ განახორციელა მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო. აქედან გამომდინარეობს საერთო დასკვნა, თუ პირის განზრახვა მოიცავდა უფრო მძიმე შედეგს, ვიდრე ფაქტობრივად დადგა, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს როგორც ამ უფრო მძიმე შედეგის მცდელობა.

და ბოლოს, ქმედება შეიძლება დაკვალიფიცირდეს, როგორც დანაშაულის მცდელობა პირის ქმედებაში ფაქტობრივი შეცდომის არსებობისასაც. ასეთი ქმედების სისხლისსამართლებრივი შეფასების საერთო წესიდან გამომდინარე პირის არასწორი წარმოდგენა ფაქტობრივ ვითარებაზე იწვევს (მათი სინამდვილეში არარსებობისას) პასუხისმგებლობას დანაშაულის მცდელობისათვის (სასამართლო პრაქტიკაც ამას დიდი ხანია ითვალისწინებს). მაგალითად, თუ სიბნელეში პირი კლავს სხვა ადამიანს და არა იმ ადამიანს, ვინც მას უნდა მოეკლა, ქმედება დაკვალიფიცირდება, როგორც გაუფრთხილებლობით მკვლელობა, ხოლო ნამდვილი სამიზნის მიმართ კი ამ შემთხვევაში მკვლელობის მცდელობა გვექნება.

დანაშაულის ბოლომდე არ მიყვანა თავისთავად არ გვაძლევს იმის საბაზს, რომ ნებისმიერ შემთხვევაში ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს, როგორც მცდელობა. მოქმედი კანონმდებლობით მნიშვნელოვანი მომენტია, თუ რატომ არ იყო მიყვანილი ქმედება ბოლომდე. ამ ნიშნით დანაშაულის მცდელობა ემიჯნება დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებას, რომელიც შესაძლებელია მაშინ, როდესაც პირს გაცნობიერებული აქვს, რომ შეუძლია ქმედება ბოლომდე მიიყვანოს, მაგრამ არ აკეთებს ამას.

6. დანაშაულის მცდელობის შემადგენლობის სუბსუმციის საკითხები

განვიხილოთ მომზადებისა და მცდელობის განსხვავების პრობლემატიკა. პრაქტიკულად თ. წერეთლის მოსაზრების იდენტურია პროფესორ ო. გამყრელიძის შეხედულებებიც დანაშაულის მცდელობასთან დაკავშირებით, ის წერს, რომ: „და-

ნაშაულის მცდელობა მოსამზადებელ მოქმედებასა და დამთავრებულ დანაშაულს შორისაა. მოსამზადებელი მოქმედებისაგან განსხვავდება იმით, რომ, მცდელობისას მოქმედება უშუალოდაა მიმართული დანაშაულის ჩასადენად, ხოლო დამთავრებული დანაშაულისაგან განსხვავდება იმით რომ მცდელობისას ჯერ კიდევ არ არის მიღწეული სასურველი შედეგი. მცდელობა კონკრეტული საფრთხის შემქმნელი მოქმედებაა მომზადებისაგან განსხვავებით, რომლის დროსაც საფრთხე აბსტრაქტულია. დამთავრებული დანაშაულისას საფრთხე უკვე რეალიზებულია, ამ შემთხვევაში არსებობს არა მარტო ობიექტის დაზიანების საფრთხე, არამედ უკვე რეალიზებულია ზიანი.¹²⁹ მომზადება და მცდელობა საფრთხის შემქმნელი მოქმედებებია და მათ შორის განსხვავება საფრთხის აბსტრაქტულ (მომზადება) და კონკრეტულ (მცდელობა) შექმნაზე დამყარებული.

თუკი დანაშაულის მომზადებისას იქმნება პირობები დანაშაულის ჩასადენად, დანაშაულის მცდელობისას უკვე იწყება ვიწროდ გაგებული დანაშაულის შემადგენლობის განხორციელება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სისხლის სამართლით დაცულ სიკეთეს უშუალო საფრთხე ექმნება. სწორედ უშუალო საფრთხე, როგორც ამას აღნიშნავდა თინათინ წერეთელი, არის მცდელობის ის ნიშანი, რომელიც მას განასხვავებს მომზადებასა და დამთავრებული დანაშაულისგან. საფრთხის შინაარსის გარკვევა მიზანშეწონილია ისეთი კატეგორიების საფუძველზე, როგორიცაა შესაძლებლობა და სინამდვილე. აღნიშნული კატეგორიები არსებობის განსხვავებუ-

¹²⁹ გამყრელიძე ო. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება. თბ., 2005წ. გვ. 159

ლი ტიპებია. თუ შესაძლებლობა არსებობს ჩანასახის, ტენდენციის ანუ ალბათობის გარკვეული ხარისხის შემცველ სინამდვილედ გადაქცევის ფორმით, სინამდვილე ვინრო გაგებით არსებობს განხორციელებული სახით.¹³⁰

მოქმედი საქართველოს სისხლის სამართლის კანონი არ იცნობს დანაშაულის განვითარების სტადიის ცნებას. კოდექსში მხოლოდ მოცემულია დასჯადი დაუმთავრებელი დანაშაულის სახეების საკანონმდებლო განმარტებები. მიუხედავად ამისა, სამართლის მეცნიერებაში შესაძლებელია გამოიყოს განზრახი დანაშაულის ოთხი საფეხური. განზრახი დანაშაულის განხორციელებამ თავის განვითარებაში შესაძლებელია შემდეგი სტადიები გაიაროს (როგორც ამას თინათინ წერეთელი აღნიშნავს): „დანაშაულებრივი განზრახვის გამომჟღავნება მესამე პირისათვის გასაგები ფორმით; დანაშაულის ჩასადენი პირობების მომზადება; დანაშაულის განხორციელების დასაწყისი ანუ დანაშაულის მცდელობა და დამთავრებული დანაშაული“.¹³¹ განზრახვის გამომჟღავნება დანაშაულის დასჯად სტადიას, სავსებით სამართლიანად, არ მიეკუთვნება. განზრახვის გამომჟღავნება ორი მომენტისაგან შედგება. პირველი ეს არის სუბიექტის აზროვნებაში ჩამოყალიბებული განზრახვა ჩაიდინოს დანაშაული, მეორე კი მდგომარეობს ამ განზრახვის გამჟღავნებაში მესამე პირისათვის გასაგები ფორმით (სიტყვიერად, წერილობით ან სხვაგვარად). ამ სტადიის დაუსჯელობა საყოველთაოდ აღიარებულია, რადგან ის არ ქმნის რაიმე საფრთხეს. საკმარისად დაშორებულია დამთავრებული დანაშაულისაგან და

¹³⁰ ნაჭყებია გ. სისხლის სამართალი. ზოგადი ნაწილი. თბ., 2006წ. გვ. 161

¹³¹ წერეთელი თ. დანაშაულის მომზადება და მცდელობა. თბ., 1961წ. გვ. 38

ჯერ კიდევ მოვლენათა განვითარების ჯაჭვში შესაძლებელია იმდენი ფაქტორი ჩაერიოს და შეცვალოს სუბიექტის განზრახვა თუ მისი ქმედების მიმდინარეობა, ამიტომ საფრთხე მინიმალურია და იმ ზღვარზე დაბლაა, რამაც შესაძლებელია გამოიწვიოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დადგომის აუცილებლობა.

მანამ სანამ უშუალოდ შევეხებით დაუმთავრებელი დანაშაულის ორი სახის – დანაშაულის მომზადების და დანაშაულის მცდელობის გამიჯვნას, ორიოდ სიტყვით უნდა დავახასიათოთ დამთავრებული დანაშაულის ცნება. დამთავრებული დანაშაულებრივი შემადგენლობა, შემადგენლობის ჩვეულებრივ ტიპს წარმოადგენს, ხოლო მცდელობა და მომზადება მისგან არიან წარმოებულნი. როგორც მიუთითებს თინათინ წერეთელი: „დანაშაული დამთავრებულად ითვლება მაშინ, როდესაც განხორციელებულია სუბიექტის მიერ განზრახული დანაშაულის შემადგენლობის ყველა ნიშანი“.¹³² ანუ თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში ამა თუ იმ დანაშაულის დამთავრების საკითხის გადაწყვეტა დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ არის აღწერილი ამ დანაშაულის შემადგენლობა სისხლის სამართლის კანონში. დანაშაული დამთავრების მომენტი პირობითია. როგორც უკვე აღინიშნა სისხლის სამართლის კოდექსში დამთავრებული დანაშაულის სამი სახე გვხვდება: შედეგიანი დანაშაული ანუ ისეთი დანაშაული, რომლის შემადგენლობა ითვალისწინებს გარკვეული ობიექტის რეალურად დაზიანებას; კონკრეტული საფრთხის დელიქტი, რომელშიც დანაშაულის დამთავრების მომენტი გადატანილია უფრო ადრინდელ საფეხურზე, როდესაც შექმნი-

¹³² წერეთელი თ. დანაშაულის მომზადება და მცდელობა. თბ., 1961წ. გვ. 47

ლია გარკვეული ობიექტის დაზიანების რეალური შესაძლებლობა; აბსტრაქტული საფრთხის ანუ ფორმალური დანაშაული, ე.ი. ისეთი დანაშაული, რომელიც დამთავრებულად ითვლება მოქმედების ჩადენისთანავე ან - უმოქმედობის დროს - იმ მომენტში, როდესაც სავალდებულო მოქმედება უნდა შესრულებულიყო. დამთავრებული დანაშაულისაგან დანაშაულის მცდელობა განსხვავდება იმით, რომ დამთავრებული დანაშაულის დროს შესრულებულია დანაშაულის შემადგენლობის ყველა ელემენტი, ხოლო მცდელობის დროს დანაშაულის შემადგენლობა ბოლომდე განხორციელებული არ არის.

საქართველოს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსით დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯად სტადიებს წარმოადგენს დანაშაულის მომზადება და დანაშაულის მცდელობა. დანაშაულებრივი საქმიანობის პირველი სტადიას მოსამზადებელი მოქმედება წარმოადგენს. თუ დამნაშავემ, რომელიც ემზადება დანაშაულის ჩასადენად, უფრო მეტი გააკეთა, ესე იგი გასცდა მომზადების სტადიას, უკვე გვექნება ან დანაშაულის მცდელობა ან დამთავრებული დანაშაული. ამიტომ ლოგიკურად დგება საკითხი: სად იწყება და მთავრდება დანაშაულის მომზადება და რა მომენტში გადადის ის დანაშაულის მცდელობაში ან დამთავრებულ დანაშაულში და თავისთავად სად დევს დანაშაულის მცდელობის საწყისი მომენტი და როდის ხდება მცდელობა დამთავრებულ დანაშაულად.

სისხლის სამართლის მეცნიერებაში და სასამართლო პრაქტიკაში ძალიან დიდი როლი ენიჭება დანაშაულის მცდელობისა და დანაშაულის მომზადების ურთიერთგამიჯვნას. ამიტომ ზუსტად და ამომწურავად უნდა იქნეს დადგენილი ის კრიტერიუმები, რომლებითაც უნდა მოხდეს ეს გამიჯვნა.

მითუმეტეს, რომ დასჯადია, მხოლოდ განსაკუთრებით მძიმე და მძიმე დანაშაულების მომზადება. განსხვავებით ამისაგან ყველა სახის დანაშაულის მცდელობა დასჯადია. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დანაშაულის მომზადებასა და მცდელობას შორის მკაფიო ხაზის გასმა ისეთ დანაშაულებზე, რომელთა შემადგენლობით დანაშაულის დამთავრება გადმოტანილია მცდელობის სტადიაზე (მაგალითად სსკ-179-ე მუხლი, ყაჩაღობა, ამ დანაშაულის მომზადებიდან მცდელობაზე გადასვლა უკვე დამთავრებულ დასჯად დანაშაულს წარმოადგენს).

იმისათვის რომ განვსაზღვროთ ის კრიტერიუმები, რომლებიც მკაფიოდ გამიჯნავენ დაუმთავრებელი დანაშაულის ამ ორ სტადიას, აუცილებელია განვმარტოთ, თუ რას წარმოადგენს თვითონ დანაშაულის მომზადება. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-18 მუხლის მიხედვით, დანაშაულის მომზადება არის: „დანაშაულის ჩადენისათვის პირობების განზრახ შექმნა“. როგორც ვხედავთ, დანაშაულის მომზადება მდგომარეობს პირობების შექმნაში დანაშაულის ჩასადენად და არ წარმოადგენს დანაშაულის აღსრულების უშუალო დაწყებას. ის მხოლოდ ქმნის ისეთ პირობებს, რომელიც მომავალში შესაძლებელს გახდის დანაშაულის განხორციელებას ან გააადვილებს მის ჩადენას. კანონმდებელი არ აკეთებს სანიმუშო ჩამონათვალს, რაშიც შეიძლება გამოიხატოს მოსამზადებელი მოქმედება, არამედ მხოლოდ იყენებს განზოგადებულ ცნებას - „პირობების განზრახ შექმნა“.¹³³ პირობების შექმნა ობიექტური მხრით შეიძლება გამოიხატოს შემდეგში:

¹³³ ნაჭყებია გ. სისხლის სამართალი. ზოგადი ნაწილი. თბ., 2006წ. გვ. 157

- 1) დამნაშავის მიერ ჩაფიქრებული დანაშაულის ჩასადენად აუცილებელი და საჭირო იარაღის ან საშუალების მოძიება (ყიდვა, მიღება დროებით მოხმარებაში შესამე პირისგან, მოპარვა, დამზადება და სხვა.).
- 2) დამნაშავის მიერ მის ხელთ არსებული ან მოპოვებული იარაღის ან საშუალების მორგება დანაშაულის ჩასადენად, ანუ მათი ისეთ მდგომარეობაში მოყვანა, რომელიც შესაძლებელს გახდის ან გააადვილებს მათ გამოყენებას დანაშაულის ჩადენის პროცესში. ასეთი სახის მომზადებას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც დანაშაულის ჩადენის იარაღად, მაგალითად, ბოქლომის მოსაგლეჯ ლომად რკინის არმატურის გადაკეთება, რომელიც თავისთავად დანაშაულის ჩასადენ იარაღად არ გამოდგება. სუბიექტი შესაბამისად უვნებელ ნივთს მოირგებს დანაშაულის ჩასადენად.
- 3) იმ ადგილის დათვალიერება, სადაც არის ჩაფიქრებული დანაშაულის ჩადენა (მაგალითად, სხვადასხვა საბაზის ქვეშ ბინის ან სათავსოს ან გასაღების მონყობილობის ამ დამნაშავის ინტერესში მყოფი სხვადასხვა ნივთის ადგილსამყოფელის დათვალიერება). აგრეთვე დანაშაულის ჩადენის დამაბრკოლებელი წინააღმდეგობის გამოვლენა, უვნებელყოფა. სხვადასხვა სახის იმფორმაციის მოპოვება დანაშაულის გასაადვილებლად (მაგალითად, სიგნალიზაციის სისტემის მუშაობის გაგება). ასეთი სახის მოსამზადებელი საქმიანობა ძირითადად საჭიროა დანაშაულის გასაადვილებლად.

- 4) ერთ–ერთ მთავარ საქმიანობად დანაშაულის მომზადების დროს არის იმ დაბრკოლებების უვნებელყოფა და განეიტრალება, რომელთაც შეიძლება ხელი შეუშალონ დანაშაულის ბოლომდე მიყვანას.
- 5) სუბიექტის მიერ საკუთარი თავის ისეთ მდგომარეობაში მოყვანა, რომელიც შესაძლებელს გახდის დანაშაულებრივი ჩანაფიქრის აღსრულებას ან გაართულებს დანაშაულის ჩადენის შემდეგ დამნაშავის გამოვლენას, დაკავებას. ასევე გარკვეულ პირობებში დაზარალებულის ან სხვა პირის ჩაყენება, რომელიც აადვილებს ან შესაძლებელს ხდის დანაშაულის ჩადენას ან ქმნის წინასწარ პირობებს დანაშაულის კვალის დასაფარავად.
- 6) დამნაშავის მიერ თანამონაწილეთა მოძიება დანაშაულის ჩასადენად. ორგანიზებული ჯგუფის შექმნა, ან მასში შესვლა. დაჯგუფების წევრების მიერ დანაშაულის გეგმის შექმნა ან განხილვა.

სუბიექტური მხრივ დანაშაულის მომზადება შეიძლება მხოლოდ პირდაპირი განზრახვით. განზრახვა დანაშაულის მომზადების დროს მიმართულია არა მოსამზადებელ მოქმედებაზე როგორც ასეთზე, არამედ ფინალური შედეგის განხორციელებაზე. განზრახვა უნდა მოიცავდეს ყველა იმ გარემოებას, რომელიც შედის დამთავრებული დანაშაულის ობიექტურ შემადგენლობაში.

განზრახვა უნდა არსებობდეს თვით მოსამზადებელი მოქმედების ჩადენის მომენტში. ამიტომ თუ ვინმემ იყიდა იარაღი, ეს მოქმედება ვერ ჩაითვლება მოსამზადებელ მოქმედებად, თუნდაც შემდგომში სუბიექტს დაეზადოს განზრახვა გამოიყენოს ის დანაშაულის ჩასადენად.

დანაშაულის მომზადება უპირველესად გამიჯნული უნდა იქნეს განზრახვის გამომჟღავნებისაგან, რომელიც გულისხმობს დანაშაულებრივი განზრახვის გამოვლინებას რაიმე გარეგნული ფორმით, რაც მესამე პირთათვის გასაგები უნდა იყოს. დანაშაულის განზრახვის გამოვლინება შეიძლება იყოს სიტყვიერი, წერილობით ან რაიმე სხვა ფორმით, რომლისგანაც შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა დანაშაულებრივი განზრახვის არსებობის შესახებ. მაგრამ თავისთავად ეს მოქმედება არ უნდა იყოს დანაშაულებრივი განზრახვის რეალურად განხორციელების ხელის შეწყობა. დანაშაულის მომზადება კი, რა თქმა უნდა, ისეთი მოქმედებაა, რომელიც შესაძლებლად ხდის ან აადვილებს თვით დანაშაულის განხორციელებას. დანაშაულის მომზადება განზრახვის გამომჟღავნებისაგან განსხვავებით დასჯად სტადიას წარმოადგენს, თუმცა სასამართლო პრაქტიკაში დანაშაულის მომზადებისთვის პასუხისმგებლობა საკმაოდ იშვიათ გამონაკლისს წარმოადგენს.

სად მთავრდება დანაშაულის მომზადება და როდის გადადის ის დანაშაულის მცდელობაში. აუცილებელია ზუსტად განისაზღვროს ეს მომენტი და დასახელდეს ის კრიტერიუმები, რომლებიც მიჯნავენ დაუმთავრებელი დანაშაულის ამ ორ სტადიას. როგორც თინათინ წერეთელი აღნიშნავდა „ის მომენტი, რომ მცდელობა ისეთი მოქმედებაა, რომელიც უშუალოდ მიმართულია დანაშაულის განხორციელებაზე, განსხვავებს მცდელობას მოსამზადებელი მოქმედებისაგან. მოსამზადებელი მოქმედება, წარმოადგენს მხოლოდ პირობების შექმნას იმისათვის, რათა მომავალში შესაძლებელი გახდეს ან გაადვილდეს დანაშაულის ჩადენა, მაშინ როცა მცდელობა ისეთი მოქმედებაა, რომელიც თვით დანაშაულის შესრულებ-

ბას წარმოადგენს“. როგორც ვხედავთ, პირველ გამმიჯნავ ნიშნად დანაშაულის მცდელობასა და დანაშაულის მომზადებას შორის უნდა მივიჩნიოთ ის, რომ სუბიექტის მიერ უშუალოდ გადასვლა დანაშაულის შემადგენლობის შესრულებაზე, რომელიც აღწერილია შესაბამის მუხლში, წარმოადგენს დანაშაულის მცდელობის საწყის მომენტს. იგივეს აღნიშნავს ოთარ გამყრელიძეც: „დანაშაულის მცდელობა მოსამზადებელ მოქმედებასა და დამთავრებულ დანაშაულს შორისაა. მოსამზადებელი მოქმედებისაგან ის იმით განსხვავდება, რომ მცდელობა უშუალოდ არის მიმართული დანაშაულის ჩასადენად. მაშასადამე, დანაშაულის მცდელობა კონკრეტული საფრთხის შემქმნელი მოქმედებაა, ხოლო მომზადება აბსტრაქტულ საფრთხეს ქმნის“.¹³⁴ როგორც ამ სიტყვებიდან ჩანს, მნიშვნელოვანია დანაშაულის ობიექტისათვის საფრთხის შექმნის ელემენტი. მცდელობისას ქმედება ანუ უშუალოდ დანაშაულის შესრულებაზე გადასვლა რეალურ საშიშროებას წარმოადგენს ობიექტისათვის ზიანის მისაყენებლად ანუ საკმაოდ რეალურია და რომ არა გარკვეული დამაბრკოლებელი გარემოება, ობიექტი დაზიანდებოდა. დანაშაულის მომზადებისას ეს ობიექტის დაზიანების საფრთხე საკმაოდ დაცილებულია, აბსტრაქტულია, არსებობს, რა თქმა უნდა, საფრთხე, მაგრამ მომზადების სტადიაზე ჯერ კიდევ ბევრმა მოვლენამ და გარემოებამ შეიძლება ხელი შეუშალოს სუბიექტს თავისი განზრახვის ბოლომდე მიყვანაში. ამა თუ იმ მოქმედების აღიარება მცდელობად თუ მომზადებად, დამოკიდებულია დანაშაულის შემადგენლობის საკანონმდებლო კონსტრუქციაზე სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებულ ნაწილში.

¹³⁴ გამყრელიძე ო. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება. თბ., 2005წ. გვ. 159

ანუ კონკრეტულად თუ რომელი მოქმედებაა პირობების შექმნა და რომელი - დანაშაულის უშუალო განხორციელება, გადაწყდება იმისდა მიხედვით, თუ რომელ დანაშაულებრივ ქმედებასთან გვაქვს საქმე. ერთი და იმავე შინაარსის მოქმედება ერთი დანაშაულის მიმართ შეიძლება მცდელობა იყოს, ხოლო სხვა დანაშაულისას მომზადება. მაგალითად, მკვლელობის მიმართ დაზარალებულის საცხოვრებელ ბინაში შესვლა მომზადება იქნება, ხოლო იგივე ქმედება, ჩადენილი ქურდობის განზრახვით, მცდელობა.

აბსოლუტურად შესაძლებელია დავეთანხმოთ ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის შუა პერიოდში რუსი მეცნიერის ტრაინინის მიერ ჩამოყალიბებულ ერთგვარ ფორმულას სადაც ნაჩვენებია:

მცდელობა = განზრახვა + ქმედება, რომელიც წარმოადგენს დანაშაულის შემადგენლობის ელემენტს - (მინუს) შედეგი.

მომზადება = განზრახვა + ქმედება, რომელიც არ არის შემადგენლობის ელემენტი.

ანუ მცდელობა ამ ფორმულით არის ისეთი დანაშაულებრივი ქმედება, რომელიც შეიცავს კონკრეტული დანაშაულის შემადგენლობის ყველა ელემენტს გარდა შედეგისა. დანაშაულის მომზადებისათვის კი საკმარისია შემადგენლობის ერთი ელემენტი – განზრახვა, გამოიმუშავებული კონკრეტულ ქმედებაში, რომელიც არ წარმოადგენს შემადგენლობის ელემენტს. თუ ქმედება, რომელიც ქმნის დანაშაულის მცდელობას, წარმოადგენს მოცემული დანაშაულის ელემენტებს. დანაშაულის მომზადება ხორციელდება ისეთი ქმედებების ჩადენაში, რომლებიც არიან მხოლოდ აუცილებ-

ბელი აქტები და უზრუნველყოფენ მომავალში დანაშაულის ჩადენას ან გაადვილებას.

დანაშაულის მცდელობა განსხვავდება დანაშაულის მომზადებისაგან იმით, რომ ის არის ქმედება უშუალოდ მიმართული (ობიექტურად და სუბიექტურად) დამთავრებული დანაშაულის ჩასადენად. დამნაშავე ცდილობს ჩაიდინოს დამთავრებული დანაშაული, მას აქვს განზრახვა მიიყვანოს დაწყებული დანაშაული ბოლომდე და ამასთან, უმეტეს შემთხვევაში, მოცემულ მომენტში და მოცემულ ადგილას. ამისათვის სუბიექტი მოქმედებს ან იწყებს ისეთ მოქმედებას, რომელსაც შეუძლია (თუმცა გარკვეულ მიზეზთა გამო ვერ ახერხებს) შექმნას დამთავრებული დანაშაულის შემადგენლობა. თავისი გარეგანი ნიშნებით ქმედება, რომელიც ქმნის, დანაშაულის მცდელობას, ჰგავს ქმედებას, რომელიც ქმნის დამთავრებული დანაშაულის შემადგენლობას. განსხვავებაა მხოლოდ ამ ქმედებათა ობიექტური შემადგენლობის განხორციელების ხარისხში. დანაშაულის მომზადება კი არის მხოლოდ მოსამზადებელი საქმიანობა, რომელიც ქმნის პირობებს, მომავალში დამთავრებული დანაშაულის შემადგენლობის შესასრულებლად. ამ შინაარსით დანაშაულის მომზადებაც მიმართულია დანაშაულის ჩასადენად. დამნაშავეს, რომელსაც გააჩნია განზრახვა მოცემული დანაშაულებრივი ქმედების განხორციელებაზე, ჯერ კიდევ არ დაუყენებია ამოცანა მიიყვანოს წამოწყებული დანაშაული ბოლომდე მოცემულ მომენტში და მოცემულ ადგილას. მას ჯერ კიდევ არა აქვს დაწყებული ისეთი ქმედების ჩადენა, რომელსაც ძალუძს შეასრულოს დამთავრებული დანაშაულის შემადგენლობა. თვითონ მოსამზადებელი საქმიანობა, როგორი წარ-

მატებულიც არ უნდა იყოს ის, ვერ მოგვეცემს დამთავრებულ დანაშაულს. გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ ის შემთხვევა, როდესაც კანონმდებელი „შეკვეცილი“ შემადგენლობის შექმნით, დანაშაულის მომზადებას დამოუკიდებელ (დამთავრებულ) დანაშაულად აცხადებს.

ამიტომაც დანაშაულის მცდელობად და არა დანაშაულის მომზადებად უნდა განვიხილოთ ს-ს ქმედება, რომელმაც გააყალბა ლატარეის ორი ბილეთი და მამამისის მეშვეობით ცდილობდა (რომელმაც გაყალბების შესახებ არაფერი იცოდა) ამ ბილეთებით მოგების განაღდებას. ამ ქმედებით, მოგების გამცემი ბანკის თანამშრომლები რომ არ მიმხვადრიყვნენ ბილეთის გაყალბების ფაქტს, ს. მიიღებდა მოგებას, რითაც დამთავრებულ დანაშაულს ჩაიდენდა. თვითონ ბილეთების გაყალბება იყო მოსამზადებელი საქმიანობა, რადგან მხოლოდ გაყალბებას არ შეეძლო დამთავრებული დანაშაულის შემადგენლობის შექმნა, ხოლო მათი მეშვეობით მოგების მიღების მცდელობა კი უკვე მომზადებას დანაშაულის მცდელობად გადააქცევდა.

უმეტეს შემთხვევაში საკმაოდ მარტივია დანაშაულის მომზადებისა და მცდელობის გამიჯვნა. მაგალითად, სირთულეს არ წარმოადგენს რ-ს ქმედებაში შურისძიების ნიადაგზე კ-ს სახლის დაწვის მცდელობის ჩადენის განსაზღვრა. რ. ს-სთან განქორწინების შემდეგ ხშირად მიდიოდა მასთან სახლში, ნასვამი და დებოშიორობდა. რამდენიმე ასეთი ფაქტის შემდეგ ს-მ არ შემოუშვა რ. სახლში, რაზე გაბრაზებულმა რ-მ გადაწყვიტა ს-ს საცხოვრებელი სახლის დაწვა შურისძიების ნიშნად. ამისთვის რ-მ აიღო ბამბის ქსოვილი, რომელშიც შეახვია ბენზინით დასველებული ასანთი, ჩადო მან-

ქანაში და წაილო სამსახურში. სამსახურის შემდეგ ღამის ორ საათზე ის მივიდა ს-ს სახლთან და შეაგდო წინასწარ მომზადებული ქსოვილი სახლის სხვენზე და ცეცხლი წაუკიდა, რის შემდეგაც მიიმალა. ს-ს ხმაურზე გამოეღვიძა, შეამჩნია რა ცეცხლი დროულად შეძლო მისი ჩაქრობა. რ. მალევე იქნა დაკავებული და მიეცა სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში დანაშაულის მცდელობისათვის.

ზღვარი დანაშაულის მომზადებასა და მცდელობას შორის მოცემულ შემთხვევაში, არის მომენტი, როდესაც რ-მ შეაგდო ცეცხლმოკიდებული ქსოვილის ნაჭერი სახლის სხვენზე. ამით მან შეასრულა მოქმედება, რომელიც უკვე ქმნის დანაშაულის მცდელობას. ყველა ის ქმედება, რომელიც ამ ფაქტს წინ უსწრებდა არის დანაშაულის მოსამზადებელი საქმიანობა.

მაგრამ ყოველთვის ასე ადვილი არ არის ზღვარის გავლება დაუმთავრებელი დანაშაულის ამ ორ სტადიას შორის. ზოგჯერ გარკვეულ სიძნელეს ვაწყდებით ისეთ შემთხვევებში, როდესაც დამნაშავემ შეასრულა არა ყველა მოქმედება, რომელიც საჭიროა დამთავრებული დანაშაულის მისაღწევად, არამედ მხოლოდ მათი ნაწილი, განსაკუთრებით თუ ეს ქმედებები უშუალოდ მოსდევს მოსამზადებელ საქმიანობას. საქმე იმაშია, რომ ზოგიერთი გარეგნულად მსგავსი მოქმედება ერთ შემთხვევაში დანაშაულის მომზადებად გვევლინება, სხვა შემთხვევაში კი შესაძლებელია დანაშაულის მცდელობა იყოს. ასე, მაგალითად, მონამღული სასმელის მომზადება დიდი ხნით ადრე, ვიდრე ჩაიდენდა მონამვლას და ლოდინი შესაფერისი მომენტისა ჩანაფიქრის განსახორციელებლად მნიშვნელოვნად განსხვავდება, დაზარალებულისთვის სასმელში საწარმოების შეუმჩნეველად ჩაყრისაგან უშუალოდ ამ სასმე-

ლის მირთმევის დროს. ეს ქმედებები განსხვავდება, როგორც თავისი ობიექტური ნიშნით, ასევე იმ მიზნით, რომელსაც ისახავდა დამნაშავე მათი შესრულებისას. პირველ შემთხვევაში სახეზეა დანაშაულის მომზადება ანუ მკვლელობის მომზადება, რადგან უახლოეს მიზანს დამნაშავისა წარმოადგენს მონამღული სასმელის დამზადება მომავალში დაგეგმილი მკვლელობის ჩასადენად. დანაშაულის ხერხის, საშუალების მოძიებასა და მათ გამოყენებას შორის დანაშაულის ჩასადენად არის დროში სხვაობა. ისინი დამნაშავის მიერ არ მოიაზრება, როგორც ერთიანი განუწყვეტელი ქმედება.

მეორე შემთხვევაში სახეზეა დანაშაულის მცდელობა, რადგან დამნაშავის მიზანს წარმოადგენს დაზარალებულის მონამღლა ორგანიზმში შხამის შეყვანის გზით. შხამის შერევა სასმელში და მისი მიწოდება მსხვერპლისთვის წარმოადგენს ერთიან ქმედებას - საწამლავის გამოყენებას მკვლელობისათვის. ეს ქმედებები წარმოადგენენ ერთიან ქმედებას არა მარტო იმიტომ, რომ არ არის მათ შორის დროის დიდი სხვაობა არამედ იმიტომ, რომ არსებობს განსაკუთრებული სუბიექტური განზრახვა მათ მიმართ მოქმედის მიერ, რომელსაც განზრახული აქვს მაშინათვე გამოიყენოს საწამლავი დამთავრებული დანაშაულის ჩასადენად - მკვლელობისათვის. ანალოგიურად გადაწყდება საკითხი, მაგალითად, პისტოლეტის მომარჯვებისას გასროლამდე დიდი ხნით ადრე (მომზადება) და იარაღის საბრძოლო მდგომარეობაში მოყვანისას დაუყონებლივ გასროლისათვის მსხვერპლის მიმართულებით (მცდელობა).

ცხადია, რომ დანაშაულის მომზადების და მცდელობის გამიჯვნისას აუცილებელია გავითვალისწინოთ ქმედების როგორც ობიექტური, ასევე სუბიექტური ნიშნები მათ ურ-

თიერთქმედებაში და უწყვეტობაში. მხოლოდ ასეთი მიდგომით არის შესაძლებელი შეცდომების თავიდან აცილება და უმთავრესი დანაშაულის ორივე სახის ერთმანეთისაგან გამიჯვნისას.

6.2. განვიხილოთ დანაშაულის მცდელობის სახეების პრობლემატიკა. როგორც აღვნიშნეთ, მცდელობის აუცილებელ ნიშანს წარმოადგენს დანაშაულის ბოლომდე არ მიყვანა საკუთარი ნებით იქნება ეს, თუ გარეშე ძალის ჩარევით. ამ გარემოების განსაზღვრა ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ამ გარემოებამ ანუ იმან, თუ რატომ ვერ იქნა დანაშაული ბოლომდე მიყვანილი, წესით მნიშვნელობა უნდა იქონიოს სასჯელის განსაზღვრისას.

ზოგიერთი მეცნიერის აზრით, „არესბობს დაუმთავრებელი დანაშაულის სამი სახე: 1) დანაშაულის მომზადება მუხ. 18. 2) დანაშაულის მცდელობა მუხ 19. 3) დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება მუხ. 21“.¹³⁵ ეს მოსაზრება, რა თქმა უნდა, არასწორად უნდა მივიჩნიოთ. როგორც ოთარ გამყრელიძე აღნიშნავს: „შეცდომად უნდა ჩაითვალოს ის აზრი, რომ დაუმთავრებელი დანაშაულის სამი სახე არსებობს: დანაშაულის მომზადება, დანაშაულის მცდელობა და დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება. ეს უკანასკნელი შეიძლება განხორციელდეს დანაშაულის მოსამზადებელ ან მცდელობის სტადიაზე და ამიტომ შეუძლებელია, რომ ის გამოიყოს დაუმთავრებელი დანაშაულის ცალკე სახედ.“¹³⁶

¹³⁵ დაუთაშვილი პ. კვაშილავა ა. სისხლის სამართალი. ზოგადი ნაწილი. თბ., 2003წ. გვ. 88

¹³⁶ გამყრელიძე ო. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება. თბ., 2005წ. გვ. 158

დანაშაულის მცდელობის სახეობად დაყოფას ვხვდებით ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში. იმ პერიოდის იტალიელი კრიმინალისტიები მცდელობას ყოფდნენ ორ სახედ - შორეულ და უახლოეს მცდელობებად. საინტერესოა, რომ შორეულ მცდელობას აკუთვნებდნენ ისეთ ქმედებას, რომელიც დღეს დანაშაულის მომზადებად მიიჩნევა. ამ ორ სახეს მოგვიანებით დაემატა მესამეც. ის გამოიყო ახლო მცდელობის ცნებიდან და ნიშნავდა ისეთ მცდელობას, როდესაც დამნაშავემ გააკეთა ყველაფერი, რაც მისი მხრიდან საჭირო იყო დანაშაულის ბოლომდე მისაყვანად ანუ სასურველი შედეგის მისაღწევად, მაგრამ შედეგი არ დადგა. მცდელობის ეს სამსახოვანი დაყოფა დროთა განმავლობაში გაუქმდა, რადგან უარყოფილ იქნა დანაშაულის მომზადების დასჯადობა. გერმანულ ლიტერატურაში, შრეტერის შემდეგ, დარჩენილ ორ სახეს ეწოდა დამთავრებული და დაუმთავრებელი მცდელობა. ასეთი დაყოფა მე-19 საუკუნის დასაწყისის სისხლის სამართლის კოდექსებში იქნა შეტანილი. ამას პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან დამთავრებული მცდელობა უფრო მკაცრად ისჯებოდა, ვიდრე დაუმთავრებელი. მაგრამ 1871 წლის გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსში ასეთი განსხვავება გაუქმებულ იქნა. დამთავრებულ მცდელობას მეოცე საუკუნის დასაწყისის სამართლის ლიტერატურაში ზოგჯერ მოიხსენიებენ, როგორც უშედეგო დანაშაულს. მაგალითად, შვეიცარიის 1937 წლის კოდექსი განასხვავებს მცდელობას და უშედეგო დანაშაულს; მცდელობად მიიჩნევა შემთხვევა, როდესაც ვინმე დაიწყებს დანაშაულს, მაგრამ ბოლომდე ვერ მიიყვანს მას. ხოლო უშედეგოდ მიიჩნეოდა დანაშაული, როდესაც დამნაშავე ბოლომდე შეასრულებს

დანაშაულებრივ ქმედებას, მაგრამ ვერ მიაღწევს სასურველ შედეგს. ზუსტად ასევე განასხვავებს მცდელობის სახეებს იტალიის 1930 წლის სისხლის სამართლის კოდექსი.

იმისდა მიხედვით, თუ რამდენადაა შესრულებული შესაბამისი დანაშაულის შემადგენლობით გათვალისწინებული ქმედება, მცდელობა ორი სახისაა: დაუმთავრებელი და დამთავრებული. ამგვარ დაყოფასთან დაკავშირებით სისხლის სამართლის თეორიაში ორი საკითხი იჩინს თავს: პირველი, გამართლებულია თუ არა მცდელობის აღნიშნულ სახეებად დაყოფა და თუ შესაძლებელია, აქვს თუ არა მას რაიმე პრაქტიკული მნიშვნელობა. მეორე, მცდელობის დამთავრებულ და დაუმთავრებელ სახეებად დაყოფას ობიექტური თუ სუბიექტური კრიტერიუმი უნდა დაედოს საფუძვლად.¹³⁷

მცდელობის სახეებად დაყოფას ყოველთვის ჰყავდა, როგორც მომხრეები, ასევე მოწინააღმდეგეები. მოწინააღმდეგეები ძირითადად მიუთითებენ სამ გარემოებაზე: პირველი, დაყოფა არ არის გამონვეული მცდელობის მოქმედებათა ბუნებით, რადგან ის წარმოადგენს დანაშაულის ერთიან და განუყოფელ მოქმედებას, ერთნაირ დამოკიდებულებაშია დანაშაულის შემადგენლობასთან. მეორე, მცდელობის მოქმედება წარმოადგენს იმდენად სწრაფად მიმდინარე აქტს, რომ დანყებისა და დაბოლოების გაყოფა პრაქტიკულად შეუძლებელია. მესამე - დაყოფას არა აქვს არანაირი მნიშვნელობა, რადგან შედეგი არცერთ შემთხვევაში არ დგება დამნაშავისაგან დამოუკიდებელ გარემოებათა გამო.

რაც შეეხება დანაშაულის მცდელობის დაყოფის მომხრეთა არგუმენტებს, როგორც თინათინ წერეთელი მიუთითებს:

¹³⁷ ნაჭყებია გ. სისხლის სამართალი. ზოგადი ნაწილი. თბ., 2006წ. გვ. 164

„სასამართლომ, სასჯელის დანიშვნის დროს, მხედველობაში უნდა მიიღოს, სხვა გარემოებებთან ერთად, დანაშაულებრივი განზრახვის განხორციელების ხარისხიც. ამ მომენტის დადგენისთვის კი დიდი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, დაამთავრა თუ არა მცდელობა თავისი მოქმედება მთლიანად, თუ მას მცდელობის მოქმედება ბოლომდე არ შეუსრულებია.“¹³⁸ მაგალითად, თუ პირმა მხოლოდ დაუმიზნა იარაღი ვინმეს, მაგრამ ჯერ არ გაუსროლია, არსებობს დიდი ალბათობა იმისა, რომ რაიმე მოვლენა ხელს შეუშლის დანაშაულებრივი შედეგის დადგომას (შესაძლებელია მოქმედს ვინმემ წაართვას იარაღი ან ხელი აუკრას მასზე გასროლამდე). რაც შეეხება ისეთ გარემოებას, როდესაც სუბიექტმა უკვე განახორციელა თავისი ქმედება (გაისროლა იარაღი) ძალიან მცირეა იმის ალბათობა, რომ დანაშაულებრივი შედეგი არ დადგეს. ანუ პირველ შემთხვევაში, როდესაც გადამწყვეტი მოქმედება ჯერ კიდევ ბოლომდე არ შესრულებულა, როგორც წესი სუბიექტის ქმედების გასაკიცხაობის ხარისხი უფრო დაბალია, ვიდრე დამთავრებული ქმედების დროს. დაუმთავრებელი მცდელობისას, აგრეთვე გამორიცხული არ არის შესაძლებლობა, რომ დამნაშავემ ნებაყოფლობით ხელი აიღოს დანაშაულებრივი საქმიანობის შემდგომ გაგრძელებაზე, რაც აუცილებელია დანაშაულებრივი შედეგის მისაღწევად. ისიც უნდა ითქვას, რომ დაყოფას დამთავრებულ და დაუმთავრებელ მცდელობად საკმაოდ მნიშვნელოვანი პრაქტიკული ღირებულება აქვს ნებაყოფლობით მიტოვებული მცდელობის განხილვისას, რადგან დაუმთავრებელი მცდელობისას ნებაყოფლობით ხელის აღება, რო-

¹³⁸ წერეთელი თ. დანაშაულის მომზადება და მცდელობა. თბ., 1961წ. გვ. 148

გორც მიუთითებს თინათინ წერეთელი, დანაშაულის შესრულებაზე პასიურ ფორმაში გამოიხატება, ხოლო დამთავრებული მცდელობისას - აქტიურ ფორმაში.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი არ იცნობს დანაშაულის მცდელობის სახეებს. იმისდა მიხედვით, თუ რამდენად არის დაშორებული დანაშაულის მცდელობა მის დამთავრებასთან, აგრეთვე დანაშაულებრივი ქმედების დასრულების ხარისხის მიხედვით, სისხლის სამართლის თეორიაში განასხვავებენ ორი სახის მცდელობას - დამთავრებულს და დაუმთავრებელს.

ადამიანის მიზანმიმართული საქმიანობა რთული პროცესია, რომელიც განვითარების განსხვავებულ ეტაპებს მოიცავს. გამონაკლისს არც დანაშაულის განხორციელება წარმოადგენს, რომელიც უმეტესწილად მრავალ დანაშაულებრივ ქმედებებს აერთიანებს. სწორედ ამ ქმედებაზე დაყრდნობით გამოიყოფა სისხლის სამართლის თეორიაში დაუმთავრებელი და დამთავრებული მცდელობა. მცდელობის სახეებად დაყოფას საფუძვლად უნდა დაედოს ობიექტური კრიტერიუმი, რადგან მართლსაწინააღმდეგო ქმედების შეფასებისას მხედველობაშია მისაღები არა ადამიანის სუბიექტური მოსაზრება, თუ როდის თვლის ის მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომისათვის მის მიერ განხორციელებულ ქმედებებს საკმარისად, არამედ რეალურად ჩადენილი ქმედებები, რომელიც კონკრეტული დანაშაულის შემადგენლობასთან მიმართებაში შეიძლება შეფასდეს ან დაუმთავრებელ ან დამთავრებულ მცდელობად.¹³⁹

¹³⁹ ნაჭყებია გ. სისხლის სამართალი. ზოგადი ნაწილი. თბ., 2006წ. გვ. 165

მცდელობის დაყოფას დამთავრებულ და დაუმთავრებელ მცდელობად მნიშვნელობა აქვს დანაშაულის ჩადენაზე ნებაყოფლობით ხელის აღებისათვის. თუმცა პროფესორი ოთარ გამყრელიძე მიიჩნევს, რომ ეს დაყოფა ხელოვნური და პრაქტიკულად გაუმართლებელია. ის თავის ერთ-ერთ ნაშრომში დამთავრებული და დაუმთავრებელი მცდელობის განმარტების მიცემის შემდეგ წერს, რომ: „თუ სანამლავის მიცემით ან მსხვერპლის წყალში გადაგდებით მცდელობა დამთავრდა, მაშინ დანაშაულის განვითარების რალა სტადიაა მსხვერპლის წყალში გადაგდებიდან მის დახრჩობამდე ან იმ მომენტამდე, ვიდრე ის წყალს თავს დააღწევს თვითონ თუ ვინმეს მეშვეობით? მცდელობის სტადია გრძელდება მანამ, სანამ მსხვერპლი დაიხრჩობა და მცდელობა დამთავრებულ დანაშაულში გადაიზრდება ან ის სიკვდილს საბოლოოდ გადაურჩება. აქედან გამომდინარე, დანაშაულის მცდელობის დაყოფა დამთავრებულ და დაუმთავრებელ მცდელობებად პრაქტიკულად გაუმართლებელია“.¹⁴⁰ თუმცა მიუხედავად ამისა, ავტორი იქვე დასძენს, რომ სასამართლომ დანაშაულის მცდელობისთვის სასჯელის დანიშვნისას მხედველობაში უნდა მიიღოს, თუ როგორი საფრთხე შეუქმნა დანაშავემ სამართლებრივ სიკეთეს და რამდენად მიახლოებული იყო მცდელობა დამთავრებულ დანაშაულთან.

პროფესორ მერაბ ტურავას აზრით, რაც ეთანხმება თეორიაში გავრცელებულ მოსაზრებას: „დანაშაულის მცდელობა შეიძლება იყოს ორი სახის: დამთავრებული და დაუმთავრებული.

¹⁴⁰ გამყრელიძე ო. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება. თბ., 2005წ. გვ. 166

მომზადებისაგან განსხვავებით, დაუმთავრებელია მცდელობა, როცა პირმა დაიწყო უშუალოდ ქმედების ობიექტური შემადგენლობის განხორციელება, მაგრამ ჯერ კიდევ ბოლომდე ვერ განახორციელა დანაშაულებრივი ქმედება, რომელსაც შედეგი უნდა მოჰყვეს, ხოლო დამთავრებული მცდელობის დროს, პირმა ბოლომდე ამოწურა დანაშაულებრივი ქმედების შინაარსი დამხოლოდ შედეგის დადგომას ელოდება“.¹⁴¹

საქართველოს სისხლის სამართლის თეორიაში დღეს-დღეობით შეიძლება ითქვას, რომ საყოველთაოდ მიღებულია დანაშაულის მცდელობის სახეების შემდგენიანი განმარტებანი: დამთავრებული მცდელობის დროს პირმა ბოლომდე ამოწურა დანაშაულებრივი ქმედების შინაარსი და მხოლოდ შედეგის დადგომას ელოდება, რომელიც არ დგება მოქმედი პირისაგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო. თინათინ წერეთელი დამთავრებული მცდელობის განმარტებაში თითქმის იგივე შინაარსს დებს: „მცდელობა დამთავრებულია მაშინ, როდესაც პირმა გააკეთა ყოველივე, რაც მისი მხრით საჭირო იყო დანაშაულებრივი შედეგის მისაღწევად, მაგრამ დანაშაულის ნებისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო შედეგი არ განხორციელდა“.¹⁴² მაგალითად, -მ მოკვლის მიზნით B-ეს ჩაუყარა სასმელში სანამლავი. B-მ დალია სანამლავიანი სასმელი, მაგრამ დროული სამედიცინო დახმარების განწევის შედეგად გადარჩა. ამ მაგალითში სახეზეა განზრახი მკვლელობის დამთავრებული მცდელობა.

¹⁴¹ ტურავა მ. სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები. თბ., 2010წ. გვ. 256

¹⁴² წერეთელი თ. ტყეშელიაძე გ. საქართველოს სისხლის სამართლის კომენტარები. თბ., 1976წ. გვ. 118

დაუმთავრებელია ისეთი მცდელობა, როდესაც პირი ბოლომდე ვერ განახორციელებს ყველა იმ ქმედებას, რომელსაც უნდა მოჰყოლოდა მართლსაწინააღმდეგო შედეგი. „მცდელობა დაუმთავრებელია მაშინ, როდესაც პირს არ გაუკეთებია ყოველივე ის, რისი გაკეთებაც მისი მხრივ საჭირო იყო დანაშაულებრივი შედეგის განხორციელებისათვის“.¹⁴³ მაგალითად, დაუმთავრებელი მცდელობა გვექნება მაშინ, როდესაც ქურდს დააკავებენ მალაზიის კარის შემტვრევისას, ან პირს ხელიდან გააგდებინებენ ვინმესთვის დამიზნებულ იარაღს.

განსხვავება დამთავრებულსა და დაუმთავრებელ მცდელობას შორის დევს მათ ობიექტურ ნიშნებში, ანუ დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის შესრულების ხარისხში. დანაშაულის დამთავრებულ მცდელობაში სახეზე არ გვაქვს დანაშაულის შემადგენლობის მხოლოდ ერთი ელემენტი - შედეგი, რომელიც მოცემულია სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლის დისპოზიციისაში. სუბიექტის მიერ უკვე შესრულებულია ქმედება, რომელიც საკმარისია მისთვის სასურველი შედეგის დასადგომად, მაგრამ ეს უკანასკნელი არ დადგა, მხოლოდ იმიტომ, რომ ამას ხელი შეუშალა დამნაშავისაგან დამოუკიდებელმა ვითარებამ. მისგან განსხვავებით დანაშაულის დაუმთავრებელი მცდელობისას, არამარტო არ დადგა დანაშაულებრივი შედეგი, არამედ თვით მოქმედებაც, რომელსაც შეეძლო ის გამოენვია, ჯერ კიდევ დაუსრულებელია. ორივე სახის დანაშაულის მცდელობის საერთო გვარეობით ნიშანს წარმოადგენს ქმედების უშუალო მიმართვა დანაშაულის ჩადენისაკენ ისე, რომ თუ

¹⁴³ ნერეთელი თ. ტყეშელიაძე გ. საქართველოს სისხლის სამართლის კომენტარები, თბ., 1976წ. გვ. 118

არა ხელისშემშლელი ვითარებები, გვექნებოდა დამთავრებული დანაშაული. განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ დამთავრებული მცდელობისას ასეთი ქმედება შესრულებულია ბოლომდე, დაუმთავრებელი მცდელობისას - მხოლოდ ნაწილობრივ.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, დაუმთავრებელი მცდელობისას, დანაშაულებრივი შედეგი, რომლისკენაც მიისწრაფის დამნაშავე, არათუ არ დადგა, არამედ საერთოდ არ შეიძლება დამდგარიყო, რადგან პირმა ვერ შეძლო დაესრულებინა ქმედება, რომელიც აუცილებელი იყო სასურველი შედეგის დასადგომად. დამთავრებული მცდელობისას კი, თუმცა დამნაშავისათვის სასურველი შედეგი არ დადგა, მაგრამ შეიძლება დამდგარიყო ამ მიზნით შესრულებული ქმედების შედეგად, რომ არა ის დამნაშავისაგან დამოუკიდებელი ხელისშემშლელი ვითარება, რის გამოც შედეგი ვერ იქნა მიღწეული.

ზემოთხსენებულის საილუსტრაციოდ მოგვყავს შემდეგი მაგალითები: დამნაშავეებმა გადაწყვიტეს ღამით შეეღწიათ მაღაზიაში ქურდობის მიზნით, ამისათვის მათ დაიწყეს მაღაზიის სახურავის დაშლა, მაგრამ ამ დროს ისინი შეამჩნია გამვლელმა, რის გამოც დამნაშავეებმა სცადეს მიმალვა, რაც ვერ მოახერხეს - ისინი მალე დააკავეს. როგორც ვხედავთ, მოცემულ შემთხვევაში, დამნაშავეებმა ვერ შეძლეს ყველა იმ ქმედების შესრულება, რომელიც აუცილებელი იყო შედეგის მისაღწევად, თუმცა ამის მცდელობა უკვე დაწყებული იყო. შედეგი არათუ არ დადგა, ის არ შეიძლება დამდგარიყო, ზუსტად ამიტომაც, მოცემული მცდელობა არის დაუმთავრებელი.

სხვაგვარი ხასიათი აქვს დამნაშავის ქმედებას, რომელმაც მოტყუებით საკუთარი დედინაცვალი წყლის არხის კიდესთან მიიყვანა და მოკვლის მიზნით ჩააგდო ის წყალში. ეს უკანასკნელი შემთხვევით გამვლელებმა გადაარჩინეს დახრჩობას. ამ შემთხვევაში, როგორც ვხედავთ, დამნაშავემ გააკეთა ყველაფერი, რაც აუცილებელი იყო მისთვის სასურველი შედეგის დასადგომად. ჩადენილ ქმედებას აუცილებლად უნდა მოჰყოლოდა დაზარალებულის სიკვდილი, თუმცა ეს შედეგი არ დადგა მხოლოდ შემთხვევითი გამვლელების დროული ჩარევის გამო. ამიტომაც დამნაშავის ქმედება უნდა განვიხილოთ, როგორც დამთავრებული მცდელობა. როდესაც ვსაუბრობთ, რომ დაუმთავრებელი და დამთავრებული მცდელობა წარმოადგენს, შესაბამისად, შესრულების დასაწყისს ან სრულ შესრულებას ისეთი ქმედებისა, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს დანაშაულებრივი შედეგი, ვგულისხმობთ შესაძლო მიზეზობრივ კავშირს, რომლის განვითარებაც შესაძლოა რეალობად ქცეულიყო, დანაშაულის დამთავრებისათვის ხელი რომ არ შეეშალა რაიმე დამნაშავისაგან დამოუკიდებელ ვითარებას. დანაშაულის მცდელობის სახეების განხილვისას, მიზეზობრივი კავშირის შესაძლო განვითარებაზე საკითხის დაყენება აუცილებელია. როგორც ვნახეთ, მხოლოდ ამ გზით შესაძლებელია დადგინდეს ნამდვილი, ყველაზე მნიშვნელოვანი სხვაობა დამთავრებულ და დაუმთავრებელ მცდელობებს შორის.

დამთავრებული და დაუმთავრებელი მცდელობის გამიჯვნა შესაძლებელია მხოლოდ შედეგიანი დანაშაულისას. მცდელობა ფაკულტატურ-შედეგიან დანაშაულზე შეიძლება გამოიხატოს მხოლოდ, თვით ქმედების არასრულ შესრულებ-

ბაში, რომელიც აუცილებელია დანაშაულებრივი განზრახვის შესასრულებლად.

დამთავრებული მცდელობა, როგორც წესი უფრო სახიფათოა, ვიდრე დაუმთავრებელი. დამთავრებული მცდელობისას თვით ქმედების სახიფათო ხასიათი ვლინდება იმაში, რომ ეს ქმედება უკვე საკმარისი იყო დანაშაულებრივი შედეგის დასადგომად, ამისათვის მოქმედისაგან დამოუკიდებელ რალაც მოვლენას ხელი რომ არ შეეშალა. ამას გარდა ძალიან ხშირად დამთავრებულ მცდელობას თან სდევს სხვა მოცემული დანაშაულის ობიექტურ ნიშანში არ შემავალი მავნე შედეგი, რომელიც თავისთავად საკმაოდ მძიმეა. მაგალითად, მკვლელობის მცდელობისას, რომელიც გამოიხატა ცეცხლსასროლ ან დანით მიყენებულ ჭრილობაში, შესაძლოა მოჰყვეს ჯანმრთელობის მძიმე და ხანგძლივი დაზიანება ან ორგანოს ან მისი ფუნქციის მოშლა. რაც შეეხება თვითონ დამნაშავეს მისი მომეტებული სახიფათო ხასიათი მდგომარეობს იმაში, რომ ის მიუხედავად სხვადასხვა დაბრკოლებისა მიზანმიმართულად და შეუპოვრად ცდილობდა შეესრულებინა დამთავრებული დანაშაულის შემადგენლობა.

ფორმალურ ანუ ე.წ. უშედეგო დანაშაულთა დროს შესაძლებელია მხოლოდ დაუმთავრებელი მცდელობა. თუ სუბიექტმა შეასრულა ყველა ის მოქმედება, რომელიც თავისთავად დასჯადია, საქმე გვექნება დამთავრებულ დანაშაულთან და არა მის დამთავრებულ მცდელობასთან. აქედან გამომდინარე, დანაშაულის მცდელობის დაყოფას დამთავრებულ და დაუმთავრებელ მცდელობად, მნიშვნელობა აქვს მხოლოდ მატერიალურ ანუ ე.წ. შედეგიანი დანაშაულებისას, რადგან მათში შესაძლებელია მცდელობის მოქმედებათა,

როგორც სრული ისე არასრული რეალიზაცია. სინამდვილეში ფორმალურ ანუ შედეგგარეშე დანაშაულებშიც შეიძლება ადგილი ჰქონდეს დამთავრებულ მცდელობას. მაგალითად ა. დაჰპირდა ბ-ს, რომ მის მიერ მოცემულ ქრთამს მიუტანდა თანამდებობის პირს, მაგრამ ა-მ ქრთამის სახით მისაცემი თანხა მიითვისა.¹⁴⁴

დაუმთავრებელი მცდელობისას არ არის გამორიცხული, რომ დამნაშავე ნებაყოფლობით ხელს აიღებს შემდგომი დანაშაულებრივი მოქმედებისაგან, რომელიც აუცილებელია დანაშაულებრივი შედეგის მისაღწევად.

დანაშაულის დამთავრებული და დაუმთავრებელი მცდელობის გასაკიცხაობის სხვადასხვა ხარისხი გათვალისწინებულ უნდა იქნეს მოსამართლის მიერ სასჯელის დანიშვნისას. ამასთან ყურადღება უნდა მიექცეს იმ საკითხს, რომ დაუმთავრებელი მცდელობა ყოველთვის არ იწვევს უფრო მსუბუქი სასჯელის დანიშვნას, ვიდრე დამთავრებული მცდელობა. საქმის განხილვისას მოსამართლე ვალდებულია მხედველობაში მიიღოს მთელი რიგი სხვა გარემოებები და მცდელობის განვითარების ხარისხთან ერთობლიობაში მიიღოს გადაწყვეტილება.

დანაშაულის დამთავრებული და დაუმთავრებელი მცდელობის ზემოთ მოყვანილი ობიექტური კრიტერიუმების გარდა, მეცნიერებაში გამოთქმულია სუბიექტური კრიტერიუმებიც, რომლებიც შესაძლებელია საფუძვლად დაედოს ამ ორ ცნებას ანუ თვით დამნაშავის წარმოდგენა, თუ რამდენად შეასრულა მან ის ქმედებები, რაც საჭირო იყო დანაშაულებრივი შედეგის მისაღწევად. სუბიექტური კრიტერიუმის

¹⁴⁴ ნაჭყებია გ. სისხლის სამართალი. ზოგადი ნაწილი. თბ., 2006წ. გვ. 166

მიხედვით დანაშაულის დამთავრებული მცდელობა იქნება მაშინ, როდესაც პირმა გააკეთა ყველაფერი ის, რასაც თვითონ თვლიდა საკმარისად დანაშაულებრივი შედეგის მისაღწევად, მაგრამ ეს შედეგი არ დადგა მისგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო. და, შესაბამისად, დაუმთავრებელი მცდელობა გვექნება მაშინ, როდესაც პირს არ შეუსრულებია ყველა ის მოქმედება, რაც, მისი აზრით, საჭირო იქნებოდა მისი დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად ანუ ნაგულისხმევი შედეგის მისაღწევად.

სუბიექტურმა კრიტერიუმმა შესაძლებელია სირთულე გამოიწვიოს დამთავრებულ და დაუმთავრებელ მცდელობათა გამიჯვნაში. სუბიექტის საკუთარი შეხედულება ალბათ არასაკმარისად უნდა მივიჩნიოთ იმ წმინდა ობიექტური ფაქტის დასადასტურებლად, დამთავრებული არის თუ არა ყველა ის მოქმედება, რომელიც საკმარისია დანაშაულებრივი შედეგის მისაღწევად. როგორც თინათინ წერეთელი აღნიშნავს: „სუბიექტური შეხედულების მიხედვით ვერ ჩაითვლება დამთავრებულად ისეთი მცდელობა, როდესაც სუბიექტმა გააკეთა ყველაფერი, რაც მისი მხრით საჭირო იყო დანაშაულებრივი შედეგის მისაღწევად, თუ იგი არასწორი წარმოდგენის გამო ფიქრობს, რომ კიდევ რაღაც დარჩა გასაკეთებელი, და, პირიქით, მცდელობა დამთავრებულად უნდა იქნეს ცნობილი, თუ სუბიექტს არ გაუკეთებია ყოველივე ის, რაც მისი მხრივ საჭირო იყო აღსრულების მოქმედების მოსათავებლად, თუ იგი შეცდომით ფიქრობს, რომ მან ყველაფერი, აუცილებელი შედეგისთვის, უკვე გააკეთა“.¹⁴⁵

¹⁴⁵ წერეთელი თ. დანაშაულის მომზადება და მცდელობა. თბ., 1961წ. გვ. 151

და ბოლოს, წმინდა სუბიექტური კრიტიერიუმის გამოყენების საპირისპიროდ გვინდა მოვიყვანოთ რუსი მეცნიერის ი. ტიშკვეიჩის სიტყვები: „ძალიან ძნელია, ზოგჯერ კი შეუძლებელიცაა იმის დამტკიცება, რომ დამნაშავე თვლიდა თავის მოქმედებას საკმარისად საზოგადოებრივად საშიში შედეგის მისაღწევად, მით უმეტეს, რომ დამნაშავე, როგორც წესი, უარყოფს ამას“.

მეცნიერებაში გარდა ზემოთხსენებული დაყოფისა დანაშაულის -დამთავრებულ და დაუმთავრებელ მცდელობად - განასხვავებენ ვარგის და უვარგის მცდელობას. ამ პრობლემას, გერმანულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში, პირველად დიდი ყურადღება დაუთმო ა. ფოიერბახმა. „უვარგის მცდელობას“ სისხლისსამართლებრივი გაგებით ადგილი აქვს მაშინ, როდესაც განხორციელებულ ქმედებას თავიდანვე არ გააჩნია კონკრეტულ შემთხვევაში სინამდვილედ გადაქცევის ტენდენცია. მაგალითად, დაზიანებული იარაღის ადამიანისთვის დამიზნება და ჩახმახის გამოკვრა, ასეთ ქმედებას დასაწყისშივე არ ძალუძს სიცოცხლისათვის რაიმე საფრთხის შექმნა და მითუმეტეს ამ საფრთხის სინამდვილედ გადაქცევა ანუ სიკვდილის გამოწვევა.¹⁴⁶

¹⁴⁶ ნაჭყებია გ. სისხლის სამართალი. ზოგადი ნაწილი. თბ., 2006წ. გვ. 166

თავი IV მართლწინააღმდეგობა და ბრალი დანაშაულის მცდელობის დროს

1. მართლწინააღმდეგობა დანაშაულის მცდელობის დროს

„უვარგისი მცდელობის“ ინსტიტუტი უშუალოდ არის დაკავშირებული მცდელობის მართლწინააღმდეგობის შემომწმების პრობლემებთან. აქედან გამომდინარე, ჩვენ მიგვაჩნია, რომ „უვარგისი მცდელობის“ საკითხი განხილულ უნდა იქნეს დანაშაულის მცდელობის მართლწინააღმდეგობის თემატიკის ანალიზის დროს.

აღნიშნული მეთოდოლოგიური მიდგომა მდგომარეობს იმაში, რომ „უვარგისი მცდელობა“ თავისი ბუნებით უკავშირდება ფაქტობრივ შეცდომას, რამდენადაც სამყაროში არსებულ რეალობაზე ადამიანის მცდარი წარმოდგენის შედეგად დანაშაული განუხორციელებელი რჩება. მ. ტურავას მოსაზრებით, შეცდომა შეიძლება დაკავშირებული იყოს დანაშაულის სისტემის ნებისმიერ ელემენტთან, როგორც ქმედების შემადგენლობასთან, ასევე მართლწინააღმდეგობასა და ბრალთან. მიუხედავად ამისა, არსებული კლასიფიკაციით, სისხლის სამართალში არსებობს შეცდომის ორი ჯგუფი დანაშაულის სისტემაში პრობლემის განხილვის ადგილის მიხედვით. პირველი წარმოადგენს შეცდომის იმ სახეებს, რომლებიც ქმედების შემადგენლობის ეტაპზე განიხილებიან განზრახვასთან კავშირში, ხოლო მეორე ჯგუფში მოცემული შეცდომის შემთხვევები განიხილება ბრალის ეტაპზე. პირველ ჯგუფში, შემადგენლობის ეტაპზე, განიხილება წმინდა ფაქტობრივი ხასიათის გარემოებები, ხოლო მეორე, ბრალის ეტაპზე.¹⁴⁷ ანალოგიურია ზოგიერთ გერმანელი მეცნიერის

¹⁴⁷ ტურავა მ. დანაშაულის მოძღვრება. თბ., 2011 წ. გვ. 152

აზრი. მათი მოსაზრებით, ფაქტობრივი შეცდომა, რომელიც მართლწინააღმდეგობას გამოორიცხავს, ამავე დროს გამოორიცხავს განზრახვას.¹⁴⁸

ამის გარდა გასათვალისწინებელია კიდევ ორი დებულება, რომელიც ჩამოყალიბებულია სისხლის სამართალში:

- „უვარგისი მცდელობის“ საკითხი ადვილად დასაბუთებადია სუბიექტური თეორიის მიხედვით, რადგან ამგვარი მცდელობისას სუბიექტური მხარე სრულადაა წარმოჩენილი. პრობლემას ვაწყდებით ობიექტური თეორიით უვარგისი მცდელობის დასაბუთებისას, რადგან ქმედების განხორციელება არ წარმოადგენს დანაშაულის განხორციელების კონკრეტულ საფრთხეს.
- წმინდა ობიექტური თეორია ვერ მოგვცემს „უვარგისი მცდელობის“ დასაბუთების საშუალებას. თუ ქმედებას შევაფასებთ მისი განხორციელების შემდეგ მივალთ იმ დასკვნამდე, რომ რეალური, ობიექტური საფრთხე ქმედებას არ შეუქმნია, თუ ადამიანი უკვე მკვდარი იყო ან ადგილზე არ იმყოფებოდა, ობიექტურად მას სიკვდილის საფრთხეც არ შექმნია, რადგან დროში და სივრცეში მსხვერპლთან კონტაქტი არ არსებობს. ხოლო თუ ქმედებას შევაფასებთ მოქმედის მხრიდან უვარგისი მცდელობის დასაბუთება ადვილია, მაგრამ ამას გადავყავართ სუბიექტურ თეორიაში, რომელსაც არ აღიარებს ქართული სისხლის სამართალი. გამოსავალი უვარგისი მცდელობის დასჯადობის დასაბუთებისათვის მოიძებნა გერმანულ სამართალში განვითარებულ ახალ ობიექტურ თეორიაში. შეცვლილ იქნა საქმის გარემოების შე-

¹⁴⁸ Wessels J. Beulke W. Strafrecht Allgemeiner Teil: die Straftat und ihr Aufbau. Heidelberg: C.F.Muller Verlag. (1998). S.134

ფასების პერსპექტივა. ახალმა ობიექტურმა თეორიამ ყურადღება გაამახვილა ცოდნის იმ მარაგზე, რომელიც ქმედების განხორციელებისას, ნორმალურ პირობებში, საშუალო ცოდნის მქონე ნებისმიერ ადამიანს აქვს. ამ თეორიის მიხედვით, არაა საშიში და უვარგისია საქმის გარემოებების მცოდნე ობიექტური დამკვირვებლის პერსპექტივიდან გამომდინარე ქმედების განხორციელებისას შეფასებული ის მცდელობა, რომელიც ქმედების შემადგენლობის განსახორციელებლად არ გამოდგება.¹⁴⁹ შესაბამისად, ვარგისად უნდა ვაღიაროთ მცდელობა, როდესაც ქმედების ჩადენისას დამკვირვებელს შთაბეჭდილება ექმნება, რომ პირს ქმედების შემადგენლობის შესაბამისი მიზნის მიღწევა შეუძლია.¹⁵⁰ ამ თეორიით „უვარგისი მცდელობა“ იყოფა დამკვირვებლის შეფასებით საშიშროების მქონე და საშიშროების არმქონე მცდელობებად. შესაბამისად, საშიშროების არმქონე ანუ უვარგისი მცდელობა არაა დასჯადი, ხოლო საფრთხის შემცველი ქმედება დასჯადია.¹⁵¹

1. როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, მეცნიერებაში „უვარგისი მცდელობის“ პრობლემას პირველად დიდი ყურადღება მიაქცია ა. ფოიერბახმა. მისი მოსაზრების ინტერპრეტირებას აქაც შევეცდებით „უვარგის მცდელობასთან“ დაკავშირებით, რომელსაც ადგილი აქვს მაშინ, როდესაც განხორციელებულ ქმედებას თავიდანვე არ გააჩნია კონკრეტულ შემთხვევაში სინამდვილედ გადაქცევის ტენდენცია.

¹⁴⁹ Kindhauser, AT &30/Rn. 13

¹⁵⁰ Hirsch, JZ 10,2007, S. 500

¹⁵¹ მჭედლიშვილი-ჭედრიხი ქ. სისხლის სამართალი. ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები. თბ., 2011 წ.გვ. 50

მაგალითად, დაზიანებული იარაღის ადამიანისთვის დამიზნება და ჩახმახის გამოკვრა, ასეთ ქმედებას დასაწყისშივე არ ძალუძს სიცოცხლისათვის რაიმე საფრთხის შექმნა და მიუთმეტეს ამ საფრთხის სინამდვილედ გადაქცევა ანუ სიკვდილის გამოწვევა.¹⁵²

„უვარგისი მცდელობა“ თავისი ბუნებით უკავშირდება ფაქტობრივ შეცდომას, რამდენადაც სამყაროში არსებულ რეალობაზე ადამიანის მცდარი წარმოდგენის შედეგად დანაშაული განუხორციელებელი რჩება.

1.1. „უვარგისი მცდელობა“ დაყოფილია მცდელობად უვარგისი ობიექტზე და მცდელობად უვარგისი საშუალებით. მეცნიერებაში არაერთხელ გამოითქვა მოსაზრება იმის შესახებ, რომ ტერმინი მცდელობა უვარგისი ობიექტზე არასწორია და რომ ის დაფუძნებულია დანაშაულის ობიექტის არასწორ გაგებაზე. პროფ. ოთარ გამყრელიძე უვარგისი მცდელობას ორ სახედ ყოფს: „1) უვარგისი საშუალებით მცდელობა და 2) უვარგისი სამართლებრივი სიკეთის დაზიანების მცდელობა“.¹⁵³ რაც, რა თქმა უნდა, უფრო სწორია. მოცემული სახის მცდელობისას ქმედება მიმართულია ისეთ ობიექტზე, რომელიც გამოუსადეგარია მასზე დანაშაულებრივი ხელყოფისათვის ან არ იმყოფება მცდელობის მომენტში ადგილზე. მაგალითისათვის მოჰყავთ ფიტულისთვის სროლა, რომელიც დამნაშავეს შეცდომით დარაჯად მოეჩვენა ან გასროლა ცარიელი ლოგინისკენ, რომელშიც, დამნაშავის აზრით, უნდა წოლილიყო მსხვერპლი; მკვლელობის მცდელობა უკვე გარ-

¹⁵² ნაჭყებია გ. სისხლის სამართალი. ზოგადი ნაწილი. თბ., 2006 წ. გვ. 166

¹⁵³ გამყრელიძე ო. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება. თბ., 2005 წ. გვ. 167

დაცვლილი ადამიანის მიმართ, რომელიც ბოროტმოქმედს ცოცხალი ეგონა და ასე შემდეგ.

ამასთან, როგორც არაერთი მეცნიერი მიუთითებს, ერთმანეთში ურევენ დანაშაულის ობიექტს დანაშაულის საგანთან. ასევე არ ითვალისწინებენ იმას, რომ დანაშაულის ობიექტის განსაზღვრისას არ უნდა მოხდეს პირის განზრახვის მიმართულებისაგან აბსტრაგირება, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ობიექტად შეიძლება მიჩნეულ იქნეს არა ის, რისკენაც სინამდვილეში მიმართული იყო განზრახვა, არამედ ის, რასაც ფაქტიურად მიაღწა ზიანი. აღსანიშნავია ისიც, რომ დანაშაულის მცდელობა ობიექტზე, რომელიც არ იმყოფება მცდელობის მომენტში ადგილზე ფაქტიურად შინაარსით არ განსხვავდება გასროლის დროს აცილებისაგან, ან ვარგისი მცდელობების მსგავსი შემთხვევებისაგან. ისიც შეიძლება ითქვას, რომ თუ არსებობს უვარგისი ობიექტი ანუ, თუ დანაშაულისათვის ის უვარგისია, მათი ხელყოფა უნდა გამოცხადდეს დაუსჯელად.

თ. წერეთელი ამ პრობლემის გადაწყვეტას თავისებურად გვთავაზობს: თუ თავდასხმის უშუალო ობიექტი თავისი თვისებებით ვარგისია დანაშაულის განსახორციელებლად, მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში დანაშაულის ბოლომდე მიყვანას ხელი შეუშალა რაიმე შემთხვევითმა გარემოებამ (მაგალითად ადამიანი თავდასხმის მომენტში აღმოჩნდა ჯავშანში, რომელიც ტყვიას არ ატარებს), ამ შემთხვევაში უვარგის მცდელობაზე ლაპარაკი შეუძლებელია და ეს შემთხვევა უნდა დაისაჯოს, როგორც ყველა სხვა მცდელობა.

თ. წერეთლის აზრით, სხვაგვარად უნდა გადაწყდეს საკითხი ისეთ შემთხვევაში, როდესაც თავდასხმის ობიექტი

თავისი თვისებებით გამოუსადეგარია დანაშაულებრივი შედეგის მისაღწევად. არ შეიძლება მკვლელობის მცდელობად ჩაითვალოს გვამისთვის სროლა. ასეთი შემთხვევებისას არსებობს არა მცდელობა, არამედ მოსამზადებელი საქმიანობა.

აგრეთვე სხვაგვარად უნდა გადაწყდეს საკითხი ადგილზე არმყოფ ობიექტზე მცდელობისას. მაგალითად, პირი ისვრის იარაღს სანოლის მიმართულებით, სადაც მისი აზრით მსხვერპლი უნდა იმყოფებოდეს, მაგრამ ეს უკანასკნელი ამ დროს სხვაგან იყო გასული. ასეთ შემთხვევაში დამნაშავეს მიერ შექმნილი იყო რეალური საფრთხე ადამიანის სიცოცხლისათვის, მაგრამ დანაშაულებრივი შედეგი არ განხორციელდა უბრალო შემთხვევითობის წყალობით, ამიტომაც ასეთი ქმედება უნდა მივაკუთვნოთ დასჯად მცდელობათა რიგს.¹⁵⁴

თ. წერეთელი აქ განიხილავს ისეთ შემთხვევას, როდესაც პირი თავდასხმას ახორციელებს მისი წარმოდგენით სასურველ ობიექტზე, რომელიც სინამდვილეში ხელყოფის ადგილზე არ იმყოფება. მაგალითად, ავტომანქანის გატაცების მიზნით ავტოფარეხის გახსნა, სადაც ავტომანქანა არ აღმოჩნდა. ადგილზე არმყოფ ობიექტზე თავდასხმის შემთხვევაში ყველა პირობა არსებობს იმისათვის, რომ ქმედება შესაბამისი დანაშაულის მცდელობად დაკვალიფიცირდეს.

ამრიგად, მცდელობა უვარგის ობიექტზე არის პირის ფაქტობრივი შეცდომა ხელყოფის საგანზე. სისხლის სამართლის კანონმდებლობა არ იძლევა უვარგის ობიექტზე მცდელობის საკანონმდებლო განმარტებას. ასეთი ქმედების

¹⁵⁴ წერეთელი თ. დანაშაულის მომზადება და მცდელობა. თბ., 1961წ. გვ. 156-157

მთავარი მახასიათებელი არის ის, რომ ობიექტი, რომლის დაზიანებაც პირს სურს, არ შეესაბამება ამ დანაშაულის შემადგენლობის ობიექტისადმი ნაყენებულ მოთხოვნებს, ანუ ობიექტის დაზიანება, რომლის წინააღმდეგაცაა მიმართული ქმედება, შეუძლებელია. ამისაგან უნდა განვასხვავოთ მცდელობა ადგილზე არმყოფ ობიექტზე. ქართული სისხლის სამართლის მიხედვით, ადგილზე არმყოფ ობიექტზე თავდასხმის შემთხვევაში, ყველა პირობა არსებობს იმისათვის, რომ ქმედება შესაბამისი დანაშაულის მცდელობად დაკვალიფიცირდეს, რადგან მხოლოდ შემთხვევითი გარემოების გამო არ განხორციელდა შედეგი.¹⁵⁵ არსებობს ამის სანინააღმდეგო მოსაზრებაც, თუ როგორც მიღებულია მცდელობას გააჩნია კონკრეტული საფრთხის შექმნის შესაძლებლობა, ანუ დანაშაულის განხორციელების ტენდენცია აქვს, მაშინ ადგილზე არმყოფ ობიექტზე თავდასხმას არ გააჩნია კონკრეტული საფრთხე და მითუმეტეს დანაშაულად განვითარების შესაძლებლობა, რადგან შეუძლებელია იმ ობიექტისთვის კონკრეტული დაზიანებით საფრთხის შექმნა, რომელიც საერთოდ ადგილზე არაა. სუბიექტური თეორია ადვილად ხსნის ადგილზე არმყოფი ობიექტის მცდელობის დასჯადობას, რადგან დასჯადობის საფუძველი პირის ნებაა, რაც აშკარად ვლინდება მოქმედის განზრახვაში. ობიექტური თეორიით კი ეს საკმაოდ ძნელია, რადგან არმყოფ ობიექტზე მცდელობის დასჯადობას ლოგიკურად თანმიმდევრული დასაბუთება უჭირს.¹⁵⁶

¹⁵⁵ წერეთელი თ. დანაშაულის მომზადება და მცდელობა. თბ., 1961წ. გვ. 163

¹⁵⁶ მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ. სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი. დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები. თბ., 2011 წ. გვ. 51

1.2. დანაშაულის მცდელობა *უვარგისი საშუალებით*, სისხლის სამართლის თეორიაში გაბატონებული მოსაზრებით, გვაქვს მაშინ, როდესაც დამნაშავე იყენებს დანაშაულის ჩასადენად ისეთ საშუალებებს, რომლებიც გამოუსადეგარია გამიზნული შედეგის მისაღწევად, თუმცა მოქმედი თვლის მათ საკმარისად. „მცდელობად უვარგისი საშუალებით ითვლება დანაშაულის ჩასადენად ისეთი საშუალების გამოყენება, რომლებსაც თავისი ობიექტური თვისებების მიხედვით არ შეუძლიათ გამოიწვიონ დანაშაულებრივი შედეგი“.¹⁵⁷

მცდელობა უვარგისი საშუალებით, საერთო წესით, იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, რადგან ასეთი ქმედება სახიფათოა. მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში არ იწვევს უვარგისი მცდელობა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას (როცა ის მცირე მნიშვნელობის გამო საზოგადოებრივად სახიფათო არ არის ან ცრუმორწმუნეობის ან უფიცობის გამო გამოყენებულია ისეთი საშუალება, რომელსაც არ შეუძლია რაიმე ხიფათის გამოწვევა).

უვარგისი საშუალებით მცდელობა ეს ფაქტობრივი შეცდომაა, რომელსაც ადგილი აქვს მაშინ, როდესაც სასურველი შედეგის მისაღწევად გამოყენებული საგანი გამოუსადეგარია განზრახვის სისრულეში მოსაყვანად. ქართული სამართლის დოგმატიკაში მცდელობას უვარგისი საგნით ყოფენ აბსოლუტურად უვარგის და შეფარდებით უვარგისად. აბსოლუტურად უვარგისი მცდელობისას პირი იყენებს ისეთ საშუალებას, რომელიც არა მხოლოდ მოცემულ შემთხვევაში, არამედ საერთოდ გამოუსადეგარია რაიმე დანაშაულებრივი

¹⁵⁷ ნერეთელი თ. ტყემელიაძე გ. საქართველოს სისხლის სამართლის კომენტარები. თბ., 1976წ. გვ.112

შედეგის მისაღწევად. ასეთი სახის ქმედებისას გამორიცხულია პირის პასუხისმგებლობა (სსკ მე-20 მუხლი). რაც შეეხება შეფარდებით უვარგისი საშუალებით განხორციელებულ ქმედებას, ეს ისეთი შემთხვევაა, როდესაც გამოყენებულ საგანს ზოგადად გააჩნია უნარი დანაშაულებრივი მიზნის მისაღწევად, მაგრამ მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში ეს მიუღწევადია. რა თქმა უნდა, შეფარდებით უვარგის მცდელობას დასჯად მცდელობათა რიცხვს მიაკუთვნებენ.¹⁵⁸

იმისდა მიხედვით, გამოყენებული საშუალებით კონკრეტულ ვითარებაშია შეუძლებელი, თუ საერთოდაა შეუძლებელი მოცემული დანაშაულის განხორციელება, „უვარგისი საშუალება“ ორი სახისაა: „აბსოლუტურად უვარგისი“ და „შეფარდებით უვარგისი“. ასეთ დაყოფას პრინციპული მნიშვნელობა აქვს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის განსაზღვრისათვის. მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ ისეთი შემთხვევები, როდესაც პირი ცდილობს ვინმეს მოწამვლას შაქრით ან რაიმე სხვა უვნებელი ფხვნილით, რომელიც სანამლავი ჰგონია.

ზოგჯერ უვარგისი საშუალებით მცდელობას აკუთვნებენ ისეთ შემთხვევებს, როდესაც პირმა აირჩია ისეთი საშუალება, რომელიც გამოსადეგია დანაშაულებრივი შედეგის მისაღწევად, მაგრამ რაიმე შემთხვევითი გარემოების, მაგალითად, გეგმაში დაშვებული შეცდომის ან რაიმე უზუსტობის გამო, სასურველი შედეგი არ დადგა. ეს უკანასკნელი აუცილებლად უნდა ჩაითვალოს მცდელობად ჩვეულებრივი მნიშვნელობით, რადგან ასეთ შემთხვევაში სახეზეა არა მარ-

¹⁵⁸ მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ. სისხლის სამართალი. ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები. თბ., 2011 წ. გვ. 49

ტო პირის განზრახვა, არამედ ობიექტურადაც შექმნილია დანაშაულის განხორციელების რეალური საშიშროება, რაც, რა თქმა უნდა, აუცილებლად უნდა ინვევდეს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.

ყველა სახის მცდელობისათვის საერთოდ დამახასიათებელია ის, რომ რაღაც შემთხვევითი გარემოების გამო დანაშაული ბოლომდე არ განხორციელდა. და ეს ფაქტი, ანუ დანაშაულის არგანხორციელება რაიმე შემთხვევითი გარემოების გამო არ უნდა ნიშნავდეს ამ დანაშაულის განხორციელების შეუძლებლობას. შესაძლებლობა ზუსტად იმას ნიშნავს, რომ ის შეიძლება ზოგჯერ სინამდვილედ იქცეს და შეიძლება არ იქცეს. ამიტომ ისეთი შემთხვევა, როდესაც ვინმემ იარაღში ჩადო ტყვია დანაშაულის ჩასადენად, გაისროლა, ხოლო შემდეგ აღმოჩნდა, რომ ვიღაც მესამე პირს ეს ტყვია ამოუღია, აშკარაა ქმედება, რომელსაც კანონზომიერად უნდა მოჰყოლოდა ადამიანის სიკვდილი. მაშასადამე, ჩადენილია სავსებით ვარგისი მცდელობა, რომელიც შეიცავს დანაშაულის განხორციელების საფრთხის ელემენტს და იმსახურებს სასჯელს.

რაც შეეხება ისეთ შემთხვევებს, როდესაც პირი ცდილობს დანაშაულის ჩადენას ისეთი საშუალებით, რომელიც თავისი უფიცობით ან ცრუმორწმუნეობით ან რაიმე სხვაგვარი ნაკლის გამო ჰგონია დანაშაულის ჩასადენად საკმარის საშუალებად, უნდა გადაწყდეს სხვაგვარად. აქ საუბარია ისეთ შემთხვევებზე, როდესაც ვინმე ცდილობს ადამიანის მოკვლას შელოცვით ან რაიმე მაგიის გამოყენებით და, რაც მთავარია, სავსებით დარწმუნებულია მის მიერ არჩეული საშუალების ქმედითობაში. ასეთ შემთხვევაში ცხადია ის, რომ

დამნაშავისათვის სასურველი შედეგის განუხორციელებლობა შედეგია არა რაიმე შემთხვევითი ხელისშემშლელი გარემოების, არამედ თვით გამოყენებული დანაშაულის ჩადენის საშუალების ბუნებით. ასეთ საშუალებებს არათუ არ შეუძლია გამოიწვიოს ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ამ კონკრეტულ შემთხვევაში, არამედ საერთოდ გამოუსადეგარია ამ მიზნისათვის. ამიტომ, როგორც თინათინ წერეთელი მიუთითებს: ასეთი მოქმედებანი არ შეიძლება ჩაითვალოს საშიშად და დასჯადად.

არარეალური მცდელობის დაუსჯელობის დასასაბუთებლად შეიძლება გამოვიყენოთ ორი ხერხი: არარეალური მცდელობისას განხორციელებული ქმედება დანაშაულის მცდელობის შემადგენლობას არ შეესაბამება, ის პირობითი ცნებაა და მასზე მცდელობის წესები არ ვრცელდება.¹⁵⁹ არარეალური მცდელობა მხოლოდ განზრახვის გამომჟღავნებაა და არა მცდელობა. შესაძლებელია იმის მტკიცებაც, რომ საქმე გვაქვს დაუსჯელ უვარგის მცდელობასთან.¹⁶⁰

მცდელობას უვარგისი სუბიექტის მიერ ადგილი აქვს (გერმანულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში) მაშინ, როდესაც ქმედების შემადგენლობა ითვალისწინებს სუბიექტის სპეციალურ თვისებას და მოქმედ პირს ჰგონია, რომ ის არის ასეთი სპეციალური ნიშნის მატარებელი. უვარგისი სუბიექტის დასჯადობის მომხრეები მიუთითებენ, რომ პირმა პასუხი უნდა აგოს, იმიტომ რომ მისი ნება სამართლის ნორმის დადგენილი ვალდებულების წინააღმდეგაა მიმართული (გა-

¹⁵⁹ Alwart H. Strafwaardiges Versuchen, Eine Analyse zum Begriff der Strafwaardigkeit und zur Struktur des Versuchsdelikts, Berlin, 1982, S. 205-208

¹⁶⁰ გამყრელიძე ო. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება. თბ., 2008 წ. გვ. 169-170

მომდინარეობს სუბიექტური თეორიიდან).¹⁶¹ ობიექტური თეორიის საფუძველზე ასეთი მცდელობის დასჯადობა ვერ დასაბუთდება, რადგან სამართლებრივი მოვალეობის დარღვევა მხოლოდ იმ პირის მიერ შეიძლება, რომელსაც ეს მოვალეობა სინამდვილეში აკისრია. პირის წარმოდგენა იმის შესახებ, რომ ის ქმედების შემადგენლობაში გათვალისწინებული თვისების მატარებელია, მას ამ თვისებას ვერ მიანიჭებს, ამიტომაც მეცნიერთა ნაწილი უვარგისი სუბიექტის ცნებას პუტატიურ დანაშაულად ანუ დაუსჯელად მიიჩნევს.¹⁶²

„უვარგისი მცდელობის“ დროს პირი ფაქტიურ ან იურიდიულ გარემოებებში ცდება. ამ შემთხვევაში პირი ისეთი ფაქტიური წინაპირობების არსებობაში ცდება, რომლებიც სინამდვილეში რომ არსებულიყო, დანაშაული შედგებოდა. ამიტომაც ასეთი ქმედება დასჯადია. თუ პირი მის მიერ განხორციელებულ ქმედების სამართლებრივ შეფასებაში ცდება და ქმედება, რომელიც დასჯადი არაა დასჯადად თვლის, ის არ შეიძლება მიეცეს პასუხისგებაში, რადგან პირის შეხედულებას დასჯადობის შესახებ მნიშვნელობა არა აქვს. პუტატიური დანაშაულია ის ქმედება, რომელსაც მოქმედი პირი თვლის დანაშაულად და არა კანონი.¹⁶³ პუტატიურია დანაშაული მაშინ, როდესაც პირს საკუთარი ქმედება დანაშაული ჰგონია, სინამდვილეში კი ასეთი ქმედება საერთოდ არ არის გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსით, ასევე ისეთი შემთხვევა, როდესაც პირის მიერ განხორციელებულ ქმედებას არ მოიცავს სისხლის სამართლის კოდექსით გათ-

¹⁶¹ Ebert U. Strafrecht Allgemeiner Teil, 3. Aufl., Heidelberg, 2001. Rn. 672.

¹⁶² Hirsch H. J. Untauglicher Versuch und Tatstrafrecht, Festschrift für Claus Roxin ZUM 70. Geburtstag, Schunemann, Bernd, (Hrsg.), Berlin, 2001. S. 728

¹⁶³ Baumann J. Weber U. Mitsch W. Strafrecht, AT, 11. Aufl., Beilefeld, 2003. Rn. 38.

ვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობა და ბოლოს, როდესაც პირი ქმედების მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ გარემოებებს ვინროდ აფასებს.¹⁶⁴

2.3. ქართულ სისხლის სამართალში გაბატონებული შეხედულებით, დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება დაუშთავრებელი მცდელობისას უმოქმედობით შეიძლება, დამთავრებული მცდელობისას კი პირის აქტიურობაა საჭირო, რათა თავიდან იქნეს აცილებული დანაშაულებრივი შედეგი.

დამთავრებულ და დაუშთავრებელ მცდელობათა გამიჯვნის აუცილებლობას ვერ ხედავს ო. გამყრელიძე, მისი აზრით, დანაშაულის დამთავრებული და დაუშთავრებელი მცდელობის ერთმანეთისაგან გამიჯვნის მიზანი მხოლოდ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებისათვის საჭირო მოქმედების ან უმოქმედობის ზუსტი განსაზღვრაა.¹⁶⁵ როგორც წესი, დაუშთავრებელი მცდელობის დროს დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება უმოქმედობით ხდება, დამთავრებული მცდელობისას კი აუცილებელია აქტიური მოქმედება. ო. გამყრელიძეს მოჰყავს მაგალითი, რომლითაც ის ამტკიცებს, რომ შესაძლებელია დამთავრებული მცდელობისას უმოქმედობით ნებაყოფლობით ხელის აღება. თუ პირი ესვრის მსხვერპლს თოფს და ააცილებს, მიუხედავად იმისა, რომ მას კიდევ აქვს გასროლის შესაძლებლობა, პირი არ გაიმეორებს ამ მოქმედებას, გამყრელიძის აზრით, ასეთი შემთხვევა დამთავრებულ მცდელობაზე ნებაყოფლობით, უმოქმედობით ხელის აღებაა. ამ მოსაზრებას ვერ დავეთანხმე-

¹⁶⁴ მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ. სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები. თბ., 2011 წ.გვ. 57

¹⁶⁵ გამყრელიძე ო. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, თბ., 2008 წ. გვ. 166

ბით, რადგან თუ პირს კიდევ აქვს სროლის შესაძლებლობა ეს იმას ნიშნავს, რომ მცდელობა ჯერ კიდევ არ არის დამთავრებული, რადგან ბოროტმოქმედს არ ამოუწურავს ყველა მის ხელთ არსებული შესაძლებლობა დანაშაულის ბოლომდე მისაყვანად, რაც აუცილებელი პირობაა დამთავრებული მცდელობისთვის.

დანაშაულის მცდელობისას უმოქმედობაზე საუბრისას აუცილებლად დანვრილებით უნდა შევეხოთ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებას უმოქმედობის დროს. წმინდა უმოქმედობისას სავალდებულო მოქმედების შეუსრულებლობა უკვე დამთავრებულ დანაშაულად ითვლება, ამიტომაც წმინდა უმოქმედობის დროს დანაშაულის მცდელობა დოგმატიკურად შეუძლებელია, შეიძლება ვილაპარაკოთ მხოლოდ მის უვარგის მცდელობაზე ან მომზადებაზე (დანაშაულის მომზადების სტადიაზე, წმინდა უმოქმედობისას, დანაშაულზე ხელის ღება შეიძლება, როგორც მოქმედებით ასევე უმოქმედობით). შერეული უმოქმედობა კი უშვებს დანაშაულის მცდელობის შესაძლებლობას.¹⁶⁶

შერეული უმოქმედობის დელიქტებში ამსრულებლის მიერ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება მცდელობის სტადიაზე შესაძლებელია როგორც მოქმედებით, ასევე უმოქმედობით. ისეთ შემთხვევაში, როდესაც, მაგალითად, რკინიგზის მეისრე სამუშაო ადგილზე მიიტანს ალკოჰოლურ სასმელს იმისათვის, რომ მისი დაღვევის შედეგად უგონო მდგომარეობაში აღმოჩნდეს, ვერ შეასრულოს თავისი მოვალეობა, რითაც გამოიწვევს მატარებლის კატასტროფას, მაგრამ შემდეგ გადაიფიქრებს და სასმელის გარკვეული რაოდე-

¹⁶⁶ წერეთელი თ. სისხლის სამართლის პრობლემები. ტ. – III თბ., 2013წ. გვ. 498;

ნობის მიღების შემდეგ შეწყვეტს სმას, ასეთ შემთხვევაში გვექნება დაუმთავრებელი მცდელობის სტადიაზე დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება უმოქმედობით. ხოლო ისეთ შემთხვევაში, როდესაც პირი ხედავს, რომ ერთი ადამიანი მეორეს უმიზნებს თოფს, მაგრამ ამ მეორე ადამიანის მკვლელობის სურვილით პირველს ხელს არ უშლის თავდაპირველად, თუმცა შემდეგ გადაიფიქრებს და იარაღს წაართმევს, ასეთ შემთხვევაში ადგილი აქვს ნებაყოფლობით ხელის აღებას დაუმთავრებელი მცდელობის სტადიაზე მოქმედებით.¹⁶⁷

2. ბრალი დანაშაულის მცდელობის დროს

პრაქტიკაში წარმოიშობა დანაშაულის მცდელობის მთელი რიგი პრობლემები, რომელიც უნდა გადანყდეს ბრალის დონეზე. მათ მიეკუთვნება: შეზღუდული შერაცხადობის დროს ჩადენილი დანაშაულის მცდელობა და დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება.

2.1. დანაშაულის მცდელობისას შეიძლება ადგილი ჰქონდეს შეზღუდული შერაცხადობის სხვადასხვა ფორმას. ცხოვრებაში ხდება შემთხვევები, როდესაც გარკვეულ ვითარებას გააჩნია სუბიექტური ხასიათი. ანუ გამომდინარეობს თვითონ დამნაშავისაგან, მაგრამ დანაშაულის ჩადენისას მოქმედებს მისი ნების სანინაალმდეგოდ. მაგალითად, 3-მ შეაღწია სხვის ბინაში ქურდობის მიზნით, მაგრამ იქ დაინახა სასამელი, დათვრა უგონო მდგომარეობამდე და ჩაეძინა დანაშაულის ადგილას, სადაც ის იპოვა ბინის მეპატრონემ. მსგავსია შემთხვევა, როდესაც მ-მ რომელიც იყო ქრონიკუ-

¹⁶⁷ ნაჭყებია გ. სისხლის სამართალი. ზოგადი ნაწილი. თბ., 2006წ. გვ. 179

ლი ნარკომანი, გადანყვიტა მოეკლა მეუღლე, რომელიც მას დაშორდა. ამისათვის მ-მ აიღო ცივი იარაღი, მიიღო ნარკოტიკის დოზა და მივიდა მსხვერპლის სახლში. ყოფილ მეუღლესთან დაპირისპირების დროს მან ამოიღო დანა მოიქნია მის მოსაკლავად, მაგრამ უეცრად დადგა ნარკოტიკული შოკი და თავდამსხმელმა გრძნობა დაკარგა. დაზარალებულმა მაშინათვე გამოიძახა სამართალდამცავები და მ. დაკავებულ იქნა. ორივე მოყვანილი შემთხვევა უნდა დაკვალიციცირდეს დანაშაულის მცდელობად შესაბამისად ქურდობის მცდელობად და მკვლელობის მცდელობად. გარემოება, რომელმაც შეწყვიტა დანაშაულის ბოლომდე მიყვანა თავიდან ინიცირებული იყო დამნაშავის მიერ, მაგრამ შემდეგ მან დაკარგა მასზე კონტროლი.¹⁶⁸

სხვა შემთხვევათა ჯგუფს მიეკუთვნება მცდელობა აფექტურ მდგომარეობაში. როგორც ცნობილია, აფექტი ისეთი მდგომარეობაა, რომელიც წარმოიქმნება ადამიანში უეცრად, რაღაც კონკრეტული სიტუაციიდან ან გამაღიზიანებელზე ორგანიზმის ბუნებრივი რეაქციის შედეგად, მისი შექმნა ხელოვნურად შეუძლებელია. აფექტისას დანაშაულის მომზადება, რა თქმა უნდა, შეუძლებელია, მაგრამ სავსებით დასაშვებია მცდელობა. მაგალითად, აფექტურ მდგომარეობაში მყოფი ადამიანი ესვრის ტყვიას მსხვერპლს, მაგრამ ააცილებს.¹⁶⁹

ო.გამყრელიძის აზრით, სავსებით შესაძლებელია აფექტური მკვლელობის მცდელობა, თუმცა ამ დანაშაულისათ-

¹⁶⁸ Кузнецова Н.Ф. Тяжкова И.М. Курс уголовного права в пяти томах. Том 1. Общая часть: Учение о преступлении, 2002. с. 250-257

¹⁶⁹ ნაჭყებია გ. სისხლის სამართალი. ზოგადი ნაწილი. თბ., 2006წ. გვ. 170

ვის მოსამზადებელი სტადია არ არის დამახასიათებელი, რადგან, როგორც თ. შავგულიძე წერს, აფექტური განზრახვა უეცრად აღმოცენდება და იმნამსვე ხორციელდება. საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში იყო აფექტური მკვლელობის მცდელობის ერთი ასეთი შემთხვევა: ქ. თბილისის ნაძალადევის რაიონის 2000წ. 7 მარტის განაჩენით კ.ტ-ს მსჯავრი დაედო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-17, 106-ე მუხლებით (აფექტური მკვლელობის მცდელობა საქართველოს 1960წ. სისხლის სამართლის კოდექსის რედაქციით). 1999წ. 21 ნოემბერს კ.ტ-ს სტუმრად ეწვია მეზობლად მცხოვრები მისივე მეგობარი ვ.ს. მეუღლესთან ერთად. კ.ტ. და ვ.ს. მეუღლეებთან ერთად სუფრასთან ისხდნენ და ღვინოს სვამდნენ. ღამის თორმეტი საათისათვის ვ.ს.-ს მეუღლე წავიდა თავის სახლში, ხოლო კ.ტ-ს მეუღლემ დაიძინა იქვე გაშლილ სანოლზე. მამაკაცებმა გააგრძელეს სმა და დათვრნენ. როცა ვ.ს. გარეთ გავიდა, კ.ტ.-მაც დაიძინა. მაგრამ, როცა მას გამოეღვიძა, დაინახა, რომ მის მეუღლესთან - რ.შ-სთან სანოლში იწვა ვ.ს. და ხელი მისი მეუღლის ფეხზე ედო. კ.ტ-მ იფიქრა, რომ ვ.ს-ს უნდოდა მისი მეუღლის გაუპატიურება. საშინლად აღელდა, აიღო ბორჯომის ცარიელი ბოთლი და დაარტყა ვ.ს-ს თავში; ბოთლი გატყდა; ამის შემდეგ კ.ტ-მ აიღო ბოთლის გატეხილი თავი და დაარტყა ვ.ს-ს გულში და ისე დააზიანა, რომ ის „მხოლოდ სამედიცინო პერსონალის დროული და კვალიფიციური ჩარევის შედეგად გადაურჩა სიკვდილს“. სასამართლომ სავსებით სწორად შეაფასა ეს ქმედება აფექტური მკვლელობის მცდელობად.¹⁷⁰

¹⁷⁰ სისხლის სამართლის სასამართლოს პრაქტიკის კომენტარი. თბ., 2002წ. გვ.57-59

შემთხვევათა მესამე ჯგუფს მიეკუთვნება ე.წ. გაუფრთხილებელი დანაშაულის მცდელობის საკითხი. არსებობს დანაშაულები, რომელთა ჩადენისას შეუძლებელია დანაშაულის მცდელობა, დანაშაულებრივი ქმედების განსაკუთრებული სუბიექტური მახასიათებლის გამო. საქართველოს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის მე-19 მუხლი გვეუბნება, რომ დანაშაულის მცდელობა შესაძლებელია მხოლოდ განზრახ - „დანაშაულის მცდელობად ითვლება განზრახი ქმედება“, რაც თავისთავად გულისხმობს, რომ დანაშაულის მცდელობა გაუფრთხილებლობით შეუძლებელია.

ქართული სისხლის სამართლის მიხედვით, პასუხისმგებლობა გაუფრთხილებელი დანაშაულისათვის დგება, როგორც წესი შედეგიანი შემადგენლობის შექმნის გზით. ამა თუ იმ წინდაუხედავი ქმედების სისხლისსამართლებრივად დასჯადად ცნობისათვის საჭიროა, რომ მან გამოიწვიოს კანონში აღწერილი მავნე შედეგი. ასე, გაუფრთხილებლობით ადამიანის სიცოცხლის მოსპობის შემადგენლობის შესრულებისათვის საკმარისი არ არის თვითონ მოქმედება ან უმოქმედობა, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს სხვა ადამიანის სიკვდილი, აუცილებელია ამ შედეგის დადგომა. თუ პირის გაუფრთხილებელ ქმედებას არ მოჰყვა ადამიანის სიკვდილი, მაშინ ის პასუხს არ აგებს გაუფრთხილებლობით ჩადენილი ადამიანის სიცოცხლის მოსპობისათვის.

პასუხისმგებლობა გაუფრთხილებელი ქმედებისათვის, რომელსაც შეეძლო, მაგრამ არ გამოიწვია მავნე შედეგი, დგება მხოლოდ იმ იშვიათ შემთხვევაში, როდესაც მოცემული გაუფრთხილებელი დანაშაულის შემადგენლობა კონსტრუირებულია ისეთნაირად, რომ თვით გაუფრთხილებელი

ქმედება, რომელიც ქმნის მავნე შედეგის დადგომის საფრთხეს, აყალიბებს დანაშაულს. მოცემული სახის დანაშაულების ობიექტური ნიშნის აღწერისას კანონმდებელი იყენებს სხვადასხვა ხერხს. ერთ შემთხვევაში - ის იყენებს ფორმულას „გამოიწვია ან შეიძლო გამოიწვია“ მავნე შედეგის დადგომა. მეორე შემთხვევაში - კანონმდებელს დანაშაულად მიაჩნია თვითონ ფაქტი გაუფრთხილებელი ქმედებისა, ხოლო შედეგის დადგომას მაკვალიფიცირებელი მნიშვნელობა აქვს.

აქედან გამომდინარე, პასუხისმგებლობა გაუფრთხილებელი დანაშაულებრივი საქმიანობისათვის, რომელსაც არ გამოუწვევია მავნე შედეგი, ჩვენი კანონმდებლობის მიხედვით, შეიძლება დადგეს ზოგიერთ კანონში სპეციალურად მითითებულ შემთხვევებში. ამასთან, მოცემულ შემთხვევებში პასუხისმგებლობა დგება არა წინასწარი დანაშაულებრივი საქმიანობისათვის, ან დანაშაულის მომზადებამცდელობისათვის, არამედ დამოუკიდებელი დანაშაულის შემადგენლობის შესრულებისათვის.

დანაშაულის მცდელობა შეიძლება იყოს მხოლოდ განზრახი. შეუძლებელია გაუფრთხილებლობით ეცადო მის ჩადენას. ქმედების შესრულება, რომელიც ქმნის დაუმთავრებელ დანაშაულს, გულისხმობს მოქმედი პირის მიერ შეცნობას იმისა, რომ ის ცდილობს ჩაიდინოს კონკრეტული დანაშაულებრივი ქმედება და მის მიერ განხორციელებული ქმედება მიმართულია ზუსტად განსაზღვრული განზრახი დანაშაულის შემადგენლობის შესრულებაზე. დანაშაულის მცდელობის საფრთხე ზუსტად იმაში მდგომარეობს, რომ პირი რომელიც მათ ჩადის შეგნებულად, დგება დანაშაულებრივი

საქმიანობის გზაზე, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს მავნე შედეგი.

დანაშაულის მცდელობა ვერ განხორციელდება მანამ, სანამ პირს არ აღეძვრება განზრახვა დანაშაულის ჩადენაზე. გაუფრთხილებელი დანაშაულის მცდელობა ლოგიკურად წარმოუდგენელია. შეუძლებელია მოქმედება უშუალოდ იყოს მიმართული დანაშაულის ჩასადენად, თუ პირი არ ითვალისწინებს თავისი ქმედების დანაშაულებრივ შედეგს ან ვარაუდობს მის აცილებას. მიუხედავად ამისა, იყო გამოთქმული აზრი, რომელიც დასაშვებად მიიჩნევა გაუფრთხილებელ მცდელობას. გაუფრთხილებელ მცდელობას ცნობდა გერმანელი კრიმინალისტი კარლ ბინდინგი. მისი აზრით, საერთოდ არსებობს ორი სახის გაუფრთხილებლობა. პირველი, როდესაც დამნაშავე არ ითვალისწინებს მოქმედების შედეგს. ასეთ შემთხვევაში მცდელობა გამორიცხულია, ხოლო მეორე სახის გაუფრთხილებლობის დროს, დამნაშავე ითვალისწინებს თავისი ქმედების შედეგს და სურს კიდევაც ეს შედეგი, მაგრამ არ ითვალისწინებს მის მართლსაწინააღმდეგო ხასიათს. ბინდინგი დასაშვებად თვლიდა ამ უკანასკნელ შემთხვევაში მცდელობას, მაგრამ გამორიცხავდა მის დასჯადობას.¹⁷¹ გაუფრთხილებელი მცდელობა შესაძლებლად მიაჩნდათ ზოგიერთ საბჭოთა პერიოდის იურისტებსაც, მაგალითად, შარგოროდსკის. მას გაუფრთხილებლობისას მცდელობა შესაძლებლად მიაჩნდა ისეთ შემთხვევებში, როდესაც მოქმედება განზრახ იყო ჩადენილი, ხოლო შედეგი კი გაუფრთხილებლობით დადგა. შარგოროდსკის ეს მოსაზრე-

¹⁷¹ სურგულაძე ლ. სისხლის სამართალი. დანაშაული, თბ., 2005წ. გვ. 326

ბა ბრალის ცნების აშკარად არასწორ გაგებაზეა დაფუძნებული. მცდელობის და გაუფრთხილებლობის ცნებები შეუსაბამოა იურიდიული თვალსაზრისით. მცდელობის ძირითადი ნიშანია ის, რომ დანაშაულებრივი ნება მიმართულია დანაშაულის განხორციელებაზე და არა მხოლოდ ის, რომ დანაშაულებრივი საქმიანობა ობიექტურად დაწყებულია. ადამიანის საქმიანობა ყოველთვის მიზანმიმართული აქტია, ის შეიძლება მხოლოდ იმას ცდილობდეს, რაც მის საქმიანობის მიზანს წარმოადგენს.

სისხლისსამართლებრივი თვალსაზრისით ამგვარი საქმიანობა მხოლოდ განზრახ (პორდაპირი განზრახვით) ხორციელდება. შედეგის დადგომამდე განხორციელებული მოქმედების მიხედვით, ჩვენ შესაძლებლობა გვაქვს განვსაზღვროთ, თუ რის მცდელობას აქვს ადგილი. ასეთი დასკვნის გამოტანა კი შეუძლებელია გაუფრთხილებლობისას, სადაც დამდგარი შედეგი არ შეესაბამება დამნაშავის მიზანს. თვითიმედოვნებისას დამდგარი შედეგი გათვალისწინებულია, როგორც თანამდევნი, ხოლო დაუდევრობისას დამდგარ შედეგს ადამიანი საერთოდ არ ითვალისწინებს. გაუფრთხილებლობისას ჩადენილი ქმედების შეფასება სისხლისსამართლებრივი თვალსაზრისით მხოლოდ დამდგარი შედეგის მიხედვით ხდება, რადგან მანამდე შეუძლებელია ქმედების სწორი კვალიფიკაცია. შეუძლებელია, ფსიქოლოგიური თვალსაზრისითაც იმის ცდა, რაც ადამიანის მოქმედების მიზანს არ წარმოადგენს. გაუფრთხილებელი მცდელობის დასჯადობას არ ითვალისწინებს არც ერთი საკანონმდებლო სისტემა.¹⁷²

¹⁷² ნაჭყებია გ. სისხლის სამართალი. ზოგადი ნაწილი. თბ., 2005წ. გვ. 170

2.2. განვიხილოთ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების საკითხი. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება წარმოადგენს მხოლოდ სასჯელისაგან პერსონალური გათავისუფლების საფუძველს.¹⁷³ ანალოგიურად მსჯელობს გ.იაკობსი. ამასთან ერთად ის აღნიშნავს, რომ ეს საკითხი უნდა იყოს განხილული ბრალის ანალიზის დროს.¹⁷⁴

სისხლის სამართლის ძველი კანონმდებლობისაგან განსხვავებით სისხლის სამართლის ახალ კოდექსში ფართოდ არის გადმოცემული დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების იურიდიული შინაარსი, განსაკუთრებით კი, თანამონაწილეთა მხრივ ნებაყოფლობით ხელის აღების შემთხვევაში.

დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების ინსტიტუტის დანიშნულებაა, ერთი მხრივ, დანაშაულის აღკვეთა და, ამრიგად, სამართლებრივი სიკეთისათვის ზიანის მიყენების თავიდან აცილება, ხოლო, მეორე მხრივ, მოცემული ნორმის დადგენით, კანონმდებელი ცდილობს შეუქმნას იმ პირს, ვინც უკვე დაადგა დანაშაულის გზას, უკან დახევის სტიმული. ანსლემ ფოიერბახის გამოთქმით, ამით სახელმწიფო „ოქროს ხიდს“ აგებს დამნაშავისათვის და ჰპირდება რა მას დაუსჯელობას, თუკი იგი გადაიფიქრებს დანაშაულებრივ საქმიანობას და თუნდაც უკანასკნელ მომენტში გადაწყვეტს, შეაჩეროს ის.

ქართულ იურიდიულ მეცნიერებაში არ იწვევს დავას, რომ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება დასაშვებია მხოლოდ მომზადების და მცდელობის სტადიაზე. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების მთავარი სამართლებ-

¹⁷³ ტურავა მ. დანაშაულის მოძღვრება. თბ., 2011წ. გვ. 283

¹⁷⁴ Jakobs G. Strafrecht. Allgemeiner Teil. 2 Aufl. Berlin; New York: Walter de Gruyter. 1993. S. 98

რივი შედეგია ის გარემოება, რომ მისი არსებობისას გამო-
რიცხულია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.

დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების ნორმა წამა-
ხალისებელი ნორმაა სისხლის სამართალში. პირი არ ისჯება
არა იმიტომ, რომ დანაშაული არ ჩაუდენია, არამედ იმიტომ,
რომ სისხლის სამართლის პოლიტიკის ამოცანებიდან გამომ-
დინარე, კანონმდებელი ნებისმიერ პიროვნებას შესაძლებლო-
ბას აძლევს, მიუხედავად უკვე ჩადენილისა, თავიდან აიცილოს
სამართლებრივი სიკეთის დაზიანება, რის ნაცვლადაც მას და-
უსჯელობას ჰპირდება. სწორედ სამართლებრივი სიკეთის და-
ზიანების თავიდან აცილების მიზნის მიღწევასა დანაშაულზე
ნებაყოფლობით ხელის აღების მთავარი ამოცანაა.

დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების დროს პი-
რი ქმედების შემადგენლობას ახორციელებს მართლსაწინა-
აღმდეგოდ და ბრალეულად, ანუ ჩადის დანაშაულს. დანაშა-
ულზე ნებაყოფლობით ხელის აღება არ წარმოადგენს ბრა-
ლის გამომრიცხველ საპატიებელ გარემოებას, როგორც ეს
მიაჩნია ზოგიერთ მეცნიერს, არამედ წარმოადგენს მხოლოდ
პასუხისმგებლობისაგან პერსონალური განთავისუფლების
საფუძველს.¹⁷⁵

დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებისათვის აუ-
ცილებელია სამი პირობა: 1) დანაშაული ბოლომდე არ უნდა
იყოს განხორციელებული, 2) ნებაყოფლობითობა და 3) სა-
ბოლოობა.¹⁷⁶

1.2.1. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების
დროს ათვლის წერტილია დებულება, რომ პირს უნდა გააჩი-

¹⁷⁵ ტურავა მ. დანაშაულის მოძღვრება. თბ., 2011წ. გვ. 283

¹⁷⁶ ნაჭყებია გ. სისხლის სამართალი ზოგადი ნაწილი. თბ., 2006წ. გვ. 175

ნდეს იმის შეგნება, რომ მას აქვს სრული შესაძლებლობა მიიყვანოს დანყებული დანაშაული ბოლომდე და ამაში, მისი წარმოდგენით, ხელისშემშლელი არანაირი დაბრკოლება არ ელობება. გაკიცხვის დასაბუთების დროს სასამართლომ უნდა გაითვალსწინოს:

- ნებაყოფლობით ხელის ალებისას პირმა შეიძლება პასუხი აგოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მის მიერ ჩადენილ ქმედებაში უკვე არის რაიმე სხვა დამოუკიდებელი დანაშაულის შემადგენლობა. წინააღმდეგ შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დგება, თუ პირმა, მაგალითად მკვლელობისათვის შეიძინა იარაღი, მაგრამ ნებაყოფლობით ხელი აიღო მკვლელობის ჩადენაზე.

- როგორც მართებულად აღინიშნება, დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის ალების შემთხვევაში დანაშაულის ჩადენის განზრახვა და, შესაბამისად, დანყებული დანაშაულებრივი საქმიანობის გაგრძელების საშიშროება, ქრება, რაც უვნებელყოფს დაცული სამართლებრივი სიკეთის დაზიანების საფრთხეს. არა მარტო თვითონ პირი ხდება სოციალურად უსაფრთხო, არამედ მის მიერ განხორციელებული ქმედებაც კარგავს დაცული ობიექტისათვის ზიანის მიყენების საფრთხეს.¹⁷⁷

1.2.2. გაკიცხვის დასაბუთების მეორე პირობა არის დანაშაულის გაგრძელებასა და ბოლომდე მიყვანაზე ნებაყოფლობით ხელის ალება. ამ მიმართულებით გაკიცხვის დასაბუთების დროს სასამართლომ უნდა გაითვალსწინოს:

- დასახული მიზნის მიღწევა უნდა მიმდინარეობდეს პირის სურვილის შესაბამისად. მნიშვნელოვანია, რომ პირი

¹⁷⁷ ნაჭყებია გ. სისხლის სამართალი ზოგადი ნაწილი. თბ., 2006წ. გვ. 176

უარს აცხადებს დანაშაულის ბოლომდე მიყვანაზე, საკუთარი შინაგანი განწყობით, რასაც თან ახლავს იმის შეგნებაც, რომ მას დაუბრკოლებლად შეუძლია გააგრძელოს საკუთარი დანაშაულებრივი საქმიანობა. როგორც პროფესორი თ.წერეთელი აღნიშნავს: „... სასჯელისაგან პირს ათავისუფლებს არა ყოველგვარი აცდენა დანაშაულებრივი შედეგისა, არამედ მხოლოდ ისეთი, რომელიც პირის მოქმედების ნებაყოფლობითი აქტით არის განპირობებული, რომ პასუხისმგებლობის მოხსნის საკითხი მხოლოდ მაშინ შეიძლება დადგეს, როდესაც დამნაშავეს წინაშე თავისუფალი არჩევანი იყო - ან ბოლომდე მიყვანა დანაშაული ან ხელი აელო მასზე და მან დანაშაულზე ხელის აღება არჩია. თუ დაუსჯელობის საფუძველი - მოტივაციური ზეგავლენაა პირზე, რათა იგი დანაშაულის გზიდან უკან გამობრუნდეს, ცხადია, რომ პირის გადაწყვეტილება უნდა იქნეს მიღებული თავისუფლად და არა მის ფსიქიკაზე დამოუკიდებელი ძალების ზეგავლენით“.¹⁷⁸

- თუ დამნაშავეს ხელი შეუშალეს ქმედების ბოლომდე მიყვანაში, დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება არ გვექნება. მაგალითად, ისეთ შემთხვევაში, როდესაც ბ-მ გადაწყვიტა კ-ს გაუპატიურება, მაგრამ შეეშინდა კ-ს ყვირილი არ გაეგოთ ახლო მომუშავე მუშებს და შიშის მოტივით შეწყვიტა დანაშაული.¹⁷⁹ პირმა საკუთარი ნებით და საბოლოოდ უარი უნდა თქვას დანაშაულის ბოლომდე მიყვანაზე, მაშინ, როცა მას აქვს ასეთი შესაძლებლობა. მოტივი ამ შემთხვევაში შესაძლებელია იყოს სხვადასხვანაირი. არ იქნება ხელის

¹⁷⁸ წერეთელი თ. დანაშაულის მომზადება და მცდელობა. თბ., 1961წ. გვ. 222

¹⁷⁹ გამყრელიძე ო. საქართველოს სისხლის სამართლის განმარტება. თბ., 2005, გვ. 170

აღება ისეთ შემთხვევაშიც, როდესაც დამნაშავემ დროებით გადადო დანაშაულის ბოლომდე მიყვანა და ელოდება მხოლოდ ხელსაყრელ მომენტს, რათა დაასრულოს დანაშაულებრივი ჩანაფიქრი.

- ე.წ. „შეკვეცილი შემადგენლობების“ შემთხვევაში (სსკ-ის 224-ე მუხლი ან სსკ-ის 404-ე მუხლის 1-ლი ნაწილი) ნებაცხოფლობით ხელის აღება შეუძლებელია, რადგან მომზადება და მცდელობა ამ დროს იმდენად საფრთხის შემცველია, რომ კანონმდებელი მათ დამთავრებულ დანაშაულად აცხადებს.

1.2.3. გაკიცხვის დასაბუთების მესამე პირობა არის ნებაცხოფლობით ხელის აღების საბოლოობა. ამ მიმართულებით გაკიცხვის დასაბუთების დროს სასამართლომ უნდა გაითვალსწინოს:

- დანაშაულზე ნებაცხოფლობით ხელის აღების დროს პირს უნდა გააჩნდეს დანაშაულის ბოლომდე მიყვანის შესაძლებლობა.¹⁸⁰ ზოგიერთი ავტორის მიერ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, ეს მოთხოვნა არ ეხება ე.წ. „წმინდა“ უმოქმედობის შემთხვევებს. როგორც თვლიან, „რამდენადაც „წმინდა“ უმოქმედობისას მხოლოდ დანაშაულის მომზადებაა შესაძლებელი, ამდენად ამ დელიქტის განხორციელებაზე ნებაცხოფლობით ხელის აღება მხოლოდ მომზადების სტადიაზე უნდა განხორციელდეს მოქმედებით, ან უმოქმედობით. მაგალითად, მოწმე, სასამართლოში არ გამოცხადების მიზნით, საზღვარგარეთ გაემგზავრა, მაგრამ დანაშაულის ჩადენაზე უარი თქვა და უკან დაბრუნდა. ადგილი აქვს დანაშაულზე ნებაცხოფლობით ხელის აღე-

¹⁸⁰ წერეთელი თ. დანაშაულის მომზადება და მცდელობა. თბ., 1961წ. გვ. 223

ბას მოქმედებით. თუ ბილეთს იყიდის და არ წავა საზღვარგარეთ, მაშინ სახეზეა უმოქმედობით ხელის აღება“.¹⁸¹

- შერეული უმოქმედობის დელიქტებში ამსრულებლის მიერ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება შესაძლებელია მცდელობის სტადიაზე, როგორც მოქმედებით, ისე უმოქმედობით. მაგალითად, თუ რკინიგზის მეისრე ალკოჰოლურ სასმელს მიიტანს პოსტზე, რომ მისი დალევის შედეგად უგონო მდგომარეობაში აღმოჩნდეს და მატარებლის ავარია გამოიწვიოს, მაგრამ შემდეგ შეწყვეტს სმას, მაშინ მცდელობის სტადიაზე იქნება დანაშაულის ნებაყოფლობით ხელის აღება უმოქმედობით. ასევე, თუ ძიძა ხედავს, რომ 10 წლის ბავშვი იარაღს უმიზნებს საკუთარ ძმას, მაგრამ ხელს არ უშლის მას, რადგან სურვილი აქვს რომ მოკლას. თუმცა, შემდეგ შეეშინდება პასუხისმგებლობის და იარაღს წაართმევს, ადგილი ექნება მცდელობის სტადიაზე ნებაყოფლობით ხელის აღებას მოქმედებით.¹⁸²

- დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება შესაძლებელია მხოლოდ იმ მომენტამდე, ვიდრე დანაშაულებრივი შედეგი განხორციელდა, ამიტომ დანაშაულის დამთავრების შემდეგ პირის მიერ მიღებული ღონისძიებანი, მიმართული შემდგომი მავნე შედეგების თავიდან ასაცილებლად, არ განთავისუფლებს პირს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან.

- დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება შესაძლებელია მხოლოდ პირდაპირი განზრახვით განხორციელებული დანაშაულის დროს, რადგან მომზადება და მცდელობა მხოლოდ პირდაპირი განზრახვითაა შესაძლებელი. არაპირ-

¹⁸¹ ნაჭყებია გ. სისხლის სამართალი ზოგადი ნაწილი. თბ., 2006წ. გვ. 178

¹⁸² ნაჭყებია გ. სისხლის სამართალი. ზოგადი ნაწილი. თბ., 2006წ. გვ. 179

დაპირი განზრახვით განხორციელებულ და გაუფრთხილებლობით დანაშაულებში შედეგის დადგომამდე პირის ქმედებას არავითარი სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობა არა აქვს. მაშასადამე, ამ უკანასკნელ შემთხვევაში არც დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებაზე შეიძლება საუბარი, რადგან დანაშაულებრივი ქმედება არ არსებობს.

გარკვეულ თავისებურებებს წარმოადგენს დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება თანამონაწილეობის დროს. თუ დანაშაული თანამონაწილეობით ხორციელდება, ნებაყოფლობით ხელის აღების საკითხი ამსრულებლისა და ყოველი თანამონაწილისათვის იმისდა მიხედვით უნდა გადაწყდეს, თუ რა როლი შეასრულა თითოეულმა მათგანმა დანაშაულებრივი შედეგის თავიდან აცილებაში. ისეთ შემთხვევაში, თუ რომელიმე თანამონაწილემ დანაშაულებრივი შედეგის თავიდან აცილებაში მონაწილეობა არ მიიღო და მავნე შედეგი აცილებულ იქნა სხვა თანამონაწილეთა მეოხებით, ის პასუხს აგებს დანაშაულის მომზადების ან მცდელობისათვის. როგორც სსკ-ის 25-ე მუხლის მე-7 ნაწილი გვეუბნება, ამსრულებლის მიერ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების შემთხვევაში, სხვა თანამონაწილენი პასუხს აგებენ დანაშაულის მომზადების ან მცდელობისათვის.

პროფესორ თ.წერეთლის აზრით, ეს საკითხი ორ ნაწილად უნდა დაიყოს: „1) ამსრულებლის მიერ ნებაყოფლობით ხელის აღება დანაშაულის ბოლომდე მიყვანაზე და 2) თანამონაწილეთა მიერ ხელის აღება დანაშაულზე“.¹⁸³

როცა ამსრულებელი დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელს აიღებს, პირადად მისთვის იმ გარემოებას, რომ დანა-

¹⁸³ წერეთელი თ. დანაშაულის მომზადება და მცდელობა. თბ., 1961წ. გვ. 241

შაულში მონაწილეობას იღებენ სხვა პირები, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ის საერთო საფუძვლებზე განთავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან. ამსრულებლის მიერ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება გამოიხატება იმაში, რომ მას ვერ მიჰყავს დანაშაული ბოლომდე სხვადასხვა მიზეზის გამო. ისმის კითხვა, რაში შეიძლება გამოიხატოს თანამონაწილეთა მიერ დანაშაულზე ხელის აღება, რა მოქმედებები უნდა შეასრულონ მათ ან რისგან უნდა შეიკავონ თავი.

წამქეზებლის და დამხმარის მიერ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება შეიძლება გამოიხატოს ისეთ აქტიურ მოქმედებაში, რომელიც ამსრულებელს არ აძლევს შესაძლებლობას განახორციელოს ჩაფიქრებული, ან მის მიერ უკვე დანყებული დანაშაული და ამით ამსრულებლის ქმედებით გამონვეულ შესაძლო მავნე შედეგს თავიდან იცილებენ. როგორც სსკ-ის 21-ე მუხლის მე-3 ნაწილშია აღნიშნული: „დანაშაულის ორგანიზატორს, წამქეზებელსა და დამხმარეს არ დაეკისრებათ სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობა, თუ მათ გადაარწმუნეს ამსრულებელი, დროულად შეატყობინეს ხელისუფლების ორგანოს ან სხვაგვარად შეუშალეს ხელი ამსრულებელს ან სხვა თანამონაწილეს და ამით არ მისცეს დანაშაულის დამთავრების შესაძლებლობა“.

აქ იგულისხმება, ისეთი შემთხვევა, როდესაც თანამონაწილეებმა ყველაფერი გააკეთეს დანაშაულის ბოლომდე მისაყვანად, რაც მათზე იყო დამოკიდებული, მაგრამ მათივე ინიციატივით დანაშაული ბოლომდე არ განხორციელდა. ასეთი მოქმედება შეიძლება გამოიხატოს ამსრულებლის ან სხვა თანამონაწილის გადარწმუნებაში, ხელისუფლების ორგანოებისათვის ინფორმაციის მიწოდებაში. ხოლო სხვაგვა-

რი მოქმედება კი გულისხმობს ისეთ ქმედებებს, რაც ამსრულებელს ხელს შეუშლის ან გამორიცხავს დანაშაულის ბოლომდე მიყვანას. რაც შეეხება სსკ-ის 21-ე მუხლის მე-3 ნაწილის მეორე წინადადებას: „დამხმარეს აგრეთვე არ დაეკისრება სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობა, თუ მან ამსრულებლის მიერ დანაშაულის დაწყებამდე უარი თქვა შეესრულებინა შეპირებული ქმედება, ანდა ამსრულებლის მიერ დანაშაულის დამთავრებამდე უკან დაიბრუნა დანაშაულის ჩასადენად გადაცემული იარაღი ან საშუალება“, ის შეეხება ისეთ შემთხვევას, როდესაც ფიზიკური დამხმარის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების ანუ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების აუცილებელ პირობას არ წარმოადგენს დანაშაულის შედეგის თავიდან აცილება. ამისათვის ფიზიკური დამხმარის საქციელი უნდა შეიცავდეს ორ პირობას: „1) დამხმარის უარი შეპირებული ქმედების შესრულებაზე ნათქვამი უნდა იყოს ამსრულებლის მიერ დანაშაულის დაწყებამდე; 2) ამსრულებლის მიერ დანაშაულის დამთავრებამდე დამხმარე უკან იბრუნებს მის მიერ მიცემულ იარაღს ან საშუალებას“.¹⁸⁴

¹⁸⁴ ნაჭყებია გ. სისხლის სამართალი. ზოგადი ნაწილი. თბ., 2006წ. გვ. 184

დასკვნა

დანაშაულის მცდელობის შესწავლამ საშუალება მოგვცა გაგვეკეთებინა სათანადო დასკვნები და ჩამოგვეყალიბებინა საკანონმდებლო და პრაქტიკული მნიშვნელობის რეკომენდაციები:

1. დანაშაულის მცდელობის საფუძვლიანი დახასიათებისათვის აუცილებელია იმის გათვალისწინება, რომ ბრალის დონეზე უნდა იყოს განხილული შეზღუდული შერაცხადობისა და დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების პრობლემატიკა. გადანყვეტილების მიღებისას აღნიშნული თემატიკა მოითხოვს მოსამართლისაგან განსაკუთრებულ ყურადღებას.
2. დანაშაულის მცდელობის ნიშნების ინტერპრეტაციისას გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ დანაშაულის მცდელობის შესახებ დაგროვილი იყო ქართულ სისხლის სამართალში არსებული ფორმალურ-ობიექტური, სუბიექტური და შერეული კონცეფციების კრიტიკული მოსაზრებანი, რომელიც მეტად საგულისხმო ანალიტიკურ ჩარჩოებში აქცევდა ქმედების შემადგენლობის სუბიექტური კონცეფციის პრობლემატიკას. მაგრამ ამ პერიოდში გერმანულ დოქტრინაში ფორმალურ-ობიექტურმა კონცეფციამ განიცადა ევოლუცია და თანამედროვე სახით როგორც სასამართლო ჩამოყალიბდა ევენტუალური განზრახვით დანაშაულის მცდელობის კონცეფციის ფორმით, რაც ადვილად დგინდება შერეული კონცეფციის ფარგლებში, რომელსაც იზიარებს ქართველ მეცნიერთა უმრავლესობა. ამ მიმართულებით როგორც გამოძიების სტადიაზე, ასევე სასამართლოს განხილვის პროცესში უნდა იყოს უარყოფილი ევენტუალური განზრახვით

მცდელობის კონცეფცია, რომელიც უბიძგებს სასამართლოებს რეპრესიული პოლიტიკისაკენ. ამ კონცეფციის ფარგლებში სასამართლო გამოდის არა რეალური შესაძლებლობიდან, არამედ აბსტრასქტული, ტიპური შესაძლებლობიდან, რაც მეტად სახიფათოა კანონიერების პრინციპის დამკვიდრებისათვის.

3. დანაშაულის მცდელობის სუბსუმციის დროს გასათვალისწინებელია, რომ მცდელობა შესაძლებელია ჩადენილი იყოს მხოლოდ პირდაპირი განზრახვით, როდესაც პირი უშუალოდ შეუდგა თავისი განზრახვის განხორციელებას, თუმცა მოქმედება ვერ დაამთავრა. ამ მხრივ, გაზიარებულია სსკ-ს მე-19 მუხლის ახალი რედაქცია, რომელმაც უარყო დანაშაულის მცდელობის 1960 წ. კოდექსის მე-17 მუხლის განმარტება. წინააღმდეგ შემთხვევაში ძნელდებოდა ისეთი შემთხვევების გამიჯვნა, როდესაც დამნაშავე შეიპყრეს ან, როდესაც მან თავისი ნებით ხელი აიღო დანაშაულის ჩადენაზე.
4. პრაქტიკაში უნდა დაინერგოს დანაშაულის შემადგენლობისადმი სუბიექტურ-ობიექტური კონცეფცია. ამ კონცეპტუალური მიდგომის შედეგია დაუმთავრებელი დანაშაულისთვის სასჯელის დანიშვნისას ისეთი საკვანძო საკითხების გათვალისწინება, როგორიცაა: 1) დამნაშავის მიერ ჩადენილ მოქმედებათა ხასიათი და საშიშროება; 2) დანაშაულებრივი განზრახვის განხორციელების ხარისხი, რომელიც მოქმედების ობიექტური სოციალური საშიშროების ხარისხს განსაზღვრავს, 3) მიზეზები, რის გამოც დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი.

5. ნაშრომში გატარებულია აზრი, რომ რომ დანაშაულის მცდელობის სუბსუმციის სპეციალურ საკითხები, რომელსაც მიეკუთვნება დანაშაულის მომზადებისა და მცდელობის გამიჯვნის პრობლემატიკა. აღნიშნული პრობლემატიკის გადწყვეტა უშუალოდ არის დაკავშირებული ქმედების შემადგენლობასთან და მონმდება ბრალის დონეზე.
6. ქმედების შემადგენლობის დონეზე მნიშვნელოვანია იმ დებულების მოთხოვნის დაცვა, რომლის თანახმად დანაშაული დამთავრებულად ითვლება მაშინ, როდესაც განხორციელებულია ამსრულებლის მიერ განზრახული დანაშაულის შემადგენლობის ყველა ნიშანი, რადგან თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში ამა თუ იმ დანაშაულის დამთავრების საკითხის გადანყვეტა დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ არის აღწერილი ამ დანაშაულის შემადგენლობა სისხლის სამართლის კანონში. დანაშაულის დამთავრების მომენტი პირობითია. ბრალის დონეზე მნიშვნელოვანია ისეთი საკითხის შემოწმება, როგორცაა: წარმოადგენს თუ არა დამნაშავის მიერ განხორციელებული ქმედება მომზადების სტადიას, თუ იგი გასცდა მომზადების სტადიას? ამიტომ ამ დონეზე ლოგიკურად დგება საკითხი სად იწყება და მთავრდება დანაშაულის მომზადება და რა მომენტში გადადის ის დანაშაულის მცდელობაში ან დამთავრებულ დანაშაულში და თავისთავად სად დევს დანაშაულის მცდელობის საწყისი მომენტი და როდის ხდება მცდელობა დამთავრებულ დანაშაულად. გაკიცხვის პროცესში ზუსტად და ამომწურავად უნდა იქნეს გამოყენებული ის კრიტერიუმები, რომლებითაც უნდა

მოხდეს ეს გამიჯვნა. მითუმეტეს, რომ დასჯადია, მხოლოდ განსაკუთრებით მძიმე და მძიმე დანაშაულების მომზადება. ამისაგან განსხვავებით ყველა სახის დანაშაულის მცდელობა დასჯადია. მოსამზადებელი მოქმედება, წარმოადგენს მხოლოდ პირობების შექმნას იმისათვის, რათა მომავალში შესაძლებელი გახდეს ან გადავილდეს დანაშაულის ჩადენა, მაშინ როცა მცდელობა ისეთი მოქმედებაა, რომელიც თვით დანაშაულის შესრულებას წარმოადგენს“. როგორც ვხედავთ, პირველ გამმიჯნავ ნიშნად დანაშაულის მცდელობასა და დანაშაულის მომზადებას შორის უნდა მივიჩნიოთ ის, რომ ამსრულებლის მიერ უშუალოდ გადასვლა დანაშაულის შემადგენლობის შესრულებაზე, რომელიც აღწერილია შესაბამის მუხლში, წარმოადგენს დანაშაულის მცდელობის საწყის მომენტს.

7. „უვარგისი მცდელობის“ ინსტიტუტი უშუალოდ არის დაკავშირებული მცდელობის მართლწინააღმდეგობის შემონქმების პრობლემებთან. ამიტომ, ჩვენ მიგვაჩნია, რომ „უვარგისი მცდელობის“ საკითხი განხილული უნდა იქნეს დანაშაულის მცდელობის მართლწინააღმდეგობის თემატიკის ანალიზის დროს. აღნიშნული მეთოდოლოგიური მიდგომა მდგომარეობს იმაში, რომ „უვარგისი მცდელობა“ თავისი ბუნებით უკავშირდება ფაქტობრივ შეცდომას, რამდენადაც სამყაროში არსებულ რეალობაზე ადამიანის მცდარი წარმოდგენის შედეგად დანაშაული განუხორციელებელი რჩება. ფაქტობრივი შეცდომა, რომელიც მართლწინააღმდეგობას გამორიცხავს, ამავე დროს გამორიცხავს განზრახვას.

გამოკვლევაში „უვარგისი მცდელობა“ დაყოფილია მცდელობად უვარგისი ობიექტზე და მცდელობად უვარგისი საშუალებით, როგორც ეს მიღებულია ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში.

8. ნაშრომში წარმოდგენილია ჰიპოთეზა, თუ თავდასხმის უშუალო ობიექტი თავისი თვისებებით ვარგისია დანაშაულის განსახორციელებლად, მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში დანაშაულის ბოლომდე მიყვანას ხელი შეუშალა რაიმე შემთხვევითმა გარემოებამ (მაგალითად, ადამიანი თავდასხმის მომენტში აღმოჩნდა ჯავშანში, რომელიც ტყვიას არ ატარებს), ამ შემთხვევაში უვარგისი მცდელობაზე ლაპარაკი შეუძლებელია და ეს შემთხვევა უნდა დაისაჯოს, როგორც ყველა სხვა მცდელობა. გამოკვლევაში ნაჩვენებია, რომ მცდელობა უვარგისი საშუალებით, საერთო წესით, იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, რადგან ასეთი ქმედება სახიფათოა. მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში არ იწვევს უვარგისი მცდელობა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას (როცა ის მცირე მნიშვნელობის გამო საზოგადოებრივად სახიფათო არ არის ან ცრუმორწმუნეობის ან უვიცობის გამო გამოყენებულია ისეთი საშუალება, რომელსაც არ შეუძლია რაიმე ხიფათის გამოწვევა).

9. გამოკვლევაში უარყოფილია დამთავრებულ და დაუმთავრებელ მცდელობათა გამიჯვნის აუცილებლობა. დანაშაულის დამთავრებული და დაუმთავრებელი მცდელობის ერთმანეთისაგან გამიჯვნის მიზანი მხოლოდ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებისათვის საჭირო მოქმედების ან უმოქმედობის ზუსტი გან-

საზღვრაა. როგორც წესი, დაუმთავრებელი მცდელობის დროს დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება უმოქმედობით ხდება, დამთავრებული მცდელობისას კი აუცილებელია აქტიური მოქმედება.

10. პრაქტიკაში წარმოიშობა დანაშაულის მცდელობის მთელი რიგი პრობლემები, რომელიც უნდა გადაწყდეს ბრალის დონეზე. გამოკვლევაში მათ მიეკუთვნება: შეზღუდული შერაცხადობის დროს ჩადენილი დანაშაულის მცდელობა და დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება. ამ მიმართულებით განიხილება შეზღუდული შერაცხადობის სხვადასხვა ფორმები (ალკოჰოლური, ნარკოტიკული და აფექტური მდგომარეობა), რომლებიც არ გამოირიცხავენ დანაშაულის მცდელობას. შემდეგ ფორმას წარმოადგენს გაუფრთხილებლობითი დანაშაული, როდესაც გამოირიცხება დანაშაულის მცდელობა.

11. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება წარმოადგენს მხოლოდ სასჯელისაგან პერსონალური გათავისუფლების საფუძველს. ამიტომ ეს საკითხი კვლევაში განხილულია ბრალის ანალიზის დროს. ნაშრომში ნაჩვენებია, რომ გაკიცხვის დასაბუთების დროს სასამართლომ უნდა გაითვალსწინოს შემდეგი მოქმედებანი: ნებაყოფლობით ხელის აღებისას პირმა შეიძლება პასუხი აგოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მის მიერ ჩადენილ ქმედებაში უკვე არის რაიმე სხვა დამოუკიდებელი დანაშაულის შემადგენლობა. წინააღმდეგ შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დგება, თუ პირმა, მაგალითად, მკვლელობისათვის შეიძინა იარაღი, მაგრამ ნებაყოფლობით ხელი აიღო მკვლელო-

ბოს ჩადენაზე; დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების შემთხვევაში დანაშაულის ჩადენის განზრახვა და, შესაბამისად, დაწყებული დანაშაულებრივი საქმიანობის გაგრძელების საშიშროება, ქრება, რაც უვნებლყოფს დაცული სამართლებრივი სიკეთის დაზიანების საფრთხეს. არა მარტო თვითონ პირი ხდება სოციალურად უსაფრთხო, არამედ მის მიერ განხორციელებული ქმედებაც კარგავს დაცული ობიექტისათვის ზიანის მიყენების საფრთხეს.

ბამოყენებული ლიტერატურა:

კანონმდებლობა

1. საქართველოს კონსტიტუცია (ცვლილებებით და დამატებებით) თბ., 1995წ. Matsne.gov.ge
2. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი (ცვლილებებით და დამატებებით) თბ., 1999წ. Matsne.gov.ge
3. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (ცვლილებებით და დამატებებით) თბ., 2009წ. Matsne.gov.ge
4. საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსი (ცვლილებებით და დამატებებით) თბ., 1997წ. Matsne.gov.ge

სასამართლო გადაწყვეტილებები

5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა. თბ., 09.01.2009წ. საქმე N-970-აპ. Supremecourt.ge
6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა. თბ., 25.12.2012წ. საქმე N-351-აპ-12. Supremecourt.ge
7. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა. თბ., 04.01.2008წ. საქმე N-1659-აპ. supremecourt.ge
8. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა. თბ., 24.09.2008წ. საქმე N-745-აპ-08. Supremecourt.ge

წიგნი - მონოგრაფია

10. ნერეთელი თ. დანაშაულის მომზადება და მცდელობა. თბ., საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1961წ.
11. დოლიძე ი. ძველი აღმოსავლეთის სამართალი, თბ., თბილისის უნივერსიტეტი, 1960წ.

12. დოლიძე ი. ადრინდელი ფეოდალური სამართლის ძეგლები. თბ., თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 1950წ.
13. ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია), ლომოური თ. და ბერძენიშვილი ნ. რედ. თბ., თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 1941წ.
14. გამყრელიძე ო. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება. ზოგადი ნაწილი, პირველი წიგნი, თბ., საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 2008წ.
15. გამყრელიძე ო. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება. თბ., საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, 2005წ.
16. დიალექტიკური მატერიალიზმის საკითხები. (პ. გუჯაბიძის რედ.) თბ., თბილისის უნივერსიტეტი, 1955წ.
17. წერეთელი თ. საზოგადოებრივი საშიშროება და მართლწინააღმდეგობა სისხლის სამართალში. თბ., “კავკასიური სახლი“, 2006წ.
18. მჭედლიშვილ-ჰედრიხი ქ. სისხლის სამართალი. ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, თბ., „მერიდიანი“, 2011წ.
19. ნაჭყებია გ. სისხლის სამართალი. ზოგადი ნაწილი, თბ., „ინოვაცია“, 2006წ.
20. ტურავა მ. დანაშაულის მოძღვრება. თბ., „მერიდიანი“, 2011წ.
21. წერეთელი თ., ტყეშელიაძე გ. საქართველოს სისხლის სამართლის კომენტარები. თბ., 1976წ.
22. სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი. თბ., საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, 2002წ.
23. წულაია ზ. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი. ტომი1, თბ., “ინტელექტი“, 2000წ.
24. მაყაშვილი ვ., მაჭავარიანი მ., წერეთელი თ., შავგულიძე თ. დანაშაული პიროვნების წინააღმდეგ. თბ., საქართვე-

ლოს სსრ სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, 1980წ.

25. ტურავა მ. სისხლის სამართალი. კომენტარები, თბ., „ბონა კაუზა“, 2010წ.
26. ჭანტურია ლ. სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი. თბ., „სამართალი“, 2011წ.
27. მამულაშვილი გ. საქართველოს სისხლის სამართლის კერძო ნაწილი. წიგნი 1, მე-3 გამოცემა, 2008წ.
28. დაუთაშვილი პ., კვაშილავა ა. სისხლის სამართალი. (ზოგადი ნაწილი), თბ. 2003წ.
29. დონჯაშვილი თ. საქართველოს სისხლის სამართალი. ზოგადი ნაწილი, თბ., 2007წ.
30. Blackstone W. *Commentaries on the Laws of England* (1765–1769). Vol. 4. Reprint. Chicago: University of Chicago Press, 1979
31. Goebel J. *Felony and Misdemeanor: A Study in The History of English Criminal Procedure. Volume I.* Publisher: The Lawbook Exchange, 2006
32. Samuel W. *Popular Justice: A History of American Criminal Justice.* Publisher: Oxford University Press, 1997
33. New York Correction History Society - *The Evolution of the New York Prison System.* 1971
34. Misis M. *History of Corrections in America. History I class notes - University of Southern Mississippi,* 2011
35. Drakeford W. Friedman K. *History of the Criminal Justice System - National Center on Education, Disability, and Juvenile Justice and the University of Maryland,* 2011
36. Catherine E. *French Criminal Law* Publisher: Willan, 2001
37. Frances Q. Catherine E. *Criminal Law.* Publisher: Catherine Elliott, Frances Quinn, 2004
38. Jacqueline H. *French Criminal Justice: A Comparative Account of the Investigation and Prosecution of Crime in France.* Publisher: Hart Publishing, 2005
39. Stratenwerth G. *Strafrecht. Allgemeiner Teil I. Die Straftat.* Köln, Berlin, Bonn, München: C. Heymanns Verlag, 2000

40. Wessels J. Beulke W. Strafrecht. Allgemeiner Teil: Die Straftat und ihr Aufbau. 33, neu bearb. Auflage. Heidelberg: C.F. Müller, 2003
41. Johnson D. The Japanese Way of Justice: Prosecuting Crime in Japan (Studies on Law and Social Control). Publisher: Oxford University Press, USA, 2001
42. Foote D. Law in Japan: A Turning Point (Asian Law). Publisher: University of Washington Press; 1 edition. 2008
43. Amato. Criminal Law in Italy . Publisher: Kluwer Law International, 2000
44. Pellegrino F. Il dolo del tentativo, 2001
45. Pertucci R. Diritto penale, parte generale, (Edizioni Giuridich Simone) 2007
46. Wessels J. Beulke W. Strafrecht. Allgemeiner Teil: Die Straftat und ihr Aufbau. 33, neu bearb. Auflage. Heidelberg: C.F. Müller, 2003
47. Arntz T. Delikte bei insolvenzen in den jahren 1977 - 1980. Mainz, 1986
48. Joecks W. Studienkommentar StGB. 4 Aufl. Munchen: C. H. Beck, 2003
49. Roxin C. Strafrecht. Allgemeiner Teil. Band I. Grundlagen der Aufbau der Verbrechenslehre. 4. vollständig neu bearbeitete Auflage. München: Verlag C.H. Beck. 2006
50. Joecks W. Studienkommentar StGB. 4 Aufl. Munchen: C. H. Beck, 2003
51. Schmidt R. Strafrecht. Allgemeiner Teil. Grundlagen der Strafbarkeit, Aufbau des strafrechtlichen Gutachtens. 2. Auflage. Verlag-Grasberg bei Bremen. 2003
52. Sliwinski S. Polskie prawo karne materjalne. Warszawa, 1946
53. Norrie A. Crime, Reason and History: A Critical Introduction to Criminal Law. 2nd Edition Publisher: Cambridge University Press, 2001
54. Smith J. C. Hogan B. Criminal Law. 10 edition. 2002
55. Heinrich B. AT I, Grundlagen der strafbarkeit, Aufbau der straftat beim Vollendungs und Versuchsdelikt, 2. Aufl., Stuttgart 2010
56. Puppe I. Der halbherzige Rucktritt, NStZ, 1984

57. Streng F. Rucktritt und dolus eventualis, JZ, 1990
58. Baumann J. Weber U. Mitsch W. Strafrecht, AT, 11. Aufl., Beilefeld, 2003
59. Kindhauser U. Strafrecht Allgemeiner Teil, 3. Aufl., Berlin, 2008
60. Wessels J. Beulke W. Strafrecht Allgemeiner Teil: die Straftat und ihr Aufbau. Heidelberg: C.F.Muller Verlag, 1998
61. Hirsch H. J. Die subjective Versuchstheorie, ein Wegbereiter der NS-Strafrechtsdoktrin, JZ, 2007
62. Alwart H. Strafwurdiges Versuchen, Eine Analyse zum Begriff der Strafwurdigkeit und zur Struktur des Versuchsdelikts, Berlin, 1982
63. Ebert U. Strafrecht Allgemeiner Teil, 3. Aufl., Heidelberg, 2001
64. Hirsch H. J. Untauglicher Versuch und Tatstrafrecht, Festschrift fur Claus Roxin ZUM 70. Geburtstag, Schunemann, Bernd, (Hrsg.), Berlin, 2001
65. Jakobs G. Strafrecht. Allgemeiner Teil. 2 Aufl. Berlin; New York: Walter de Gruyter, 1993
66. Круглевский А. Н. Покушение на преступление, т. II., 1918г.
67. Козочкин И. Д. Уголовное право зарубежных государств, М. Институт международного права и экономики, 2001г.
68. Церетели Т.В. Причинная связь в уголовном праве. М. Юрид.лит-ра, 1963 г.
69. Уголовное уложение (уголовный кодекс) ФРГ. Текст и научно-практический комментарий. М. »Проспект», 2010г.
70. Таганцев Н. С. Русское уголовное право. Часть общая, т. 1, изд. 2-е. СПб., 1902 г.
71. Немировский Э. Основные начала уголовного права. Одесса, Типография «Техник», 1917 г.
72. Дурманов Н. Д. Понятие преступления. М-Л., Гос. Юур. Издат. 1948 г.
73. Утевский С. Вина в советском уголовном праве. М. Гос. Юур. Издат., 1950 г.
74. Горелик И.И. Квалификация преступлений, опасных для жизни и здоровья. Издательство «Высшая школа», 1973 г.

75. Исаев М. М., Пионтковский А. А. Вопросы уголовного права, военно-уголовного права и уголовного процесса в судебной практике Верховного Суда Союза ССР. М., 1947г.
76. Сборник постановлений Пленума -Верховного Суда СССР, 1924—1970. М., 1970 г.
77. Судебная практика к Уголовному кодексу Российской Федерации. Под общ. ред. В.М. Лебедева. М., 2001 г.
78. Кузнецова Н.Ф. Тяжкова И.М. Курс уголовного права в пяти томах. Том 1. Общая часть: Учение о преступлении, 2002 г.
79. Уголовное право России. Под ред. В. Н. Кудрявцева, В. В. Лунеева, А. В. Наумова. — М., 2006 г.
80. Наумов А. В. Российское уголовное право. Курс лекций. В двух томах. Т. 1. Общая часть. — М., 2004 г.
81. Уголовное право России. Части Общая и Особенная. Под ред. А. И. Рарога. — М., 2004 г.
82. Уголовное право Российской Федерации. Общая часть. Под ред. Л. В. Иногамовой-Хегай, А. И. Рарога, А. И. Чучаева. — М., 2005 г.
83. Наумов А. В. Российское уголовное право. Курс лекций. В двух томах. Т. 1. Общая часть. М., 2004 г.
84. Анисимов А.А. Неоконченное преступление, проблемы правовой регламентации. Уголовное право и криминология. Современное состояние и перспективы развития. Сб. науч. трудов. В2 т. Воронеж, 2006 г.
85. Козлов А.П. Учение о стадиях преступления. Учебное пособие для студентов. М., Юридическое бюро Городец, 2006 г.
86. Жукова Т.Г. Уголовная ответственность за приготовление к преступлению и покушение на преступление. Монография М., Илекса, 2007 г.
87. Назаренко Г.В. Ситникова А.И. Неоконченное преступление и его виды. М., 2000 г.
88. Козлов А.П. Неоконченное преступление. Учебное пособие. Кр., 1999 г.
89. Козлов А.П. Учение о стадиях преступления - СПб., 2002г.
90. Иванов В.Д. Ответственность за покушение на преступление. Кар., 1974 г.

91. Иванов В.Д. Мазуков С.Х. Стадии совершения преступления. Ростов н/Д., 1998 г.
92. Чернокозинская С. В. Приготовление к преступлению, понятие, основания и принципы криминализации, влияние на квалификацию преступления и наказание Дисс. канд. юрид. наук С., 2005 г.
93. Ключев А. А. Особенности добровольного отказа от совершения преступления в неоконченном посягательстве и в соучастии: Дис. канд. юрид. наук. Кра., 2003 г.
94. Жукова Т. Г. Уголовная ответственность за приготовление к преступлению и покушение на преступление: Дис. канд. юрид. наук. Ст., 2005 г.
95. Маляева Е. О. Неоконченное преступление. Лекция. Н.Н., Нижегородская академия МВД России, 2001 г.
96. Редин М. П. Преступления по степени их завершенности. М., Юрлитинфо, 2006 г.
97. Ситникова А. И. Приготовление к преступлению и покушение на преступление. М., Ось-89, 2006 г.
98. Жукова Т. Г. Уголовно-правовая характеристика приготовления к преступлению и покушения на преступление. Сборник научных трудов юридического факультета СевКав ГТУ. Выпуск 7. Ст., 2005 г.
99. Анисимов А. А. Неоконченные преступления и особенности их доказывания. Диссертация на соискание ученой степени кандидата юридических наук. Вор., 2003г.
100. Милуков С.Ф. Дронова Т.Н. Современные проблемы регулирования ответственности за неоконченное преступление и нормативных условий добровольного отказа от него. Российский ежегодник уголовного права. 2006. № 1. Под общ. ред. Б.В. Волженкина. СПб., 2007 г.

პერიოდული გამოცემა

101. ნიქარიშვილი კ. ევენტუალური განზრახვით დანაშაულის მცდელობის ჩადენის საკითხი იტალიურ, ფრანგულ და ანგლო-ამერიკულ სისხლის სამართალში, ჟურ. მართლმსაჯულება და კანონი, თბ. 2009წ. N 1

102. თოდუა ნ. საფრთხის შემქმნელი დანაშაულები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით ჟურ. მართლმსაჯულება და კანონი თბ. 2009 წ. N 2/3
103. Williams G. "The Reform of the Criminal Law and of Its Administration." - *Journal of the Society of Public Teachers of Law*, № 4, 1958
104. Bugajski W. Zamiar ewentualny i usitowanie.— «Nowe prawo», 1961, № 1
105. Mogilnicki A. Zarniar wynikowy i usilowanie. «Pafistwo i prawo», 1948, № 1
106. Кудрявцев В. Квалифицировать преступление в строгом соответствии с законом.— «Советская юстиция», 1963 г. № 13
107. Курченко В. Оконченное преступление или покушение на преступление, Законность, 2005 г.- № 11
108. Ситникова А.И. Реальные и фиктивные покушения на преступления Уголовное право, 2005 г. - № 5
109. Милуков С. Определение понятия неоконченного преступления. Уголовное право, 2008 г. - № 2

ინტერნეტ წყარო

110. Broadbent R. Intention in the English Criminal Law - http://www.academia.edu/2298343/Intention_in_the_English_Criminal_Law (ბოლო გადამონმება 05.04.2014)
111. Уголовный кодекс штата Нью-Йорк- <http://constitutions.ru/archives/8102> (ბოლო გადამონმება 05.04.2014)
112. The Penal Code of Italy- <http://www.altalex.com/index.php?idnot=36653> (ბოლო გადამონმება 05.04.2014)
113. Уголовный кодекс Дании -<http://law.edu.ru/norm/norm.asp?norm ID=1241524&subID=100096345,100096365,100096415,100096559#text> (ბოლო გადამონმება 05.04.2014)

Criminal Responsibility for attempt of a crime

Summary

Research represents discussing such major and contentious issues, which are related to the punishment of attempted the crime.

The subject of research of the work represents: Composed of the crime of attempted, Lawful Resistance and Fault.

The object of research of the work is:

- History of attamption of the crime and the condition of the issue in Legislation of Foreign Countries;
- Originality of the composition of attamption of the crime;
- Lawful Resistance and Fault of attamption of the crime.

There is presented the Scientific Research News and the Practical Significance: the structure of of the concept of the crime is based on the definition of attampted crime: Composition of the Crime, Lawful Resistance and Fault. Accordingly, the study of the issue is built and the conclusion system elaborated in this direction. As a result of the use of normative theory for attampted crime there is planned the research methodology. The theme of the limited responsibility is removed from the topic of the composition of action and is discussed on the level of charges. Besides it, the voluntary refusal on crime, as the basis of the personal release from prison, also is considered on the level of charges. There is considered formal-objective, subjective and mixed concepts of the attampted crime. In this work, it's shown that the attamption of the crime may be committed only for the purpose of the direct intent, when the person immediately started his purpose, but he couldn't finished the action. In this respect, there is shared the amendment of the new edition of the article 19 of CC, which denied the determination of the article 17 of the Code 1960 of the attamption of the crime. Otherwise, it was hampering the separation of such cases, when the offender was apprehended or when he willingly refused on the offense. In this work, it's shown the correctness of subjective-objective approach for the composition of the crime. The result of this conceptual approach is the

consideration of such key issues for unfinished crime at the time of the punishment, as:

1. The character and the danger of the actions committed by the offenders;
2. The degree of criminal intent, that determine the degree of objective-social danger of the action;
3. The reasons why the crime was not completed.

There's shown, that the problems of separation of the preparation and attempt of the crime belong to the special issues of subsumption of attempted crime. The solution of the mentioned problems are directly related to the compositions of actions and is checked on the level of charges. In this work, the issue of Lawful Resistance of attempted crime is considered as a separate issue. First of all, Research belongs the problems of Lawful Resistance to "Poor Attempt".

The "Poor Attempt" Institution is directly related to the problems of check of Lawful Resistance of attempt. Therefore, we believe that the "Poor Attempt" would be considered during the analysis of subjects of Lawful Resistance of attempted crime.

The mentioned methodological approach lies in the fact, that the "Poor Attempt" with its nature is related to the factual error, as far as, as the result of human's erroneous imagine on the reality existed in the world, the crime remains unrealized. The factual error, which excludes Lawful Resistance, at the same time excludes the intention.

In research, the "Poor Attempt" is divided into attempt on the wrong object and attempt with poor means, as it is accepted in Georgian Juridical Literature. In this direction, there is shared the consideration, that is the immediate object of attack with its features is suitable for implementation of the crime, but in this particular case any accidental circumstances prevented the finalization of the crime (for example, the human at the moment of attack appeared on the armor), in this case, it's impossible to talk about unsafe attempt and this case should be punished, as all other efforts.

In research, there's shown, that attempts with the wrong means and common rule, lead to criminal liability, because such action is dangerous.

In the Study, there's rejected the importance of delineation of the completed and uncompleted attempts.

A number of problems of attempted crime arise in practice, which should be resolved at the level of charges. The attempt of the crime committed during the limited responsibility and the voluntary refusal on the crime belong to these problems in the study. In this direction there is considered the various forms of the limited responsibility (Alcohol, drugs and affective status), which don't excuse the attempt of crime. The following form is represented by an unintentional crime, when the attempt of crime is excluded.

The voluntary refusal on the crime represents the basis of the personal release from only prison. That's why in the research this issue is discussed during the analysis of the fault. The research shows, that at the time of justification of the criticism, the Court should take into account, that: at the time of voluntary refusal, a person may be punished only in this case, if there's the composition of some other independent crime in the behaviour committed by him. Criminal liability arises, if a person for example bought a weapon for the murder, but he willingly refused on the murder.

In order the Institute of the Attempt of Crime to be reasonably considered, it's necessary to be the underlied the following structure of the concept of crime to it:

Composition of action, Lawful Resistance and Fault.

The study of the issue is constructed in accordance with it and the conclusion system has been developed in this direction.